

ISSN 0142-500 X

საქართველოს
საზოგადოებრივი მეცნიერებების
აქადემიის გამომცემი

გნებობა



2

1986



მწერთა

ქართული
მწერთა კავშირი

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 61-0

№ 2

თბილისი, 1986 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლები კავშირის ორგანო

შინაარსი

სკკპ XXVII ყრილობის შესახებრად

ხუთწლიდან — ხუთწლიდან 3

პროზა, პოეზია

რეპეზ მარბანი — ლექსები	7
თენგიზ ბოგოლაძე — მასწავლებელი, დოქტორი მოთხრობა	16
თეიმურაზ ჯანუაშვილი — თ. თბილისი, ლექსი	58
ლადო სულაბერიძე — ახალი „არგო“, ლექსი	60
მზია ზეთაური — ლექსები	64
ნენე ქადაგიძე — ძაღვი ბრილიანტი, მოთხრობა	68
ნიკო სამაღაშვილი — გადარჩენილი ლექსები, წინასიტყვაობა — ვ. კოტეტიშვილი	79
ჯემალ მხარეშვილი — მოთხრობები	86
ბაბუ მგაურიშვილი — ლექსები	89
რეპეზ ასავეი — თქმულია ბითბანი, ლექსი, თარგმანი ბესიკ ხარანაულმა	92
ჯემალ ქარახაძე — ანბონი და დავითი, მოთხრობა, დამასტელი	94

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ზარკ ბანაშვილი — დღეები, გავშვების დღეები 135

მეხნიერება

პანანა ვოილაძე — წმინდა ნინო, კართლში შიმოცლისა და კართლის
მოქმედის მათარიღმგზავთვის 149

(მ. ზორე ვერდი).

უინარსი (ვაგრძელება)

ფაქტები, მოგონებები

ვლადიმერ ჯივანი — ბახანოვა



წიგნების მიმოხილვა

თეიმურაზ მიგნაიანი — საუბრაღღამო ნაწარმოი



მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო მ კ ო ლ ე ბ ი ა :

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამავუჯელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-
მიწვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასური, მ. ლეგანიძე,
ე. მალრაძე, ლ. მრალაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. კატარია, ჯ. ჩა-
რკვიანი, ნ. წულეისკირი, თ. შილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მღვივანი),
რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ხუთწლიდან—ხუთწლამდე

ამ ხუთიოდე წლის წინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეექვსე ყრილობამ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა წინაშე მხატვრული სიტუაციის ქმედითუნარიანობის ანალიზის, მისი შემდგომი სრულყოფის გრანდიოზული ამოცანები დასაბამა. მთავარი ნიშნულია იყო შემოქმედებითი პროცესის კიდევ უფრო დაახლოება ცხოვრებისეულ სინამდვილესთან, ჩვენს უკველდღაფრობასთან, საბჭოთა საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემებთან, ადამიანების საღარდელ-გასახარებლთან, აქვე იგულისხმებოდა უკომპრომისო ბრძოლა ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის, მთელი მსოფლიოს ხალხების კეთილდღეობისათვის.

შეიძლება თამაშად ითქვას, რომ ჩვენი ლიტერატურის წინაშე დასახულ ამოცანებს საბჭოთა მწერლებმა დირსულად გაართვენ თავი.

საბჭოთა მწერლების მოწინავე ავანგარდთან ერთად თავის შთამაგონებელ, ცხოველმყოფელ სიტუაციას ამოხადენ და მაღალმხატვრული ნაწარმოებებით — რომანებით, მოთხრობებით, პიეტეტო ქმნილებებით, მხატვრულ-მუსიკისტური ნარკვევებით ამდღებდნენ საბჭოთა ლიტერატურას მოწინავე ქართული მწერლებიც, რომელთა შემოქმედებითა თვალსაწიერმა გლობალურად მოიცვა თანამედროვე ყოფა-ცხოვრების მთელი მოწაქა, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის სულიერი სამყარო, მაღალზნეობრივი იდეალები, მისი კეთილშობილური ფიქრები და სამომავლო ოცნებები...

ყოველი ახალი დღე ახალ ფერადებს მატებს ჩვენს ყოფიერებას, აღავსებს მას ახალი ნიჟანებით, ახალი პრობლემებით, ახალი ამოცანებით. მწერალმა, ხელოვანმა კი პირველმა უნდა მიაყურავდეს ეამთამდინარებას, მან უნდა შესძლოს უკველდღიური სახლებების დაფიქსირება, მთავან უმთავრესისა და მნიშვნელოვანის გამოჩენვა, ამ პროცესის კანონზომიერებაში გარკვევა, სისტემად ჩამოყალიბება და მხატვრულად განზოგადება...

ასეთი ანალიტიკურ-მხატვრული შემფასებლობა მოვლენებისა აუცილებელია ნაწარმოებისათვის ცხოველმყოფელობის მისანიჭებლად. — მხოლოდ ტეშმარტ შემოქმედებას აქვს უნარი მილიონთა გულების მონადირებისა, მასების მსოფლმხედველობაზე კეთილისმყოფელი ზემოქმედებისა, საუკეთესოდ ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყანა ამჟამად ყველაზე წიგნიერა მთელს მსოფლიოში. წიგნებისა და პერიოდულ გამოცემთა ტირაჟებმა კოლოსალურ როდენობას მიაღწია. ასეთი ინტერესი ბეჭდვითი სიტუაციაში მკაფიო დადასტურება გახლავთ ჩვენს ქვეყანაში ლენინური იდეების ცხოველმყოფელობისა, ხალხის უფართოესი მასების კულტურისა და ხელოვნებისადმი დაუცხრომელი მისწრაფებისა.

დრო ახალ ამოცანებს წამოჭრის ჩვენს წინაშე.

იჭრება ეკონომიკურის, სოციალურისა და კულტურულ-ფსიქოლოგიური ფაქტორების ურთიერთკავშირი, და ამავე დროს ურთიერთ გავლენა. ეშპირული ცოდნა უკვე საკმარისი ადარ არის, თანამედროვე ცხოვრება თავისი მრავალწინანოგუნებით შემოქმედებისაგან ყოველიმომცველ ანალიტიკურ აზროვნებას მოიხზავს. ხელოვანი მოვალეა მთელი მსოფლიოს მიღწევები ვაითვალისწინოს, ვიწროკრუნული ჩარჩოები უკვე პროვინციალურობის სინონიმად იქცა. შემოქმედი უნდა იღვწვს დროის ამ მოხივნილებათა დონეზე, მას უნდა ძალუძოდ თანამედროვეობისათვის ნიშანდობლივი უროულესი მოვლენების, საზოგადოებრივი ტენდენციების, ადამიანთა სულიკვეთების აღქმა და მაღალმხატვრული ასახვა...

გააზრდა მწერლის, ხელოვანის პროფესიული პასუხისმგებლობა — და ამავე დროს გაფართოვდა მისი თვალთახედვის პორიზონტი. როგორც ითქვა, შემოქმედებითა პროცესმა უნდა მოცვაოს მთელი ჩვენი ცხოვრება, ყოფითი სამყარო, საზოგადოებრივი საქმიანობის მთელი პარობა — ადამიანი დაზგასთან, ჩიხს ბუჩქთან, მანქანისა თუ თანამგზავრის საკესთან, სარკეტო პულტთან თუ უნიფლმქტრლის შტურვალთან — ყველაფერი ეს შემოღის ხელოვანის შემოქმედებით სამყაროში, დღეს არ არსებობს მისრვის პირველბარისსოვანი და მეორადი თემები... მას ყველაფერი თანახმად ეხება, რაც მის გარშემო ხდება.

ცნობილია, რომ ადამიანის რადიკალური გამოხატვის ამოცანა ყოველთვის ახალი გმი-

საქართველო
სოციალისტური
რესპუბლიკა

რის პარალელმას უკავშირდებოდა. ბოლო ასლი გმირი უკველივის იმადებოდა პარტისტულ სიბიბეების დამკვიდრებისათვის ბრძოლის პროცესში. იგი უპირობებოდა ქვეყნის განვითარებას და ქვეყნის განვითარებას. უკველივი ჩამორჩენილსა და მოძველებულთან კონტრასტს უქმნიდა დიდი პარტიისათვის უკველივი იმასთან, რაც ჰყენს საზოგადოების წინსვლას ელანება წინ სხვა სიტუაციით რომ ვთქვათ, გმირი იხატება მთელი სრულყოფილებით მხოლოდ მასში. როცა მწერალი მას ცხოვრებისეული სიმართლით აღვიწერს, ამ გვიხატავს მას ხელოვნურ სიბიბეებში.

ბოლო უარყოფა ამ ანბანური კუმპარტიებისა, ესე იგი, გაიკლებს კუმპარტი ხელოვნების, მწერლობის წინაშე მდგარი ამოცანებისა, საბოლოო კამში, დამარცხებას, ჩვენს მიერ შემუშავებული შემოქმედებითი კონსტრუქციების წგრებას მოასწავებს... რასაც უკველივის ითვისებასთან დაკავშირებით მწერალი უკველივი ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელი...

და არა მარტო ჩვენს თვალწინდელ სამშობლოში დასაქონ მკითხველის გული საბჭოთა მხატვრული სიტუაციის ოსტატთა ნაწარმოებებში, რომელთა შორის მრავალად არიან გაორჩენილი ქართველი მწერლებიც, საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ საუკეთესო სიუჟეტური და პატრიოტული დაიხსახურა მთელს მსოფლიოში. მაღალი პროფესიული ღირსებები, მორალურ-წინააღმდეგობრივ მიზანდასახულებათა სიყვადე, კეთილშობილური მიზნები, სამართლიანობა, შთაბეჭდილი ხატოვანება კუმპარტი მაღალმხატვრული ლიტერატურის ხელოვნებითი სიყვადეობა, რითაც ასე უხვად არის დაქილდობული ჩვენი მწერლობა, საბჭოური, სოციალისტური კულტურა და ხელოვნება.

ამ თვისებებს ჭეროვნად აფასებენ მკითხველები, ხალხურობა, საზოგადოებრივი ინტერესებით საზრდობა მას მტრ დამარცხებლობასა და სარწმუნოობას სდენს, ანიჭებს განსაკუთრებულ ცხოველყოფილებას. მკითხველს უსიყვადეობს ინტერესს ჩვენი ცხოვრების სოციალისტური წინსვლაში, კომუნისტური ურდისაში; ჩვენი ლიტერატურა გამოირჩევა თავისი კეთილშობილური მისიით, ქვეყნად მშვიდობიანობის ქადაგებით, კაცობრივი იდეების ერთგულებით. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იდეალური, უნივერსალური ექსპორტიორია მსოფლიო არენაზე ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრებისა, საბჭოთა ხალხის მიერ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროებში წინააღმდეგობა და ბრძოლით მოპოვებული წარმატებისა, უკველივი საუკეთესოსი...

საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებს წითელ წოლად ვასდევს თანამედროვეობის მათერი შეგრძნება — და რაც ასე ნიშანდობლივია საბჭოთა ლიტერატურისათვის, ეს ვახლავთ გრძნობა ხალხების ერთიანობისა და სოციალისტური რევოლუციით შობილი ძმური მეგობრობისა. ჩვენი ოქაბი ერთი დიდი საოცისტოშია, მასში შემაჯავი ხალხების მეგობრობა ერთ-ერთი უღამაზესი გრძნობათაგანია, ოქტომბრის რევოლუციის უვლანე დიდი მონაპოვარია.

ღენინური ეროვნული პოლიტიკით ნასაზრდობა მეგობრობის იდეა ვახლავ უზრეტი წყარო ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურის განვითარებისათვის.

ისტორიაში ძნელად მოიძებნება მაგალითები უფრო ღამაში და ამაღლებული მეგობრობისა, რომელსაც სათავე დაუდეს რუსი და ქართველი ერების საუკეთესო წარმომადგენლებმა. უკვე ორ საუკუნეზე მეტია, რაც ამ მეგობრობას ანტითარებენ, განამტკიცებენ და ერთობლივად ჰქმნიან ქართველი და რუსი მწერლები.

ეს მეგობრობა დღეს ახალ და ახალ სიბიბეებს იძენს, ახალ შენაყადებს შეიწოვს, ვაშა მდინარების კვალბაზე იგი უფრო და უფრო მასშტაბური, მძლიერ-მძლე ხდება...

საბჭოთა მწერლობისა და ლიტერატურის მთავარ მორიდების შედეგებს აგრეთვე მხატვრული სიტუაციის სამსახურა ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში... მისი ამოცანა იყო და არის ისეთი ბორბების მზიდება და საშუაროზე გამოტანა, როგორც არის ომი, ჩაგვრა, უსამართლობა, სხვათა დამონება.

დიდი სამშულო ომის შემშარავი ექვს წერ კიდევ არ მიწლებულა, კაპიტალისტური საშუაროს მესვეურები კი ქვეყნად ატოფური ომის მისტირას ახადებენ. მათ მიიგონეს ატოფური, წყალბადის, ნეიტრონული ბომბები, ამასაც აღარ სჭირდებათ, შექმნეს საბჭოეთისა და სოციალისტური ქვეყნების გარშემო სამშვიდობო საბრძოლო სარტყელი, ეგრეთ წოდებული, „ტრიადა“, მთელს ევროპაში განაღვიგეს პირველადი დარტყმის ფრთოსანი რაკეტები, მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე შოაწყვეს სამშვიდრო ბანაკები, სადაც სასწრაფო რეაგირების ქარებს მოუყარებს თავი და დედამიწის ღამის უკველივი კუთხე-კუნჭული თავისი ინტერესების სფეროდ გამოაცხადებს, საწყობები გამოტენს ქაბიური და ბაქტერიოლოგიური იარაღით, აშვამად კი ნატოს ქვეყნები, ამერიკის შვერთებული შტატების მეთაურობითა და კარნახით, ეგრეთ წოდებული, ვარსკვლავური ომებისათვის ემზადებოან... უკველივი ეს აქცია, უპირველესად სამხედრო ხასიათისა ვახლავთ, მაგრამ მას სხვა ასპექტიც გააჩნია. იგი მიზნად ისახავს ჩვენს



ნათქვამს საინჟინერო სამუშაოს და უმისრო ხაზების ფლანგვის გზით საბჭოეთის ეკონომიკურ დასუსტებას გულისხმობს...

ჩვენი თაობა მომსწრეა არაერთი ასეთი აქციისა, როცა ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ემბარგოების, ეკონომიკური სანქციების, ეკონომიკური შეზღუდვებისა და ბიოკონტროლის შეზღუდვებით ცდილობდნენ ჩვენი ქვეყნის იკონომიკურ დასუსტებას. მაგრამ უკვლავობისა და ან ვერც ერთხელ ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი. ბუნებრივია, უარსკლავური ომებისათვის მზადების გარეშე ამტკიცებდა ამჟამინდელი კამპანია ასეთე ჩანაფუძვალს ვანერობის. ჩვენი სახელმწიფო არაფერს მისცემს უფლებას რომ მას თავისი ნება-სურვილი მოახვიოს ვინმემ და იგი უკვე დონეს იმპარს საპასუხო დონისძიებითა განხორციელებისათვის. მაგრამ ვიდრე ქრ კიდევ არის უკანასკნელი იმედი მსოფლიოს კატასტროფის თავიდან აცილებისა, ვიდრე კიდევ არის საშუალება ამ უგუნურებისგან გამოდევნისა, იგი უკანასკნელ დონეს ხმარობს რთა წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მცდელობას და დეპორტაციის მას საღი აზრი — ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრების აუცილებლობით ნაქრანხევი ნება-სურვილი. რის ნათელ მავალითსაც წარმოადგენდა გასული წლის ნოემბერში ამხანაგ გორბაჩოვის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რეიჯანთან გამართული მოლაპარაკება, სადაც ჩვენი ქვეყნის მეთაურმა კვლავ მთელი სიცხადითა და პრინციპულობით ჩამოაყალიბა თავისი პოზიციები ომისა და მშვიდობის საკითხებზე... წამოაყენა ახალი ინიციატივები, რომელთაც, სამწუხაროდ, ვერც ამქრად კმოვეს სასურველი გამოხატულება მოწინააღმდეგე ბანაკის მხრიდან...

მშვიდობისადმი სწრაფვის კეთილი ნების გამოხატულება გახლდათ აგრეთვე სულ ახლანახს ჩვენი ქვეყნის მეთაურის ამხანაგ გორბაჩოვის მიერ გაკეთებული განცხადება—სადაც ჩამოყალიბებული იყო ორითის წლამდე მსოფლიო განაირადების კონცეფცია. ეს გახლავთ მკავლის-შეტველი. უნიკალური დოკუმენტი, სადაც მთელი დამჭერბლობით არის გახადებული ჩვენი ქვეყნის, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის სწრაფვა მშვიდობიანი მომავლისადმი, ქვეყნად სიკეთისა და ბედნიერების დამკვიდრებისადმი, ზრუნვა მსოფლიოს ზალხების ბედზე.

ამ ინიციატივებმა ადამიანებს კვლავ გაუღვიძა მომავლისადმი რწმენა, მათში კიდევ უფრო გააღვიძა საბჭოეთის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისადმი სიყვარული, ჩვენი მშვიდობისმოყვარული ბუნება მთელი სისრულით წარმოაჩინა.

ჩვენი სახელმწიფო თანახმა განაირადების დარგში უკვლა ღონისძიებზე, ამ ღონისძიებითა განხორციელების ნებისმიერ ფორმაზე, იგი მზადაა დღესვე შეუდგეს, როგორც ატომური ისე ჩვეულებრივი შეიარადების შემცირებას, ასევე კომპიუტერი და ბაქტერიოლოგიური არსენალების განადგურებას, საერთაშორისო ინსპექციების მეთვალურებისა და კონტროლის ქვეშ რაქტებისა და გამშვები მოწყობილობების, სამხედრო ქარხნების დემონტაჟისა და განადგურებას...

დედაშიწის ზურგზე არ მოიძებნება, ალბათ, კუთამეოფელი ადამიანი, ვინც ქერობად ვერ დაუთანებს ამხანაგ გორბაჩოვის განცხადების ქვეშარატ არსსა და მიზანდასახულობას...

მაგრამ, სამწუხაროდ, დედამიწა კეთილი ნების ადამიანებით რთიდა დასახლებული... არაან სხვა ძალეზიც. რეაქციულად მოაზროვნე სახელმწიფო მეთაურები და სხვადასხვა რანგის მოხელეები, ისინი „მიზეზ მიზეზ დოს მარტილი აკლიაო“, ამ პრინციპით უკვლავ ექვს საბაბს იძებნენ, სამხედრო მონოპოლიათა კარახით ცდილობენ სამშვიდობო მოლაპარაკებითა გაკინურებას, მათ ჩაფუშვას... ისინი ახერხებენ მოსახლეობის ფართო ფუნების დეზინფორმაციას, გაღბიერებას, დაქვევებას...

და.ა. კვლავ წინა პლანზე იწევს საბჭოთა მწერლობის მაღალი დანიშნულება, მისი უნიშნდესი მოვალეობა — ამხილოს ამ დეზინფორმაციის არსი, ამ საქმეში ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაოთა როლი, მართლაც, განუზომელია...

როგორც შეუდღერი რელი, ჩვენი მწერლობა უკვედთვის იდგა მშვიდობის სადარაქზე, აშეადაც საბჭოთა წიგნი მთელ მსოფლიოში მშვიდობის ელჩის მისის ასრულებას; სკკ პრეზიუმის ახალი რედაქციის პროექტი და ასევე სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988-1990 წლისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მმართველებათა პროექტში კიდევ უფრო მასშტაბურად არის წარმოდგენილი ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულება, მისი სამომავლო ამოცანები.

სკკ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში ამასთან დაკავშირებით ნათქვამია: „საბჭოთა კულტურა ხელს უწყობს ზალხთა ურთიერთგაგებასა და დაბლიერებას, აქტიურად მონაწილეობს ინტერაქციის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგე ბრძოლაში. გამოხატავს რა სოციალისტური საზოგადოების იდეურ სიმდიდრესა და სულიერი ცხოვრების მრავალფეროვნებას, მის რეალურ პოტენციალს. იგი ამდიდრებს მსოფლიო კულტურას, სულ უფრო სრულად ავლენს

თავის თავს, როგორც კაცობრიობის სულიერი პროგრესის მძლავრ ფაქტორს, როგორც მრავალკომუნისტური კულტურის პირველსაბავსს“.

სოციალიზმის საქმის ერთგული ქართველი საბჭოთა მწერლები პირადად იღვწიან პარტიის მონაწილეობითა და მხარდაჭერით, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და სკკპ ოცდამეშვიდე ურილობების შესახებ დრად. ისინი, მართალი სიტყვითა და კალმით შეიარაღებული, ერთგულად დგანან თავიანთ შემოქმედებით ვახტანგ, ჭეშინავს წრომისა და შენების გმირთა მხატვრულ სახეებს; რომანებსა და ლექსებში, მხატვრულ ნარკვევებში და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში ასახავენ კომუნისტური მშენებელი აღმშენებლის მდიდარი სულიერი სამუშაოს მრავალფეროვნებას, პროგრესულობას.

საქართველოს მწერალთა კავშირი, რომელიც სათავეში უდგას მხატვრული სიტყვის ოსტატთა მობილურ შტაბს, ხალხთან, მშრომლებთან მჭიდრო კონტაქტების განსამტკიცებლად ახალ ფორმებსა და მეთოდებს ნერგავს თავის საქმიანობაში — ამისი ნათელი დადასტურება გახლდათ ამასწინათ მწერალთა კავშირის გამსჯელი სხდომის ჩატარება ქალაქ ქუთაისში, აქაურ საზოგადოებასთან შეხვედრები, ავტომშენებელთა მრავალათასიან სახელოვან კლექტივთან გამართული საუბარო-დილოგი, რომლის დევიზიც გახლდათ — „მწერალი — წარმოების შეაგულში“.

ქართველი მწერლების მთელი ჯგუფი მონაწილეობდა ამ შეხვედრა-დილოგში. აქ იყვნენ ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, შოთა ნინოიანიძე, გურამ ფანჯიყიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რევაზ ინანიშვილი, ოთარ ჭელიძე, ოტია იოსელიანი, რეზო ამაშუელი, რომან მინიშვილი, არჩილ სულაქაური, დავით კვიციანიძე, ენვერ ნიფარაძე, გიორგი გაჩეჩილაძე და სხვები...

ასეთ შეხვედრებზე იყვებოდა ახალი პრობლემები, ისახება ახალი თემები... ზღვება ჩვენს ლიტერატურის სასიამოვნო გაქრება და გამდიდრება ცხოვრებისეული პათოსით, საზოგადოებრივი განწყობილებით... ასე შეიქმნა მრავალი ამაღლებული ნაწარმოები მიძღვნილი ქართველი მწერლებისადმი, სოფლის მეურნეობის გმირებისადმი, მრეწველობის მოწინავეებისადმი... ასე დიწერა საინტერესო მხატვრულ-პუბლიცისტური მოთხრობები მუშათა კლასზე...

სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, სოციალურ-ეკონომიკური სფერო, სოციალიზმური-დემოკრატიული ასპექტები, ათასი სხვა საინტერესო თემები და საკითხები შეადგენდა ამ განვლილი ხუთი წლის მანძილზე ქართველი მწერლების შემოქმედებითი მიმართების ობიექტს. რესპუბლიკის მწერალთა ორგანიზაცია ზედღვაიანი ნადავლით ეგებება საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეშვიდე ურილობებს. ამჟამად რესპუბლიკაში ქანსალი ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის უკომპრომისო ბრძოლის სულისკვეთება, ჭვეუნად სამართლიანობის დამკვიდრებისათვის, ახალ-ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლის საუოველთაო განწყობილება კიდევ უფრო სერიოზულ ამოცანებს აყენებს ჩვენს წინაშე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის აშ. ჯ. პატავილის მიერ რესპუბლიკის სამეურნეო აქტივის კრებაზე და ასევე საქართველოს კომპარტიის XXVII ურილობაზე ჩამოყალიბებული საკადრო პოლიტიკის დახვეწის, ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესების, რესპუბლიკაში პარტიისა და ცხოვრებისეული ნორმებისა და ქანსალი კლასის დამკვიდრებისადმი მომთხოვნელობის სულისკვეთება ქართველ მწერლებს კიდევ უფრო მეტო თავდადებისაკენ, საზოგადოებრივი საქვრების, კომუნისტური პარტიის იდეალების გულთან მიტანისა და გათავისებისაკენ მოწოდებს. ეს მოწოდება არც ამჟერად დარჩება „მხედ მღალაღებლისა უღაბნოსა შინა“.

ქართველი მწერლები მას საქმით უპასუხებენ.



რევაზ მარგინი

ქრონიკა სიჭაბუკის წლებისა

შესავლის მაგიერ

ის დროც მოვიდა,
მე უნდა ვმეცადე:
სიბარტლა, ვარამს, რაც მერგო წილად—
და წლებს ვუხმობდე გაფრენულ
ჩეტებს.
პიბლუფანტულებს დიდი ხნის წინათ.

ის დღეც დამადგა
მე უნდა ვმეცადე.
ვიდრე ზემს ხაოვნას დაჰფარავს ბინდი
სრულდება ჩემი ზედასვლის კიბე
და დროც თავისთვის უჩემოდ მიდის.

რამდენი რამე შემორჩა ხაოვნას,
ბურუსმა შთანთქა რამდენი რამე!
ამაო არის იმისი პოვნა,
რაც დაეწყების ეკუთვნის ღამეს.

მაგრამ ჯერ კიდევ
ბევრ რამ მახსოვს.
ის მახსოვს მეტად, რაც მჭონდა დარდად.
ჩემი თაობის უცნობს და ნაცნობს
მსუტრს მოვავიწყოთ სიბერის კართან.

გასკეთს ახლოგულს და შორეულს...

ვის, ვის მიეწერო
ეს მდულარე ლექსი-წერილი?
ვის გაუქუზავნი
სიტყვა გულით ამონასხლეტი?
თვალწინ ნათდება
შთაგორები გადასერილი
მხოლოდღა წიგნით
გაცნობილი ჩემი ბასკეთი!
ხააკეთს... ჩემს ბასკეთს
განსაგზავნი მაქვს ეს წერილი!

ვის, ვის მიეწერო...
არაღინ მყავს იმ ქვეყანაში

ხმა მივაწედიხო,
შევილო მათთან გასაუბრება
დავხუტეუ თვალებს,
შევაჩერებ მეღანა კალამში
და შებლი ჩემი
მწუხარებით მომექუფერება,
რადგანაც ბასკეთს
გამგზავრების არ მაქვს უფლება —

გულითად ბაბათს,
ახლა თართოლვით რომ იწერება
სიკაბუაღან
თართოლვა არის შემორჩენილი,
მისთვისაც კალამს
სრულიდაც არ ემღერება

ნაღვლიან სიტყვით
სავსე არის ჩემი წერილი...
ბასკეთს, ჩემს ბასკეთს
გასაგზავნი მაქვს ეს წერილი.

ვის, ვის მივწერო?
მისამართი მხოლოდ ერთია:
ბასკეთი. ყველას
ვისაც უყვარს თავისუფლება!
და სუნთქვა ჩემი
სტრიქონებში არ ჩამეტია —
მდღლარე სიტყვით
როგორ შევიძლებ გასაუბრებას,
როცა მრისხანედ
მოიყარეს თავი ღრუბლებმა!

მწამს, ჩემი სიტყვა
ღრუბელს დაფლეთს, გაჭრის
ჭურღმულებს,

ბნელს და უცნეთს
ჩემთა თვალთა მზერა გასაფლეთებს
ნუგეშის სიტყვას,
ალალ სიტყვას ჩაუჩურჩულებს
ბასკთა ჭეყანას,
ძმათა ჩვენთა სასოწარკვეთას.
იმედის სიტყვას,
ალალ სიტყვას დაიბუბუნებს.

ბასკეთს ახლობელს
და შორეულს რით ვცე ნუგეში,
როგორ გავიყო
ცრემლი მწველი, ძმათა იბერთა?
სიკაბუჯეში
დამიგროვდა სევდა უბეში
და დღემდე თურმე
ის ოცნება არ დამიბერდა.
ბასკეთს ახლობელს
და შორეულს რით ვცე ნუგეში?

ერთსა ბიხოვ მხოლოდ

ერთსა ბიხოვ მხოლოდ
შთაგონებავ, არ დამიბერდე.
მსურს ძველისძველი
ჩემი ფიქრი გავამზებურო.
გზა, გზა დაუთმეთ,
ძველ ოცნებებს. იმ ძველ იმედებს.
სულია სიღრმეში
შენახული ჩემო რვეულო,
-მ ქარბუქიან
დღეთა ელვა გამოიმეტე!

ოცდაათობმეტი
წელიწადი იმ დროს მაშორებს,
ოცდაათობმეტი
წელიწადი შორს იმმუნება.
ეთრთი და მალეღვებს,
სიკაბუჯეს

ჩემსას აერეოლებს
და ვით ბედუნის
უდაბნოში ყელი უშრება.
(მაინც განკდილის
დავიწყების არ მაქვს უფლება!)

ეს კარგად მახსოვს
იღვა ცხრაასოცდათექვსმეტი
ცხელი ამინდი
და გრიგალი პირინეიზე.
გაოცებული
კაბუჯები გზაზე შეეჩრდიო. —
ესპანეთს, ბასკეთს
ბრიალებდა
მწველი, ცხელი მზე
ეს კარგად მახსოვს
იღვა ცხრაასოცდათექვსმეტი.

და გადავფურცლა...

და გადავფურცლე
სიფრიფანა ძველი რვეული.

ჩემი გულწრფელი
სტრიქონებით სავსე ქაღალდი...



აღსდგნენ ის ძველი
ოცნებები სიზმარეული
და თურმე რამდენ
კეთილშობილ ფიქრს ვინახავდი
და ვგრინობ თუ როგორ,
როგორ სუნთქავს ჩემი ქალაქი!

ვწვლავ, ჩაცქერი
სიჭაბუკის გამზდარ ასოებს,
ხელჩაკიდებულ
სტრიქონებში ელვა გამორბის:
სიტყვას — სიტყვასთან
წერტილებს ცეცხლი ამორებს
და მოკრძალებით

იმზირება რითმა ლარინგალური
სადღაც შორეთში
იჩქაროან ჩემი პწკარები!

ვერ ისვენებენ
სტრიქონები იმდროინდელი,
ხელჩაკიდებულ
ასოების ბრუნავს ხორუმში.
ლექსში ხანდახან
გაიღვლებს დროშა წითელი,
დროშა წითელი
მებრძოლთაგან ნამბორევი...
მაგარ ბგერათა
ბაგა-ბუგში ბრუნავს ხორუმში.

შეიკრა გუნდი ჭაბუკების...

შეიკრა გუნდი
ჭაბუკები. ავლაპარაკდით,
პო, მაშინ პირველ
სტრიქონებზე ხელს ვიწაფავდით —
და სააოებით
დაიწერა მოკლე ბარათი,
იქ, სადაც ჭერ არს,
გავაგზავენთ ჩვენი ქალაქი.
ესპანეთს წასვლას
მოითხოვდა ჩვენი ბარათი.

იყო ქარბუქით სავსე
ცხრააოცდათექვსმეტი,
ათუთად ნაწერ
რვეულებში კრთოდნენ პწკარები,
და ასოები,

ჩვენებრ მკვირცხლი და ტანწერწეტი,
ხან სავსე იყვნენ
სიხარულით, ხან მწუხარებით.
პირენიზე
კი ბრძოლათა რეკდენ ზარები!

ო, შეგონება
ბსოენის რიდე ახლა იხსნება,
მომეც უფლება
გავაცოცხო ბევრი აჩრდილი.
მე ვერ გავატან
ბურუსსა და გადავიწყებას,
ბევრი რამე მსურს
გამოვტაცო, როგორც დაქრილი,
მომეც უფლება!
გავაცოცხო ბევრი აჩრდილი!

ვინრო ჭუნავი იტვირთავს ცხელი აზგებით

ცეცხლ- ტრიალებს,
ცეცხლი ბრუნავს პირენიზე,
კვამლში გათენდა,
სულშემხუთავ კვამლში დაღამდა!
მაგრამ მებრძოლი
ესპანეთი ისევ შეიძლებს
ნტერი ფიცხელი
დააჩოქოს გვადალაზართან.

ცეცხლში გათენდა
და თვალწეფდენ ცეცხლში დაღამდა!
ჩვენ კ თბილისში
ჭაბუკები პასუხს მოველით.
აფრიალებენ
ახალ ფურცლებს ძველი სტამბები,
ფურცლები შავი

საღებავით არც სოველი.
ვიწრო ქუჩები
იტვირთება ცხელი ამბებით.
აფრიალებენ
ახალ ფურცლებს ძველი სტამბები.

მაჩაბლის ქუჩა,
ხელოვანთა სასახლე ღელავს.

ეხედავ
პაოლო იაშვილი შეიკრავს წარბებს.
და ეაპანეთზე
დასაწყრად მოუხმობს ყველას.
თან მოწიწებით
იხსენიებს რაფაელ ალბერტს.
„ბასკეთო ჩვენი,
შორეული. მოითხოვე შევლას!..“

ამოდის მთვარა...

ამოდის მთვარე.
მოიწვევენ რუხი ღრუბლები.
რუხი ღრუბლები
მთვარეა სდევნენ ზანტი ზმორებით.
და ჩიტუნები, —
წუთისოფლის კირისუფლები. —
სიზმარშიც დღისით
ნამღერ ჰანგება იმეორებენ.
ჩვენ კი ჰაბუყებს
გველანდება ისევ შორეთი.

ცეცხლის აღმურში
გამურული სუნთქავს ბასკეთი...
ჩვენ კი ბობოქარ
საუკუნის თითო ბაღლები —
გაწბილებული

მეომრები ჩვენს გულს ვასკდებით.
სიზმარშიც ბრძოლის
შრილებენ შავი ტალღები
და კენესა გვესმია
მეკრდდაჭრილი ჩვენი ბასკეთის...

მიიწვევს მთვარე
აღმოსავლეთ ივერიისკენ.
ფერმკრთალი შუქი
თრიალეთის ქედებს დანათის.
შორი ნათელი
მთაწმინდიკენ ნელა მიიწვევს.
რომ გაანათოს
საქართველოს ფარ-მუზარადი.
ფერმკრთალი მთვარე
საქართველოს ქედებს დანათის...

აი, ეს ლექსიც...

სიზმარში,
ერთხელ ბასკეთს წავედი.
ორი დღე-ღამე
სტუმრად დავყავი.
იქ, ჩვენი დამხვდა მდებლო-ხავერდი
და ჩვენებური შუქურ-ვარსკვლავი.

ღმერთო, მანახე ბევრი სიზმარი,
ამგვარ თხოვნაზე მომეც დასტური...
იქ, ჩვენებური ენთო ცისკარი —
კამკამა. როგორც ალადასტური.

ბასკეთს, ჩემს ბასკეთს დიდხანს
ენატრობდი,

(შეილებთან ფიცი მქონდა შეკრული),
წაველ, გურიის ვნახე ტატნობი,
წაბლის ოდა და ფაცხა მეგრული.

შვეულ ფაცხაში...
ეხედავ ჰვარტლიან
ნამჭვას ჰკიდია მომცრო კარდალა.
შენელებული ცეცხლი ანთია
და იისფერი კვამლი დამდგარა.

იქვე, კუთხეში
გდია ვიდელი.
ქოთანი სუნთქავს მეკრდგამურული.
ცეცხლს მიფიცებულ კაცზე ყვირთელი
ნელ-ნელა ცხვება მკადი გურული.



დაუტრეკია სიმინდს კბილები —
სხვენზე ჰკიდია უღვაშდამქნარი
და ტუჩომომტვრეულ დოქის დილეგში
გამომწყვდეული ბორგავს მაჭარი.

იქვე, მახლობლად
ჰყრია ფუჩეჩი,
კვათი ნებვირობს წამოწოლილი.
უფერულდება
ცის სილურჯეში
კვამლი, უკეთო ქარს აყოლილი.

მესმის, საამო ხმა აფერადდა,
ხმა მშვენიერი —
სიტყვა ბასკური
და ლბ-ლზე-ლბილი ბგერა-ბგერასთან
ქართულად იყო გადანასკვული.

სიზმრად ბასკეთის ვიყავ სტუმარი
ახლად გაიხსნა ჩემთვის ცისკარი.
ლმერთო!
ამგვარი და სასურველი
კადევ მანახე ბევრი სიზმარი!

ასეთი იყო
ჩემეული ლექსი-ზმანება.
უბრალო სიტყვა —
გულითადი, სიტყვა გულწრფელი.
შორს, პირინის
გურიასთან გამოსალმება...
და წრფელი ფიქრით
შეესებული თეთრი ფურცელი
ასეთი იყო
ჩემეული ლექსი-ზმანება.

თანდება თითქოს ჩვაულბარივ...

თანდება თითქოს
ჩვეულებრივ, მაგრამ მიიმდება
ჰაერი, უფრო
მიიმე ხდება თანდათანობით.
თანდათანობით
ესპანეთის ცა იბინდება
გვადალახართან —
ნაყანარში ალი ამოდის.
და იმედების
ამღერეული ტბა იწრიტება.

თბილისში ამ დროს
ცეცსლოვანი წიგნი შრიალებს,
ესპანეთს უხმობს,
ხმას უერთებს თავისუფლებას.
წიგნი სიცოცხლეს,
გამარჯვებას თავს დასტრიალებს
და მამულისთვის
თავგანწირულთ ესაუბრება...
დავიწყებულის
კვლავ მომინდა გამზეურება!

დრო მიდის...

დრო მიდის, მიდის
და მიყუეები ეამთა დინებას,
შავი ღრუბელი
დიდი გახდა, უზარმაზარი.
დღეს ფანჯარასთან
გაიელვა უცხო ფრინველმა,
ალბერტის ლექსმა

გადმოლახა ვრცელი საზღვარი,
„აიდა ლაფუნეტეს“
სტრიქონებით ვიყავ გამთბარი...
აი, ის ლექსიც
ალბერტისა, ჩემი თარგმანი:
რაფაელ ალბერტი
აიდა ლაფუნეტე*

* ეს ლექსი ეკუთვნის ესპანეთის ცნობილ პოეტს რაფაელ ალბერტის. მიძღვნილია ესპანელ გმირ კომედიანტელ ქალიშვილ აიდა ლაფუნეტესადმი. იგი გმირულად დაიღუპა ოცი-ედოსთან 1934 წელს, ოქტომბრის ბრძოლებში. აიდა ტყვედამტყვევებით იყავდა შემდარო-ულთა კოლონის საბრძოლო წესით უკანდაბრუნდა. აიდას გვაში „უცხოეთის ლეგიონის“ — ქარისკაცებმა საშინლად დაამახინჯეს.

მე მინდა იგი რომ გავაცოცხლო,
 რა გათელილი მოსჩანს საფლავი,
 მასზე ბალახებს სურთ გაიხარონ...
 აიღა მკედარია? მითხარით მართალი,
 ქარო, ავდარო და ქარშხალო...

მე მინდა იგი რომ გავაცოცხლო,
 ფრჩხილებით მიწა მოეთხარო მინდა.
 ძლიერი ვარ და კვლავ გავჭიქდები...
 ღამეა, საფლავს შემოუფინა
 ყვავილთა ხომლის ნაკვლად ხიშტები!

მე მინდა იგი, რომ გავაცოცხლო,
 აისხლში ჩაფლულა, იგი მკედარია
 და ორ მოკვეთილ ხელბასაც სძინავთ.
 სისხლს წყაროსავით უჭკრაალია
 ხიშტზე აგებულ ძეგლებიდან...
 აი... ლაფუნტე ლიბერტარია!

მე მინდა იგი, რომ გავაცოცხლო
 ვკვი, შევძახი მტერს და ჭალათებს:
 — ცოცხლობს, იცოცხლებს ცეცხლის
 დამნთები,
 ლიბერტარია ისევ ანათებს,
 ხილთან იგივე ჰქუხს ტყვიამფრქვევი!

მე მინდა იგი, რომ გავაცოცხლო
 მემალაროვე აიღას სისხლით
 დასწერე! თუ გინდ გაწამონ, მოგსპონ...
 „გამარჯვებულო ესპანეთო წინ!
 ასტურიის ოქტომბერი ცოცხლობს!

მე მინდა იგი, რომ გავაცოცხლო
 და გამარჯვების ბედნიერ დილას
 აქ, ამ საფლავზე შევხვდეთ ერთმანეთს,
 ვუთხრათ გოგონას: ადექ, ნუ გინავს!
 — ბედნიერება მოსავს ესპანეთს!

ოცდათოთხმეტი წელიწადი იმ დღეს მამორებს

ოცდათოთხმეტი წელიწადი
 იმ დღეს მამორებს,
 ოცდათოთხმეტი
 წელიწადი — ქარბუქიანი,
 და იმ გოგონას
 ხანებაზე დღესაც მაერყოლებს,
 და კვლავ ჩამეცმის
 ხარბახნების შორი გრიალი.
 ოცდათოთხმეტი
 წელიწადი იმ დღეს მამორებს.

და ის გოგონა
 მაგონდება, ვისაც ტყვიები
 დაჭრილ სხეულზე
 შეესია, როგორც ფუტყარი.
 შურისძიების
 ეამი იდგა, შურისძიების...
 საბრალო გოგონს
 დაეწია ბედი მუხთალი.
 აი, ის ლექსი,

მოგონების დღეს რომ ვუთხარია:
 აიღა ლაფუნტე — ლიბერტარია
 აიღა ლაფუნტე —
 ლიბერტარია,
 ეს როდის იყო?

ჭალათის ხელს
 რომ არ დანებდი
 დიდხანია,
 ლაფუნტე,
 დიდხანია.
 შენს წასვლას გლოვობს
 ბედდამწვარი
 ის ესპანეთი!
 დიდხანია,
 ლაფუნტე,
 ლიბერტარია!
 მაშინ ყრმა ვიყავ,
 უფრო სწორად,
 ვიყავ ჭაბუკი
 უღვაშის ნაკვლად
 საულეაშენს
 ქინკლი ეყარა.
 მაშინ შენს მშობელ
 ესპანეთში
 იდგა ქარბუქი,
 ცეცხლის წვიმაში
 ფუთფუთებდა
 მთელი ქვეყანა.
 რა დრო გასულა,
 ლაფუნტე —

ლიბერტარია!
რა დრო გასულა!
გაფერმკრთალდა
შენი საფლავი
ოცდაათობმეტი
წელიწადი
ალარ მახსოვდი.
შენი დრო
აუხე-ავი იყო
და დამზაფრავი,
სავსე შიმშილით,
უბედობით
და უსახსრობით.

ოცდაათობმეტი
წელიწადი
დიდიხანია...
და დღეს პირველად
გამახსენდი.
ლიბერტარია!
რად გამახსენდი?
ჩემთვის მაშინ
იყავ სიზმარი.
ჩემო გოგონავ,
ესპანეთში
ველარ ხარობდი.
და როცა კვამლით
გადაშავდა
თქვენი ცისკარი,
ჩვენში პირველად
ხმა გაისმა
შენი ქალობის.
ქვეყნიერება
შენატროდა
ალვისტანიანს,
აიდა ლაფუენტე —
ლიბერტარია!

შენს ობოლ საფლავს
დაეუფლა
ლამის წყვედიადი.
დაცხრილულ სხეულს
დაეუფლა
ილი მარადი.
თავისუფლებას
შენს მხარეში
დაუგვიანდა,
ველარ ჩაიკვი
გაზაფხულია
კრელი ხალათი.

უამე გარდაულ
სიკაბუეკს
შენსას ვიგონებ,
ჩემს მდულარ დღეებს
გაფრენილებს
სადღა მოვებნო,
მხოლოდ ამ სიტყვებს,
მოგონების
ალალ სტრიქონებს,
სიმწარე ახლავს.
სიკაბუეკის,
ჩემის ოცნების!
თავისუფლებას
შენს მხარეში
დაუგვიანდა,
დაუგვიანდა,
ელოდებით
დიდიხანია!
ბასკეთი, ისევ
ბასკეთია.
კვლავ დგას ზვიადად.
აიდა ლაფუენტე
ლიბერტარია!

მე კი მინდოდა...

მე კი მინდოდა
სიკაბუეკს ფიქრს გავყოლოდი.
წლებმა თავისი
გაიტანეს. გზაზე ნამჭერი
შემომეყარა,
არ შემადნა, შემრჩა ბოლომდის.

და კიდევ ბევრი,
უთვალავი დამრჩა სათქმელი
და მოვიუსურვე
სიკაბუეკს ფიქრს გავყოლოდი.
ჩვენ კი ველოდით...

ჩვენ კი ველოდით
 ჭაბუკები... მაგრამ საგზური
 აგვიანებდა.
 შევცქეროდით დღეებს ავდრიანს,
 გააფთრებული
 მიიწეოდა ბასკეთს ავსული...
 პასუხი: „გმადლობთ,
 მეგობრებო, თქვენთვის ადრეა“...
 გაწბილებული
 დაიშალა ჩვენი გვარდია.

ჩვენი სიყვარული —
 ერთობ მკაცრი და ნაადრევი —
 დარჩა სურვილად.
 გაწბილების გეწვავდა აღმური,
 და რა ვიცოდით,
 რომ გველოდა დიდი ავდარი,
 სულ მოკლე ხანში
 მოგვიხმობდა ბრძოლად მამული!..

ცაცხლით გათენდა, ცაცხლით დაღამდა...

ცეცხლით გათენდა,
 უღმობელი ცეცხლით დაღამდა.
 აქა-იქ შიშში
 აღმოცენდა უღეთი დაღატი.
 ადრე დაღამდა
 აღმოდებულ გვადალახართან...
 შავი ფერებით
 დაიძენა ჩემი ქალაღი.
 ცეცხლით გათენდა.
 უღმობელი ცეცხლით დაღამდა.

„დაეცა გვადალახარი“

ეს ორი სიტყვა:
 ბასრი და მწველი
 გაზეთის ფურცელს
 ნაპერწყლებს აყრის.
 ასოებს ცელავს —
 სიკვდილის ცელი
 ცეცხლი გრანადის
 და გვადალახრის.

ეს ორი სიტყვა —
 იმედებს ფანტავს,

ვიშ-ვიშისათვის
 ამზადებს დედებს.
 და შავი კვამლი
 ედება ზანტად
 ახლად დაბეჭდილ
 გაზეთის სვეტებს.
 გრანადის ზეცის
 იმსხვრევა ბროლი
 და უჩვეულო
 გოდება ისმის
 და ამ მწუხარე
 სტრიქონებს შორის
 უმანკო ბავშვის
 მოყონავს სისხლი.

ქვემოდ მივყვები
 შერუჯულ სტრიქონს,
 ფრთადაღეწილი
 მადრიდი ბოლავს
 და უკანასკნელ
 ცნობებზე ვფიქრობ:
 „კვლავ სისხლისმღვრელი
 გრძელდება ბრძოლა“.

ოცდათოთხმეტი წელიწადი თვალს მიეფარა...

ოცდათოთხმეტი
 წელიწადი თვალს მიეფარა,
 გადუქარები
 შენი წვიმით ისევ დავსველდი.

ჩემო ბასკეთო,
 კვლავ ტანჯვათა გქვია ქვეყანა,
 პირენეიზე
 მაინც სუნთქავს ჩემი ბასკეთი.

გადაღლებულ
შენი წიგნით ქარში დასველდი.

მწველზე-მწველია,
დამმღვლეველი და დამთუთქველი
ბედი ხალხია —
უბედობაა გადანასველი,
თუჩვე რამდენი
მწუხარება მრჩება უთქმელი,
რადგან არტახში
მოქცეულა ენა ბასკური,
რა რიგ მწველია
თქვენი ბედი და დამთუთქველი!

შენ ენა გქონდა,
ენა ტყბილი — დასაბამიდან,
რად ხდებდა იგი
უფლებო, ანდა უიალო,
როგორ დაგასუბა
ეპანეთის მღვრიე ამინდმა,
რისთვის სურს ბასკურს
კალაპოტი გამოუცვალოს,
შენ ენა გქონდა,
ენა ტყბილი — დასაბამიდან.

ვერ დავიჭერებ:
შენი ენა გახდეს მორჩილი,
რადგან ჩადოსნურ
ყაინალით არის ნაქსოვი,
ბასკურ ბგერებით
ავაბებულა ტყე აქორჩილი,
იქმის იფიუ აქეს
შენს თვითულ სიტყვას ნაწოვი,
ვერ დავიჭერებ:
შენი ენა გახდეს მორჩილი!

ვერ დავიჭერებ:
უაღურებას ძველთა ენათა,
და მიუღმეტეს
ძნელი არის მისი სიკვდილი,
ენის, რომელიც
უზოვარი ხნიდან ელავდა
და გაჰილე იყო,
მკერდაჯაბი, როგორც ქვითყირი,
ვერ დავიჭერებ:
უბღურებას ძველთა ენათა!

ვერ დავიჭერებ!
გახიარკვოს, სულთ დაეცეს,
თანდათანობით
დაიწყების ბინდში შთაინთქას.

ვიცი, ბასკეთი
იმედთან მხანელებს დაეფებს,
მეორე მძლავრი
ენის ველარ უღლებს ქარიშხალს,
ინელად მოსიებნის
დამსხვრეული სიტყვის ნაწილებს!

დრო გავა, იქნებ
შემოგადნეს თოვლის ფიფქივით
სიტყვა, რომელიც
ცეცხლს აფრქვევდა, გწვავდა, ელავდა,
ლმერთო; არასდროს
გამავგონო მისი სიკვდილი,
მარად მის ერთგულს,
მოტრფიალეს იველთა ენათა,
ალადექ ბასკეთო!
ვიღრე სიტყვა არ გავერანდა.

ალადექ, მიხედე!
შეუმშრალე სიტყვას ცრემლები,
შენს თბილ უბეში
შეიკედლე შენი ბარტყები,
შენს ცხელ-ცხელ
სიტყვებს გასაწირად ნუ შეეღვივი,
თორემ სულ მალე
არ გექნება შენი სათქმელი,
და სულ სხვაგვარად
დაგაცხუნებს მზე დასანთქმელი!
ცდუნების ძალას
ნუ აწყვები, თორემ მაშინვე
შენი ბასკეთის
მომავალი დაითქორება,
სიტყვა გასწირე,
ესე იგი შვილი გასწირე,
მაშასადამე
სამშობლოში არ გედგომება,
და კიდევ უფრო
გამუქდება შენი ცხოვრება.

მტერს შენს ყვავილებს
გასათქვრად ნუ დაანებებ,
ნუ შეგაშინებს
აებედითი ძალა მზაკურელი,
თავშესაფარი
მოუძებნე კეთილ ზმანებებს
და თავისთავად
არ შეისხამს ფრთებს გაზაფხული,
მტერს შენს ყვავილებს
გასათქვრად ნუ დაანებებ!..

თანავი პოპოლარა

მასწავლებელი

დოკუმენტური მოთხრობა

ნაწილი მეორე

ნიკო საგონებელში ჩავარდა. მაშინ, როცა სასწავლო წლის ბოლომდე რამდენიმე თვეა რჩებოდა, ახალი ყაიდის სკოლის მართვას უნდა შესდგომოდა.

ცხოვრების სიახლე უპირველესად სკოლას უნდა დასტყობოდა. სკოლა იმ მდინარის სათავე, ცხოვრების ყოველსაეარგულს რომ არწყულებს და მაცოცხლებელ ძალას აძლევს.

ნიკოს კარგად ესმოდა, რომ სკოლაში სიახლეთა დანერგვას, სწავლების მეთოდების შეცვლას, კომუნისტურ იდეებზე ყმაწვილთა აღზრდას, წლები სჭირდებოდა. სწავლების კალაპოტი მეთოდურად, თანმიმდევრობით შეიცვლებოდა. როცა ამაზე ფიქრობდა, ნიკო ძველი სკოლის ბევრ სიკეთესაც ითვისისწინებდა, რაც უთუოდ უნდა შერწყმულიყო ახალთან.

სიახლეთა ნათელ კონტურებს კი იგი იმ პირველსავე დღეებში ცხადად ხედავდა, მისი გონება უფრო ღრმადაც სწვდებოდა მომავალს, მაგრამ აფიქრებდა ის მოშლილობა, რაც ღდესლაც დისციპლინითა და წესიერებით სახელგანთქმულ ქუთაისის ქართულ გიმნაზიას ბოლო დროს და განსაკუთრებით იმ გაზაფხულზე დაეტყო. საფუძველი ეცლებოდა ცნობილი სასწავლებლის სა-

ხელს, მისი ღირსება დღითი დღე ილახებოდა. ამის მიზეზი ნიკოსთვის ცხადზე უცხადესი იყო. საზოგადოების სხვადასხვა ფენამ სხვადასხვანაირად აღიქვა საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეები.

კლასობრივი სიჭრელე ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, დღიდან ამ სასწავლებლის დაარსებისა, თვალსაჩინო იყო, აქ ყველა წოდებისა და ფენის წარმომადგენელთა შვილები სწავლობდნენ. საბჭოთა ხელისუფლებამ კლასობრიობას ბოლო მოუღო. თანასწორობა, სად თუ არა სკოლაში, მოსწავლეებს უნდა დასტყობოდათ. ოჯახებში შექმნილი ვითარება კი სხვაგვარად მოქმედებდა მოზარდთა ფსიქიკაზე. რასაც ყმაწვილი ოჯახში ისმენდა და ხედავდა, რა დამოკიდებულებასაც ახალი ხელისუფლებისადმი იჩენდნენ უფროსები, ისეთივე დამოკიდებულება და მსოფლმხედველობა ღვივდებოდა მოზარდის გულში. საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ოჯახებიდან გამოსული გიმნაზიელების საქციელმა თავისი დალი დაანვა სასწავლებლის საერთო ცხოვრებას და დისციპლინაც შერყვა. მსგავსი მდგომარეობა სხვა სასწავლებლებშიც სუფევდა. სკოლათა მესვეურები ხშირად იკრიბებოდნენ ქა-

ლაქის განათლების განყოფილებაში, იზილაუნენ მიმდინარე ამბებს და მომავლის სამოქმედო გეგმებს სახვედნენ, თუ როგორ გამოსულიყვნენ ჩიხიდან და როგორ დაადგომოდნენ ახალ რეღსებს, მაგრამ ეს იოლი საქმე არ აღმოჩნდა.

ნიკოს გული არ გასტეხია, საგონებელს უიმედოდ არ მისცემია. მისთვის უცხო არ იყო მქონებელთა მხრიდან ბრძოლის ამგვარი გამოხატულება. ნიკო ოპტიმისტურად უყურებდა ცხოვრებას და სჯეროდა, რომ მალე ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში მოექცეოდა. მასწავლებლებს აფრთხილებდა, კვლავინდებურად მოთმინებითა და სულგრძელობით მოჰქიდებოდნენ საქმეს, არ აპყლოდნენ ზოგიერთი მოსწავლის პროვოკაციულ გამოხტომას. ეს კი ელინდებოდა გაკვეთილების ჩაშლაში, სასკოლო ინვენტარის დაზიანებაში, ფანჯრების მსხვერველასა და სხვა წვრილმან ხულიგნობაში.

ნიკოს თავისი პედაგოგების დიდი იმედი ჰქონდა და ამიტომ იყო გულმაგრად. ოღონდაც ეს სასწავლო წელი როგორმე ჩათეაუბინათ, ახალი სასწავლო წლისათვის უფრო საფუძვლიანად მოემზადებოდნენ და დაირაზმებოდნენ.

ნიკო სასწავლებელში გვიანობამდე რჩებოდა. დერეფნებში კვლავ დაფუსფუსებდა დარაჯი სტეფანე ხურცილავა. საკლასო ოთახებს დაუვლიდა, იჭაურობას საიმედოდ დაათვალიერებდა და შინ მანამდე არ მიდიოდა, ვიდრე დირექტორი სადარბაზო კარს არ გაიხურავდა.

ერთხელ სტეფანე აღელვებული შევიდა ნიკოსთან და მოახსენა, ბიჭებს შინ წასვლისას მეხუთე „ბ“ კლასში ფანჯრის მინები ჩაულეწიათო.

ნიკო ღუმს, გულში ღრმად იხვევს ბოღმას. მეორე დღეს მეხუთეკლასელ ყმაწვილთა წინაშე დგას და ჩვეული სიღინჯით, ხმადაბლა, თითქოს ისე, სხვათაშორის ამბობსო, მოწაფეებს მიმართავს:

— მოგწონთ ჩაულეწილი ფანჯრების 2. „მთაბი“, № 2.

კტერა? ამას მხოლოდ უგუფურწმუნედ ჩაიდენს. ამის ჩამდენის სატკონტრისტსება არა არის რა, თუ არა პროტესტის გამოხატულება... შეშას რას ვერჩით, ან მერხმა რა დააშავა? განა ეს ეკადრება ჩვენი სკოლის ღირსებას? სასწავლებელს სახელს უტეხთ და საკუთარ თავს იმასხრებთ... მე არ ვკითხულობ, კერძოდ, ვინ იყო ამის ჩამდენი... ალბათ არც გაგივირდება ამისი მიკვლევა და დამნაშავეის დასჯა... მაგრამ მე მინდა, რომ შეგნებამ, სინდისმა იმარჯვოს, რომ რალაც გავლენებით ყმაწვილის შერყეული სული დამშვიდდეს და შეიგნოს: საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა სამუდამოდ და მასთან ამ მეთოდებით ბრძოლა, მისდამი ზიზღის გამოხატვა, არავის არგებს, არავის გამოადგება. თქვენს სინდისზე იყოს ეს ზარალი.. მე ამ შეშებს საკუთარი ფულით ჩავასმევიანებ და თუ განმეორდა, ამ მოქმედებას პირად მტრობად ჩავთვლი... ვიბრძოლოთ? ვიჩხუბოთ? თუ მეცნიერების კვალს გავყევით და ვიქცეთ ქვეყნის ღირსეულ ადამიანებად? ჩაუფიქრდით, ყმაწვილებო!

ამას რომ ამბობდა, გულისფეთქვა ყელში ებჯინებოდა. ძნელი იყო თავშეკავება. მაგრამ სძლია. ერჩივნა კი, ერთი დენთივით ეფეთქა, გულზე დაწოლილი კაეშანი უცებ მოეშორებინა. ძალდატანებითი დაყვავებით, ჩემის ხმითა და შეგონებით სცადა აცენილი ყმაწვილების მოთოკვა. და მალე ასეთმა მიდგომამ ნაყოფიც გამოიღო.

ერთ დღეს სტეფანე ხურცილავამ ყმაწვილკაცს წაასწრო, დანით საკლასო ოთახის კარს რომ სერავდა. დარაჯმა იმარჯვა და ყმაწვილს დანა წაართვა. გაცეცხლებულმა ნერვები ვერ მოთოკა და დამნაშავე ისე დაალილავა, მეორე დღეს მისი მშობლები საჩიველად ქალაქის განათლების განყოფილებაში გაიქცნენ.

სტეფანემ ლამის ხათაბალას გადაჰკიდა ნიკო. სანამ ყველაფერი გაირკვეოდა ყმაწვილის გაყოფებულ მშობლებს სხვა არა დარჩენოდათ რა, რომ

სტეფანე ხურცილავა

არ გაეთათხათ საბჭოთა სკოლის ახალი წესრიგი...

ნიკომ ყმაწვილის გაღაბვისათვის სტუფანე ხურცილავას სასტიკად უსაყვედურა.

ზოგ-ზოგის პოლიტიკურ სიბეცეს, ცხოვრებისადმი ნიჰილიტურ დამოკიდებულებას ნიკო ნუცუბიძე და მისი პედაგოგიური კოლექტივი ნათელი განხილვისა და პედაგოგიური გამჭვირებით გადაეღობა.

ბრძოლა გრძელდებოდა.

ცხელი ზაფხული იცის ქუთაისში. მაგრამ საღამოობით რიონის მაცოცხლებელი სიგრილე შვებას ჰგვრიდა ქუთაისელებს.

იმ ზაფხულს მაინც, ისეთი პაპანაქეა იყო, ვისაც კი შეეძლო, სოფელში გაიხიზნა და სიგრილეს შეაფარა თავი.

ქუთაისისა ქართული გიმნაზიის არც ერთ მასწავლებელს ფეხი არ გაუდგამს ქალაქიდან. განათლების განყოფილების გამგე პოლიკარპე ბარდაძე სამსახურში აღაძებ-ათენებდა. განყოფილებაში გამუდმებული ფუსფუსი იყო. ახალი სასწავლო წლის სამზადის შესდგომოდნენ.

ერთ საღამოს ნიკო განათლების განყოფილებაში მივიდა. განყოფილება იველისიველი შენობის მეორე სართულზე იყო და ჩაბუტებული ნათურა ოდნავ ანათებდა სადარბაზოში აწოწილ ვიწრო კიბეს. ნიკო კიბეს აპყუა. ზემოდან თავით ფეხებამდე თეთრი ტანსაცმლით შემოსილი ახოვანი კაცი ჩამოდიოდა, ანკი ბავშვივით მოაკეცვებდა ფეხებს.

ნიკო მის დანახვაზე შეჩერდა. თვალს არ დაუჭერა, რომ ეს განათლების განყოფილების ყოფილი ინსპექტორი კირილე წულუკიძე იყო, ამასწინათ ბოლშევიკებს შიშით რომ გაურბოდა. მას მერე არც უფიქრია ამ კაცზე, რომელი ერთი გაქცეული უნდა გაეხსენებინა! ბევრი უკან მობრუნებულიც უნახავს, მაგრამ კირილე ისეთი რიხით, ისეთი შიშით გარბოდა, ქუთაისისკენ მკვდარს

თუ შემობრუნებდნენ, მარტო მარტო კიბეებზე ფიქრი ეკატეხებოდა.

ნიკოს ელდა ეცა მის დანახვაზე. ეს იყო მოულოდნელი და არასასურველი შეხვედრა.

— ნიკო ნუცუბიძეს ვახლავარ! — აღტაცებით შესაბაძა კირილემ. ნიკო ოდნავ მაინც რომ გადაბროლიყო მისკენ, წულუკიძე მარტო ხელის ჩამორთმევას არ დააჩერდებოდა, აღბათ გადაეხვეოდა და გადაჰკოცნიდა კიდევ.

— ბატონი წულუკიძე ბრძანდებით? — განკებ მოიჩრდილა ხელი ნუცუბიძემ!

— მე ვარ, ვითომ ვერ მოცანი! ჩვენ ხომ კოლეგები და ამხანაგები ვართ.

— სწორე გითხრა, არ მოგელოდი... სხვანაირად გაიქეცი იმ დღეს...

— იმ დღის მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, — მწყრალად შეათამაშა წარბი კირილემ, — ვიცი შენ განაწყენებული ხარ ჩემზე... მაგრამ რა მქენა, გირივლეს და მე ხომ ზომები უნდა მიმელო!

— არა ისეთი გინებით...

— ვის ვაგინე, შენ?! შორჩი ახლა, თუ კაცი ხარ... გვაპატიეთ, ბატონო! ბოდიში შეწუხებიათვის! — მკერდზე ხელი მიიდო კირილე წულუკიძემ. წელში მოიხარა, წარბები შეათამაშა და კიბეს დაუყუა.

ცოტა ხნის შემდეგ ნიკო განათლების განყოფილების გამგის, პოლიკარპე ბარდაძის პატარა ოთახში იქდა.

— საკვირველია პირდაპირ, — დაიწყო ნიკომ და საქალაღე ცოტა ხნით გვერდზე გადადო, — ზოგს როგორ ემარჯვება ყოველგვარ ხელისუფლებას აულოს ალლო, ისე მიეტმანსოს და შეეგუოს, ვითომ არაფერი... ცარიზმი, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი, სოციალიზმი და კომუნისმი ერთ ლანგარზე აქვს მიერთებული.

— რაზე ბრძანებთ, პატივეცემულ ნიკო, არაშემის! — გაკვირვებით შეხედა ბარდაძემ.

— კირილე წულუკიძეზე მოგახსენებთ, განათლების განყოფილების ყოფილი ინსპექტორზე...

— ახლახან ერთ-ერთი ახალი სკოლის დირექტორად დავნიშნეთ.

— მომილოცავს! — წამოიძაბა ნიკომ. შემდეგ ჩაეცინა, — ჩინებული კანდიდატურა შეგირჩევიათ!

— რაღაც არ მოგეწონა, ნიკო. მაინც, რაშია საქმე? კირილეს კანდიდატურა თბილისმა წამოგვიყენა... მითხარით, რა იცით...

— არაფერი მაქვს დასამალი, გეტყვით. კარგია, რომ იცოდეთ...

ნიკომ დაწერილებით მოუთხრო კირილეს წულუკიძესთან წაყიდების ამბავი, არც ის დამალა, ქუთაისიდან რომ გარბოდა ბოლშევიკების შიშით.

პოლიკარპემ გულდასმით მოუსმინა და თქვა:

— ნურაფერი გაგიკვირდებათ, ნიკო... ბევრი დღესაც დაბნეულია და ვერ გარკვეულა შექმნილ ვითარებაში...

— მაგრამ კარგად კი უხამებენ თავიანთ პირად ცხოვრებას გარემოებას... ქამელეონები! იქნებ ცოტა მაკარად მოვეკიდოთ პედაგოგების შერჩევას?! ჩემგან არ გესწავლებათ, ყმაწვილებს დღეს ყველაზე უფრო მეტად სჭირდებათ სწორი ორიენტაცია...

— მართალი ბრძანდებით, ნიკო. მაგრამ ეაცსაც ასე ერთბაშად ვერა ჰკრავ ხელს... განათლების სისტემაში ნამუშევარია... ვნახოთ, ცხოვრება გვიჩვენებს ყველაფერს.

— შე ჩემი მითქვამს, — უკმაყოფილოდ გააქნია თავი ნიკომ და საქალაქად პოლიკარპეს წინ დაუდო, — გადახედეთ. შე მგონი ამ გეგმით გადავჭრით ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანას.

— ამას დღესვე გავეცნობი, — პოლიკარპემ საქალაქად გახსნა, თავფურცელს დახედა. და იმ წუთებში ამით დაკმაყოფილდა. იგი დიდი ხანია იცნობდა ნიკო ნუცუბიძეს, იცოდა მისი გამჭირაბი გონების ამბავი, აფასებდა მის ცოდნასა და გამოცდილებას, სწორედ მას, სხვა დირექტორთაგან გამოირჩეულს, სთხოვა შეემუშაებინა სასწავლო წლის პერსპექტიული გეგმის თქალაჩინო ვარიანტი, რომელშიც სა-

ყოველთაო-სავალდებულო სწავლებას კანონის საფუძველზე ფართო-დღგის დაეთმობოდა სკოლის მიერ-რაიონში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხს.

ნიკომ იცოდა პოლიკარპეს ხასიათი, სტუმრის თანდასწრებით არაფრის კითხვას არ დაიწყებდა.

საუბარი სულ სხვა საგანს შეეხო, ნიკო ნუცუბიძის დაბინავებას. პოლიკარპემ უწყობდა ამ ეაცის საბინაო გასაჭირი, მოკლე ხანში ხან საღ ქირაობდა ოთახს, ხან საღ. ერთ დღეს საცხოვრებლად შესთავაზა გიმნაზიის ახალი შენობის წინ აგურით ნაგები ძველი შენობა, რომლის დიდრონი ოთახები გამოუყენებლად იყო გამოკეტილი. ნიკოს გაეხარა. მეორე დღეს სტეფანეს გააღებინა ძველი შენობის კარი და მასთან ერთად დაათვალიერა დროებით მიტოვებული, გამოკეტილი ოთახები.

პოლიკარპემ ახლა ჰკითხა, როგორ დაბინავდითო.

— ჯერ არ გადავსულვარ. მსუბუქ რემონტს ვუკეთებ და მგონი ამ დღეებში გადავბარავებ. ვფიქრობ, დანარჩენი ოთახები სასკოლო კაბინეტებისათვის გამოვიყენო.

— კაბინეტებისათვის? შორს უმიზნებ, ნიკო.

— ჩვენი პერსპექტიული გეგმა ამა-საც ითვალისწინებს. შეგხვდებათ თავი, რომელიც შე და ნიკო ჯაფარიძემ დავამუშავეთ საბუნებისმეტყველო კაბინეტის შექმნის თაობაზე.

— სახსრები? საიდან გამოვინახოთ ეს სახსრები, როცა ერთი ხეირიანი სახელმძღვანელოც არ გავაჩნია?

— იმედი მაქვს, განათლების განყოფილება ჩვენი გეგმის ამ ნაწილს ყურადღებას მიამჩქევს, — ისეთი ოფიციალური და ცივი კილო ჰქონდა ნიკოს, პოლიკარპეს არაფერი უთქვამს. მას ძალიან ბევრი საკითხი აწუხებდა და ახლა თავი შეიკავა კამათზე, ვიდრე ქართული გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივის მიერ დამუშავებულ პერს-

პექტორულ და წლიურ გეგმა არ გაეცნობოდა.

კაბინეტების შექმნის იდეა ნიკოს ჯერ კიდევ აღრე აწუხებდა. იგი ხედავდა, რომ ზოგიერთი მასწავლებელი თავს იტყუებდა ილუზიებით, თითქოს სასკოლო ბუნებისმცოდნეობის საგნების — ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის არა თუ დამყაყაფილებლად, ძალიან ყარგად შესწავლაც კი შესაძლებელი იყოს ილუსტრირების. ლაბორატორიულ-პრაქტიკულ აპქიმინობაში მოსწავლეთა უშუალოდ ჩაბმის გარეშე. ბევრი მასწავლებელი დაქინებით იცავდა თავის მეთოდს, მხოლოდ „წიგნური“ პრაქტიკით მიეღწია მიზნისათვის. ისანი ლაბორატორიაში გაწეულ მუშაობას დამეტად მიიჩნევდნენ, აცხადებდნენ, რომ ეს ზღუდავს მოსწავლეთა თეორიულ პორიზონტს.

ნიკოს ნუცუბიძე ეწინააღმდეგებოდა ამ თვალსაზრისს. ზეპირი და ჩვენებითი გზით შექმნილი ცოდნა მას მერყევად და ზედაპირულად მიაჩნდა, იგი ცოდნის მტკიცე საფუძველს მოკლებული იყო.

ილუზიები უცხო როდი იყო ნიკოსათვის, მაგრამ როცა საქმე საბუნებისმეტყველო მეცნიერებას ეხებოდა, იგი სრულსიტუარად უყურებდა მოკლებულს.

ახალგაზრდა ნიკოს ჯაფარიძე ზუსტად ამავე აზრს ადგა. ნიკოს ნუცუბიძეს უხაროდა, რომ ეს საღად მოაზროვნე ახალგაზრდა პედაგოგი საყმაოდ შორსაც იხედებოდა, საბუნებისმეტყველო მეცნიერების დიდ მომავალს გრძობდა.

სასკოლო გეგმაში ხაზგასმული იყო ლენინის დაბეჭივებითი მოთხოვნა სახალხო განათლების ორგანოებისადმი, სისტემატურად შეაგროვონ, განაზოგადონ და ფართოდ გამოიყენონ პრაქტიკული გამოცდილება.

შინ მიმავალ ნიკოს გზაში არ ასვენებდა ფიჭვი კირილე წულუკიძეზე. შინ რომ მივიდა, ნინოსთან საუბარში

მოიხზა გული. ნინოს, ვაჟი ნიკოსი ეამბო. მერმე იმავე საღამოს ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასასვლელად მოემზადნენ. ღარიბები იყვნენ ქონებით, მხოლოდ საჭირო დგამი ჰქონდათ. ფრავის ძველი ააწოლები, ტახტი, კარადა, მაგიდა, კამოდი და სკამები, სხვა საოჯახო წერილობანი, ჭურჭელი... ეუსტარული თაროები და უამრავი წიგნი. ბლომად წიგნებში უნიკალური გამოცემებიც ერია. ნიკოს თავის ამ არცთუ მდიდარ, მაგრამ საყმაო მოცულობის ბიბლიოთეკა, თვალსჩინივით უფრო ხილდებოდა. აბარგებაც აქედან დაიწყო. დასტა-დასტა წიგნებს ნელ-ნელა კრავდა, იატაკზე გაშლილ ფარდაგზე თანაბარი ზომის წიგნებს ერთად აწყობდა.

ნიკოს უხაროდა ბინის შეცვლა, ჯერ ერთი იმტომაც, რომ საგრძნობლად გაფართოვდებოდნენ, მეორეც, ნიკოს საშუალება ექნებოდა, ახლო ყოფილიყო გიმნაზიასთან.

გიმნაზიასთან! ძველი სკოლის სახელის შეცვლაზე ჯერ არავის ეზრუნა და ქუთაისის სასწავლებლები იმავე სახელს ატარებდნენ, გარდა წმინდა ნინოს საქალეობ სასწავლებლისა. ეს სახელები — კლასიკური გიმნაზია, ქართული გიმნაზია — უცვლელი იყო 1923 წლამდე. ქართულ გიმნაზიას შემდგომ ჯერ ჰუმანიტარული ტექნიკუმი უწოდეს, ხოლო მოგვიანებით მეორე საშუალო სკოლა.

იოსებ ოცხელის, სილოვან ხუნდაძისა და ვალერიან კანდელაკის შემდეგ ქართული გიმნაზიის დირექტორობა წილად ხვდა ნიკოს ნუცუბიძეს.

ნინოს ხედავდა ქმრის უსაზომო მოწადინებას. ხედავდა რა მიიმე მისია დაეკისრა მის ქმარს, როცა სასკოლო ცხოვრებას მიმართულემა უნდა ეცვალა. როცა ეკონომიკურად მოშლილ ქვეყანაში სწავლების სიახლე უნდა დამკვიდრებულყო. მნელი იყო მიმართულებათა შეცვლა.

ყოველ საღამოს შინ მოქანტული ბრუნდებოდა ნიკოს. არაფერა ზოგავდა

გიმნაზიის დროებით შელახული სახე-
ლისა და მისი დიდების აღსადგენად.
ეს დიდი ჭაფისა და ენერჯის ფასად უზ-
ღებოდა.

ახლა, როცა გიმნაზიის მახლობლად
დასახლებოდნენ, იქნებ ცოტა შელა-
ვათი მაინც მოსცემოდა ნიკოს. ასე მი-
აჩნდა ნინოს. ამიტომ გადასასვლელად
გაფაციკებით მოემზადა.

ზაფხულია ერთ საღამოს მათი ბარ-
გით დატვირთული რამდენიმე ფურ-
გონი შერახრახნა გიმნაზიის ეზოში.

ნინო გახარებული დადიოდა ცარი-
ელ ოთახებში. ხუთი წლის კუკური
კუთხიდან კუთხეს ყვირით აწყდებო-
და, ხოლო პატარა ზურაბი დედის ძუ-
ძუს ლოღნიდა და ჭერ არაფერი გაე-
გებოდა, მათ ოჯახში იმ დღეს რა ბე-
დნიერება სუფევდა.

სტეფანე ხურცილავა და რამდენიმე
კაცი მოეხმარნენ ნიკოს, ბარგი შეაზი-
დინეს, წიგნები დაუბინავეს. კაცები
წაიღენენ. სტეფანე იქვე ახლო სახლო-
ბდა და არ აჩქარებულა, სანამ ავეჯი
თავის ადგილზე არ მიაწყვეს.

— ნამდვილი მეფური სასახლეა, —
უხაროდა ნიკოსაც.

სტეფანეს უკვირდა, რატომ აქამდე
კი არ გადმოვიდნენო. ეს შენობა დიდ-
ხანს უპატრონოდ იყო გამოკეტილი,
საქმაო ოთახები უქმად ცდებოდა, შმო-
რისა და ნესტის საბინადარი გამხდარი-
ყო.

— დანარჩენ ოთახებში კაბინეტებს
გაეხსნით... გიმნაზიის დაუმთავრებელ
ფლიგელსაც ავაშენებთ და უზარმა-
ზარ სასწავლო ქალაქს მოვაწყობთ...
სტეფანე. ფეხი არ მოიკვალა, ახლა
ნინო პატარა რაღაცას მოგვიმზადებს.
თითო კიკით ჩვენი ახალმოსახლეობა
დაელოცოთ. — დაპატივა ნიკომ.

სტეფანე მორცხვი კაცის შთაბეჭდი-
ლებას ტოვებდა. თუმცა მორცხვი არ
ყოფილა. ახლაც შეიშმუნა, მაგრამ
ახალმოსახლეთა დალოცვაზე უარი არ
წამოსცდენია.
გვიანობამდე ისხდნენ.

სტეფანემ დალოცა
ოჯახი:

- ჯანმრთელობა მოგვეთ უფალმა.
- ეს ორი გვრიტი დაგივაცავსოთ. კუ-
კურია და ზურაბი!.. მაგათ გამრავლე-
ბაა მოგასწროთ! ამ სახლის ჭერი გფა-
რავდეთ წვიმისგან, სეტყვისგან, ქარის-
გან, ეშმაკისა და ქაჩისაგან! იცოცხ-
ლეთ, ბატონო ნიკო, ქალბატონო ნინო!
- იცოცხლე, ჩემო სტეფანე!
- იხარეთ, ბატონო!

სკოლის მახლობლად ცხოვრებამ თი-
თქოს საქმესთან უფრო შეამჭიდროვა
ნიკო. ახლა იგი მთელი არსებით მზო-
ლოდ სასწავლებელზე იყო მიჯაჭვული.
ზაფხულის ბოლო თვე მოსამზადე-
ბელ სამუშაოებს შეაღია.

საშინელი გვაღვა დაიჭირა. რიოხში
წყალმა ისე იკლო, თითქოს დღედღეზე
დაშრებო. მთელი ქუთაისის ახალგა-
ზრდობა მდინარეს ეტანებოდა, აქ ითქ-
ვამდნენ სულს.

და ამ გაგანია სიცხეში მასწავლებ-
ლები ყოველ დღე იყრიებოდნენ გიმ-
ნაზიაში.

დალოცვილმა ხელებმა ააგეს ეს სა-
შვილიშვილო შენობა, სქელი, მასიური
კედლებით, ზამთარში სითბოს რომ
ინარჩუნებდა და ზაფხულის პაპანაქე-
ბაში მაცოცხლებელ სიგრილეს ინაბა-
ვდა.

ახლოვდებოდა სექტემბერი და ნიკო
ახალი სასწავლო წლის დადგომას ისე-
თი მღელვარებით მოელოდა, თითქოს
ახლა იწყებდა თავის პედაგოგიურ მო-
ღვაწეობას. პასუხისმგებლობის გრძო-
ბა ბევრ რამეს ავალებდა და სწორედ
აქედან მოედინებოდა მისი მღელვარე-
ბაც.

სადებიუტო სპექტაკლივით განიცდი-
და სასწავლო წლის პირველი დღის
დადგომას, როცა მას, როგორც დირე-
ქტორს, პირველი სიტყვა მილოცვისა
უნდა ეთქვა მოსწავლეებისათვის. იგი
ამ დღისათვისაც კი საგანგებოდ ემზა-
დებოდა. მღელვარების გარეშე არა სა-
ქმია გაეთება არ შეეძლო.

სასწავლო წლის პირველ დღეს თითქოს ყველაფერი თავიდან იწყება. მასწავლებლის პროფესია ერთი შეხედვით მეტისმეტად მძიმე და მოსაწყენი პროფესიაა, მძიმე თავისი დანიშნულებით, მოვალეობით... მოსაწყენი — ყოველწლიურად თითქოს ერთფეროვანი გამეორებებით, ათასჯერ და ათი ათასჯერ გადაღებული მასალით...

ეს ყველაფერი ერთი თვალის შეკვლევით, სკოლის ცხოვრებაში ღრმად ჩაუხედავი ადამიანის განსჯით.

ჰუმბოლტი პედაგოგისათვის სკოლა სიცოცხლეა, სკოლა მისი არსებობის აზრია, ის მჩქეფარე და ძლიერი მდინარე, რომელიც ცხოვრების ყოველგვარ ჩარხს ატრიალებს.

ყოველი ახალი სასწავლო წელი ბევრი, ძალიან ბევრი სიხალით განსხვავდება წარსულ სასწავლო წელთაგან. არც ერთი სასწავლო წელი თავისი შინაარსით არ გავს ერთმანეთს. მაშინ სკოლა მდინარეს ეი არ დაემსგავსებოდა, არამედ სიძველისაგან ნაპირებმომპალ ტბორს...

განახლება, შობარობა, ზრდა, განვითარება, ადამიანთა ფორმირება — ასე დღეს სკოლა.

დაობლებულ, პატრონთაგან მიტოვებულ სახლ-კარსა გავს ზაფხულობით მიუღწეველი სკოლის შენობა. დგას მღუმარედ, მძიმედ, თითქოს ბერიკაცივით ღრმად ჩაფიქრებული.

კიდევ კარგი, რომ იმ ზაფხულს მასწავლებელთაგან არავის მოუცვლია ფეხი. სამუშაო ბევრი იყო. ახალი, საბჭოური განათლების სისტემა, ლენინის უშუალო მითითების მიხედვით, ითვალისწინებდა უახლეს წლებში წერა-კითხვის უკოდინარობის მთლიან ლიკვიდაციას. მასწავლებლები იმ ზაფხულს სკოლის მიმდებარე რაიონში უბან-უბან დადიოდნენ და აღრიცხავდნენ წერა-კითხვის უკოდინარებს. სწავლების სამზადისი მეორე ფრონტზე ჩაღებოდა, მასწავლებლებს ამ ახალი სასწავლო წლიდან გაორკეცებული მუშაობა მოუხდებოდათ.

აგვისტო რომ მიიწვევს მათ, ყველაფერს ნიკოს ახალგაზრდა კაცი ეწვია სკოლაში. ეს კაცი უცნობი არ იყო ნიკოსთვის, მაგრამ დაახლოებულიც არ გახლდათ. განათლების განყოფილებაში სულ რამდენჯერმე შეხვდა თათბირებზე. ქუთაისის ერთ-ერთი სკოლის დირექტორად იყო დანიშნული. წელს პირველად უნდა შესდგომოდა თავის მოვალეობას. ნიკოს გაუკვირდა კიდევ ამ ახალგაზრდის ასე უცებ დაწინაურება. მაგრამ იმ ორიოდ თათბირზე მან ჰკვიანი, გონიერი კაცის შთაბეჭდილება დასტოვა და ნიკოს ეკვი გააქარწყულა.

— მობრძანდით, მობრძანდით! — ნიკო ფეხზე წამოდგა, სტუმარს კაბინეტის კართან შეეგება და შემდეგ პირისპირ დასხდნენ.

— შეგაწუხებ, პატივცემულო ნიკო, — დაიწყო ივანე ვაშაკიძემ. აშკარად ეტყობოდა მოკრძალება, — პატივცემულმა პოლიკარპემ შირჩია, საკონსულტაციოდ თქვენთან მოვსულიყავი. მოგეხსენებათ, ძნელია ახალ საქმეს შეუდგეს გამოუცდელი კაცი...

— მოზარული ვიქნები თუ რაშე შემეძლება. რით დაიწყოთ?

— განათლების განყოფილებაში ყველა თქვენს გეგმაზე ლაპარაკობს. პატივცემულმა პოლიკარპემ შირჩია, პირველ რიგში გეგმას გაცნობოდი...

ნიკომ თანაგრძნობით შეხვდა სკოლის ახალგაზრდა დირექტორს და ესაიმოვნა, რომ მან პოლიკარპე ბარდაძის რჩევა არ ითავილა. იმ დღეებში, როცა განათლების განყოფილებამ სამაგალითოდ მიიჩნია ნუცუბიძისა და მისი პედაგოგების მიერ შემუშავებული სამუშაო გეგმა, პოლიკარპემ რამდენიმე სკოლის დირექტორს ურჩია გასცნობოდნენ ამ გეგმას. მათ ცხვირი აიბუხეს და ამჟამად განაცხადეს, რომ არანაკლებ საფუძვლიანად დაამუშავებდნენ ისინი თავ-თავიანთ გეგმებს... მათ ეს გეგმები წარადგინეს, მაგრამ ნიკო... ნუცუბიძის გეგმას ვერ გაუტოლდნენ. ეს ძალიან რთული, შრომატევადი სამუშაო,

რომელსაც მრავალი გონივრული გააზრება, პრაქტიკულ საქმიანობიდან გამომდინარე დასკვნები უძღვოდა, არც ისე იოლი ჩამოსაყალიბებელი იყო, როგორც ზოგიერთს ეგონა.

და, ეტყობა, ამ საქმეში სრულიად გამოუცდელ ივანე ვაშაყიძეს უფრო მეტად გაუჭირდა. ბუნებრივია.

— გეგმას გაგაცნობთ, — დაეთანხმანო. — მაგრამ ჩემი რჩევა იქნება, შაბლონად ნუ გამოიყენებთ. ჩვენს სასწავლებელს ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს, თავისი ტრადიციები, ჰყავს გამოცდილი პედაგოგები... თქვენი სკოლა ახლა ჩამოყალიბდა, ცხადია, უფრო მეტ სიმძნელებს წააწყდებით... გეგმის გარდა თუ კიდევ რამე დაგჭირდეთ, მთელი ჩვენი პედაგოგიკური მზად იქნება დაგეხმაროთ.

— დიდი მადლობელი დაგრჩებით, პატივცემულო ნიკო... მე თავს ბედნიერად ვიგრძნობ, თუკი შეგირდად მივხუტვით.

ნიკომ სამუშაო გეგმის ერთი პირი ვაშაყიძეს შინ გაატანა.

ივანე ვაშაყიძეს არ გააკარებია, შინ მივიდა თუ არა. დიდი გატაცებით ჩაუჯდა სამუშაოს.

ივანე ვაშაყიძეს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში არ უსწავლია, მაგრამ კარგად იცოდა ამ სასწავლებლის ისტორია და ყმაწვილთა წერტილ-განვითარებაში მისი წონა და ხვედრი.

გიმნაზიელთა შემუშავებულ გეგმას ივანე უყურებდა როგორც სახელმძღვანელოს, ზგიერელი იყო. ყველაფრის მომცველი, რაც კი სკოლას ეხებოდა. პედაგოგებს, მოწაფეებსა და მათ შობლებს.

ამ გეგმაში ლენინის მოთხოვნათა შესაბამისად პირველ პლანზე იყო წამოწეული სკოლის მიკრორაიონში წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე. გეგმის ეს ნაწილი ასე იყო დასაბუთებული: „ე. ი. ლენინის თეზისებში აღნიშნული ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის წლისთავზე

არც ერთი წერაკითხვის უცოდინარობა და სკოლის ამოცანები“.

მიკრორაიონი გეგმის მიხედვით უბნებად იყოფოდა, დაზუსტებული იყო 50 წლის ასაკამდე წერაკითხვის უცოდინარი ყველა მოქალაქე. ამ საქმისათვის უბნებზე ბრძანებით იყო მიმავრებული მასწავლებლებისა და მშობელთა აქტივი. დაკომპლექტებული იყო ქვეჯგუფები, მასწავლებლები. შეცადინებოდა ამ ჯგუფებთან საღამოს საათებში ჩატარდებოდა.

სკოლის გეგმაში დიდი ადგილი ექირა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებას და სკოლის გაკვეთილების ხარისხის ამაღლება და სკოლის დირექციის როლი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა გაკვეთილების იდეურობას, ყურადღება ექცეოდა საპროგრამო მასალის დაკავშირებას თანადროულობასთან, სწავლისა და აღზრდის ერთ მთლიან პროცესად გადაქცევას. ხაზგასმულად იყო აღნიშნული, რომ მასწავლებლების მუშაობაზე არა მარტო კონტროლი უნდა დაწეებულყო, არამედ თითოეულ პედაგოგს შესაძლებლობა ეძლეოდა თეორიული და პრაქტიკული დახმარება მიეღო. მასწავლებლის შემოწმება კი მოხდებოდა მთელი მისი საქმიანობით, მისი ცოდნის, პროფესიისადმი სიყვარულის, მეთოდური დახელოვნების, სამართლიანობისა და ობიექტურობის მიხედვით.

ივანე კითხულობდა გეგმას და მის ყოველ მუხლს, ყოველ წინადადებას რამდენჯერმე უბრუნდებოდა, თითქმის ზეპირად სწავლობდა. ეს იყო ფუნდამენტალური ნაშრომი, პედაგოგების სახელმძღვანელო. აღმოცენებული მრავალი წლის დაუცხრომელი მოღვაწეობის ნიადაგზე.

ივანემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მასწავლებელთა კომპლექსურ საქმიანობას. სხვათა გადმოცემით იცოდა, როგორ ამოწმებდა ნიკო მასწავლებლებს კლასის მომზადების მიხედ-

ვით, როგორ დიდ ყურადღებას აქცევდა ჟურნალებისა და დღიურების ყოველდღიურ წარმოებას. მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურ შემოწმებას. შედეგებს პედაგოგიურ საბჭოზე იხილავდა. მისი პედსაბჭო კი დიდ აღმზრდელობით ფორუმს წარმოადგენდა.

გეგმის გაცნობისას თვალწინ დაუდგა ნიკოს მთელი მოღვაწეობა და უფრო მეტი კვდამამოსილებითა და თავიანთსავე განიშკვალა მისდამი.

განა გეგმაში არ ჩანდა თუ როგორ დიდად ფასდებოდა მასწავლებლის შრომა! განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მის დაოსტატებას. მასწავლებელს უნდა შესძლებოდა მოსწავლეში სწავლის დაუცხრომელი სიყვარულის გაღვივება. გეგმა მოითხოვდა, დამოუკიდებელი აზროვნების გზით მოსწავლეთა გააქტიურებას.

გიმნაზიაში ამ მუხლების დაძლევა შესაძლებელი იყო. მასწავლებელთაგან ბევრს იცნობდა, განსაკუთრებით ახლოს იყო დომენტი თომაშვილთან, რომელიც ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა: ეს კაცი სახელგანთქმული პოეტი გახლდათ და ქუთაისის პედაგოგიურ წრეებში ავტორიტეტიც ჰქონდა.

გეგმაში ხაზგასმული იყო ლენინის მითითება: „ყოველ სკოლაში უმთავრესია გაკვეთილის იდეურ-პოლიტიკური მიმართულება“.

ამას წინათ, როცა ლენინის ამ მითითების საფუძველზე განათლების განყოფილებაში თათბირი ჩატარდა, კვლავ სამაგალითოდ ისევ ქართული გიმნაზიის მასწავლებლებს ასახელებდნენ. შენგელიას, ქვატაშიძეს, მოსეშვილსა და ხადარაძეს.

გეგმაში ასახული საკითხები, გაგონილო, ნანახი და შესწავლილი, ერთად მოუზღვევდნენ ვაშაყიძეს. უკვე ნაშუალომედი იყო, როცა ოთახში ბოლოს სცემდა და ამ მოზღვევებულ საკითხებზე ფიქრობდა. თავის სკოლაში ჯერ კიდევ ბევრი გადაუქრელი პრობლემა უსახებოდა. ნიკოს მიერ ჩამოყალიბე-

ბულ გეგმაში კი პუნქტები უფროსწინებით მტკიცედ იყო დაკვირვებული და იგრიწო ივანე ვაშაყიძემ, რომ ამიერიდან მის ურთიერთობას ნუცუბიძესთან მტკიცე და ურყევი საფუძველი ეყრებოდა.

მართლაც, ეს ურთიერთობა შემდგომ განმტკიცდა. ისინი ბოლომდე კარგი მეგობრები იყვნენ.

ივანე ვაშაყიძე აწ განსვენებულ ნიკოს დღესაც სიყვარულით იხსენებს და თავის საუცუეთესო მასწავლებელთა შორის ერთ-ერთ პირველთაგანს ასახელებს. თუმცა მისი მოწაფე არასოდეს ყოფილა. ისინი ხომ კოლეგები იყვნენ.

იმ დამეს ივანეს წინაშე დაიხატა ახალი სკოლის მთელი სურათი, ქუთაისის ქართული გიმნაზიის სიმტკიცე და ის კარგი მომავალი, რომელსაც ამ სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი გრძნობდა თავის ახალგაზრდა დირექტორთან ერთად.

ნიკოს არაერთხელ გაუმეორებია მასწავლებელთა წრეში ძველი ფილოსოფოსის შეგონება: „სიბრძნეს ის იძენს, ვინც ზედავს, როგორ იზრდებიან ადამიანები“.

ქართული გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივისა და ნიკოს ნამოღვაწარი გეგმა ქალღმრთე არ დარჩენილა. ნიკო დინჯად, მეთოდურად, საოცარი მოთმინებითა და უნდა ითქვას, პედანტურადაც კი, მიჰყვებოდა დასახულ მიზანს.

გახურდა მუშაობა.

დღისით სკოლის ოთახები და დერეფნები თუ მოზარდებით ივსებოდა და გუგუნებდა, ალაპოთი აქ მოზარდლები იყრიდნენ თავს. ეს ადამიანები თითქმის ახლა გამოდიოდნენ ბნელეთიდან. ჯერ მცირე ცოდნა რა არის კაცისთვის და სულ არაარაობა ხომ სიბეჩავეის მძიმე უღელია. ამ უღელს უხსნიდა საბჭოთა ხელისუფლება წერა-კითხვის უცოდინარებს. ცოდნა მასებს — კანონად ჩამოყალიბდა და სწავლა ყველასთვის სავალდებულოდ გამოცხადდა.



გაკირვება კი ადვილად ვერ ელვოდა ქვეყანას. იგი თავისთავად ვერ ამოიკრებოდა. ქვეყანას ბევრი რამ აკლდა, ძალიან ბევრი. საღამოს სწავლების მოსწავლეებს კი არა, მოზარდებსაც აკლდათ რვეულები, საწერ-კალამი, ფანქრები, სახელმძღვანელოები... მაგრამ მასწავლებელთა ცდა განუზომლად დიდი იყო. ისინი შეააშური ფანატიკური სიყვარულით ეძალებოდნენ საქმეს...

სწორედ ამ დროს, მიუხედავად განათლების განყოფილების ერთგვარი წინააღმდეგობისა, ნიკო ნუცუბიძე და ნიკო ჭაფარიძე გიმნაზიის შენობის ქუჩისპირა აგურით ნაგებ ფლიგელში, ხსნიან საბუნებისმეტყველო კაბინეტს. ეს იყო ჯერ პრიმიტიული, ღარიბული კაბინეტი, მაგრამ ნიკო ჭაფარიძის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს აუსრულდა ოცნება. საბუნებისმეტყველო მეცნიერების — ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის დიდ შიშაულზე თითქმის ყოველ გაკვეთილზე საუბრობდა. იგი ქიმიას აწავლიდა და თავისი საგანი ერთ-ერთ მთავარ საგნად მიაჩნდა. ამით ამაყოფნა კიდევ. მასალებს აგროვებდა მშობლიურ ენაზე ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელოს შესაქმნელად, ამუშავებდა ქიმიის ტერმინოლოგიას, რუსულიდან თარგმნიდა საბუნებისმეტყველო ნაწარმოებებს, ოდესის უნივერსიტეტდამთავრებულს ფართო განათლება ჰქონდა. ნიკოს მზრუნველი ხელი თავიდანვე დაეტყო ახლადშექმნილ კაბინეტს. ხელოსნებს კარადები გააკეთებინა, თაროები და სტენდები მოაწყობინა, უკანასკნელი გროშებით თბილისში სინჯარები, კოლები, ქიმიური ნივთიერებები და სხვა რამ საკირო მასალა შეიძინა, რაზედაც ხელი მიუწვდა.

ერთ დღეს თავის კაბინეტში დიდ ფაცაფუცში იყო ჭაფარიძე, როცა დირექტორმა შემოიარა.

ნუცუბიძე კარებთან შეჩერდა. ერთხანს უყურა საქმეში გართულ თავის

მოადგილეს, მერე ჩაახველა, რომ მისი ყურადღება მიეპყრო.

ჭაფარიძემ მოიხედა.

— ჰა, რას იტყვი, პატივცემულო ნიკო, როგორ კაბინეტს უჩანს პირი?

— ბევრს დავემტკიცებთ, რომ ჩვენ მართალი ვართ, — ნუცუბიძე კაბინეტში შევიდა, იკაურობა ერთხელ კიდევ შეათვალე, — დავემტკიცებთ, რომ ზეპირი და ჩვენებითი გზით შექმნილი ცოდნა მერყევი და ზედაპირულია. უსაბირკვლო...

— ვნახოთ, როგორ შეზღუდავს ეს ჩვენი ლაბორატორია მოსწავლეთა თეორიულ პორიზონტს, — ჩაიცინა ჭაფარიძემ, — ან კი საიდან მოსდის ზოგიერთ ასეთი გაუმართლებელი აზრი... საგნის ზერელედ გაცნობის თეორია... მაშ რა მიზანი აქვს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებას თუ ცხოვრებაში პრაქტიკულად არ გამოვიყენებთ?

— მათ უნდათ ადამიანს შეუქმნან ზოგადი წარმოდგენა... რასაკვირველია ყველა მოსწავლე ვერ გამოვა ბუნებისმეტყველი, ქიმიკოსი, ფიზიკოსი და მათემატიკოსი... ზოგიერთ მასწავლებელს მიაჩნია, რომ ამ საგნების სიღრმეს უმაღლეს სასწავლებელში ჩასწვდებიან დანეტერესებული პირები, ნიჭიერი... მაგრამ სწავლების ზერელობა საშუალო სკოლაში ყველასთვის ერთნაირად მავნეა.

— რასაკვირველია, ასეთი სწავლება ნიჭიერ კაცსაც ვერ დაინტერესებს... პრაქტიკულად გადაჭრილი საკითხი კი სულ სხვაა.

— ეს შრომაა, შრომის გარეშე არა საქმე არ იქნება. ჩვენ ამას უთუოდ მივალწევთ, რადაც არ უნდა დავგიჟდეს.

აქედან მოკიდებული, ნიკო ნუცუბიძე უფრო ხშირად ესწრებოდა საბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილებს, თვალს ადევნებდა სწავლების მეთოდს, ამოწმებდა მასწავლებლის დამოკიდებულებას საგნისადმი, მის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ საქმიანობას.

შემდგომ ამას ყოველივე ანალიზს უკეთებდა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

მოგვიანებით, როცა კოლეგები ხეო ნუცუბიძის მოღვაწეობას იხსენებდნენ, თითქმის ყველა მათგანი პირველ რიგში მის მიერ ჩატარებული პედაგოგიური საბჭოს სხდომებს აღნიშნავდნენ. ვითარც შთამბეჭდავ გაკვეთილებს, როგორც ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის, იყვე ხანდაზმულთათვის.

მის მიერ ჩატარებული პედაგოგის სხდომები, მართლაც, მთელი სკოლი იყო პედაგოგიისა, რომლებზედაც დაწერილებით, კონკრეტული ფაქტებით განიხილავდნენ და არჩევდნენ მუშაობის ყოველდღიურ შედეგებს. თქმა არ უნდა, როგორი ფართო და ყოვლისშემკველი იქნებოდა მეოთხედისა და წლიური მოღვაწეობის შედეგთა ანალიზი.

ყველა პედაგოგიურ საბჭოს სხდომას პირადად ხეო ნუცუბიძე ატარებდა. მეოთხედის ბოლოს კლასის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთაგან მოითხოვდა მოსწავლეთა დახასიათებას და ნიშანთა დასაბუთებას. მოიღრუბლებოდა და აშკარად შეემჩნეოდა, როცა რომელიმე პედაგოგი მოსწავლეს ზოგადად დახასიათებდა: „კარგი მოწაფეა“, „ემშაკია“, „არ სწავლობს“, „ზარმაკია“... ასეთი მოკლე, გაუშიფრავი ფრაზები ახელებდნენ, მაგრამ მუდამ დარბაისელ კაცს ზედმეტი ემოციების გარეშეც ეხატებოდა უკმაყოფილება. იგი ხმადაბლა იტყოდა: „კეთილი ინებეთ და დაგვიხატეთ სრული სურათი, თორემ, რაღაც, მეტისმეტად მოგვიმარაველდნენ „ზარმაკები“ და „ემშაკები!“

საბჭოს სხდომა ისე არ ჩატარდებოდა, მოსწავლეთა ოჯახური მდგომარეობა რომ არ გამოეკითხა. ეს იყო მასწავლებელთა გამოცდა, თუ როგორ იცნობდნენ ისინი თითოეული მოსწავლის საოჯახო პირობებს. ხეო მკაცრად ავალდებულებდა კლასის ხელმძღვანელებს, ღრმად ჩასწვდომოდნენ თითოეულის მოსწავლის ცხოვრებას. ფლეგმატიკურ, დაღვრემილ, დარდიან ყმაწვი-

ლებს აუცილებლად თვითონ გამოუჩენდა კლასკარზე საქმეს. მისი დრო ვადიოდა და გამაზრდა რება თანდათან კალამოტი დგებოდა.

თავისებური პრობლემები წამოჭრა ქალთა და ვაჟთა ერთად სწავლებამ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქუთაისში რამდენიმე მასწავლებელი თუ იყო. ახალი ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი საგანი მასებში განათლების შტანა გახლდათ და ორიოდ წელში სკოლათა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა.

ყოველ სიახლეს თავისებური წინააღმდეგობებიც დაემგზავრება ხოლმე. დიდი დავა გამოიწვია ქალთა და ვაჟთა ერთად სწავლებამ. ძველი პედაგოგები პრინციპულად იღვნენ თავიანთ აზრზე, რომ ეს, ყოველად შეუწყნარებელი ნაბიჯი, დიდ გავლენას მოახდენდა ყმაწვილთა ფსიქიკაზე, მათი ცხოვრების წესზე. ამაზე დიდხანს კამათობდნენ მასწავლებლებში, მსჯელობდნენ განათლების განყოფილებაში. ამ გადაწყვეტილებას ყავდა მომხრეებიც. მამაკაცისა და ქალის უფლებათა გათანაბრება, ქალის როლის ამაღლება ოჯახსა და საზოგადოებაში, ქალის გამოყვანა ცხოვრების ფართო ასპარეზზე, მიაი თავისუფლება, — ყველაფერი ეს ვლინდებოდა ბევრების დროიდან, იმ პირველ ნაბიჯებიდან, როცა იგი ვაჟთან ერთად მიუჯდებოდა მერხს და აქედანვე იგრძნობდა თავის თანაბარ უფლებას. აქვე საფუძველი ეყრებოდა მეგობრულ და მოკიდებულებასა და რა თქმა უნდა სიყვარულსაც. ერთი სიტყვით, ქალთა და ვაჟთა ერთად სწავლება სასიკეთო ნაყოფი იღებდა. ეს სიყვით წლებმა დაადასტურა.

1923 წელს მეორე ჰუმანიტარულ ტენიკუმში გაერთიანდა ქალთა და ვაჟთა რამდენიმე სკოლის მერვე და მეცხრე კლასები.

ხეომ თავიდანვე გონივრულად გასტყერიტა ამ ნაბიჯის სიკეთე.

უკვე 1923 წელს, როცა გიმნაზიას

სახელი შეუცვალეს და მეორე ჰუმანიტარული ტექნიკური უწოდეს, უამრავი გოგონა და ვაჟი მოაწყდა სასწავლებელს. თავისთავად ცხადია სკოლის ტრადიციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ყველაფერს უურადლებას აქცევდნენ მშობლები, რომელთაც შვილები მოჰყავდათ აღსაზრდელად. ბევრისთვის საამაყო იყო ესწავლა იმ სკოლაში, რომელიც შექმნა და შოალონიერა ოცხელმა. ნიკოს სახელიც იმ დროისათვის საკმაოდ მომწიფებულ იყო, რაც მის სასწავლებელში მოსწავლეთა მიზიდვის ერთ-ერთ ძალას წარმოადგენდა. ერთი სიტყვით, ყოველ დამდეგ ახალ სასწავლო წელს ნიკოს დიდი თავსატეხი უჩნდებოდა, ძალიან უჭირდა, თუნდაც ერთი სწავლამოწყურებული მოზარდის უარით გაბრუნება. არადა, საკლასო ოთახები ველარ იტევდა მოსწავლეებს.

ის კი არა, ერთხელ სამი ახალგაზრდა ისეთ დროს მიადგა, ნიკომ გაოცებით შეათვალიერა ბიჭები და ერთხანს მდუმარედ უყურებდა.

იანურის პირველი რიცხვები იყო. ბიჭები სოფელ ლაილაშიდან წამოსულიყვნენ. გაცრეცილნი, შილიფად ჩაცმულნი, აბუზულნი იდგნენ კართან და დირექტორის განაჩენს ელოდნენ. მათ უკვე თქვეს თავიანთი სათქმელი, ნიკოს განცხადება მაგიდაზე ედო. ბიჭები შეექვეს კლასში ჩარიცხვას თხოულობდნენ და თანაც პირობას სდებდნენ, წარჩინებით ვისწავლითო. ერთმანეთს ისე მიჰკვროდნენ, თითქოს ეშინიათ, ვინმემ არ დაგვაცილოსო.

ნიკომ კაბინეტში ბოლთა დასცა. როგორც ჩანდა, უმძიმდა უარის თქმა, რაც ერთგვარ იმედს უღვივებდა ბიჭებს და ისეთი მორჩილებით შეჰყურებდნენ წინ და უკან ნელი ნაბიჯით მოსიარულე დაფიქრებულ კაცს, ასე მთელი კვირა რომ გაგრძელებულიყო, მაინც უსულო საგნის მოთმინებით დაელოდებოდნენ პასუხს.

მაგრამ დუმილმა არც ისე დიდხანს

გასტანა. ნიკო შეჩერდა და ისევ ბიჭებს შეავლო თვალი.

— აქამდე სად იყავით? — უკითხა არ უნდა ეკითხა ნიკოს, არამის თქმა ეწადა, მაგრამ უტევს მიავერწყდა, რომ ეს განცხადების წაკითხვისთანავე ჰკითხა ყმაწვილებს და პასუხიც დაუყოვნებლივ მიიღო, ოჯახური პირობების გამო თავი ვერ მოვებითო. ახლაც გვიმძიმდა, მაგრამ სწავლა გვეყურიაო.

„მართალია ეს ყმაწვილი, — თქვა გუნებაში ნიკომ, — პასუხს მოელის. მე კი ლობე-ყორეს ვედები და ვერ გამირკვევია, მაშინ, როცა ამ ყმაწვილების გაბრუნება არამც და არამც არ შეიძლება. თუნდაც მისაყვედურონ, უნდა ჩავრიცხო“.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ იგი თავის მაგიდისაკენ გაემართა, მიუჯდა და ის, რაც მათ განცხადებას წააწერა, ხმამაღლა თქვა:

— ჩარიცხულ იქნან მეექვსე კლასში.

როცა ფურცელს თვალი მოაშორა და ბიჭებს შეხედა, დაინახა მათი მოცინარი სახეები.

— გმადლობთ, ბატონო!

ეს წუთები ნიკოსთვისაც დაუვიწყარი იყო. შემდეგ, როცა რამდენიმე წლის განმავლობაში თვალს ადევნებდა ბიჭების მეცადინეობას, სიამოვნებით იხსენებდა, რომ ამ ნიჭიერ ყმაწვილებს გწა არ გაუმრუდა. მათ, მართლაც, არაჩვეულებრივი ნიჭიერება გამოამყვანეს. სკოლის სამაგალითო მოწაფეები იყვნენ, სასწავლებელი ბრწყინვალედ დაამთავრეს და შემდეგ ასევე წარმატებით სწავლობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში...

სკოლის კედლებში კვლავაც ის დიდი სული ტრიალებდა, რითაც ქუთაისის ქართული გიმნაზია სულდგმულობდა. ნიკოს ჰყავდა დიდი წინაპრები, ღრმად იცნობდა მათ პედაგოგიურ მოღვაწეობას, სკოლას ისეთი მდიდარი ტრადიცია გააჩნდა ადამიანის აღზრდის, მისი ცხოვრების სწორად წარმა-

რთვისა, ის სიახლენი, რაც კი საბჭოთა ხელისუფლებამ დაუსახა სკოლას, ბევრ რამეში ეხმარებოდა ტრადიციას, ოდითგან ამ სკოლის დასახელ მიზნებს — აღეზარდათ სამშობლოს და თავისი ხალხის მოყვარული სრულფასოვანი, განათლებული ადამიანები.

თუკი გიმნაზია უწინ ბევრი თვითმოქმედი წრე გააჩნდა და ქალაქის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ სათავედ ითვლებოდა, ნიკომ ამ მხრივ კიდევ უფრო განამახვილა ყურადღება. მომღერალთა გუნდის ლობჯარად ბესარიონ ლოლობერიძე მოიწვია. გუნდის მეცადინეობას მრავალჯერ დასწრებია. უსმენდა ტკბილხმოვან ქართულ სიმღერებს, რომლებსაც ბესარიონ ლოლობერიძე დიდი ოატატობით ასრულებდა და ახალგაზრდა მომღერლებს მონდომებით ასწავლიდა.

1924 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. ისე, როგორც მთელი ქვეყანა, ქუთაისიც აატივბით შეიმოსა.

მოულოდნელი და თავზარდამცემი ამბავი მოხდა. მაშინ, როცა ახალი ცხოვრების საძირკველი გაიჭრა, როცა ხალხი, ის იყო, სანუკვარი ოცნების განხორციელებას შეუდგა და ლენინის სახით ისინი დიდ იმედსა და გზის მანათობელ კაცს ხედავდნენ, ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ ტკივილს მიაყენებდა მისი სიკვდილი მშრომელ ადამიანებს.

ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სკოლას.

ნიკო ნუცუბიძე ხედავდა, რა სწორი და მართალი გზით მიემართებოდა სასკოლო ცხოვრება. ყოველდღიურ თავის საქმიანობაში გრძნობდა ლენინის ძალას და საზრდოობდა მისი დებულებებით. ლენინის სახით მან იქცა კაცი, რომელმაც ყველაზე ღრმად და საფუძვლიანად ჩაიხედა ყმაწვილთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, სკოლას დაუსახა ის ერთადერთი და სწორი გზა, რომელსაც შეე-

ძლო ცხოვრებაში გამოეყენა კრემარიტად ნათელი გონებები, მდამდამი.

დიდი იყო ლენინის მზრუნველობის ძალა სკოლის ყოველდღიურ ყოფაში. იგი თითქოს მონაწილეობას იღებდა ყოველ დღესა თუ მცირე ღონისძიებაში. მაშინაც კი, როცა წერა-კითხვის უცოდინარი მოზრდილები სკოლისაკენ მიეშორებოდნენ სალამობით, ნიკოს იგი ეჩვენებოდა, თითქოს ლენინს მოკყავდა ისინი სათითაოდ და გჟღუფ-გჟუფად... მთაი ნებით იყო, საყოველთაო სახალხო განათლების შემოღება, საეკლდებულო სწავლა, მასებში სინათლის შეტანა...

იანვრის იმ დღეებში კი იაბით შეიმოსა თვით ლამაზი ოცნებაც კი ხვალინდელ დღეზე...

ხვალ როგორ ჩატარდება გაცვეთილები ულენინოდ?

მეღელი წარმოსადგენი გახდა.

მაგრამ იატორიის ჩარხს ვერავითარი ძალა უქულმა ველარ დააბრუნებდა. ცხოვრება კვლავ ლენინის მიერ ნაჩვენები გზით მიდიოდა. კვლავაც იგრძნობოდა ამ კაცის ძალა — ლენინი ცოცხლობდა.

ზაფხულის არდადეგებზე ნიკო ქუთაისიდან არ გადიოდა. მიყრუდებოდა სკოლის კარ-მიდამო, დადუმდებოდა სკოლის ზარი, გიმნაზიის ძველი შენობის გამოყრუებულ დერეფნებში საოცარი სიგრილე დაგუბდებოდა. ნიკოს ეხამუშებოდა ასეთი გამოყრუება, მაგრამ დღე არ გავიდოდა, დერეფნები არ დაეკლო, საკლასო ოთახებში არ შეეხედა. ამ დროს მოგონებებში ცოცხლდებოდა მთელი წლის სასკოლო დავიდარაბა, სასიხარულო თუ დამაფიქრებელი წუთები.

სკოლის მახლობლად, ცალკე, პატარა სახლში, ცხოვრობდა დარაჯი სტეფანე ხურცილავა თავისი ცოლითა და შვილით. ბიჭს ივანე ერქვა.

ზაფხულობით, როცა სკოლიდან ყველანი გაიკრიფებოდნენ, ამხელა კარმოდამოში სტეფანე და ნიკო რჩებოდნენ



თავ-თავიანთი ოჯახებით და მეტად ტკბილი მეზობლობა ჰქონდათ. ამასთან, სტეფანე სამსახურის ერთგული იყო და ნიკო აფასებდა კიდევ მის კეთილსინდისიერებას. როგორც შეეძლო, ხელს ისე უმართავდა.

ერთხელ, ნიკო თავისი სახლის დაბალ აივანზე გამოსულა და სკოლის ეზოში სტეფანესთან ერთად ვილაც უცნობი კაცი დაუნახავს. უცნობი სტეფანეს რალაცას უმტკიცებდა ხელების მოშველიებით, სტეფანე კი თავდახრილი უსმენდა. ბოლოს მხრები აიჩეჩა და თავი გააქნია. უცნობმა, ეტყობა, სტეფანესთან ვერაფერი გააწყო, ხელი ჩაიქნია და წავიდა.

ნიკოს გულმა არ მოუსვენა. ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რა მოხდა. სტეფანე ადგილიდან არ იძვროდა, დალონებული აბალახებულ მიწას დასჩერებოდა.

ნიკო აივნიდან ჩავიდა, სტეფანეს მიუახლოვდა.

— რაო, რა მოხდა, სტეფანე?

სტეფანე შეერთა, ფიქრში წასული კაცისთვის მოულოდნელი იყო ნიკოს გამოჩენა. უხერხულად შეწერიალდა.

— რა მოხდა, არ იტყვი? — ხმადაბლა გაუმეორა ნიკომ.

— არაფერი, ბატონო ნიკო... ეს ისე... შინაურული საქმეა...

— მერედა, ჩვენ, კარის მეზობლებს ერთმანეთის ავი და კარგი დაგვემალება?!

სტეფანემ თავი ასწია და ნიკოს შეხედა.

— მართალი ბრძანებაა, მაგრამ... რა ვიცი ახლა... არ ყოფილა ჩემი ბედი...

— რა ბედი, კაცო?

— ე მაგ კაცს, ახლა რომ მელაპარაკებოდა, უშობელი ყავს გასაყიდი ძროხა ქე გამართავდა წელში ჩემს ოჯახს... იყიდეთ, ჩამციებია. იაფად გაძლევო. მე კი... აბა საიდან?! — ხელები გაშალა სტეფანემ და სახე ტანჯვით მოელრიცა, გულდათუთქულ კაცს ლამის ცრემლი გადმოსცვივდა.

ნიკოს ხმა აღარ ამოუღია. ერთხანს

უყურა სტეფანეს, მერე ჰკითხა, რას აფასებს უშობელსო. სტეფანე მკვიფრად

— აქ დამიცადე, — უბნბნ-ნიკომ დასწერიალდა.

— ბატონო ნიკო! — ხმის თრთოლვით დაადევნა ხურცილავამ. მაგრამ ნიკოს ყურადღება აღარ მიუქცევია, სწრაფად შევიდა შინ. როცა გამობრუნდა, სტეფანე ხურცილავა ისევ ეზოში იდგა.

— რა არის ახლა ეგ, ბატონო ნიკო! — შეიცხადა სტეფანემ, როცა ნუცუბიემ ფული გაუწოდა. ხურცილავამ ხელეები გაასავსავა და უკან დაიწია.

— გამომართვი, გამომართვი! ლაპარაკი არ უნდა ამას... შე კაი კაცო, როცა გეკნება, მაშინ დამიბრუნე.

ამ სიტყვებმა ცოტა მოაღბო დარაჯი. თვალეებში სიხარულის სხივი ჩაუდგა. ფული, როგორც იყო, გამოართვა და იქიდანვე, ახალუხის ამარა გაიქცა უშობელის პატრონთან.

ცოტა ხნის შემდეგ სტეფანემ სიხარულით გამოატარა უშობელი ქუთათისის ქუჩებში, შინ მოიყვანა, გრძელ თოკზე გამობმული მიუშვა სკოლის აბალახებულ ეზოში. მას მერე, რამდენჯერაც ნიკოს დაინახავდა, მის გამჩენ დედას ლოცავდა.

ვალი გადაუხდელი დარჩა. სიკვდილის წინ სტეფანემ შვილს დაუბარა, ნიკო მასწავლებლის ვალი მაქვს, ივანე, უნდა შეძლო და როგორმე გადაუხადოო.

ივანე კი ჯერ ბალღი იყო.

ერთ საღამოს, ქალაქის ცენტრში გამოსულ ივანეს ნიკო შემოხვდა. მამის სიკვდილის შემდეგ წელიწადზე მეტი იყო გასული და გულჩათხრობილი ბიჭი თავის ეზო-კარს არ შორდებოდა, მეზობლის ბიჭებთან, კუკურისთან და სურაბთან თამაშით ერთობოდა.

ახლა აგერ, შუაგულ ქალაქში დაინახა ნიკომ.

— საით გაგიწევია, ივანე?

ნიკოსი ყოველთვის ერიდებოდა ბიჭს. როცა შინ კუკურისთან და სურაბთან თამაშობდა და ამ ღროს ნიკო

მასწავლებელი შემოესწრებოდათ, ივანე ჩუმად გაიძურწებოდა ხოლმე. მორიდებული ივანე მამას წააგავდა პირწმინდად. ნიკოს არ უყვარდა, როცა ვინმე, შით უმეტეს მოწაფე გაურბოდა. კაცი ყოველთვის ცდილობდა, თავისი თბილი, ადამიანური გრძნობით დაახლოებოდა მოზარდებს. აქ კი, მეზობლის ბიჭი, სათოფეზე არ ეკარებოდა.

ივანემ მასწავლებელი რომ დაინახა, შეჩერდა და თავი დახარა.

— კინოში მივდივარ, პატივეცმულო... „რადიუმში“.

ნიკომ ბიჭი ისე შეათვალიერა, თითქოს პირველად უყურებსო, კინოში მიმავალი ყმაწვილის მუხლებზე დაკერებული შარვალიც არ გამოჩნა მხედველობიდან. გულში ნაღველი ჩაეწვეთა, თავზე ალერსით გადაუსვა ხელი.

— წადი, ივანე, წადი, არ დაგაგვიანდეს!

მეორე დღეს ყმაწვილი კაბინეტში დაიბარა.

— დაქვეი, ივანე, — მიუთითა სკამზე.

ივანე ჩამოჯდა. დირექტორს მღუშარედ მიაჩერდა. ნიკო ოთახიდან გავიდა და სკოლის საქმეთა მმართველი ბაბუცა გაბუნია შემოიყვანა.

— ამ ყმაწვილს ხომ იცნობ, ბაბუცა? ჩვენი სტეფანეს შვილია...

— კი ვიცნობ, როგორ არ ვიცნობ.. საცოდავი სტეფანე!.. თითქოს გუშინ იყო...

ბაბუცას სახე დაუმწუხრდა, ბავშვს გრძნობით შეხედა და ლამის ცრემლი გადმოლვარა. ივანემ თავი დახარა და თავის ხელებს დააჩერდა. როცა დირექტორმა ბაბუცას უთხრა, ამ ყმაწვილს სალაროდან ექვსი მანეთი მიეცე, რომ შარვალი იყიდოსო, ივანე უცებ შეკრთა.

ბაბუცა ფულის მოსატანად გავიდა. ივანემ ხმადაბლა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ჯერ მამაჩემის ვალიც არ გამისტუმრებია...

— რაო, რა თქვი? — ნიკოს გულზე მოხვდა მისი სიტყვები. რაგორც ჩანს, საწყალ სტეფანეს შვილსთვის! შეუჩინვლია თავისი დარდი. ნიკომ კი მისი ვალი დავიწყებას მისცა.

— ვალი, პატივეცმულო მასწავლებელო... მამაჩემს რომ ძროხისთვის ასესხეთ...

— საიდან მოგონე, ივანე? რა ფული ვასესხე მამაშენს?!

— ასე დამიბარა, ეგებ შენ გაუსტუმრო როგორმეო... ვეცდები... ახლა ამ ფულსაც მიმატებთ... — ბიჭს თვალები აუწყლიანდა.

ამ დროს ბაბუცა დაბრუნდა. ნიკომ ფული გამოართვა და ივანეს გაუწოდა.

— ეს ფული გამომართვი, შარვალი იყიდე... მეორედ აღარ გამაგონო ის, რაც მითხარი, თორემ წაგეჩხუბები და სამუდამოდ დამკარგავ. წადი ახლავე და იყიდე!

ბიჭს ისლა დაჩენოდა, ნიკოს ბრძანება დაუყოვნებლივ შეესრულებინა. როცა იგი კაბინეტიდან გავიდა, ბაბუცამ ამოისლუქუნა.

— საცოდავო სტეფანე!

ნიკომ საწერ მაგიდას მიაშურა, თან ბაბუცას დაუბარა:

— მაგ ფულს კი ჯამაგირიდან დამიკავებ.

ნების პერიოდი იყო. ქუთაისში კერძო ვაჭრობა გავჩაღებინათ. მზა ტანსაცმლის მაღაზიაში ივანეს სარგო შარვალი არ აღმოჩნდა. მაშინ ბიჭმა საშარველე იყიდა და შინ გახარებული დაბრუნდა იმ იმედით, რომ დედა შეუყვარავდა. ხშირად დაუნახავს მის ხელში ნემსი.

— შარვალი არასოდეს შემიკერავს, შვილო... ამას ცოდნა უნდა. რა ვიცი, ეცადო და ნაჭერი გვაფუტკო... მაშ ნიკო ბიძიამ მოგცა ფული, ჰა?

არ ვიცი როგორ გადავიხდით ამ კაცის ვალს.

— დედა, ასე მითხრა, მეორედ აღარ გამაგონო ეგ სიტყვებით...

— რა სიტყვები, ბიჭო?

— რა და, ვალიო... მეტყვი, წაგეჩხუბები და სამუდამოდ დაგკარგავო.

— ღმერთო, თუ რამ სიკეთეა, ის მიეცი ნიკო ნუცუბიძეს და მის ოჯახს! დაუვადეკაცე კუჭურია და ზურაბი! სხვა არაფერს გეკედრები, უფალო!

ქალმა პირჩვარი გადაისახა და შვილს მიაჩერდა.

შეორე დღეს ნიკომ ისევ ძველი შარვლით დაინახა ივანე, შეაჩერა და ჰკითხა:

— რა ქენი, ბიჭო, არ იყიდე შარვალი?

— მზა არ იყო, პატივცემულო მასწავლებელო... ნაჭერი კი ვიყიდე, მაგრამ დედას შარვლის კერვა არ სცოდნია და...

— უნდა შეაკერიხო, სხვა გზა არაა, — თქვა ნიკომ და სკოლას მიამუხრა. ივანემ თვალი მიიყოლა, საშარვლე ნაჭრის ყიდვით გამოწვეული სიხარული ჭერაც არ განელებოდა. ახლა ბიჭმა ის ინანა, რომ ეს სიხარული ჭეროვნად ვერ გამოხატა და ნიკოს მადლობაც ვერ უთხრა.

საღამოს ზურცილავეებისას კუჭურიმ გადმოიბრინა და მამის დანაბარები გადასცა ივანეს:

— მამამ ასე თქვა, მკერავე ნოე მუშკუდიანთან მივიდეს ჩემი სახელითო.

— შენ გაეზარდე შენს მშობელს! — ხელები გაშალა ივანეს დედამ და ბიჭი გულიანად ჩაკოცა.

ნოე მუშკუდიანი ქუთაისში განთქმული მკერავი იყო. ნიკო მორიგებოდა, შარვლის შესაკერი ფული წინასწარ მიეცა.

ივანემ ახალთახალი შარვალი ჩაიცვა. თავისზე ბედნიერი კაცი ქუთაისში კარა, ქვეყანაზე არავინ ეგულებოდა. ყმაწვილის გული სიხარულით ფეთქდა.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ, როცა შეიდი კლასი დაამთავრა, ივანეს ფეხები უკან რჩებოდა, მაგრამ მაინც მივიდა თავის ღმერთაკთან და სკოლის საბუ-

თები მოსთხოვა, ზესტაფონის ცხრაწლედში უნდა განეაგრძო სწავლაო.

ნიკომ კარგად იცოდა ზურცილავეების ოჯახური მდგომარეობა ისედაც ღარიბ-ღატაკებს, სტეფანეს სიკვდილის შემდეგ უფრო აეწეწათ საქმე. სანამ მეზობლად ცხოვრობდნენ, ხელს უმართავდა. ზესტაფონში რა უნდა აკეთოს ქალმა, როგორ უნდა იცხოვროს?

— ზესტაფონის სკოლიდან ცნობა უნდა მომიტანო, ივანე, — უთხრა ნიკომ.

— რა ცნობა, პატივცემულო მასწავლებელო?

— ცნობა, რომ შენ აუცილებლად ჩაგრიცხავენ მერვე კლასში... ვშიშობ, სკოლის ვარეშე არ დარჩე.

— დედას შეპირდნენ...

— შეპირება შეპირებაა, მაგრამ ქალაღი შპირდება, რომ აქედან საბუთები გაგატანო. ასე ზომ არ არის, ღვთის ანაბარა გაგიშვა!

ნიკოს გული უგრძნობდა, რომ ივანეს უფრო მეტად გაუჭირდებოდა, უთუოდ მიატოვებდა სკოლას და ლუკმაპურის ძებნაში, ვინ იცის საით და როგორ წავიდოდა მისი გზა ზესტაფონიდან თუკი მოიჩანდა ცნობას, შეიძლებოდა გულმშვიდად გაეცა საბუთები. არამც და არამც ამ ცნობის ვარეშე ნდობა არ შეიძლებოდა. განათლების სისტემაში ამდენი ხნის მუშაობამ დაარწმუნა, რამდენი სკოლის დირექტორი სცოდავდა. რალა შორს წასულიყო, აქვე, ქუთაისის ერთ-ერთი სკოლის დირექტორის, კირილე წულუკიძის მაგალითიც კმაროდა. გარდა იმისა, რომ სიცრულით განთქმული იყო, სახელი მოწაფეთა ოჯახებში დროსტარებითაც მოიხვეჭა.

— აბა, ცნობის ვარეშე ივანეს ფეხს არ მოაცვლევინებდა!

მალე ნიკომ გაიკითხა და გამოირკვა, რომ ზესტაფონის სკოლაში სწავლის გაგრძელება შეუძლებელი იქნებოდა მოსწავლეთა კონტინგენტის გადატვირთვის გამო.

ივანე ქუთაისში დარჩა.

ერთხელ, ეს იყო 1929 წლის ზაფხულში, ნიკო ნეცუბიძე მეგობრებთან ერთად რიონჭესის მშენებლობის დასათვლიერებლად წავიდა. მოიარა მთავარი ნაგებობების, არხისა და კაშხალის უბნები. მასწავლებლები გაოცებით უყურებდნენ იმ დროისათვის გრანდიოზული ახალი სახის მშენებლობას და აღტაცებას ვერ ფარავდნენ, თავიანთ აზრს ერთმანეთს უზიარებდნენ და იმედს გამოსთქვამდნენ, რიონჭესი მეორე მზედ მოველინება დასავლეთ საქართველოს.

ამ მხიარულ კამთში რომ იყვნენ, საგუბარზე გადასვლისას ნიკო დააკვირდა ერთ შიშველ ბიჭს, რომელიც ჯალამბარის ბორბალზე გადახვეული ფოლადის გვარლზე მიმაგრებული ჩანგლით ჩაპყვინთავდა წყალში, შემდეგ ამოყვინთავდა, მუშები ჯალამბარს აამუშავებდნენ და ჩანგალმოდებულ მორს საგუბრიდან ამოათრევდნენ. ეს მორები რიონის საგუბართან ხიდის ქვეშ წყალში იყო ჩამაგრებული მდინარის კალაპოტის დროებით შეცვლასთან დაკავშირებით. ახლა მორები ამოსაღები იყო. მყვინთავი ბიჭი მობერებებულად ასრულებდა თავის მოვალეობას, დაიჭერდა ჩანგალს, გვარლს გაითრევდა, ჩაყვინთავდა, ჩანგალს მორს გამოსდებდა და ბაყაყურით ისევ წყლის ზედაპირზე გამოჩნდებოდა.

ნიკოს გული შეუქანდა, როცა ხიდის მოაჯირს გადაყრდნობილმა, კარგა ხნის დაკვირვების შემდეგ შიშველ ბიჭუნაში ივანე ხურცილავა შეიცნო. ალელდა, მოუსვენრობა დაეტყო, მაგრამ თავისი მღელვარების მიზეზი მეგობრებისათვის არ გაუშვლია.

სალამოს კი ხურცილავების კარზე დააკაკუნა. კარი ქალმა გაუღო.

— მობრძანდით, ბატონო ნიკო!

შინ რომ შევიდა, ივანე გვიან ვახშამს უჯდა. ნიკომ თვალი მოჰკრა მაგიდაზე დაწყობილ მჭადსა და ყველს, ჯამით ლობიოს... დამშუულ ბიჭს პირი ლუქით ჰჭონდა გამოტენილი. სკოლის

დირექტორის დანახვაზე წამოიწია, მაგრამ ნიკომ უმალ ხელით ანიშნა. იქვე ქო, მერე იქვე მაგიდასთან ჩამოჯდა.

— ბატონო ნიკო, იქნებ ისიამოვნოთ ლობიო, — შესთავაზა ქალმა.

— გამდლობთ, მეც ახლა ვივარაშმე. ივანესთან პატარა საქმე მაქვს და თქვენც მოგვისმინეთ, დედა ხარო, უნდა იცოდეთ.

ქალი შეცბა, ისიც მაგიდას მიუჯდა და ნიკოს მიაჩერდა.

— რაშია საქმე, ბატონო ნიკო?

— ცუდ დროს მოვედი... ეჭამა ბიჭს, — შეწუხდა ნიკო, — რა ვქნა, გულმა აღარ მომიხეხა. რომ არ ვითხრათ, არ შემიძლია.

— უიმე რა მოხდა?! — კვლავ შეიცხადა ქალმა.

ივანემ ლუქმა გადაყლაპა და ნიკო მასწავლებლს მიაჩერდა გაკვირვებულად, ნეტავი რა ჩავიდინე ისეთი, ან რა მოხდაო.

— შეილო, — დაუწყო დაყვავებით ნიკომ, — დღეს რიონჭესის დასათვლიერებლად ვიყავი... საგუბარზე დაგინახე... მყვინთავად მუშაობ?

— მყვინთავად, პატრიცემულო მასწავლებლო, — არ დაფიცა ბიჭმა.

— რა ვქნათ, რომ გვიჭირს! — დაიწუწუნა დედამ.

ნიკო აღელდა.

— ხვლიდან არ დაგინახო მაგ სამუშაოზე, — მკაცრად დაიწყო, მაგრამ მალე ისევ სითბო გამოერია ხმაში და დაყვავებით უთხრა ივანეს, — აბა დაფიქრდი, შეძლებს კი შენი ორგანიზმი იმას, რომ შენს ვარაუდს მყოფი გამდინარე წყალი გაათბოს! ეს სამუშაო დაგაავადმყოფებს და სიცოცხლეს მალე მოგისწრაფებს. არა, შენი წასვლა იქ შეუძლებელია... რაც შემიძლია დაგეხმარები... გთხოვთ, ნუ იზამ ამას... მაშის სულს გაფიცებ! მე იმ კაცის აჩრდილი ბევრ რამეს მიაღებ... ახლა ბოდის ვიხდით შეწუხებისათვის. ივანეშემ და დაისვენე... ხვალ დილით

ჩვენთან გადმოდო. კიდევ მაქვს სალაპარაკო.

დედა-შვილმა მღუმარედ გააცილა სტუმარი.

..ნიკოს შემწეობით ივანემ დაამთავრა ქუთაისის საშუალო სკოლა და შემდეგ მისივე დახმარებით უნივერსიტეტში...

ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ გადაისინჯა. ნიკო პროგრესულად მოაზროვნე კაცი იყო და თავიდანვე აულო აღლო, თუ რა გზით უნდა წარმართულიყო ყმაწვილთა სწავლება ზოგადად და ცალ-ცალკე დისციპლინების მიხედვით. განსაკუთრებით გადასახედი იყო ისტორია. რომლის სწავლებასაც ჯერ კიდევ შემორჩენოდა ძველი მეთოდეზი. ძნელი იყო ამ დროისათვის ისტორიის სწავლება. მაშინდელი ისტორია ზომ მხოლოდ და მხოლოდ მეფეთა ცხოვრებია და მოღვაწეობის აღწერით შემოიფარგლებოდა.

იყვნენ პედაგოგები, რომლებიც ცხოვრების მდინარეებს ბრმად მიჰყვებოდნენ, მათ არც განუზრახავთ, საგნის სწავლებაში სინათლე შეეტანათ.

1925 წელს ქუთაისის, მახრის განათლების განყოფილების გამგედ დაინიშნა თეიმურაზ ჭუმბურიძე, განათლებული და მეტად სიმპათიური პიროვნება. ნიკო მას კარგად იცნობდა. ამ პოსტზე ჭუმბურიძის დანიშვნა მისთვის სასიხარულო იყო.

მასწავლებლები ხშირად იკრიბებოდნენ განათლების განყოფილების გამგესთან, რომელიც, მიუხედავად ყოველდღიური მომქანცველი შრომისა, გულმოდგინედ და რუღუნებით ადგენდა საბჭოთა სკოლისათვის შესაფერის სახელმძღვანელოს. იგი საკონსულტაციოდ იწვევდა ნიკო ნუცუბიძესაც, რომელმაც არა ერთი და ორი დამაფიქრებელი რჩევა და აზრი მიაწოდა თავის მეგობარს.

ამავე დროს ერთი წუთითაც არ წყდებოდა მუშაობა წერა-კითხვის ლკინდარობის სალიკვიდაციოდ.

უბანში, სადაც ქუთაისის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგებს განათლება შეჰქონდათ, ვაცხოველებული მუშაობა იყო. ნიკო პირადად ამოწმებდა ასაკოვან მოსწავლეებს, ესწრებოდა საღამოს გაკვეთილებს. უკვე 1925 წლის ბოლოს ერთ საღამოს, იგი ვრცელი ანგარიშით მიდიოდა განათლების განყოფილებისაკენ, რათა ჩაებარებინა ორი-ოდე წელში გაწეული მუშაობის ანგარიში.

თეიმურაზს ერთი წელიც არ შესრულებოდა ახალ თანამდებობაზე, მუშაობაში დღე და ღამეს ასწორებდა. მის შემყურე თანმშრომლებსაც გატეხილი ჰქონდათ ბევრი უძილო ღამე.

ნიკომ შეალო თეიმურაზის კაბინეტის კარი.

— მომრძანდი, ნიკო, — კართან შეეგება მასპინძელი, — გატყობ, მზიარულ გუნებაზე ხარ... რას გვამცნობ სასიხარულოს?

— ლენინის თეზისი შესრულებულია, სკოლის მიკრორაიონში მთლიანად ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა, — სამხედრო პირივით მოახსენა ნიკომ, — შეგიძლია ზუსტად ამ სიტყვებით ვუპატაკოთ განათლების სახალხო კომისარიატს.

— მომილოცავს, ნიკო... ლენინი გვითითებდა, რომ ჩვენ ეს საქმე ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავზე დაგვეგვირგვინებინა... დიდი ბელადი რომ ცოცხალი ყოფილიყო, დეპეშას მას გავუგზავნიდით. — მხნეობა მოემატა თეიმურაზს, დაღლილობის მძიმე ლოდი თითქმის მოშორდა.

ნიკომ გაწეული მუშაობის მთელი ნუსხა მაგიდაზე დაუდო. სამაგალითოდ ათეული წერთი ნამუშევარიც წამოეღო იმ პირებისა, რომელთაც ამ ორი-ოდე წლის წინ წერა-კითხვის არაფერი გაეგებოდათ.

— შეადგინე დეპეშის ტექსტი, — უთხრა ჭუმბურიძემ ნიკოს, — ამ საღამოსვე გავგზავნოთ.

ცოტა ხნის შემდეგ დეპეშის ტექს-

ტი მზად იყო. ნიკომ ქალღმერთი თეიმურაზს გაუწოდა.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ, — თეიმურაზმა თვალი მოაცილა ფურცელს და ნიკოს შეხედა, — მეუხერხულემა თქვენი გაწეული შრომის სიხარული მე, განათლების განყოფილების ახალმა გამგემ ვამცნო სახალხო კომისარიატს... დავარღვიოთ სუბორდინაცია და პირადად უპატაკე მარიამ ორახელაშვილს... არაფერი დაშავდება.

— არ იფიქრონ, თითქოს განათლების განყოფილებას მხარი ვუქციეთ...

— მე მინდა, რომ თქვენი სკოლის, პირადად შენი ღვაწლი გამოჩნდეს, ნიკო. ეს ასეა და მოდი მოვლენებს პირდაპირ შევხედოთ. სადაც ჭერ არს, უპატაკოს იმან, ვინც ვადაზე ადრე გააქრა ლენინური ამოცანა, — თეიმურაზი ალგუნებული იყო. მეგობარს მხარზე მოხვია ხელი, — ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვექნება სასიხარულო.

ის იყო, შინ წასასვლელად ემზადებოდა ტელეგრაფისტი ქალი, ფოსტაში შემოსული ნიკო მასწავლებელი რომ დაინახა. ტელეგრაფისტის შვილი მის სკოლაში სწავლობდა და ისევე, როგორც ბევრი ქუთაისელი, თაყვანს სცემდა ნუცუბიძეს.

— ასე გვიან რამ შეგაწუხათ, ბატონო ნიკო? — შეიკბადა ქალმა. მაგრამ შესაცხადებელი ვერაფერი შეატყო გაღიმებულ კაცს.

— ბოდიშს ვიხდი... შეიძლება დახვალ... მაგრამ უკეთესია დღეს თუ გავგზავნით ამ დეპეშას... ბოდიშს ვიხდით...

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ნიკო... თქვენი გულისთვის ვინ რას დაიზარებს. — ქალმა დეპეშა გამოართვა და ჩაიკითხა, მერე ღიმილით შეხედა, — ო, ასეთი დეპეშის დაგვიანება მართლაც არ შეიძლება...

ცოტა ხნის შემდეგ ტელეგრაფი თბილისის ხაზზე გადასცემდა:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განათლების სა-

ხალხო კომისარს ამხანაგ მარიამ ორახელაშვილს...“

დიდი იყო სწავლის წყურვილი. გარდა იმისა, რომ ხელისუფლება ისწრაფვოდა მასების განათლების, კულტურული და სწავლული ადამიანების აღზრდისათვის, მასებმაც თავისებური ენთუზიაზმით უპასუხეს პარტიისა და მთავრობის ამ ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავს.

გასაკეთებელი ბევრი იყო. ჭერ მხოლოდ კონსტრუქციები ისახებოდა იმ მიზნებისა, რაც უნდა განხორციელებულიყო. 1927 წლისათვის მრავალ სოფელში გაიხსნა შეიღწელები.

დასავლეთ საქართველოს სოფლის ახალგაზრდობა ქუთაისს მოაწყდა. სასწავლო წლის დასაწყისში ნიკო ნუცუბიძის სახელზე უკვე ექვსასი განცხადება შევიდა, სულ კი ორასი მოსწავლე უნდა მიეღოთ მერვე კლასებში.

თავსატები გაუჩნდა ნიკოს, საბუთებისა და შეიღწელების ნიშნების მიხედვით არჩევდა უკეთესთა შორის უკეთესს, რომ აქამდე წარჩინებით მოსული ყმაწვილი არ დაჩაგრულიყო, ნიჭიერი სკოლის გარეშე არ დარჩენილიყო. კაცი იმასაც კი ცდილობდა, როგორმე პირადად შეხვედროდა ამ ყმაწვილებს; პირადად გასაუბრებოდა, რომ არჩევანში არ შემცდარიყო. ძნელი, ძალზე ძნელი ამოცანის წინაშე იდგა. სასწავლო წელი უკვე კარზე იყო მომდგარი.

მასწავლებელთა შერჩევის პრინციპი ნიკოსთვის იგივე იყო, რაც იოსებ ოცხელმა დაამკვიდრა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. მასწავლებელი არა მარტო თავისი საგნის მტკიცე მცოდნე, არამედ ყმაწვილთა კეთილი აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწე უნდა ყოფილიყო. შეიძლება საზოგადოებრივ საქმიანობაში დიდად არ გამობრწყინებულიყო, მაგრამ საგნის ღრმა ცოდნა და აღმზრდელის ტაქტი და უნარი კუთვნილად სამაგალითო უნდა ჰქონოდა.

სკოლების მომრავლებამ, პედაგოგთა

კადრების ნაკლებობამ, ცოტა არ იყოს, დაარღვია ეს მოთხოვნილება, მაგრამ ნიკო მაინც ცდილობდა დაეცვა სკოლის ტრადიცია.

მასთან საკონსულტაციოდ, რჩევა-დარიგებისათვის სხვა სკოლებიდანაც მოდიოდნენ დირექტორები, მასწავლებლები, მშობლები. რაც დრო გადიოდა, იგი ქუთათურებში მეტსა და მეტ სახელს იხვეჭდა. სახელი კი, მოგეხსენებათ, ძალზე მშიმე ტვირთია.

უკვე ვაკრახანის დირექტორი იყო ივანე ვაშაქიძე, კარგ ხელმძღვანელად ითვლებოდა, მაგრამ ნიკო მაინც ყოველთვის სჭირდებოდა. მისი კონსულტაციები, რჩევანი ბევრ რამეში გამოადგა. როგორც კი რამეს ახალს წამოიწყებდა, აზრს უთუოდ ნიკოს დაესახებოდა. ნიკოს უყვარდა ეს კაცი. უყვარდა გულწრფელობისათვის, ყოველდღიური რუღუნებისათვის, დაუღლე შრომისა და წარმატებებისათვის, რითაც მისი სკოლა სახელოვნად გამოდიოდა. ამ ურთიერთობამ ისინი დაამეგობრა. ნიკოსაც არაერთხელ წასდგომია ივანეს კეთილი სიტყვა.

ვაშაქიძეს უყვარდა ძველი გიმნაზიის შენობაში ფეხის შედგმა, სადაც ძალას, სივრცესა და შუქს გრძნობდა. ნიკოსთან დღის ბოლოს არჩევდა მისვლას, როცა მოწაფეები გაიფანტებოდნენ და სკოლის კედლებში მდუმარება დაისადგურებდა. ამ დროს მეგობრები წყნარად დასხდებოდნენ კაბინეტში და მოჰყვებოდნენ სკოლის სასიხარულო თუ საჭირბოროტო ამბებს. ივანეს განსაკუთრებით თავისი სკოლის შენობის უვარგისობა და პედაგოგთა ნაკლებობა აწუხებდა. მძიმე ჰაპანს ეწეოდა. ნიკოს მანუეგშებელი სიტყვა გულს უკეთებდა.

ერთ საღამოსაც ეწვია თავის მეგობარს, კაბინეტის კარი შეაღო.

— შეიძლება, ბატონო ნიკო? — იგი ყოველთვის ასე მიმართავდა თავის უფროს მეგობარს.

— მობრძანდით, მობრძანდით, — თქვენობით მიმართვას არც ნიკო იშ-

ლიდა, თუმცა ეს ოფიციალურბრძანება თავაზიანობა სრულიადაც არ ბოჭავდა მათ თბილ, კეთილ მეგობრობას.

ნიკო ჩვეულებისამებრ კართან მიეგება სტუმარს, ხელი ჩამოართვა და მიიწვია.

კაბინეტში მათ გარდა იყო მოსწავლეთ, იგი მხრებაწურული იდგა. ეტყობა ივანეს მოსვლამდე რალაც სერიოზული ლაპარაკი ჰქონდათ დირექტორსა და მის მოწაფეს...

— ბოდიშს ვიხდი, ხელი შევიშალეთ, — ივანემ ნიკოს მიმართა.

— მამაკაცები დასხდნენ. ნიკომ ბიჭს შეხედა.

— მახსოვს, როგორ იკლავდი თავს, ერთი სული გქონდა, ჩაირიცხებოდი თუ არა ჩვენთან... არც ურიგოდ სწავლობდი... ხუთოსანი ხარ. და უცებ გეტოვებ.

— როგორ?! — ველარ მოითმინა ივანე ვაშაქიძემ და უნებლიედ ჩაერია საუბარში, — სკოლიდან აპირებს წასვლას?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ასეა, — თავი გააქნია ნიკომ, — დედა არა ჰყავს, მამა ხელმოკლე, ავადმყოფი კაცია... უჭირს... არადა, ბრწყინვალედ სწავლობს, სამაგალითო ბიჭია.

— სადაური ხარ, ბიძიკო? — ჰკითხა ვაშაქიძემ.

— ბზვანიდან ვარ, ბატონო, შალვა კანდელაკი.

— კარგი ბიჭი ყოფილხარ და... იქნებ ბოლომდე მაინც...

— არა, არა, — ხელი გააქნია ნიკომ და წამოდგა, — მე შენ სკოლიდან ვერ გაგიშვებ. ნუ გეშინია, მე გაგიწევ მამაშვილურ დახმარებას, ორი შეილი მყავს, მესამე შენ იქნები. წამოდი ჩემთან, კუკურისთან და ზურაბთან იყავი, მათთან ერთად...

ნიკო ბიჭს მიუახლოვდა და თავზე ხელი გადაუსვა. ბიჭს თვალში ცრემლი მოერიო, მაგრამ თავი შეიკავა და ენაჩაყარდნილი მისჩერებოდა ნიკოს, რომელიც არანაკლებ ააღელვა მისმა ყისმათმა.

იმავე საღამოს შალვა ნინოს წარუდგინა. თორმეტი წლის კუკური და შვიდი წლის ზურაბი გაკვირვებული უყურებდნენ მათზე ბევრად უფროს შალვას, რომელზედაც მამა დედას ეუბნებოდა:

— შენი მესამე შვილი იქნება, ნინო. აბა, შენ იცი, არ დააკლო ზრუნვა და ალერსი. ჭკვიანი და ნიჭიერი ბიჭია, დედით ობოლი...

— როდის მოგიკვდა დედა, შვილო?

— ნინომ მგრძნობიარედ შეხედა ბიჭს.

— კარგა ხანია... მამა მზრდიდა.

— მოდი, გენაცვალე, აგერ კუკური და ზურაბი, შენი ძმები იქნებიან. — დედამ თავის შვილებს შეხედა, — ხომ გინდათ კიდევ ერთი მამა, ბიჭებო?

— გვინდა, კი გვინდა, დედა, — თქვა კუკურმა ხალისიანად.

ზურაბი კი ჩუმად და ქვეშ-ქვეშ უყურებდა ოჯახის შემომატებულ წევრს.

ბედი ზოგჯერ საწყალი კაცისთვისაც სასიკეთოდ დაბერავს, თუ ეს ქარი კეთილი ადამიანის გულიდანაა წამოსული.

მზრუნველმა მამობილმა ბოლომდე მისდია შალვა კანდელას. ჭაბუკმა დამთავრა სკოლა, ამავე სკოლაში დაინიშნა მასწავლებლად, შემდეგ ქუთაისის მეოთხე საფაბრიკო-საქარხნო შეიღწლიანი სკოლის დირექტორად დააწინაურეს. ნიკო ნუცუბიძე გახარებული იყო თავისი შვილობილის ზვედრით. ერთხელ დიმიტროვა და უთხრა:

— ვხარობ, რომ ჩემი აღზრდილი ასეთი თანამდებობის კაცია, მაგრამ, იცოდე, შალვა, საბოლოოდ უმაღლეს განათლებაზე უნდა იფიქრო.

ახალგაზრდა კაცმა არა მარტო იფიქრა, აღმზრდელის რჩევა ყურად იღო, მოსკოვში გაემგზავრა და სწავლა განაგრძო. სტუდენტობისას ხშირად მოსდიოდა ნიკო ნუცუბიძის მამობრივი სიტბოთი საესე წერილები და შიგ ჩაკეცილი ფულიც.

...მოგვიანებით, ომის მრისხანე წლებ-

ში შალვა კანდელაკი ლავრდების განათლების განყოფილებაში გამგედრობდა. ამ დროს რაიონის პარტიულ ორგანიზაციას სათავეში ედგა ნიკოს უმცროსი მამა შალვა ნუცუბიძე.

1928 წელს გარდაიცვალა სილოვან ხუნდაძე. ნამაგარი კაცი მთელმა ქუთაისმა დაიტირა. განსაკუთრებით დამწუხრებული იყო ნიკო, რომელმაც დაკარგა უფროსი მეგობარ-მასწავლებელი, კეთილი მრჩეველი და ნათელი პიროვნება, თავისებურ ეშხს რომ სდებდა სკოლას. მრავალი წელი დასჭირდა, შეჭკუებოდა დიდი ოცხელის დაკარგვას, სილოვანმა ახალი კრილობა გაუჩინა გულს.

ის დღეები დაღვრემილი და ენაჩავარდნილი დადიოდა ნიკო. სკოლაში ადრე თუ გვიანობამდე რჩებოდა აუარება საქმეში ჩაფლული, ახლა მარტო ველარ სძლებდა და დარდს შინ კუკურისთან, ზურაბთან და ნაშვილებ შალვასთან იქარებდა.

იმ წელს სასწავლებელს კიდევ მოაწყდა დიდძალი ნაკადი. ისევ ჰირდა მოსწავლეთა შერჩევა მერვე კლასებისათვის. შესარჩევად მარტო შეიღწლიანის ატესტატი არ კმაროდა, რადგან ბევრი მოსწავლის ცოდნა არ შეესაბამებოდა იმ ნიშნებს, რომლებიც გულუხვად გაემეტებინათ სოფელ მასწავლებლებს. ეს ყველაფერი გასაუბრებიდან გამოჰქლავდა. ვაჟთა და გოგონათა გამოცდის ეს ფორმა ნიკომ შემოიღო და როგორც საქმემ დაარწმუნა, სწორადაც მოიქცა. გასაუბრებას პირადად ესწრებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ნიკო თავის მეგობარ მასწავლებელს დიმიტრი ლორთქიფანიძეს ესტუმრა. დროგამოშვებით, შებინდებისას, დიმიტრისას თავს იყრიდნენ მასწავლებლები ივანე კუჭუხიძე, დომენტი თომაშვილი, მეჭიხელიძე და სხვები. ყველას მიუხაროდა ამ ოჯახში, სადაც ქალბატონი ანეტა, დიმიტრის მეუღლე, ყოველთვის



სტუმართმოყვარე მასპინძლის გულუხვობით ხედებოდა ქმრის მეგობრებს. ოჯახი მამინ გამოცოცხლებოდა, როცა მასწავლებლები მაგიდას მიუსხდებოდნენ და სანამ ანეტა რაიმეს მოართმევდა, გაჩაღდებოდა სწავლულ მამაკაცთა გონივრული კამათი ისევ და ისევ სკოლაზე, სწავლების მეთოდებზე, ეხებოდნენ ცალკეულ საგნებსაც, განსაკუთრებით კი ისტორიას, რომლის სწავლების საკითხი ყველას აწუხებდა.

სტუმართაგან ყველაზე ახალგაზრდა ნიკო იყო.

ქალბატონი ანეტა სუფრას დასტრიალებდა. ზოგჯერ შეჩერდებოდა და მოკამათეთ ყურს მიუხედებდა. კამათი წრეს არ სცილდებოდა. ეს იყო დიწკი მამაკაცების ისეთი პაექრობა თითქოს ისინი მოსწავლეებს გაკვეთილს უხსნიდნენ. ერთ რამედ ღირდა მათი მოსმენა!

— მადროვეთ, მადროვეთ...

— სცდებით, გეთაყვა!

და ეს სიტყვებიც ურთიერთპატივისცემითა და მოკრძალებით გაისმოდა.

როცა სუფრა გაიშალა, ოთახში, სადაც თავი მოეყარათ პედაგოგებს, შემოვიდა ყმაწვილი. იგი სუფრას არ გაპკარებია, თავშეყრილთ მორიდებით მიესალმა და კარადას მიაშურა.

— ყმაწვილო! — მიიხზო ნიკომ.

— ჩვენი სკოლის მოსწავლეა, ნიკო, — მიუგო დიმიტრი ლორთქიფანიძემ, — ანეტას ძმის შვილი.

სანამ ვლადიმერი ნიკოს მიუახლოვდებოდა, ანეტაც შემოვიდა, სინით შემწვარი ხორცი შემოიტანა.

— ეს რა კარგი ძმისშვილი გყოლიათ, ქალბატონო ანეტა, — შეუქო ყმაწვილი ნიკომ.

— ენაცვალოს მამიდა! ნიჭიერი ბიჭია... არ შეგარცხვენთ, ბატონო ნიკო! — გაიბადრა ანეტა, სინი მაგიდაზე დადგა.

— თქვენ კი ერთი სიტყვაც არ გითქვამთ, — ახლა დიმიტრის მიუბრუნდა ნიკო.

— ყმაწვილს თავად შეუძლია გავკვიროს ლიოს გზა... ამის იმედი მაქვს. სოფლის სკოლის ბარობაზე ათმაგად უკეთაა მომზადებული... პირში ვაქებთ, მაგრამ იმედია ამ ქებას ჩინებული მამულიშვილური სამსახურით უპასუხებს. ასე არ არის, ვლადიმერ?

ყმაწვილს ლოყები აეწვა, თავი მორცხვად დახარა და ხმადაბლა თქვა:

— ასეა, ბიძია დიმიტრი!

ვლადიმერ ჭაველიძე აქტიურად ჩება სკოლის ცხოვრებაში. სკოლაში, სადაც პარტიის ერთი წევრი იყო, ძირითად პოლიტიკურ ბირთვის კომკავშირი წარმოადგენდა. კომკავშირებს სათავეში ვალიკო შეანგირაძე ედგა, მოძრავი, სიცოცხლით სავსე და სწავლას დაწვებული ყმაწვილკაცი. ნიკოს იგი ძალიან უყვარდა და როგორც მოსწავლეთა და კომკავშირის წარმომადგენელს ყველა პედსაბჭოს სხდომაზე ისწრებდა. მას მოსწავლეთა წარმომადგენლის აზრი აინტერესებდა, კომკავშირელებს ფართო გასაქანს აძლევდა, რათა სკოლის საქმიანობაში უფრო მეტი და მეტი აქტიურობა გამოეჩინათ. ცხოვრების ახალი, საბჭოური წესის დამკვიდრება იმ დროს ათას წინააღმდეგობას აწყდებოდა, წვრილბურჯუაზიული და კულაკური წრეები მალულად თუ აშკარად მოქმედებდნენ.

ნიკოს მოსწონდა კომკავშირელთა ბევრი სასარგებლო წამოწყება. ისინი მარტო სკოლის ცხოვრებით როდი იფარგლებოდნენ, დიდი ღვაწლი დასდეს წერა-კითხვის უცოდინართ, აგიტმასობრივ მუშაობას ეწეოდნენ ახლომახლო უბნებსა და სოფლებში... ერთი სიტყვით, ეს იყო ძალა, რომელსაც ნიკო ენდობოდა და რომლის სახითაც იგი ბევრ სასარგებლო საქმეს ხედავდა.

ერთხელ კომკავშირელებმა სასკოლო კედლის გაზეთში ერთ-ერთი მასწავლებლის შვილი გააკრიტიკეს. რასაკვირველია, ეს ამბავი ნიკოსთვის არასასიამოვნო იყო და სანამ იგი რამეს მოი-

ფიქრებდა, გაეცხლებული მასწავლებელი ქალი დირექტორთან შეეპარდა.

— აი თქვენი კომკავშირელები! — გააკიოდა იგი, — გადაუსვით თავზე ხელი, გაათამამეთ... თავზე დაგვასვით! ბატონო ნიკო, მე ამას ასე არ დავტოვებ... არა, არა!

— დამშვიდდით, ქალბატონო ქეთო... ყველაფერს გაეარაკვევთ.

— რას, რას გაარაკვევთ, როცა ჩემ შეილს თავი მოსტრეს და საქვეყნოდ გამოაჰყენეს! იქნებ პოლიტიკური სარჩულიც დაუღონ და დააჭერინონ?!

— დაწყნარდით, საქმეს მოვევლება...

— ნიკო ცდილობდა როგორმე დაემშვიდებინა აღელვებული ქალი, მაგრამ იგი კვლავ გაშმაგებული იყო.

ამას ისიც დამატა, რომ გაკრიტიკებულმა ყმაწვილმა გაზეთი ჩამოხია.

ნიკომ შექმნა კომისია, რომელიც დაწვრილებით გამოიკვლევდა საქმის ვითარებას. კომისიაში შევიდნენ სკოლის კომკავშირის უჭრედის მდივანი ვალიკო შვანგირაძე, რამდენიმე აქტიური კომკავშირელი და მათ შორის ვლადიმერ ჯაველიძეც. თათბირი დირექტორის კაბინეტში დაინიშნა. ვლადიმერი კაბინეტში შესვლას ვერ ბედავდა. ნიკომ ხელი მოჰკიდა და შეიყვანა.

— ჩვენ აქ მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი, შენ კი როგორ მორცხვობ! — უსაყვედურა ნიკომ ვლადიმერს.

ვლადიმერი სკამზე ჩამოჯდა, მაგრამ გულის ფეთქვა ვერაფრით დაიოკა. იგი ყურს უგდებდა თავის მეგობარ კომკავშირელებს, რომლებიც გაცხარებით ლაპარაკობდნენ ამხანაგის დანაშაულზე, მის ზედმეტ სითამამეზე, გოგონებთან არამეგობრულ დამოკიდებულებაზე, იმაზე, თუ როგორ დასცინოდა იგი კომკავშირელებს, როცა ისინი რომელიმე საქმეზე დარაზმულად მიეშურებოდნენ.

ნიკო ყურს უგდებდა ახალგაზრდებს და მათი მსჯელობისას სახეზე ისეთი კმაყოფილება ეხატა თითქოს მიავიწყდა განაწყენებული მასწავლებელიც და

მისი გათამამებული შეიღობილნიშნავი შეპყურებდა მგზნებარე ჯაბუყებსა და გოგონებს, რომლებიც ერთმანეთს სცვლიდნენ, ჯანსაღი, გამართული აზრი პირიდან პირზე გადადიოდა და ახალგაზრდულ ცეცხლს ანთებდა.

ნიკო ზოგჯერ თვალს გააპარებდა ვლადიმერ ჯაველიძისკენ, მორცხვად, თავისთვის წყნარად რომ იჯდა, მაგრამ თვალბეჭდში ეტყობოდა, შინაგანი ცეცხლით რომ ენთო.

ნუთუ ასე იჯდება ბოლომდე? ნიკომ შეხედა ვლადიმერს. ამ დროს კაბინეტში დუმილი იყო გამეფებული. ნიკოს შემოხედვა ვლადიმერმა ისე გაიგო, რომ მისგან სათქმელს ელოდნენ.

— თუ შეიძლება, — როგორც კლასში ხელი ასწია ჯაველიძემ. ნიკომ უყოყმანოდ, ღიმილით დაუქნია თავი.

— მე ერთი რამ მივიჩნის, — მხრები აიჩეჩა ვლადიმერმა, — კაცი როგორ არ უნდა უფრთხილდებოდეს დედის სახელს, თავი რომ დავანებოთ პირად ავტორიტეტს... სამწუხაროა, მაგრამ მე არ შემიძლია არა ვთქვა... იქნებ სჯობს, რომ გავჩუმდე?.. არ ვიცი... — უხერხულად შეწრიალდა ვლადიმერი და ნიკოს შეხედა.

— თქვი, ვლადიმერ, თქვი, რაც სათქმელია, — უთხრა ნიკომ, — მოსარიდებელი არაფერია. მოგვხსენებთ, სკოლა აღმზრდელითი დაწესებულებაა და არა დამსჯელი ორგანიზაცია. ვთქვათ, ვილაპარაკოთ, დავსახოთ გზები, რომ ჩვენი ამხანაგი გამოვასწოროთ. ეს კეთილშობილური საქმეა და თუკი რამ კეთილი აზრი დაგვებადება, ვთქვათ, გულში ნუ შევიწინაბავთ, იქნებ რამეში გამოგვადგეს... თქვი, ვლადიმერ!

ვლადიმერ ჯაველიძე ჭოჭმანობდა, აშკარად მერყეობდა, ეთქვა თუ არ ეთქვა ის, რაც აწუხებდა. წუხილი კი აშკარად დაეტყო.

— მე რა უფლება მაქვს მასწავლებელს ვკადრო...

— მასწავლებელს? რაო, რა მოხდა?
— დაინტერესდა ნიკო.

— დედამისზე მოგახსენებთ, პატივ-
ცემულო დირექტორო...

ნიკო ამჯერად მდუმარედ მიაჩერდა. ცალკერძ ყმაწვილის თავშეკავება მოეწონა, ცალკერძ ისიც აინტერესებდა, გულში რა ედო მას, რის თქმას ვერ ბედავდა, რა სიტყვას არ ჰკადრებდა მასწავლებელს.

— თქვი, ვლადიმერ, — შეუძახა ვალიკო შვანგირაძემ, — მოსარიდებელი არაფერი გვაქვს.

— იცით რა, — გაბედა ჯაველიძემ, — ცოტა უხერხულია ისიც, დედა თავის დამნაშავე შეიღს რომ იცავს... მასწავლებელი გაგვიბრაზდა, ძალიან გაგვიბრაზდა და ჩვენს კომკავშირულ უჯრედს ცილისმწამებელთა ბრბო უწოდა... მაპატიეთ, მაგრამ გული მეტყინა... და თუ ასე გაგრძელდა, მაშინ ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება ამხანაგის გამოსწორება.

— სწორია ვლადიმერი! — წამოიძახა შვანგირაძემ.

იქით მერვეკლასელი ჭიჭინაძე წამოიქრა ფეხზე, აქეთ გარდაფხაძე და ფერაძე...

— დაწყნარდით, ყმაწვილებო, — წამოღდა ნიკო და ყოყლოჩინა მამლებივით შემართულ კომკავშირელებს გადახედა, — თქვენ ახლა პატარები არა ხართ... თქვენი კომკავშირული უჯრედი ჩვენი სკოლის საიმედო ძალაა, ამიტომ მე თქვენთან დასამალი არაფერი მაქვს და გეტყვით, რომ ჭალბატონი ქეთევანის საქციელი მეც ძლიერ მტკენს გულს... თქვენ მაინც თქვენი ამხანაგის ბედი გაწუხებთ — მე უფრო მეტი... გატყობდით, რომ ბევრის თქმა გეწყდათ, თავს იკავებდით, ისევე, როგორც ვლადიმერი... საწყენი ამბავი მოხდა... მაგრამ მე მჯერა, რომ თქვენი ასეთი შემართებით, ჯანსაღი. პარტიული, კომუნისტური სულით, ბევრ პრობლემას გადავჭრით... მაგრამ გთხოვთ, ყმაწვილებო, კვლავაც ასეთი ტაქტით, ზომიერად, ყოველგვარი ყოყლოჩინო-

ბის გარეშე მივხედოთ ჩვენს ვაშროვნის წორებულ საქმეებს.

როცა ყმაწვილები დაიშალნენ, ნიკო ერთხანს მარტო იჯდა კაბინეტში და გონების თვალთვლით ერთხელ კიდევ ავლებდა მზერას მათ, ვინც, ცოტა ხნის წინ აქ, ამ პატარა ოთახში იყვნენ და მგზნებარედ ლაპარაკობდნენ ადამიანურ სიწმინდეზე.

მასწავლებლის საკითხი კი გადაუდებლად მიაჩნდა. სკოლის გარეშე ასეთ პედაგოგს ვერ იგუებდა. ნიკოს ღრმად სწამდა ერთი მცნება, რომ ადამიანები პედაგოგებად კი არ იზრდებიან — იზადებიან. პედაგოგი ის ფენომენია, რომელიც ყველა ადამიანურ სიკეთესთან ერთად, დიდ განათლებასთან, დიდ ჰუმანიზმთან, არტიტიზმთან, რალაც დიდ სულიერ ცეცხლსაც უნდა ფლობდეს, იმ უჩინარ, უხმაურო, მაგრამ მოგონვზე ცეცხლს, გულიდან გულში რომ გადადის, ბავშვს რომ კაცად აქცევს, კაცს კი ღვთაების ტოლფასად — სამყაროს გამგებად, ქვეყნის მუშევად.

მასწავლებლის სახელი, მისი ღირსება ნიკოსთვის ძვირად ფასობდა. მომხდარი ინციდენტი კი კიდევ ერთხელ უფორიაქებდა გულს, საღ, როდის შესცადა, როდის გამოჩა ის, რამაც ფეხი აიღგა და შემზარავი ბოლო გამოაჩინა!

ნიკომ კატეგორიულად დააყენა საკითხი ამ მასწავლებლის სკოლიდან დათხოვის შესახებ. მას ცხოვრებაში ბევრჯერ სტყენია გული და ამჯერადაც ატკინეს, მასწავლებელი სკოლაში დაუტოვეს.

მართალია ერთგული უზნეო ადამიანები ვერ ქმნიან ამინდს, მათ არ შეუძლიათ წარმოადგინონ კოლექტივის სახე, მაგრამ დიდი ზიანის მოტანა კი შეუძლიათ. ასეთი ადამიანის გაკარება პედაგოგიურ ასპარეზზე ნიკოს დიდ უბედურებად მიაჩნდა. ცდილობდა ყოველთვის ტაქტიანად მოეელო და თავისი ასეთი თავდაპერილობით, შინაგანი, ფარული ძალით, კიდევ აღწევდა ბევრ

სიკეთეს. უხაროდა ახალგაზრდების წინსვლა, განათლებისაკენ დაუცხრომელი სწრაფვა და განსაკუთრებით კომკავშირელების ცოცხალი საქმე. ნიკო არ იყო პარტიის წევრი. ცოდვა გატეხილი სკოზია და ერთხანს კომკავშირელებსაც ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება. მათ კარგახანს საკუთარი კუთხეც არ გააჩნდათ სკოლაში, ხან რომელ საკლასო ოთახში იკრიბებოდნენ, ხან რომელში. ერთხელ დირექტორი მიიწვიეს კრებაზე. პრეზიდიუმში სკამი დაუდგეს. რამდენჯერაც შეინძრა ნიკო, იმდენჯერ სკამი საშინლად აპრიალდა.

— რა უბედურება სჭირს! — თქვა დირექტორმა. სკამი უმალ შეუცვალეს. არც ის გამოდგა მაგარი. ისიც ჭრიალებდა.

ვლადიმერ შვანგირაძემ და ნოე უგულავამ ერთმანეთს ღიმილით გადახედეს და მერე ერთმა მათგანმა დირექტორს მიმართა:

— აი, ასეთი ჭრიალ-ჭრიალით მიდის ჩვენი საქმე, პატივცემულო დირექტორო.

ნიკოსაც გაეღიმა. ეს იყო იმ კაცის ღიმილი, რაღაცაში დანაშაულს რომ იგრძნობს და ასე, უსიტყვოდ, გულწრფელი, ნაღვლიანი ღიმილით გამოხატავს. ის დღე იყო და ის დღე, ნიკომ ოთახიც გამოუქმებნა კომკავშირელებს და ფეხმაგარი სკამებიც დაუდგა.

მოზარდი ადამიანის ბედზე ზრუნვა ნეტუბიძისათვის თვითმიზანი კი არა, მისი მოღვაწეობის არსებითი წყარო იყო. ყველას ერთად კი არა, ცალცალკე ყველას! — აი როგორ ანაწილებდა იგი ყურადღებას, მზრუნველობას, ცოდნასა და გამოცდილებას. ამ მრწამსის, ამ დევიზის ერთგული დარჩა იგი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე. ამიტომ იყო კარგად რომ იცნობდა ადამიანებს, აღსაზრდელებსა და აღზრდილებს.

1930 წლის სასწავლო წელი ახლოვ-

დებოდა. ზაფხულის ცხარე დღეები მიიწურა. პედაგოგები ყოველდღიურად იკრიბებოდნენ სკოლაში. იყო გაცხოველებული მზადება. პედსაბჭოს სხდომებს სამასწავლებლოში ატარებდნენ. ეს იყო დიდი და გრილი ოთახი. იკრიბებოდნენ სადამო ხანს, როცა ქუთაისის რიონის გრილი სიო ჩამოურბენდა.

ერთ დღეს ნიკო განათლების განყოფილებიდან სკოლაში მივიდა. ქალაქში ამ დროს პაპანაძეება სიცხე იყო და როცა სკოლის ძველი შენობის სადარბაზოში შევიდა, სული მოითქვა, კიბეს აუყვია და შორიდან თავისი კაბინეტის კართან ორი წითელარმიელი შენიშნა. ერთი მაღალი იყო, მეორე დაბალი, თითქმის ბავშვი. და ის მართლაც ბავშვი აღმოჩნდა.

— მე ველოდებით? — ჰკითხა ნიკომ ორივეს.

— დირექტორს ველოდებით. თქვენ ბრძანდებით? — მიმართა ახალგაზრდამ. ყმაწვილი კი შორცხვად იდგა, მაგრამ სიცოცხლით სავეს თვალებს ნიკოს არ აშორებდა.

— მობრძანდით! — კაბინეტში შეიწვია ისინი ნიკომ.

დასხდნენ. სტუმრები ერთხელ კიდევ შეათვალიერა ნიკომ. ყმაწვილს აშკარად ეტყობოდა, იგი ცამეტ-თოთხმეტი წლის თუ იქნებოდა. სამხედრო პირის ოჯახში გაზრდილი კაცისათვის ისედაც ნათელი გახდა, ეს ყმაწვილი უთუოდ პოლკის შვილობილი იყო.

უფროსმა წითელარმიელმა გულისჯიბიდან ქალაღი ამოიღო და დირექტორს გაუწოდა.

ნაწილის სარდლობა სკოლის მესვეურებს სთხოვდა, პოლკის შვილობილი შალვა პროლეტარის ძე კომუნაძე სკოლაში ჩაერიცხათ.

— პროლეტარის ძე კომუნაძე, — ჩაილაპარაკა ნიკომ, რაღაც, მანამდე არსად სმენია ასეთი სახელი და გვარი. შალვას ღიმილით შეხედა, — მამაშენს მართლა ეს სახელი ჰქვია, ბიჭო?

— მამა არა მყავს, ბატონო, — თქვა შალვაძე.

— ასეთი გვარი ქართველებს რომ არა გვაქვს, კომუნაძე?

— ახლავე ყველაფერს ავიხსნი, — წამოიწია წითელარმიელი, — ეს ყმაწვილი, მოგეხსენებათ, პოლკის შვილობილია... ორი წლის იყო, როცა სოფელ პატრიკეთში მცხოვრებმა კალისტრატე ნარჩემაშვილმა რიონის სადგურში იპოვა...

ნიკოს გული შესძრა ამბის დასაწყისში, ყმაწვილს სიბრალულით შეხედა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ბიჭს წითელარმიელმაც გადახედა. შალვაძე იცხდა, თითქოს ამბავი მას არც ეხებოდა, რადგან თავისი წარსულისა მას ბევრი რამ აღარ ახსოვდა, ხოლო წითელარმიელმა ამხანაგმა, ნაწილის კომკავშირელთა უჯრედის თავკაცი რომ იყო, ყველაფერი დაწვრილებით იცოდა.

წითელარმიელმა განაგრძო:

— კალისტრატე ნარჩემაშვილმა ბავშვი შინ წაიყვანა. მასთან ოთხი წელი იყო. შემდეგ, სოფლსაბჭოს გადაწყვეტილებით, მისი აღზრდა ნესტორ ლალიძემ იკისრა. ნესტორმა სოფლის სკოლაში მიიბარა. მეორე კლასში რომ იყო, შალვაძე ქუთაისის მესამე ქართულ მსროლელ ლეგიონში წამოიყვანეს. ლეგიონში მიღებისას, ნესტორ ლალიძის წინადადებით, ბავშვი კომუნაძედ მონათლეს. პატრიკეთში მაშინ კომუნა იყო დაარსებული. ვინაიდან მამის სახელიც უცნობი იყო, ბევრი ფიქრისა და დავიდარაბის შემდეგ „პროლეტარი“ გამოქმენეს. სახელი შალვაძე კი კალისტრატემ შეარქვა. დაბადების წელიც პირობითია 1917 წლის 25 ოქტომბერი. აი, ასეთია ამ ყმაწვილის, ჩვენი ლეგიონის შვილობილის მთელი თავგადასავალი. რა მოგახსენო ჩვენს სარდლობას, პატივცემულო დირექტორო?

— მოახსენეთ, რომ შალვაძე პროლეტარის ძე კომუნაძე მიღებულია ჩვენს სკოლაში. პირველ სექტემბერს გამოცხადდება გაკვეთილებზე. — ნიკომ ერ-

თხელ კიდევ მგრძობიარედ შეხედს ობოლ ბიჭს, რომელსაც ღრმული მოეფინა სახეზე.

შალვაძე კომუნაძე ქარისკაცის ფორმით დადიოდა სკოლაში. გაკვეთილების შემდეგ ყაზარმაში ბრუნდებოდა, ცხოვრობდა ლეგიონის სამნეო ასეულში, ჯარისკაცების ყაიდაზე. ბუჭე დგებოდა, როცა მთელი ნაწილის მეზობლები ხმაურით წამოცვივდებოდნენ, მათთან ერთად ვარჯიშობდა და საუბრობდა. ამის შემდეგ პოლკის შვილობილი სკოლისაკენ გასწევდა, ხოლო წითელარმიელები სასროლეთზე ან პოლიტმეცადინეობაზე მიდიოდნენ.

მთელი წლის განმავლობაში ნიკო თავს ადევნებდა პოლკის შვილობილს. იგი ბეჯითად სწავლობდა, ახალი მეგობრები გაიჩინა, ყაზარმიდან სკოლაში მიუხაროდა, სკოლიდან ყაზარმაში და უკვე სიკაბუკეში ფეხშედგმული ბიჭი გრძობდა, ცხოვრების ჩარხი მის სასიკეთოდ რომ დატრიალდა.

საწყალ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. დიდხანს როდი გასტანა ყმაწვილის სიხარულმა. მეორე კლასში იყო, როცა ქართული ლეგიონი დაიშალა. წითელარმიელები შინ გაუშვეს, მეთაურები სხვადასხვა ქალაქში წავიდნენ-წამოვიდნენ. უზარმაზარ ყაზარმაში მარტო დარჩა თხუთმეტი წლის შალვაძე პროლეტარის ძე კომუნაძე. საარსებო წყარო მთლიანად მოესპო. აღარ თუხთუხებდა ლეგიონის სამზარეულოს დიდრონი ქვაბები, ფურგონებით აღარ მოჰქონდათ სურსათ-სანოვაგე, აღარ იყო ჯამ-ჭურჭლის ჩხრიალი... დუმდა ყაზარმა, მისი დიდი და უკაცრიელი ეზო, ასე უღმერთოდ მიტოვებული და ცხარე ცრემლს ყლაპავდა უპატრონოდ მიგდებული შალვაძე.

და ასე ცრემლიანი ეწვია იგი ერთხელ თავის უკანასკნელ იმედს, ნიკო ნუცუბიძეს.

— რა იყო, რა დაგემართა? — შეიცხადა ნიკომ.

მლელვარებისგან აზრი დაეფანტა

შალვას. ცრემლი მოიწმინდა და როგორც იყო დამშვიდდა.

— ლეგიონი დაშალეს. ახლა მარტოდ-მარტო დავრჩი ყაზარმაში... არც საკმელო მაქვს, არც სასმელი... არ ვიცი რა ვქნა, რა გზას დავადგე...

ნიკომ გულთან მიიტანა ყმაწვილის ყისმათი. მაშინვე გამოიძახა სკოლის ბუფეტის გამგე. სანამ იგი მოვიდოდა, ერთი და იგივე რამდენჯერმე გაუმეორა შალვას:

— ნუ გეშინია, შენს თავს არავის დაეაჩაგვრინებთ!

თან ბოლთას სცემდა ოთახში.

ბუფეტის გამგე შემოვიდა. ჯერ დირექტორს შეხედა, მერე დაღვრემილ ბიჭს. იგი სკოლის ბუფეტში არასოდეს ენახა, თანაც, სამხედრო ფორმით იყო.

— ეს ჩვენი მოწაფეა, შალვა კომუნაძე, — მიმართა ნუცუბიძემ. — დღეიდან ასადილებ და ასაუზმებ სკოლის ხარჯზე. ანგარიშს წარმომიდგენ...

ბუფეტის გამგემ უსიტყვოდ დაუქნია თავი, ხოლო შალვას მიმართა:

— წამოდი!

ბუფეტის გამგემ კარგად იცოდა ნიკოს ხასიათი. როცა სკოლაში მუშაობას იწყებდა, ნიკომ თავიდანვე გააფრთხილა: „ბუფეტში ბაზარი არ გამიმართო!“ ეს სიტყვები ყოველთვის ახსოვდა და მოწაფეებს მოფერებთ ეპყრობოდა, ცდილობდა ხეირიანი კერძი გამეზადებინა.

შალვა წამით შეყოვნდა. ნიკომ მხარზე დაადო ხელი და უთხრა:

— წაპყევი. ისადილე და მერე ისევ ჩემთან ამოდი.

დანაყრებულმა ბიჭმა სულ სხვანაირად გამოიხედა. ორი დღის უსმელუჭმელს თვალში შუქი ჩაუდგა. როგორ ხელად გაუქრა ლეგიონის შვილობილობა, უზრუნველი ცხოვრება! თურმე რა ბედნიერი იყო და ვერ ამჩნევდა. როგორ უმსუბუქებდნენ წითელარმიელები ობლობით მიყენებულ ვაებას! სამხედრო ჩვევები სიმხნევებს მატებდა, მეთათურა ალერსი და სითბო უდღემდა-

მობის ტყვიის უყურებდა, ყმაწვილ-საკმელო ყოველთვის თავისი დრწონე ჰქონდა. ხელიდან წაუვიდა ბედნიერება, მაგრამ ნიკოს კაბინეტში მოღრუბლულ ცაზე ისევ ჩამოანათა იმედის სხივმა.

თურმე რა ცოტა უნდა აღამიანს, რომ წუთით მაინც ბედნიერი იყოს!

ნიკო კაბინეტში დახვდა.

— ახლა უნდა ვიფიქროთ შენს მომავალზე, — უთხრა დირექტორმა და სადღაც წასასვლელად გაემზადა. მალე ისინი ერთად გავიდნენ ქუჩაში. ერთხანს უბრად მიდიოდნენ, მერე ნიკომ უთხრა:

— კომკავშირის ქალაქკომს ვთხოვ, სადმე მოგაწყოს სამუშაოზე, ისე, რომ დილით ისწავლო, ნაშუადღევს კი იმუშაო. შესძლებ?

— შეეძლებ, როგორ არ შეეძლებ... აბა, ყოველთვის სხვის კმაყოფაზე ხომ არ ვიქნები, — წაილაპარაკა ბიჭმა.

მეტი არაფერი უთქვამთ. ნიკომ შალვა კომკავშირის ქალაქკომში მიიყვანა. ქალაქკომის მდივანი დიდის ამბით შეეგება ნუცუბიძეს, აღუთქვა, რომ ყმაწვილს დაუყოვნებლივ მოუძებნიდა შესაფერ სამუშაოს.

ნიკომ გული დაიმშვიდა.

ქალაქკომის მდივანმა მაუდის ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გამოიძახა და შალვა კომუნაძე ფაბრიკაში გააყოლა. ფაბრიკის დირექტორმა ეზოს ერთ-ერთი ჭიშკრის დარაჯობა შესთავაზა. ყმაწვილს ღამის ტენჯამ მოუწია, დილით კი, გამოუძინარი, სკოლაში მიდიოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ნიკომ საკმის ვითარება გამოჰკითხა შალვას, შეატყო, რომ იგი რაღაცას უმაღლავდა, ყმაწვილს უძილობა და მოქანცულობა აშკარად ეტყობოდა.

— სამუშაო მოგცეს?

— მომცეს, პატივცემულო მასწავლებელო... კარის დარაჯი ვარ...

— ბიჭოს, გამოუძებნიათ თანამდებობა! — ჩაიციხა ნიკომ და ყმაწვილს

თვალეში ჩააცქერდა, — ღამით დარაჯობ?

— ღამით.

მაშინ კი იფეთქა ნიკომ, ხელი მაგიდას დასცხო. სწორედ ამ დროს შემოესწრო დომენტი თომაშვილი.

— რა მოხდა, ბატონო ნიკო? ამ ყმაწვილმა რაზე დააშავა?

— ამას დაუშავეს!.. დაუშავეს, დომენტი ბატონო!.. ცხოვრებამ ცალკე დაჩაგრა და ახლა, რაც ბუნებამ დააკლო, ადამიანები უმატებენ... არაკაცები, ხისთავები, უგუნურები!... ვთხოვე, სამსახურში მოეწყოთ, ლუკმაპური ჰქონოდა. ადგნენ და მაულის ფაბრიკის კარის დარაჯად დააყენეს, ღამით ამორიგებენ... გაგიგონიათ?!

— ყმაწვილს ასეთი სამუშაო ნამდვილად არ შეფერის... რაზე ვიღონოთ, ბატონო ნიკო, — შეწუხდა დომენტი თომაშვილი და თანაგრძნობით შეხედა შალვას, რომელიც თავს ძლივს იკავებდა და ძილი ერთ რამედ უღირდა. მერე მივიდა, მოეფერა და უთხრა:

— რამეს ვიღონებთ, შენს თავს არავის დავაჩაგვრინებთ.

და მართლაც, ამის შემდეგ დომენტი თომაშვილის ყურადღებაც არ მოჰკლებია.

შალვა ავად გახდა, საავადმყოფოში მოათავსეს. ნუცუბიძე და თომაშვილი ყოველდღიურად მიდიოდნენ მის სანახავად, ხან რას მიუტანდნენ, ხან რას, სითბოს და ნუგეშს არ აკლებდნენ. ყმაწვილიც ყოველდღიურად მოუთმენლად ელოდა იმ წუთებს, როცა ეს ორი კაცი ერთად შემოაღებდა პალატის კარს და მისკენ ღიმილით გამოეშურებოდნენ.

ასეთმა თბილმა ურთიერთობამ დიდხანს გასტანა. შალვა კომუნაქემ ნუცუბიძისა და თომაშვილის შემწეობით სკოლა წარჩინებით დაამთავრა, ქუთაისიდან თბილისში ჩამოვიდა და უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა.

შორს, ძალიან შორს წავიდა ის დრო. შალვა ახლა ხანდაზმული კაცია,

კულტურის სამინისტროს უერთგურთო პასუხისმგებელი მუშაი. ჰოცა ცრისაყმაწვილეს გაიხსენებს არ შეიძლება ამ ზმანებას არ მოჰყვეს ნიკო ნუცუბიძის სახე. გულში ტკივილი იღვიძებს...

ჯერ კიდევ 1925 წელს ქუთაისში შეიქმნა უმაღლესი სასწავლებელში შემსვლელთა მოსამზადებელი კურსები. მიიწვიეს იმეამად ქალაქში მყოფი თვალსაჩინო პედაგოგები. მოსამზადებელ ჯგუფს მათემატიკის მასწავლებელი ვარლამ ლეჭენიძე ხელმძღვანელობდა. როცა ჯგუფი მეცადინეობას შეუდგა, აღმოჩნდა, რომ ისტორიის მასწავლებელი აბიტურიენტთა ცოდნას წინ ვერ წასწევდა, მომზადება აკლდა. ჯგუფმა ერთხმად მოითხოვა ნიკო ნუცუბიძე.

აბიტურიენტების გარდა ნიკოს გაცივითილებს გარეშე მსმენელიც ბევრი ესწრებოდა, ესწრებოდნენ სხვადასხვა სკოლის ისტორიის მასწავლებლები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა.

პირველი ჯგუფის მეცადინეობის შემდეგ ხუთი წელი გავიდა. ერთხელ ნიკო განათლების განყოფილებისაკენ მიეშურებოდა, ბულვართან ერთი ახალგაზრდა შენიშნა. უმაღლესში შემსვლელ აბიტურიენტთა პირველი გამოშვება გაახსენდა.

— გამარჯობა, მახათაძე!

— გაგიმარჯოთ, პატივცემულო ნიკო მასწავლებელო! — შეცბუნდა მახათაძე. იგი არ მოელოდა, რომ ამდენი ხნის გავლის შემდეგ, ნუცუბიძე შეიცნობდა. სულ რაღაც, ორიოდე თვეს ასწავლიდა. ალბათ დაამახსოვრდა იმიტომ, რომ მიხეილ მახათაძეს სხვა აბიტურიენტთაგან სიბეჭეთით გამოირჩა. ფიჭრი არ უნდა ასეთი გონების კაცისთვის, როგორიც ნიკო ნუცუბიძე იყო, მეცადინი კაცის გამორჩევა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

— სადა ხარ, რას აკეთებ? — ჰკითხა ნუცუბიძემ, — უმაღლესი თუ დაამთავრე?

— დავამთავრე, პატივცემულო ნი-

ყო... ერთი წელი ჩოხატაურის სკოლაში ვასწავლიდი ქართულ ენასა და ლიტერატურას. ახლა აქ ვადმომიყვანეს, რკინიგზის სააშენებლო სასწავლებელში.

— მაშინვე შეგატყე, საით უშიზნებდი... ჩინებული პასუხი იცოდი, ისეთი, როგორც ჭეშმარიტ პედაგოგს შეშვენის. კარგია, რომ ამ გზას დასდგომიხარ. ახლა ხშირად შეგხვდებით ხოლმე ერთმანეთს. მოხარული ვარ, მოხარული!

კმაყოფილებით დაშორდნენ ერთმანეთს.

შემდეგ რამდენჯერმე განათლების განყოფილებაში შეხვდნენ, ხოლო სულ მალე ეს ახალგაზრდა კაცი თვალთავან დაეკარგა ნიკოს. მოიკითხა. აღმოჩნდა, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო მახათაძე სკოლას ჩამოშორდა.

მძიმე ფრონდიტმა საყვარელ საქმეს ჩამოაცილა მიხეილი. პროფესორმა ასპისოვმა ორჯერ გაუყეთა ოპერაცია, ორჯერვე უშედეგოდ. ორი წელი თავშეხვეული დადიოდა, მერმე ლენინგრადს მიაშურა. ქუთაისში განთქმული ექიმის აკაკი ვაბუნიას რეკომენდაციით ოპერაცია გაუყეთა გამოჩენილმა ქირურგმა ვ. ე. ვოიაჩემა. მაგრამ ლენინგრადიდან მაინც უიმედოდ დაბრუნდა. ახლობლები წუხდნენ, მათ ხელი ჰქონდათ ჩაქნეული, რომ მიხეილის დღეები დათვლილი იყო. სასოწარკვეთილებას მიცემული კაცის გულს ნუგეში მალამოდ არ ედებოდა. მაგრამ სულ მალე გაზაფხული დადგა თუ არა, მოხდა სასწაული — უცებ მოიკეთა. ნათესავ-მოკეთებებს ეს ამბავი ჯერ ცუდად ენიშნათ, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უცაბედი გამოკეთება, ავადმყოფის ფეხზე დადგომა უეჭველი სიკვდილის მომასწავებელი ეგონათ. აჭერად სიკვდილმა უკან დაიხია. თავის ტკივილები მოეხსნა, მის გულს შვება მოეფინა. მალე სკოლას დაუბრუნდა და კარგი მასწავლებლის სახელი აღიდგინა.

1934 წლის სექტემბრის ერთ დღეს

ტექნიკუმში მორიგი გაკვეთის დამთავრების შემდეგ მიხეილ მასწავლებლს მასწავლებლოსკენ გაეშურა. კარი რომ შეაღო, ტექნიკუმის მასწავლებლებთან ერთად მაგიდას ნიკო ნუცუბიძეც მოსჯდომოდა. რატომღაც ყოველთვის მოკრძალებული იყო ამ კაცისადმი.

ნიკომ უცებ შეასწრო თვალი.

— გამარჯობა, მიხეილ! — მასწავლებლებს მოშორდა ნიკო და მახათაძეს შეეგება.

— გამარჯობათ, პატივცემულო ნიკო. როგორ ბრძანდებით, როგორ ვიკითხოთ? — მიხეილმა ხელი ჩამოართვა.

— საკითხავი მე კი არა, შენა ხარ. რა იყო, რა დაგეშართა, რა სატკივარი იყო ისეთი? ვწუხდი, შეილებს გეფიცები... ახლა როგორ ხარ?

— გმადლობთ, ახლა, არა მიჭირს რა. ყველაფერმა გაიარა.

— სასიამოვნოა! ისიც გავიგე, რომ წარმატებით მოღვაწეობ. ეს მეტად სასიხარულოა, — შემდეგ ხმას დაუწია და თითქმის ჩურჩულით განაგრძო, — შენ გელოდი.

— მე?! მომსახურეთ, პატივცემულო ნიკო... თუკი რამეში გამოგადგებით.

— წინადადება რომ მოგცე, ჩვენს სკოლაში ვადმობვიდოდი?

— განა ასეთი ბედნიერება ყველას ხვედრია?

— მომეცი ხელი!

ასე აღმოჩნდა მიხეილ მახათაძე ქუთაისის მეორე საშუალო სკოლის მეხუთე-მერვე კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. მან რასაკვირველია, იცოდა სად და ვისთან მიდიოდა, იცოდა, რომ ამ სკოლაში უმკაცრესი რეჟიმი და დისციპლინა არა მარტო მასწავლებლებზე ვრცელდებოდა, მასწავლებლებიც ვარკვეულ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ სკოლის საერთო ცხოვრებისა და იმ დიდი საქმეებისთვის, რასაც ისინი თავდადებით ემსახურებოდნენ.

უკვე ორი თვის სამსახურის შემდეგ ნიკო ნუცუბიძემ მიხეილ მახათაძის

მოღვაწეობასაც მიხედა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მიწვეული იყო და ენდობოდა, ზედიზედ სამჯერ დაესწრო გაკვეთილებზე შესამოწმებლად. სამჯერვე გაუფრთხილებლად ეწვია. ჩამოჯდებოდა ბოლო მერხზე და სულგანაბრული უსმენდა მასწავლებელსა თუ მოწაფეებს. გაკვეთილი რომ დამთავრდებოდა, ნიკო ადგილიდან არ იძვროდა, სანამ მოწაფეები მთლიანად არ გაიკრიფებოდნენ კლასიდან. მიხეილი ფეხზე იდგა და უცდიდა უკანასკნელი მოწაფის გასვლას. შემდეგ საკლასო ოთახის კარს მიხურავდა და დირექტორთან მარტო რჩებოდა. ნიკო დინჯად წამოდგებოდა, დაფიქრებული, ოდნავ თავდახრილი გაივლიდა მერხებს შორის მთელ საკლასო ოთახს და მიხეილს მიუახლოვდებოდა. ახლა წინა მერხზე ჩამოჯდებოდა, მიხეილს ხელით ანიშნებდა, ისიც დამჯდარიყო. როცა ასე მოეწყობოდნენ, ნიკო იწყებდა გაკვეთილის ვარჯევას. დეტალურად, დინჯად იხსენებდა ყოველ ნიუანსს, წარმოთქმულ ფრაზას, მოწაფეთა რეაგირებას ახალი მასალის ახსნისას და ხაზგასმით აღნიშნავდა იმას, რაც პედაგოგმა გაკვეთილს დააკლო. მიხეილი, რომელსაც ამ დროისათვის კარგი მასწავლებლის სახელი ჰქონდა, გულდასმით უდგებდა ყურს ნიკოს შენიშვნებს, შემდეგ თავის აზრს მორიდებით გამოთქვამდა და არ შეიძლებოდა გულწრფელი მადლობა არ ეთქვა დარიგებისათვის, იმ რჩევისათვის, რაც შემდგომ გაკვეთილებზე სასიკეთოდ გამოადგებოდა და გრძნობდა, რომ ასეთი საუბრის შემდეგ იგი ერთი საფეხურით მაღლა იწევდა.

ამის შემდეგ ნიკო ნუცუბიძემ ორჯერ მოაწყო მახათაძის საჯარო გაკვეთილი. ეს უფრო მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გაკვეთილები იყო.

ასე ზრდიდა იგი კადრებს. ასე იმალებდნენ კვალიფიკაციას ისინიც, ვინც მრავალი წელი სკოლას შესწირა.

— მუდამ ვახსოვდეთ, რომ პედა-

გოგი ის ადამიანი, რომელსაც უფლებზე ბევრი შეილი ჰგავს, სწორედ იცოდა ამისი თქმა ნიკომ. ამას განსაკუთრებით ხაზს უსვამდა პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. იყვნენ პედაგოგები, რომელთაც ეს ჭეშმარიტება გულში ღრმად ჰქონდათ გამჯდარი. ასეთი იყო მიხეილ მახათაძეც.

ოცდაათიან წლებში ნიკოს დაძმები ზოგი ქუთაისში, ზოგიც თბილისში ცხოვრობდნენ. სხვადასხვა გზით წარიმართა მათი ყისმათი. დედამ უფროს ქალიშვილთან ცხოვრება არჩია და გარდაცვალებამდე მასთან იყო.

ნიკომ მღულარე ცრემლით დაიტირა დედა. იულია იაკოვლევნა თბილისის მიწას მიაბარეს.

ნიკო დიდხანს განიცდიდა დედის სიკვდილს. სკოლა, მისი თბილი ოჯახი, ნინო, კუკური, ზურაბი უქარებდნენ ნალველს.

ბიჭები წამოეზარდნენ, დაჰბუჯდნენ. კუკურიმ საშუალო სკოლა დაამთავრა და თბილისს მიაშურა.

იმ დროს ნიკოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამალღების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის დირექტორად და ქალაქის პედაგოგიური კაბინეტის გამგედ ნიშნავენ საშუალო სკოლის დირექტორობასთან შეთავსებით.

გოგონამ მეორე სართულის კიბე; აირბინა და უცებ სკოლის დირექტორს შეეფთა.

დერეფანი გაკვეთილიდან გამოსულ ბიჭებსა და გოგოებს აევსოთ.

— ძმასთან გარბიხარ? — ჰკითხა ნიკომ ლოყებაწითლებულ გოგოს.

— დიახ, პატივცემულო მასწავლებელო.

— შენს ძმას დიდი წარმატება აქვს რუსულში. — ნიკომ გაიღიმა. მაგრამ რაღაც საიდუმლო რომ იმალებოდა ამ ღიმილში, გოგონა უმაღ მიუხვდა.

ნუნუ ლევაძეს ძმა, დათო და ნი-

კოს უმცროსი ვაჟი, ზურაბი, ერთ კლასში იყვნენ, მეგობრობდნენ და ფეხბურთსაც ხშირად გატაცებით თამაშობდნენ სკოლის ეზოში. სპორტის ამ სახით გატაცება სენივით მოედო დიდსა და პატარას.

ნიკოს ღიმილის მიზეზი კი მალე გაიგო ნუნუმ.

იმ დღეს ნიკო საკლასო ოთახის კარს რომ მიუახლოვდა, სადაც მისი ვაჟი, ზურაბი სწავლობდა, მოწაფეების სიცილ-კისკისი შემოესმა. ნიკო კართან შეჩერდა და მიაყურადა. რომელიღაც ყმაწვილი, ცნობილი ქრუსი რადიოკომენტატორის, ვადიმ სინაიეჟსკის მიბაძვით, სხაპასუპით გადასცემდა ფეხბურთის რეპორტაჟს. ამასთან მოსწავლეთა ხორხოცი ერთვოდა. ყმაწვილის ხმა კი რიხიანად ისმოდა. ნიკო ფეხს არ იცვლიდა, „კომენტატორს“ ყურს უგდებდა. იცნო დათო ლეჟავას ხმა.

„უყურე ერთი, ამ ეშმაკის კერძს! მსახიობი მსახიობად, მაგრამ სიტყვებსაც რომ გამართულად გამოთქვამს!“

ნიკომ დერეფანში მიმოიხედა. კაცი-შვილის ჭაჭანება არ იყო. ამიტომ ცოტა ხანს კიდევ შეიცადა, კლასში შესვლას აყოვნებდა.

დათო რეპორტაჟს განაგრძობდა, ლამაზად აგვირისტებდა ფეხბურთის ილეთების გამომხატველ ტერმინებს, მოთამაშეთა დინამიკას, „ფეხბურთელთა“ ქცევებს. სიცილ-ხარხარი არ წყდებოდა.

როცა დათომ ხმამაღლა შესძახა „გოოლ!“ და კლასმა მქუხარე ტაში დასცხო, ნიკომ სწორედ მაშინ შეალო კარი. ფეხზე წამოცვენილი გოგო-ბიჭები ისევე გახევდნენ. კლასი უცებ ჩაიკრა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ნიკო ისე მიესალმა მოსწავლეებს, თითქოს არც არაფერი გაუგონია, სიცილს ძალდატანებით იკავებდა. მისი ნათელი სახის დანახვაზე, ყველას გულზე მოეშვა. მასწავლებელს

მიესალმნენ და ყველა თავ-თავეს დადგილზე გაიხუსა.

ნიკომ ურნალი გადაშალა, კლასს თვალი მოავლო და როგორც ყოველთვის, იმ დღეს ვინც აკლდა, მოიკითხა სად არის და დღეს რატომ გაკვეთილზე არ მოვიდაო. მოახსენეს. მერე მერხებშორის ჩაიარა, დათო ლეჟავას მიუახლოვდა და მხარზე ხელი შეახო.

— ლეჟავა, გატყობ, ტყუილად არ ჩაუვლია ჩვენს მეცადინეობას.

დათო წამოდგა, თავი დახარა, მაგრამ ერთი კი მოასწრო და მეგობრებს ქვეშ-ქვეშ ეშმაკურად გახედა.

— კარგახანი ვიდექი და გისმენდი... მე არ მინდა ცუდლუტობისათვის წაგაქვზო, მაგრამ ამ რეპორტაჟისათვის კი დაგიწერ ნიშანს. ყველა შენი გამოთქმა, წინადადების წყობა, სწორი და გამართული იყო, როგორც შეშვენის რუსულ ენას. ჩათვალე, რომ გაკვეთილი ფრიადზე ჩამაბარე.

— გეხუმრებით, მასწ... — შებედა დათომ და მასწავლებელს მორცხვად შეხედა.

კლასმა გაიხმაურა, შეინძრნენ გოგო-ბიჭები.

— გეხუმრები? აბა, მე რა ხუმრობა ვიცი... მეგობრები შენ ახარხარე და მე მეუბნები ხუმრობო? — გაიღიმა ნიკომ, — სრულებითაც არ გეხუმრები. ფრიადს კი დაგიწერ, მაგრამ იცოდე, მეგობრები შესვენებისას გაართე, მასწავლებელს დროს ნუ წაართმევ... შევთანხმდით?

— კი, მასწ... — წაილულულა დათომ.

— თავი ასწიე, ბიჭო... გაბედულად, აი ასე! წელან კარგად გაჰყვიროდი!

1936 წელს ქართულ ენათმეცნიერებას მნიშვნელოვანი ფურცელი შეემატა — გამოვიდა პროფესორ აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც საშუალო სკოლებისათვის იყო გამიზნული. მანამდე სკოლებში

ილია სიხარულიძის გრამატიკას სწავლობდნენ. სახელმძღვანელო რუსული ენის გრამატიკის მიხედვით იყო შედგენილი, რის გამოც იგი ქართული ენის, როგორც სისტემის, ყველა ძირითად მაჩვენებელს ვერ ითვალისწინებდა.

აკაკი შანიძის სკოლაგავლილი ქართულის მასწავლებლები მაშინ ქუთაისში ცოტანი იყვნენ. ძველ რუსეთში კურსდამთავრებულ მასწავლებლებს გრამატიკის ახალი სახელმძღვანელო უცხო ხილად ეჩვენათ, მისი სწავლება გაუჭირდათ, ბევრი საკითხი მათთვის სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა.

მიხეილ მახათაძემ ეს ყველაფერი მაშინვე შეატყუო კოლეგებს. ზოგი მათგანი ამჟამად წუწუნებდა, ჩვენ გვიჭირს ამ მასალის ათვისება და ყმაწვილები როგორ ათვისებენო. ერთი სიტყვით, გრამატიკის ახალი სახელმძღვანელო წინააღმდეგობებს წააწყდა.

ერთ დღეს მიხეილ მახათაძემ, როგორც მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალის დირექტორს, ნიკო ნუცუბიძეს უჩრია ქუთაისში მოეწვია პროფესორი აკაკი შანიძე და ეთხოვა მისთვის, კონსულტაცია გაეწია მასწავლებლებისათვის, მაშინ, როცა სახელმძღვანელოს გამოსვლიდან ორ წელზე მეტი იყო გასული.

ნიკოს მოეწონა ეს წინადადება.

მიხეილ მახათაძე თბილისში გაემგზავრა. იგი შანიძეს მუდამ აღმერთებდა და ახლა უხაროდა რომ მასთან შეხვედრისა და საუბრის საშუალება ეძლეოდა.

აკაკი სტუმარს შინ დახვდა. საღამო ხანი იყო. გულთბილი მასპინძელი სტუმარს ჩაით გაუმასპინძლდა. დიდად ესიამოვნა ქუთაისელი პედაგოგების მიწვევა.

— აუცილებლად გეახლებით, ჩემო კარგო, — აღუთქვა მიხეილ მახათაძეს, — ასეთ ღონისძიებას ალბათ სხვა რაიონებშიც ჩავატარებ. სადაც

მე ვერ წავალ, კათედრის წევრებს ვავაზავნი. გრამატიკაში ბევრი სიახლე დამუშავებული და ეჭვი არ მეპარება, რომ განმარტებას საჭიროებს.

— განსაკუთრებით ძველ მასწავლებლებს უჭირთ, პატივცემულო აკაკი.

— ყოველ სიახლეს თან ახლავს ასეთი რამ. იქნებ ზოგიერთი საკითხი გავამარტივოთ კიდევ, უფრო მისაწვდომი და გასაგები გახადოთ. მუშაობას განვაგრძობთ... ალბათ კრიტიკული შენიშვნებიც გამოითქმის და ამას ყველაფერს გაეითვალისწინებთ...

ორმოცდაათი წლის აკაკი შანიძე, მეტად მოკრძალებული და თავმდაბალი კაცი, რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებს, მეტად მორიდებით ლაპარაკობდა. მან ერთი წუთითაც არ იყოყმანა, უდროობა არ მოიმიზეზა, ქუთაისში გამგზავრება უხსენეს თუ არა, უყოყმანოდ დათანხმდა და უკვე პირველსავე წუთებიდან შეემზადა. შენიშვნებიც იქნებო... იგი მოელოდა ამას, მოელოდა არა ჭიუტი ავტორის თავნათქვამობით, ხმალამოღებული რომ ზედება ოპონენტს, არამედ შემოკმედი ადამიანის დაინტერესებით, რომელიც ხალხისგან იწოვს ჭეშმარიტი აზრის ნექტარს და თავის ნაშრომს ამ სიკეთით ამდიდრებს.

ამიტომ იყო აკაკი შანიძეს ქუთაისში მიწვევა რომ გაეხარდა.

— ბატონო აკაკი, ჩამოსვლის დღე ერთი კვირით ადრე მაინც გვაცნობეთ, — სთხოვა მახათაძემ.

— ვეცდები მალე, სულ მალე გეახლო ქუთაისელებს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიყვარს ქუთაისი. ეს ჩემთვის დიდი ზეიმი იქნება... საქმიანი ზეიმი. — გაიღიმა აკაკიმ და სტუმარი სადარბაზო კარამდე მიაცილა.

დოცენტ როგავას პირით აკაკი შანიძემ ქუთაისელებს აცნობა ჩასვლის თარიღი.

ნიკო ნუცუბიძე განათლების განყოფილებას შეუთანხმდა და ქუთაისის

ყველა სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მიიწვია აკაკი შანიძესთან შესახვედრად. სხვა მხრივაც ყველა საჭირო თადარიგი დაიპირა, სასტუმროში ერთი კარგი ნომერი „დააჯავშინა“.

აკაკის შაბათ საღამოს რვა საათზე ელოდნენ. ღონისძიება კვირას თორმეტ საათზე იყო დანიშნული.

საღამოს მატარებელს ნიკო ნუცუბიძე და მიხეილ მახათაძე დახვდნენ. ნიკო პირადად არ იცნობდა პროფესორ შანიძეს, რუსეთში განსწავლული კაცისთვის უცხონი იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. შანიძის შრომებს კი იცნობდა, მასწავლებელთაგან ბევრი კარგი სმენია ამ კაცზე, მაგრამ ნახვით კი არ ენახა.

მატარებელი რომ ჩამოდგა, მიხეილმა ქალაქში გასასვლელ კართან მოხერხებული ადგილი შეარჩია და ხალხს თვალს არ აშორებდა. აკაკის სახეს ათას კაცში უცებ გამოარჩევდა. მგზავრები ფაციფუციტ მიეშურებოდნენ გასასვლელისკენ, ფუთებით, ჩემოდნებით, კალათებითა და ჩანთებით დატვირთულნი. ზოგი დინჯად მიემართებოდა.

აკაკი არ ჩანდა. დაიწრიტა ხალხის ნაკადი, უკანასკნელმა მოხუცმა ქალმაც ჩაიარა ატორღიალებული შეილიშვილით...

მიხეილი ნიკოს მიაჩერდა.

— რეალიდან ხომ არ აგვცდა, მიხეილ?

— რას ბრძანებთ, ბატონო ნიკო, ჩემი სათაყვანებელი კაცი როგორ გამომეპარებოდა!

— ფაქტია, რომ არ ჩამოვიდა... რა ვქნათ?

მახათაძემ მხრები აწურა.

— შეუძლებელია.

— რა არის შეუძლებელი, მიხეილ?

— უთუოდ რაღაც შექმნეს, ^{სადაღი} რემ ბატონი აკაკი ახლა აქ, ჩვენთან იქნებოდა.

ერთხანს კიდევ იწრიალეს სადგურის ბაქანზე. უაზრო იყო ამო წრიალი. სადგურის მოედანზე გავიდნენ და ქალაქის შუაგულისკენ გასწიეს.

— გული მიგრძნობს, რომ რაღაც შეემთხვა... ჩამოსვლით კი ჩამოვა... აი, ნახავთ, თუ არ ჩამოვა! — ალბათ თავისი თავის დასამშვიდებლად უფრო იმეორებდა ერთსა და იმავეს მიხეილი. ნიკო კი ჩუმად მიაბიჯებდა.

— სასტუმროში მაინც გავაფრთხილოთ მორიგე. იმ ჩვენს ნომერში არავინ შეასახლოს, — თქვა ბოლოს ნიკომ.

მორიგემ კი, ნომერს რამდენ ხანსაც გნებავთ, შეგინახავთ.

— ვაითუ ხვალ თორმეტ საათამდე არ გამოჩნდა?! რა პასუხს აძლევ ამდენ მასწავლებელს!

მთელი ღამე დარდობდა მიხეილ მახათაძე, ძილი გაუფრთხა. ზაფხულის ცხელი ღამე იყო, მაგრამ დარდი უფრო აწუხებდა, ვიდრე სიცხე. ათას რამეს ეარაუდობდა, გული ვერა და ვერ დაიშოშმინა. ფიქრით მოღლილ კაცს დილით ჩაეძინა და თანაც ისე ღრმად, ვიდრე ცივი წყალი არ შეაპყურეს სახეზე, არ გაედვიძა. თვალი რომ გაახილა, უმალვე მოხუცა, ხომ არ მომეღანდაო: საწოლთან ნიკო ნუცუბიძე იდგა და ღიმილით დაჰყურებდა. ნიკოს აქ რა უნდაო, გაუქვირდა, მაგრამ უმალ მოეგო გონს და შეხედა.

— ადექი, ჩაიცივი, წავიდეთ სასტუმროში.

— სასტუმროში?!

— აკაკი შანიძე ჩამოსულაო, შემატყობინეს. მე იმ კაცს არ ვიცნობ და უშენოდ მისვლა ვერ გავებდე.

— ხომ ვითხარით, ჩამოვა-მეთქი! — უცებ მოცოცხლდა მიხეილი, ტანსაცმელს გადასწვდა და მარდი ბიჭივით გამოეწყო.

აკაკი შანიძე მხიარულ გუნებაზე

შეხვდა ნიკო ნუცუბიძეს და მიხეილ მახათაძეს. ნიკო სულ არ იუცხოვა, ხალისიანად ჩამოუჯდა მასპინძლებს.

— წუხელ შეგვექრიანდით, ბატონო აკაკი, — დაიწყო ნიკომ.

შანიძეს გაეღიმა.

— რა დამემართა, რომ იცოდეთ, — თავზე გადაისვა ხელი და მხიარულად განაგრძო, — გორში ჩამოვედი ბორჯომის წყლისათვის. რაღა მაინცდამაინც მაშინ მომწყურდა! სანამ წყალი ვიყიდე და ბაქნისკენ შემოვბრუნდი, მატარებელმა გამასწრო, ჩემი პორტფელიც თან წაიღო. რა უნდა მექნა, ვეცი სადგურის სამორიგეოს. ღვთისნიერი ხალხი აღმოჩნდა, უმალ ხაშურში დარეკეს, ამა და ამ ვაგონში ამა და ამ კაცის პორტფელი დევს და შეუხანებოთ. მერე მომდევნო მატარებელში ჩამსვეს და გამომაყოლეს. პორტფელი ხაშურელმა რკინიგზელებმა დამახვედრეს. აქ ცოტა გვიან მომიხდა ჩამოსვლა. მოვედი სასტუმროში. ადგილი არა ვეპყესო, ზრდილობიანად მომიბოდიშეს. როცა ვაიგეს, ვინც ვიყავი, უმალ ადგილიც გამოჩნდა და მერე როგორი!

აკაკიმ ღიმილით მიმოიხედა „ლუქსში“.

ნიკო და მიხეილი მხიარულ გუნებაზე დადგნენ. ნიკო სულ მალე გაუშინაურდა აკაკის და შემდეგ სამივემ ერთად მიაშურა განათლების მუშაკთა სახლს. იქვე, სასტუმროს გვერდით, სადაც შეკრებილი პედაგოგები უკვე ელოდნენ პროფესორს.

სხდომას არც ერთი მიწვეული მასწავლებელი არ დაკლებია. კრება ხუთ საათს გაგრძელდა შეუსვენებლად. დრო ისე სწრაფად გავიდა, დაღლილობა და შიმშილი არავის უგრძქვია.

ქუთაისელი მასწავლებლები საფუძვლიანად მომზადებულები შეხვდნენ აკაკი შანიძეს. მიხეილ მახათაძემ ჯერ კიდევ ადრე დაიჭირა თადარიგი და „გრამატიკის“ ცალკეული თავების მიხედვით მომხსენებლებიც შეარჩია. ფონეტიკაზე შენიშვნებით გამოსვლა პავ-

ლე ხმალაძემ დაიწყო, მორფოლოგიაზე მიხეილ მახათაძეს უნდა ელაპარაკა! სინტაქსზე — ლონგინოზ კიკვაძეს. სამივე მომხსენებლის გამოსვლა საათნახეივარს გაგრძელდა. შემდეგ სიტყვა აკაკი შანიძემ აიღო. სამ საათს ილაპარაკა. დაწვრილებით შეეხო სახელმძღვანელოს, თუ რა პრინციპებით ხელმძღვანელობდა წიგნზე მუშაობისას. ილაპარაკა ქართული ენის თავისებურებებზე და ბოლოს ჩახედა ბლოკნოტს, სადაც ჩანიშნული ჰქონდა პაეღე ხმალაძის, მიხეილ მახათაძისა და ლონგინოზ კიკვაძის შენიშვნები. სანამ შენიშვნებზე უპასუხებდა, აკაკიმ სხვათაშორის აღნიშნა:

— როცა პატივცემულმა მიხეილ მახათაძემ თქვენთან შეხვედრის იდეა მომაწოდა, მე ჯერ თბილისის მასწავლებლები შევკრიბე, მაგრამ მათგან ვერც ერთი საქმიანი შენიშვნა ვერ მივიღე წიგნის გასაუმჯობესებლად. აქედან კი როგორც ჩანს, მივდივარ საქმიანი რჩევებითა და შენიშვნებით. ახლა ვიცი, წიგნში რა როგორ შეეავსო და შეეცვალო.

მიხეილ მახათაძის გამოსვლაში ძირითადი შენიშვნა გარდამავლობას ეხებოდა. აკაკიმ ყურად იღო ეს შენიშვნა და მასწავლებლებს აღუთქვა, რომ ნამდვილად საჭიროა გარდამავლობის უფრო გასაგებად განსაზღვრაო.

— მადლობელი ვარ პატივცემულ მიხეილისა. მის მახვილ თვალს არ გამოორჩენია წიგნში შეცდომით დამოწმებული ადგილი „აკაცია ადამიანიდან“. თითქოს მცირე შეცდომაა, მაგრამ ესეც არ უნდა იყოს, მით უმეტეს სასკოლო სახელმძღვანელოში. ამას წინათ ასეთი რამ მომსკლია: როგორღაც დამიწერია „ტყეს მოსხმია ფოთოლი“ და ასე წავიდა. შემდეგ, რასაკვირველია, გავასწორე.

აკაკიმ ილაპარაკა ანბანის რიგის დასამახსოვრებლად დაწერილ უშინაარსო ლექსზე. თქვა იგი და ღიმილით გა-

დახედა შეკრებილთ. სიცილმა მთელ დარბაზს გადაურბინა.

აკაკი დაწვრილებით შეჩერდა ბრუნვითა რიგსა და სახელებზე, გარდამავლობაზე, სინტაქსის საკითხებზე. დასასრულ დასძინა:

— მშობლიური ენის გრამატიკის საფუძვლიანი სწავლება მოსწავლეს სხვა ენების კანონების ათვისებაში ადვილად გააჩვევს და დაეხმარება, ადვილად შეძლებს განასხვავოს მშობლიური ენის კანონებისაგან.

კრებას ნიკო უძღვევბოდა. იგი სამი საათის განმავლობაში თვალმოუცილებლად უყურებდა დიდ მეცნიერს, თავმდაბალ კაცს. ეს იყო პირველი საჯარო ლექცია, როდესაც შანიძეს უსმენდა და გუნებაში ფიქრობდა, რა ბედნიერებაა იყო ასეთი კაცის სტუდენტი.

როცა შანიძემ გამოსვლა დაამთავრა და დამსწრეთ მადლობა გადაუხადა, იგი ტრიბუნას მოშორდა და შემობრუნდა ნიკოსკენ, რომელიც ხელგაწვდილი შეეგება მადლობის გადასხედვლად.

სადილი სასტუმროს რესტორანში გაიმართა. სუფრას უსხდნენ აკაკი შანიძე, ნიკო ნუცუბიძე, ფილიალის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ალექსანდრე კორძაძე, ქუთაისელი შესანიშნავი ინტელიგენტი გრიგოლ დადიანი, მიხეილ მახათაძე და დოცენტი გრიგოლ როგავა.

აკაკიმ მოიღვინა. განსაკუთრებით მოეწონა ნიკოს თამალობა, მისი მჭერმეტყველება. აკაკიმ თვალში მორეული ცრემლი მოიწმინდა და თქვა:

— მიყვარს ქუთაისი, სულზე უტყებესი ქალაქია.

იმ წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა ნიკო ნუცუბიძის ცხოვრებაში. ნოემბრის დამდეგს მისი უმცროსი ვაჟი, ზურაბი, ჯარში გაიწვიეს. უფროსი ვაჟი, კუკური, ამ დროს თბილისში სწავლობდა და შინ ოთხ კედელშორის მარტონი დარჩენენ ნინო და

ნიკო. პირველ ხანებში ძნელი ასატანი იყო შვილებთან დაშორება. თითქოს მათი ოჯახი კი არა, მთელი ქუთაისი დაეცარიელდა. ეტყობა ზურაბსაც ძლიერ მოეწვა დედ-მამის სიყვარულით სავსე ჯივარი, კაცი ატირდებოდა, ისეთ ალერსიან სიტყვებს აქსოვდა ნაწილიდან გამოგზავნილ წერილებში. საფრენოსნო კურსებზე ჩაურიცხავთ და ამან, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა დედის გული.

კუკურის თვალი დედ-მამისკენ ეკირა. მშობლები მისი სალოცავი ხატი იყო და დროს მოიხელთებდა თუ არა, ქუთაისში ჩამოიბრუნდა. სტუდენტური შფოთიანი დღეები კი უმოწყალოდ გარბოდნენ.

იმ წელს ნიკო ნუცუბიძე კომუნისტური პარტიის წევრი გახდა. მას არასოდეს უჩქარია პარტიაში შესვლა — წლობით ემზადებოდა. პარტიაში შესვლა მას ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიაჩნდა და ბევრს, ძალიან ბევრს ითვალისწინებდა საამისოდ. მისთვის არავის უკითხავს, რატომ შედიოდა პარტიაში, არავის უკითხავს, რატომ დაიგვიანა შესვლა, ან ეხლა რამ აფიქრებინა. მათთვის, ვინც მას პარტიაში იღებდა, ნათელი იყო ამ კაცის პიროვნება, თითქმის მათ თვალწინ იშლებოდა და იზრდებოდა მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფერო. დაბოლოს, ყველასთვის დამარწმუნებელი იყო მის მოკლედ, ძუნწად ჩამოყალიბებულ განცხადებაში ჩაწერილი სიტყვები.

ამიერიდან ნიკო ნუცუბიძის ბიოგრაფიაში ჩაიწერა: საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრი 1939 წლიდან.

ამავე წელს დააჯილდოვეს საპატიო ნიშნის ორდენით. ორდენის მისაღებად მოსკოვში გაემგზავრა და პირადად ინახულა მიხეილ კალინინი. ჭასთან შეხვედრა არაჩვეულებრივად თბილი იყო. მოსკოვიდან დაბრუნებულ ნიკოს ისეთი ხალისი ჰქონდა, თითქოს ახლა იწყებდა ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ამას ისიც დაერთო, რომ იგი ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. წელიც მიიწურა, ნიკოსთვის ეგზომ მოსავლიანი, ეგზომ სიხარულითა და ტყვილებითაც საესე. თითქოს ამ წელმა შეაჯამა მთელი მისი ნაჯაფარ-ნაამაგარი.

ეს ის დრო იყო, როცა ევროპის თავზე ომის ღრუბლები დაიგრაგნა, როცა გათავზედებული ფაშისტები უკვე შესდგომოდნენ თავიანთ ზრახვათა შესრულებას და ფეხქვეშ გათელეს პოლონეთიც. მიხაკისფერი ჭირი საბჭოეთის საზღვრებთან ჩამოდგა.

ნიკოს დარდმა იმატა. ზურაბი რუსეთის რომელიღაც ქალაქში გადაიყვანეს და 1940 წელს უკვე უჯდა მძიმე ბომბდამშენის შტურვალს.

ომმა დიდი უბედურება მოუტანა ქვეყანას. ნიკოს ოჯახიც დაწილა. ფრონტზე წასული შვილების დარდს გადაჰყვა ნინო და ცხრაასორმოცდაერთის შემოდგომის ერთ ცივსა და ქარიან დღეს საფიჩხიის სასაფლაოს მიაბარეს მისი ნეშტი.

საყვარელი მეუღლის დაკარგვით გამოწვეული სევდა მოეძალა ნიკოს. ოჯახში მარტოდმარტო დარჩა. დაბნელდა ქუთაისში და ჩამოღამდა მის გულშიც. მაგრამ სევდით მოჯარულ ღრუბლებში ცოტა ხნით მაინც გამოანათებდა გულის გამათბობელი სხივი მხოლოდ მაშინ, როცა იგი გაკვეთილზე შედიოდა.

უწინ თუ სკოლაში გვიანობამდე რჩებოდა ხოლმე, ახლა უფრო გვიან გამოიკეტავდა კარს და შინ მხოლოდ იმისთვის მიდიოდა, ცალად დარჩენილი ბაღში გაეფხო — თვალი მოეტყუებინა. დილით, უთენია, არც წაიხეშებდა, მარტობის შიში თუ შინ გამეფებული აუტანელი მღუმარება არ აჩერებდა, გამოიხურავდა სახლის კარს და სკოლისკენ ისე გარბოდა, თითქოს გაკვეთილებზე აგვიანდებო. თეთრ ხიდს რომ გადავიდოდა, ნაბიჯს მაშინ უნებლბდა. ქალაქი ის ის იყო იღვიძებდა.

ბოლო დროს ერთი მადლიანი მოზუცი ქალი გამოჩნდა, ნიკოს სიფუჭიზითა და გულმოდგინებით უვლიდა. ამ ქალმა ნიკო შინისკენ შემოაბრუნა. უკვე საღამომობით მასთან შეგობრებმაც იწყეს მოსვლა. მიხეილ მახათაძე ხშირი სტუმარი იყო. მასწავლებელთაგან ბევრნი იყრიბებოდნენ და ასე თუ ისე, ავსებდნენ ნიკოს ოჯახის სიცარიელეს. შეგობრებმა დარდი შეუძსუბუქქეს, მსჯელობდნენ ომზე. ჩვენი ჯარების დროებით წარუმატებლობას განიცდიდნენ. და ამ დროს ნიკო ერთი წუთითაც არ კარგავდა იმის იმედს, რომ საბჭოთა ხალხი ამ ომში უთუოდ გაიმარჯვებდა. შვილებისგან იშვიათად მოსდიოდა წერილი. არც ემდუროდა ისინი ომის მძიმე გზას ადგნენ და მოუცლელობის გამო ვერც დასძრახავდა. დარდი კი გულს უსიებდა და ბოლო დროს ჰიპერტონია მოეძალა.

დიდი სამამულო ომის დროს ზურგში აუარება ევაკოპოსპიტალი გაიხსნა.

ევაკოპოსპიტლებისათვის ყველაზე სახელდახელოდ სასკოლო შენობები გამოიხსნა, თითქოს ზედგამოჭრილი იყო სამკურნალო დაწესებულებებისათვის, მოცულობით, ოთახების სიმრავლითა და განლაგებით.

გიმნაზიის ძველ შენობაშიც 1943 წლის ზაფხულამდე ევაკოპოსპიტალი იყო დაბანაკებული, ხოლო ზაფხულში, ჩვენი ჯარების წინსვლამ გამოიწვია ბევრი ევაკოპოსპიტლის აბარგება და დაბანაკება იმ ქალაქებში, სადაც უფრო მოსახერხებელი იყო დაჭრილთა დაუყოვნებლივ მოთავსება.

ქუთაისის ორივე გიმნაზიის ძველი შენობა ისევ სკოლებს დაუბრუნდა. ამჯერად საჯიკმანო გახდა, ყოფილ კლასიკური გიმნაზიის შენობაში რომელიც სკოლა გახსნილიყო. კლასიკური გიმნაზია 1850 წელს დაარსდა. ამ სკოლაში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ: აკაკი წერეთელი, ვასო აბაშიძე, მამია გურიელი, ნიკო ნიკოლაძე, იოსებ

ოცნელი, ექვთიმე თაყაიშვილი. ზაქარია ფლიაშვილი, ვასილ კიკვიძე, ვლადიმერ მიაიაოვსკი, კონსტანტინე გამსახურდია, სერგეი მესხი, დავით უზნაძე, გლაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, საშა წულუკიძე, სილოვან ხუნდაძე, უშანგი ჩხეიძე, ვლადიმერ ჯიქია, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, იუსტინე ჯანელიძე, სხვები და სხვები, შემდგომში სახელოვანი მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, თავდადებული რევოლუციონერები, ქვეყნის მოამაგე ადამიანები.

საბჭოთა პერიოდის პირველ წლებში ამ შენობაში იყო პირველი საერთო ზოგადსაგანმანათლებლო (კუმანიტარული) ტექნიკუმი, შემდეგ ინდუსტრიული ტექნიკუმი. ახლა საჯოკმანო სწორედ ეს საკითხი იყო, რომელი სასწავლებელი დაიდებდა ბინას ყოფილი კლასიკური გიმნაზიის შენობაში.

საკითხი ქალაქომის პირველმა მდივანმა გრიგოლ ნარსიამ გადაწყვიტა:

— ამ შენობაში ყოველთვის იყო მასობრივი სკოლა, ამიტომ აქ უნდა მოთავსდეს პირველი საშუალო სკოლა. ასე უფრო სწორი იქნება. ტექნიკუმის ხელმძღვანელებმა კი, კეთილ ინებონ და თავიანთების ახალი შენობა ააგონ. დავეხმარებით, მიწის ნაკვეთს გამოეყოფთ ქალაქის რომელიმე უბანში.

ტექნიკუმის ხელმძღვანელებმა დიდხანს იდავეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, ფაქტი ფაქტად დარჩა — 1943 წლის 1 სექტემბერს პირველი საშუალო სკოლის (ამჟამად ვლადიმერ მიაიაოვსკის სახელობისა) ზარი კლასიკური გიმნაზიის ძველ შენობაში დაირეკა. სკოლის დირექტორად ცოტა ხანს ალექსანდრე გაჩეჩილაძე მუშაობდა. მალე იგი განათლების განყოფილებაში სასკოლო ინსპექტორად გადაიყვანეს, ხოლო დირექტორად ნიკო ნუცუბიძე დანიშნეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა, ნიკო ჩვეული ენერჯით შეუდგა საქმეს. ბოლოს და ბოლოს იგი იმ სასწავლებლის დირექ-

ტორი გახდა, რომელშიც სწავლობდა. ახლა მტკიცედ უნდა დაეცვა ამ სკოლის სახელი, კარგი შეილების გამოზრდით რომ ჰქონდა მოხვეჭილი. ეს ღირსება, სკოლის შესანიშნავი ტრადიცია, ნიკოს უნდა დაეცვა, ნიკოს, რომელმაც საუცხოოდ იცოდა დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ილია კომენსკის, ბესარიონ ბელინსკის, კონსტანტინე უშინსკის, ნიკოლოზ ჩერნიშევსკის, ლევ ტოლსტოის, ვლადიმერ ლენინის, ნადეჟდა კრუპსკაიას, ანტონ მაკარენკოს აზრები აღზრდაზე, მოსწავლეებზე, განათლებაზე, სკოლაზე. იგი ხშირად იმეორებდა უშინსკის სიტყვებს: „აღზრდის ხელოვნება თითქმის ყველას ნაცნობ და გასაგებ საქმედ მიაჩნია, და ზოგს იოლი საქმეც კი ჰგონია აღზრდა მოთმინებას მოითხოვს... საჭიროა კიდევ სპეციალური ცოდნაც“.

პირველ სკოლაში, ისევე როგორც მეორეში, ბევრ რამეს აქცევდა ყურადღებას, განსაკუთრებით საგნობრივ მეთოდგაერთიანების სხდომებს, მოსწავლეთა წრეებს, ექსკურსიებს, წესრიგს, სისუფთავეს, სიწყინარეს, რეჟიმს, მაგრამ პირველი და მთავარი მაინც მისთვის გაკვეთილის ხარისხი და ნაყოფიერება იყო.

ნიკო ნუცუბიძეს გაკვეთილი მიაჩნდა ცოდნის მიღების დღესასწაულად. უხაროდა, როცა საქმე კარგ შედეგს მოიტანდა. სხვადავით აქეთ-იქით არ ისროდა დავალებებს, ბევრ რამეს მკლავებდაკაპიწებული პრაქტიკულად თვითონ ასრულებდა.

ახალგაზრდებმა იცოდნენ მისი ავადმყოფობის ამბავი და ერიდებოდნენ, არ გადალლილიყო. რამდენჯერმე თავიანთ ღონისძიებაზე არ მიიბმეს და ნიკომ ამის გამო უსაყვედურა:

— ნუ მერიდებით, მე ამით ვერ განმკურნავთ, გულს კი მატყენთ!

ყველაფრის გაკეთებას ესწრაფვოდა, არ ისვენებდა. მკურნალი ექიმი, კორნელი იოსელიანი, ურჩევდა, ცოტა ხნით მაინც ვარიდებოდა საქმეს, ატ-

მოსფერო გამოეცვალა. მისი რჩევა კარგახნის ყოყმანის შემდეგ ყურად ილო. უმცროსი ძმა შალვა შორეულ ლაგოდებიდან გამუდმებით ეპატიებოდა, ჩამოდი და ჩემთან დაისვენეო. და აი, გადაწყვიტა იოსელიანის რჩევაც შეესრულებინა და ძმაც ენახა.

ეს ის მოუსვენარი და სიცოცხლით სავსე შალვა იყო, რევოლუციის ქართველს რომ აპყვა და ბოლომდე კომუნისტური პარტიის ერთგულ ჯარისკაცად დარჩა.

ომის წლებში იგი პარტიის ლაგოდების რაიონულ კომიტეტს ედგა სათავეში. ლაგოდებლების თავდადებულ შრომასა და მამაცობის ამბავს ხშირად აშუქებდნენ ვაზეთებში და ნიკოს ეამაყებოდა ძმის სასახელო ამბები.

როგორც იყო გადაწყვიტა ლაგოდებში გამგზავრება. დილით მატარებელზე წნორში დახვდა რაიკომის „ემანდონი“. შოფერს, ლონია დობრონეცკის, რომელიც შალვა ნუცუბიძესთან წლობით მსახურობდა, ნიკო კარგად იცნობდა. რამდენჯერმე შეხვედრია ძმის ოჯახში. მაგრამ მას შემდეგ წლები გავიდა.

ნიკო ადრეც ყოფილა ლაგოდებში მაგრამ ეს კარგახნის წინათ იყო. შეცვლილი ერგენა კახეთის ეს ძველთაძველი კუთხე.

ლონიამ იგი ნუცუბიძეებისას მიიყვანა. პატარა ჯულიეტა სკოლაში იყო, მაზლს ეენია შეეგება. ქმრის ნათესავ-მოყვრების უზომოდ მოყვარულმა ქალმა ნიკოს სტუმრობით დიდად გაიხარა, ნამგზავრ კაცს თავზე შემოეველო. ერთმანეთი მიიკითხ-მოიკითხეს. ეენიამ ცრემლით გაიხსენა ნიკო. შემდეგ მაზლი დააპურა.

— შალვა ყოველთვის ნაშუალამებს მოდის ხოლმე, — უთხრა ეენიამ.

— ვიცი. ლონიამ გზაში ყველაფერი მიაგმო. რას იზამთ, ასეთია რაიონის

თავაკის ხვედრი, თანაც გამგზავრ ომის დროს.

ნაშუადღევს სკოლიდან პატარა ჯულიეტამ მოირბინა, ბიძას კისერზე ჩამოეკიდა. მთელი დღე არ მოშორებია.

შუალამისას მოვიდა შალვა, დაბალი, ენერგიული, სიცოცხლით სავსე კაცი. ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— გავიგე, ავად ყოფილხარ.

— რალაც უქურნებელი სენი შემეყარა, შალვა... პიპერტონია, უბედური რამ ყოფილა. შენ რას შერები, როგორ ხარ? შორიდან ქუხილივით მესმის თქვენი რაიონის ქება...

— ვშრომობთ, წლებზე ფეხს ვიდგამთ, რითაც შეგვიძლია ფრანტ ვეხმარებით. ახლა შენ რომ არა, ისეთი გადაუდებელი საქმე მქონდა, ღამის გათევას სოფელში ვაპირებდი ცოტა ხელი წაუცდათ იჭურებს, — მის თვალებში წამიერმა რისხვამ გაიღვავა. ხმაშიც შეეტყო, რა ჭეჭა-ჭეხილსაც ატებდა სოფელში. მაგრამ მისი საქმე ყოველთვის სამართლიანი იყო და ამ ჭეჭა-ჭეხილს დამანგრეველი სეტყვა კი არ მოჰყვებოდა, არამედ მაცოცხლებელი წვიმა, რის გამოც დიდი და პატარა, მრავალი წლის შემდეგაც, მადლიერების გრძნობით იხსენიებდა საქართველოს კომუნისტთა ერთ-ერთ თავდადებულ მუშაკს.

დილაბნელზე შინიდან ისე გავიდა, ნიკოს არაფერი გაუგია. მხოლოდ მან შინ გაეღვიძა, როცა მსუბუქი მანქანის ხმა შემოესმა. და ახლა გაახსენდა თოფიანი ბიჭი — შალვა, ბოლშევიკებს რომ აედევნა ქუთაისში ახალი ცხოვრების დასამყარებლად.

დილით ნიკოს საოცარი სიმსუბუქე აპყვა. თავს კარგად გრძნობდა. ჯულიეტა ფაციფუციტ ემზადებოდა სკოლაში წასასვლელად. ნიკოც აჩქარდა. ეენიას გაუყვირდა, ეს კაცი სადღა მიიჩქარისო.

— ნიკო, თქვენ სადღა?!

— მე და ჯულიეტა ერთად წავალთ სკოლისკენ. მე განათლების განყოფი-

ლებაში შევივლი ჩემს ნამოწაფართან.
— კანდელაკთან? ის ჩვენი ხშირი სტუმარია. შალვაც რომ არ იყოს შინ, მაინც გვინახულებს და მოგვეციტხავს, სულ თქვენს ქებაშია, კაცად მან მაქციაო...

ნიკოს ჩაეცინა.

— მე ხომ ღმერთი არა ვარ! მე მხოლოდ დავეხმარე.. კაცად თავისმა ნიჭმა და უნარმა აქცია, დახმარება კი ნიჭიერს უთუოდ უნდა, ფაქტია!

ნიკომ ჭულიეტას ჩაჰყიდა ხელი და ერთად წავიდნენ. მალე ჭულიეტამ სკოლისკენ კენტრუმით გასწია, ხოლო ნიკო განათლების რაიონულ განყოფილებას მიადგა.

— ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ახლა, ამ წუთში, თქვენს გამოჩენას კი არა, ჩემო ძვირფასო და საყვარელო მასწავლებელო! — ამ სიტყვებით შეეგება შალვა კანდელაკი, ხელუბი გაშალა და ნიკო გულში ჩაიკრა.

— აბა, მოდი ერთი, შეგამოწმო, რანაირი უფროსი ხარ განათლების ფრონტისა, — ღიმილით მიმართა ნიკომ, როცა თავდაც გული იჭერა ნამოწაფრის შიკითხვა-მოკითხვით.

შალვამ დაწვრილებით გააცნო სკოლების საქმიანობა სამამულო ომის პერიოდში. უამბო სამუშაო გეგმებზე, მომავლის გათვალისწინებით.

ნიკომ საქმიანობა მოუწონა.

— ახლა კი მშვიდად დაებრუნდები ქუთაისში. რაიკომის პირველი მდივანიც კმაყოფილია შენი მუშაობით. სიგელიც მიგიღია...

ნიკომ ერთი კვირა დაჰყო ლაგოდეხში. გაეცნო სკოლებს, იყო რამდენიმე სოფელში, საკუთარი თვალით ნახა მშრომელთა თავდადება. «ყველაფერი ფრონტისათვის!» «ყველაფერი საზიზღარ მტერზე გამარჯვებისათვის!» ამ მოწოდებებზე შრომობდნენ ისინი, უმეტესად ხახდახმულნი, ქალები და მოზარდები. ბევრი თვალცრემლიანი ადამიანი შეხვდა. ომის სუსხი ყველგან დაუნდობლად ტრიალებდა.

ძმა ერთი დღით ადრე გამოემშვიდობა, რადგან საქმეებით დატვირთული შინ ვერ მოვიდოდა.

იყო ასეთი დრო — ძმა ძმისთვის ვერ იცლიდა, რომ მასთან ერთად დამშვიდებით გაეტეხა პური.

ნიკო ნუსუბიძის ცხოვრების ბოლო წლები კვლავ დაუსებრომელ შრომაში მიდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. ცდილობდა, იხტობარს არ იტეხდა, უნდოდა შეენარჩუნებინა ძველებური რიბი და შემართება. დღე და ღამე ასწორებდა, რომ პირველი სკოლის სახელი კვლავ პირველი ყოფილიყო ქუთაისის სასწავლებელთა შორის.

როგორ უხაროდა, როცა პედაგოგთა კოლექტივს ნიჭიერი, მონდომებული და თავისი საქმის სიყვარულით გულანთებული რომელიმე ახალგაზრდა შემომეატებოდა.

პავლე ხმალაძე ოცდაოთხი წლის იყო, როცა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ქუთაისში ჩამოვიდა. განათლების განყოფილების გამგემ, თეიმურაზ ჭუმბურიძემ იგი მაშინვე ერთ-ერთი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ დანიშნა. მაშინ ამ სკოლის დირექტორად ცნობილი პედაგოგი და ლიტერატორი ვალერიან თუმანიშვილი მუშაობდა.

რამდენიმე წლის შემდეგ პავლე იმავე თანამდებობაზე გადაიყვანეს პირველ საშუალო სკოლაში და ამიერიდან მთელი თავისი საქმიანობა ნიკო ნუსუბიძესთან განაგრძო.

ნიკოს წაკითხული ჰქონდა პავლე ხმალაძის ეურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, მეთოდოიკის საკითხებზე. განსაკუთრებული პატივისცემით განიშსკვალა ახალგაზრდა კოლეგისადმი. თავის მხრივ პავლესაც ეამაყებოდა ნიკოსთან მუშაობა. ერთხელ, მათემატიკის მასწავლებელ-

ლმა ეროდუ ეზიკაშვილმა, გულისტკი-
ვილით მიმართა ნიკოს.

— არ ვიცი რა მოეუბნებო ნიქებს,
არაფერმა გასჭრა, ყველა ღონე ვიხმა-
რე, მოსწავლეს ვერა და ვერ დავამ-
გვანე. აცდენს, გაკვეთილებიდან იპა-
რება, ცუდად მუშაობს, არც მშობლ-
ებს უყვრებს, არც ამხანაგებს, მათემა-
ტიკა სულ შეიძულა. არ ვიცი, პირდა-
პირ, რა გზას დავადგე!

არის პედაგოგის ცხოვრებაში ასეთი
„ჩაყარდნები“. ისეთ გამოცდილ მას-
წავლებელს, როგორც ეზიკაშვილი
იყო, რაღაც გამორჩა, რაღაცას ვერ
მიაგნო, რამაც ხელიდან გამოსტაცა
ჯიუტი ყმაწვილი. მას კარგახანს ერი-
დებოდა ამ საკითხზე ნიკოსთვის შეე-
ჩივლა, მაგრამ ბოლოს იძულებული
გახდა მიემართა, რადგან მისი იმედი
ჰქონდა. არ შეიძლებოდა ნიკოს რაი-
მე გამოსაველი არ მოენახა. მას ხომ
გასაოცარი აღლო და უნარი ჰქონდა,
აღამიანებთან ურთიერთობაში ყოველ-
თვის სასიკეთო გზები მოეთებნა. იგი
ხშირად ეუბნებოდა კოლეგებს:

— როცა აღმზრდელი ხარ, მშობე-
ლი ან მასწავლებელი გქვია, ბავშვებ-
თან ათჯერ და ათასჯერ უფრო მეტი
სითბო და გულისხმიერება გმართებს.
აღზარდო აღამიანი, ეს ნიშნავს, რომ
დაუსახო მას გზები, რომელზედაც
განზრახულია წარმართოს მისი ზვა-
ლინდელი სიხარული. შენს გვერდით
დგას პატარა აღამიანი თავისი სიხარ-
ულითა და მწუხარებით, უნდა შეგეძ-
ლოს ჩაიხედო მის გულში, თვალებში
დაიხანო მისი სულიერი სამყარო.

ეზიკაშვილს კარგად ახსოვდა ნიკოს
წრავალგზის ნათქვამი ეს სიტყვები,
აანალიზებდა მათ და ყოველთვის კონ-
ტროლს უწყევდა თავის მოქმედებას ამ
დებულების მიხედვით. მაგრამ მაინც
გამორჩა რაღაც.. მაგრამ, მაინც, რა?

ნიკო ჩააფიქრა მისმა სიტყვებმა.
ეროდუ გრძნობდა, რომ ნიკო ეძებ-
და გამოსავალს. ბოლოს მან თავი ას-
წია და ეზიკაშვილს მიმართა:

— ერთი ესეც სცადე, ეროდუ: გაკ-
ვეთილების შემდეგ შინ წაუყვანე ან-
ვენე შენი ოჯახი, შენი ბიბლიოთეკა,
ესაუბრე ცხოვრებაზე. კვირაში ორ-
ჯერ-სამჯერ ისტუმრე.. თუ ამანაც არ
გასჭრა, მერე სხვა გზა გამოვნახოთ.

ეზიკაშვილმა მიმართა ამ ხერხს. ნე-
იქე შინ მიიწვია, ერთხელ, ორჯერ,
სამჯერ. ყმაწვილი მასწავლებლის შეი-
ლიშვილებს გურამსა და ნუგეშას მი-
ეჩვია, ამ ოჯახში იგრძნო, რაღაც მან-
ამდე მისთვის უცხო სიმყუდროვე და
სიმშვიდე, სითბო, რომელიც აკლდა.
გურამთან და ნუგეშასთან ერთად
ხსნიდა მთავალითებს და ამოცანებს.
თანდათან ჩამოსცილდა თეთრი ხიდის
ქვეშ ქვიშაზე კოტრიჯის, უსაქმურ,
ლაზღანდარა ახალგაზრდებს.

და ეზიკაშვილმა იგრძნო, რას ნიშ-
ნავდა ეს „უფრო მეტი სითბო და გუ-
ლისხმიერება“, რასაც ნიკო ხშირად
შეახსენებდა ხოლმე, გახსაკუთრებით
ახალგაზრდა პედაგოგებს.

ნიკო განუწყვეტელ ძიებაში მრავალ
წიგნს კითხულობდა, რაც კი პედაგო-
გიკას და სკოლას, ყმაწვილების აღზ-
რდას ეხებოდა. ერთხელ ხელში ჩაუ-
ყარდა მოსკოვის 110-ე საშუალო სკო-
ლის ყოფილი დირექტორის, აკადემი-
კოს ივანე ნოვიკოვის სქელტახიანი
წიგნი. ნოვიკოვი ამ წიგნში მკითხველს
სკოლაში თავის ხანგრძლივ მოღვაწე-
ობაზე მოუთხრობდა და უზიარებდა
თავის მდიდარ გამოცდილებას. იყო ბე-
ვრი სასარგებლო, ყურადსაღები რჩე-
ვები.

ნიკო აღფრთოვანებული დარჩა ამ
წიგნით. მთელი ღამე თეთრად გა-
ათია, ძილი არ მიჰკარებია. წიგნით მი-
ღებული შთაბეჭდილებანი აღელვებდა,
ბევრ რამეს თავის განვილილ გზას ადა-
რებდა.

სკოლაში რომ მივიდა, გაეხარა,
პავლე ხმალაძე უკვე მოსულიყო. სწო-
რედ ამ კაცთან ეწადა ამ დილას შე-

ხედრა. ნოვიკოვის წიგნი მაგიდაზე დადო და პავლეს მიმართა:

— დაკვირვებით გაეცანი ამ წიგნს. ამოწერე, რა შეიძლება ჩვენც გამოვივლიოთ ნოვიკოვის მუშაობის პრაქტიკიდან. ხუთი დღის შემდეგ ვისაუბროთ ამ თემაზე.

ამის შემდეგ სკოლაში შემოიღეს მოწინავე მასწავლებლის დღე. ამ დღეს გამოცდილი პედაგოგები გაკვეთილების შემდეგ საუბრებს ატარებდნენ დაშვებ მასწავლებლებთან. განსაკუთრებით მონდომებით მოეცილეს საქმეს პედაგოგები ჩოგოვაძე, ბალანჩივაძე, ურუშაძე, ტეიშვილი, მ-ზანდარი და კუჭაიძე.

ნიკოს ახალგაზრდა მასწავლებლებთან გასაუბრების ცალკე დღე არ ჰქონდა. ის როგორც კი დროსა და მომენტს მოიხელთებდა ახალგაზრდა პედაგოგებს ელაპარაკებოდა გაკვეთილების ჩატარების შინაარსობრივ და ორგანიზაციულ მხარეებზე, მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიუზაციის გზებსა და მეთოდებზე, თვით მოზარდების გარეგნობის მოწესრიგებაზეც კი, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, თმის ვარცხნილობაზე, სიარულის კულტურაზე... მას თანაბრად აინტერესებდა გაკვეთილის მეცნიერულ-შინაარსობრივი და გარეგნული მხარეები.

ნიკოს ბოლომდე ინარჩუნებდა სიმკაცრესაც. ერთ-ერთი მასწავლებელი მკაცრად გაეციხა იმისათვის, რომ მან გაკვეთილის ბოლოს სამი წუთი არ გამოიყენა, ზუსტად არ განსაზღვრა დრო და კლასი ახმაურდა.

გაკვეთილის ზუსტ დაგეგმვას დიდ ყურადღებას აქცევდა, თითოეულ წუთს ანგარიშს უწევდა, რადგან ასეთი სიზუსტე დისციპლინის, წესრიგის ჩვევის გამომუშავების ერთ-ერთ პირობად მიაჩნდა.

გაკიცხვა გაეციხვად, მაგრამ იგი ამას არ სჯერდებოდა, ვიდრე პედაგოგთან დაწერილებით არ გაარჩევდა მისი შეცდომების მიზეზს.

პირველ სკოლაში ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი გამოცხადდა მთმარათვა ჰქონდა, რომ იგი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი უნდა ყოფილიყო. ნიკომ ახალგაზრდა კაცის საბუთები გადაათვალიერა და თუ მანამდე ქართულად ელაპარაკებოდა, ახლა რუსულად გაუბა საუბარი. საუბარმა დიდხანს არ გასტანა. ნიკომ ახალგაზრდა კაცის საბუთები სათუთად დააწყო, მიმართვის ქალღი ზემოდან დაადო და გაუწოდა.

— წადით, გეთყვა, წაიღეთ ეს ბრძანება. ჩვენ არ გამოგვადგებით. განათლების განყოფილებას მე მოველაპარაკებო.

ახალგაზრდა ჯერ შეფუცხუნდა, წამოიწია, მაგრამ ნიკოს რომ შეხედა, უცებ ჩაცხრა, მიხვდა, რომ ამ კაცთან კამათი არ გამოუვიდოდა და რუსულად გასაუბრებაც ერთგვარი გამოცდიყო, რომელშიც იგი აშკარად ჩაიჭრა.

ამის შემდეგ მასწავლებლად დასანიშნ პიროვნებას ჯერ სკოლის დირექტორს უგზავნიდნენ გასაცნობად, შემდეგ წერდნენ სათანადო ბრძანებასაც.

...დრო კი გადიოდა. ნიკოს ჩანმრთელობა თანდათან სუსტდებოდა. და აი, 1948 წლის 28 ივლისს ქუჩაში ცუდად გახდა. შინ მიიყვანეს და იმ საღამოს, საყვარელმა ექიმმა ჰიქიკო იოსელიანმა ცეღარ უშველა, ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა.

ძნელი დასაჭერებელი იყო ამ კაცის სიკვდილი.

დაკრძალვის დღეს ჩღვა ხალხმა მოიყარა თავი მის სახლთან. პავლე ხმალაძეს დაევალა გამოსათხოვარი სიტყვის თქმა სახლის აივნიდან. ძალიან მძიმე დავალება იყო და პავლემ დიდი მღელვარებით, ყელში დაგუბებული ბოლომით და ცრემლშერეული ხმით

ძლივს გაართვა თავი...

სასაფლაოზე კი ოთხმოცდაოთხი წლის პედაგოგმა ნიკო მესხმა თქვა:

— მე „ავიყვანე“ ჩვილი ნიკო... ახლა მე ვაყრი მიწას!..

წავიდა ამაგდარი, ბევრისთვის საყვარელი კაცი.

დღეს მისი შვილები, კუკური და ზურაბი სათუთად უვლიან და ძვირფას რელიკვიად ინახავენ მამის მიერ დანატოვარ ნივთებს: ოდესის უნივერ-

სიტეტის წარჩინებით დამთავრების დიპლომს. ორ გვერდზე დაწერილ ავტობიოგრაფიას, ერთ-ერთი გაცვეთილ კონსპექტს, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდების სიგელს, საპატიო ნიშნის ორდენს, რამდენიმე გაყვითლებულ სურათს... აი მთელი მისი ავლა-დიდება. მაგრამ დატოვა პედაგოგის უჩინარი ცეცხლი, რომელიც თაობიდან თაობათა გულში გადადის... ეს ცეცხლი კი მარადღეულია!

თიშურაზ ჯანგულაშვილი

ას თეგერვალი

დიად თარიღთა მწყობრში დგება ეს თეგერვალი,
ცხრაასჩვიდმეტის იმ ოქტომბრის შუქი ელვარე,
ჩვენს წელთაღრიცხვას დასაბამი მისცა რომელმაც.
მოდის აღმასვლის,
არნახულის,

ეამი მღელვარე

ქედი დახარონ მწვერვალებმა მიუწვდომელმა!
უკვდავ თარიღთა მწყობრში დგება ეს თეგერვალი.
დიდი სიმართლის და სინათლის უნაპირობით,
ლენინურ რწმენით,

მშენებელი ხალხის სახელით

მეტყველებს ქვეყნის კომუნისტთა დიდი ყრილობის
ტრიბუნა —

ჩვენი საუკუნის გადასახედი,
ჩვენი ეპოქის მთა-მწვერვალად მდგარი ტრიბუნა.
უესმენთ და

გულში აღმაფრენის ტალღა გვიბრუნავს,
უესმენთ და

გვჯერა, ცას ღრუბელი ვერ დაგვიბურავს.
ნათდება გზები,

უფრო დიდი მომავლის გზები,

მრავლდება ზვრები

სიყვარულის და იმედების,

მოეზვირთება რძიან მიწის სიმწვანის ზღვები,
ლონიერდება ველთა ძუძუ,

ძარღვი ქედების.

გაუხუნდებთ შავი ფრთები ფრთოსან რაკეტებს, —
ლაყვარდს მარტოდენ მერცხლის ფრთები უნდა ხაზავდეს!

აღამიანი მხოლოდ ტრფობის ცეცხლით დაფეთდეს,
მხოლოდ იები ფეთქდებოდნენ უნდა ნაზამორეცს.

ქვეყნის და კერის ჭერი უფრო

აგვიმაღლდება,

გაგვილაღდება

სიმღერა და ჩანგის სიმები,



წინაპრის ფუძე-ბალავარი
 გაგვიმრავლდება,
 გაგვიმრავლდება
 აკვანი და ჩვილთა ღიმილი.
 ხე სიციცხლისა მზის სხივებით გაიცივრტება,
 წუთი ყოველი უხვი შუქით დაიტვირთება,
 ველ-მინდვრად — ყანა,
 ჭერქვეშ ღიმი გაგვიხშირდება,
 ბალ-ვენახიც და წიგნის თაროც დაგვიმძიმდება!..
 და ყველა ამას,
 ამხანაგო,
 ბრძოლა სჭირდება,
 შრომა სჭირდება,
 ძალთახმევა
 და აზვირთება.

ღიახ!

ჩვენ ყველას,
 ყველას გვმართებს ბრძოლა შედგარი,
 სიტყვამ ყოველმა უკვდავ საქმით რომ გვაძლიეროს
 ქვეყნად მშვიდობის სამზერაძელოდ,
 ყველა ჩვენგანის

საკეთილდღეოდ

და მამულის საბედნიეროდ!
 მისულეებს ახალ საუკუნის თაღმაღალ კართან
 ყველას ჩაგვესმის ზეალის დღეთა აფრის ტაკუნნი,
 ყველას გვეძახის ბრძოლა მტკიცე და ვაჟკაცური
 ბრძმედთან,
 დაზგასთან,

ფორმულასთან,
 საჭრისთან,
 პწკართან.

სულის ჭეჭილიც არ დავტოვოთ გაუმარგლავი —
 ბრძოლა ყოველგვარ ხელმრუდეებს და გულმრუდეებს!
 ოფლის წმინდა წვეთს ჩაეშუქოს შუქურვარსკვლავი,
 პატროსანი შრომით ვძლევედეთ ყველა ზღუდეებს,
 ალალი ლუკმა მივეუტანოთ კერებს — ბუდეებს!
 გულის სიწმინდემ,

შთაგონებამ დაუცხრომელმა,

საღმა გონებამ,

გამრჩე ხელმა,
 გულმა მშრომელმა,

ახლის ძიებამ, ცინცხალმა და დაუდგრომელმა
 გაანამდვილოს უნდა წინსვლის პროგრამა იგი,
 რაიც პარტიამ დაუსახა ქვეყანას და ხალხს,
 უხვად გასტყორცნოს ამ მღელვარე ასწლეულს იქით
 დღეის სინათლე, რათა მივწვდეთ მწვერვალებს ახალს.

ზადო სულაგერიძე

ახალი „არგო“

1.

ახალ „არგოთი“ ჩამობრუნდა
ძველკოლხური ოქროს საწმისი.
ეს სიყვარულის ლეგენდაა,
სიყვარულის სხვა დასაწყისი.
აწ მისი ფრთები გაიშლება,
აეღერდება ჰიმნი აწ მისი.
ახალ „არგოთი“ ჩამობრუნდა
ძველკოლხური ოქროს საწმისი.
გათენდა კოლხეთს წამოადგა
მზე ელვარე შუქთა მფრქვეველი.
დილა მშვიდობის, ნიჩბოსნებო!
გამარჯობა შენ, ტიმ სევერინ!

2

მედვას თმაშიც ოქრო ელავს,
„არგოს“ მოჰყვა მისი აჩრდილიც.
გატანჯულ ასულს მოეხვია
აიეტის მკლავი გაწვდილი.
სამშობლოს ნატვრამ მოღალატე
ქალის გულიც სევდით გასერა.
აეო აჩრდილო, ვერაგობამ
არ დაგინდო, არ მოგასვენა.
ვინღა აზომოს უცხოეთში
გაწამებულ ქალის ტანჯვანი?!
ელადის მიწას ელვასავეით
ზედ შეატყდა შენი ხანჯალი.

3

შენ, ტიმ სევერინ, ხიფათიან
გზას მოჰყევი იაზონისა,
ნისლმა მშობლიურ ბრიტანეთის
ხმელთაშუა ზღვებიც მონისლა.



ელადის მთვარე აღნებოდა
 ზურგის ქარით აფრას გაბერილს.
 სხვა არაფერი, — სიყვარული,
 სიყვარული, — სხვა არაფერი.
 ბევრი ხომალდი მოგვდგომია
 კოლხურ ტაძრის დამაქცეველი.
 თქვენ, ნიჩბოსნებო, გამარჯობათ!
 გამარჯობა შენ, ტიმ სევერინ!

4

კავკასიონზე მიჩაძვეული
 ახსნილია პრომეთეოსი.
 მთელი კოლხეთი გეგებება
 ახალ მითის შუქით შემოსილს.
 არ დაგახვედრებთ გრძნეულ ხესთან
 აიეტის მძვინვარ ურჩხულებს.
 ყური მიუგდე მაფშალიებს,
 ექლურტულე და ეჩურჩულე.
 აწ სხვა მედეა გამოგყვება
 საწმისისკენ გზათა მკვლეველი.
 მრავალყამიერ, ნიჩბოსნებო!
 გამარჯობა შენ, ტიმ სევერინ!

5

მაგ ნავის აფრას მედეასი
 ასკდებოდა ჭმუნვის ქარებიც.
 მისი დამჭკნარი მთვარეც მოგყვა,
 ხელს გიწვდიან კოლხი ქალები;
 აჰა, კარიბზე გახსნილია
 აიეტის გრძნეულ ტაძრების.
 ღეთის სტუმარი ხარ ბობოქარი,
 შემობრძანდი და აქ დაცხრები.
 ელადის მტრედი აფრენია,
 მტრედს მოჰყევი კლდეთა მძლეძველი.
 აფრად მედეას მანდილი გაქვს,
 შმაგ ზვირთებზე მომარხეველი.

6

ოქროს საწმისზე განფენილა
 საქართველოს მძლავრი ფერები.
 აჰა, სერები, მწვერვალები,
 ვარსკვლავეთში ასაფრენები.
 „დილა მშვიდობის!“ — აწერია,
 აწერია — „ღამე მშვიდობის!“
 ოკეანეებს ატორტმანებს



მოლანდება ნოეს კიდობნის.
 აქ სიყვარულის საწმისია,
 ვართ იმასთან ღამის მთეველი.
 დილა მშვიდობის, ნიჩბოსნებო!
 გამარჯობა შენ, ტიმ სევერინ!

7.

ვანის ანტიკურ სამარხიდან
 ამოგძახებს ძველი კოლხეთი.
 მდინარე ფაზისს ამოჰყევი
 და წარსულის ბუკსთან მოხვედი.
 აღრე გვაქცევდნენ და გებუგავდნენ
 და გეტაცებდნენ ოქროს საწმისებს.
 ვმღეროდით სულზე უტეხარზე,
 მზის ბედზე და დაჭრილ არწივზე.
 მაინც შემოგრაჩა საწმისები
 მწვერვალების, მთების, ტყე-ველის,
 ცხოვრების ხეზე განფენილი,
 სამარხებში ჩაუტეველი.

8

ჰე, ბრიტანელო, შენს ენაზე
 ნახევარი მსოფლიო მღერის.
 შენ ჩემს ლილეოს ვერ გაიგებ,
 ვერ კითხულობ ნესტანის წერილს.
 მაგრამ შენ ნახე, შენს მედეას
 სევდის წყარო ნახე, იგემე.
 მეგობრობაზე გიმღერე და,
 ბრიტანელო, შენ გამიგე მე.
 ძმობის წალკოტში კოლხურ ცის ქვეშ
 სიყვარულის ენით შეველით.
 დილა მშვიდობის, ნიჩბოსნებო
 გამარჯობა შენ, ტიმ სევერინ!

9

გზა მშვიდობისა! გზა მშვიდობის!
 აჰა, კოლხთა ოქროს საწმისი.
 ეს სიყვარულის ლეგენდაა,
 სიყვარულის სხვა დასაწყისი.
 ოკეანეებს ატორტმანებს
 მოლანდება ნოეს კიდობნის.
 შენ, ბრიტანელო, შემოგძახის
 საქართველო — „ღამე მშვიდობის!“
 მეგობრობის კლდეს მოეყრდენი, —
 ურღვევია და ურყეველი.



გზა მშვიდობისა, ნიჩბოსნებო!
გზა მშვიდობის შენ, ტიმ სევერინ!

10

ახალ „არგოთი“ ინგლისელმა
წაიღო კაცმა
ბერძნული ლეღვი ორპირიდან
სულ ერთი აცმა.
სამარხებიდან —
ანტიკური ქალაქის ფერფლი.
ჩანაცრებული
აიეტის კერძის დველფი.
გალაკტიონის სტრიქონიდან
ელვა ნასხლეტი...
თვალი შეავლო ერის ტაძარს
ცამდე ასვეტილს.
ისევე დახვდა გრძნულ ხეზე
ოქროს საწმისი
და გმირთა სული შენახული
დაჭრილ არწივში.
დატვირთა „არგო“.
კოლხეთის და მედეას შუქით
და შლის აფრებად მუხის ფოთლებს
ქართველის ჩუქნილს.
არა საწმისი და მედეა,
არამედ ერის
სიყვარული და მზის ჩახჩახი
წაიღო ბევრი.

ერთი ლექსის ერთი სტრიქონის გადი

„მე გამუდმებით თქვენზე ვფიქრობ“ —

იყო ერთი ასეთი სტრიქონი
ახალგაზრდა პოეტის ლექსში.

— ვინ არის იგი, ვისზედაც ფიქრობთ? —

პკითხა გოგონას რედაქტორმა.

გოგოს სახეზე გაოცება გამოიხატა.

კითხვა მაინც გაუმეორეს:

— პო, ვინ არის, — შრომის გმირია, მოწინავეა?

ცოლიანია, თუ საქორწილო?

ღირსია იგი, რომ გამუდმებით მასზე იფიქროთ?

რა ხნისაა და როგორ იქცევა,

რა არის მისი ცხოვრების კრედიტო?

გოგო დაფიქრდა

და მერე ოდნავ გასაგონი ხმით

ძლივს ამოღერდა:

— ეს ის კაცია, რომელიც მიყვარს

და ამის გარდა მის შესახებ

არა ვიცი რა.

— არა, ასე როდი ივარგებს!

იქნებ ქურდია და უსაქმური,

იქნებ ლალატობს ცოლსა და ოჯახს,

იქნებ...

გოგომ უსიტყვოდ წამოკრიფა თეთრი ფურცლები,

ვით საყვარელი ადამიანი, გულში ჩაიკრა

და ქუჩის გუგუნს შეუერთდა,

სადაც ფართოდ მოაბიჯებდა გაზაფხული,

დააბიჯებდნენ ადამიანებიც:

შრომის გმირები,

მოწინავენი,

ცოლიანები,

უცოლოები,

ცოლთან გაყრილნი,

უსაქმურები,

ქურდბაცაცები...

ერთი სიტყვით, — ხალხი.

• • •

მრავალ დედოფალს,
 მეფეს,
 სარდალს
 და ისტორიის
 თითოეული პეჭარის მფლობელს
 მრუდსა თუ მართალს,
 თითოეული კენესისა, თუ
 ვნებათაღელვის,
 სიკეთისა თუ ისტერიის
 ჰყავს აღმნუსხველი:
 გამოთვლილი მათი ყველა
 ნაბიჯი, აზრი,
 ჰკვიანი იყო, თუ სულელი,
 სულერთია ისტორიისთვის;
 ისინი იყვნენ დიდებულნი,
 თუნდაც ამისთვის
 საუკუნეებს შერჩა მათი
 სიცოცხლის კვალი,
 და როცა ალი ანათებდა,
 ანდა ხრჩოლავდა,
 მაინც რჩებოდა,
 რჩებოდა კვამლი.
 მაგრამ ვინ იცის,
 რამდენ ტკივილს,
 ლამაზ ოცნებებს,
 დიად აზრებს და უბედურებას,
 შედინებების რამდენ წამს და
 რამდენ სიკეთეს
 აფრქვევდა ცრემლი, ან ღიმილი
 შოახლე ქალის!
 თქვენ, უჩინარო —
 ჯარისკაცო,
 პირისფარეშნო,
 სიკეთის ძალით რკინის მკვნეტელნო,
 არაპოეტნო, — სიყვარულით
 ლექსის მთხვევლებო,
 ვისი სახელიც ვერ დაეტია
 ისტორიის მრავალტომიან გამოცემებში,
 გულში,
 ხსოვნაში
 გონებაში
 და
 ბუნებაში —
 თქვენ მოგიძღვენით ეს ნობათი
 და გავისარჯე,
 საუკუნეთა გასვლის შემდეგ

გამოგესარჩლეთ,
 ჩემს სულში თუცი
 სიკეთე ჰყვავის,
 ისევ თქვენ სთესეთ...
 და ჩემს შვილებსაც შევასწავლე
 სიმღერა თქვენზე!..

რესტავრაცია

ყველაფერს ვკარგავ...
 ყველაფერი უეცრად ქრება...
 ჩემს ხელში ნივთებს არსებობა არ უწერია.
 მინდა დაეწერო, — ორთქლდებიან საწერკალმები,
 ფანქრები, ცარცი, ბატის ფრთაც კი,
 თავად ქალაღიცი;
 მინდა გავრეცხო — საპონი კი...
 საპონი — ფაფუ!
 გაუთოვებას დავაპირებ, —
 ორქლდება უთო!
 ვცდილობ, ვიპოვო ღამის პერანგი,
 რომ დავიძინო დაღლილობით ფეხზე ძლივს მდგომმა,
 ვეძებ იმ ლექსებს,
 ამასწინათ რომლებსაც ვწერდი.
 თარგმანებს, წიგნებს,
 ვიღაცისთვის შენახულ სიტყვას,
 შეპირებული ყურადღების ფორმას, შინაარსს,
 არარსებული საქორწინო ბეჭდის სიგრილეს,
 ზამთარში — სითბოს,
 ააპანაქება ზაფხულში — ჩრდილებს
 დამსხვრეული ჭურჭლისთვის — წებოს.
 ჩემს ხელში ეპეებს აღზევება არ უწერია,
 ჩემს სულში ცოცხლობს ნაკვერჩხალის გამლევებელი,
 მასხამენ წყალს და მაინც არ ექრები,
 დაუზარელად, მონდომებით, დაუნანებლად,
 გულუხვად ჩემთვის იმეტებენ
 მხოლოდ წყალს, როგორც
 საშიში ხანძრის ჩაქრობის მტკიცე საშუალებას.
 სახანძრო რაში მორიგეობს ჩემი სახლის წინ,
 შლანგში არ წყდება წყლის ნაკადი,
 ერთგულ მეზობლებს და მეგობრებს წვლილი
 შემოაქვთ —
 მორბიან, რათა გამოიყენონ ყველა ჭურჭელი;
 ჩაის ჭიქები, თასი, ღოჭი, მათლაფა, ჩამჩა,
 განსხვავებული სასმისები, — ყანწი და პეშვი,
 ყვავილებისთვის დანიშნული ნაზი ლარნაკი...

ო, წყლის მარაგი უსაშველო ყოფილა ჩვენში!
 არის წუთები, როცა შრება უწყლობით ხახა,
 როდესაც სულში მიყვავიან იასამნები,
 ყოჩივარდები, ენძელები, ან გვირილები...
 ასეთ დროს წვეთი წყალიც
 არვის არ ემეტება,
 სადღაც ქრებიან მეზობლების ციციკა კოვზებიც,
 ხოლო სახანძრო მანქანებს კი უწყლობისაგან
 პირი უშრებათ და ხრიალებენ.
 და ასე: ვრეცხავ უსაპნოდ და, ხანდახან, უწყლოდ,
 გამშრალ სარეცხს ვნამავ ცრემლით, ვაუთოვებ ცხელი
 ფიქრებით,

სათარგმნელ ლექსებს
 ხელმეორედ ვთარგმნი და ვწვავლობ,
 დაკარგულ ლექსებს ან მიგტირი, ანდა აღვადგენ,
 და თუ გაჭირდა, სულაც ახალ ლექსებს ვამღერებ;
 შეპირებული ყურადღება აღარ მაღელვებს,
 შენახულ სიტყვას
 მომავლისთვის ვინახავ ისევ,
 საწერკალამად
 თვალის, ან ტუჩის შევ-წითელ ფანქრებს,
 ხოლო ქალღაღად, სახეს ვხმარობ.
 ჩემი სახე ხომ მარაოა
 ხან დავეცილი, ხან გადახსნილი...
 ვიცი, ამ ლექსსაც გადაკარგვა რომ უწერია,
 და მასაც, მერე, ნერვიულად დავუწყებ ძებნას,
 ვერ ვიპოვნი და შევეცდები, რომ აღვადგინო
 ის, რაც ტატიოთ სულმა არწია,
 რადგანაც, რასაც ხედავთ ჩემში,
 ან ისმენთ ჩემგან —
 ჭკვია დედანის რესტავრაცია.

ყალბი ბრილიანტი

მოთხრობა

წვიმის წვეთებმა მალე შეწყვიტეს თავიანთი მშვიდი სიმღერა. ბუნებას უყვარს ხანდახან ასეთი ჭირვეულობა. ამ შუა ოქტომბერში ნამდვილი გაზაფხულის წვიმა წამოვიდა, შემოდგომის წვიმას არაფრით არ ჰგავდა. მზემაც გამოანათა და წვიმის წვეთები ძვირფასი თვლებივით აბრჭყვიალდა. როგორ გადაახალისეს მთელი ქალაქი სახლის სახურავები, ხეები, ქუჩები... ყველაფერი ახლადპირდაბანილივით ელავს. წვიმის წვეთები აივანზე გაჭიმულ მავთულებზე მძივებივით მისდევენ ერთმანეთს და მზის სხივებით განათებულნი, ცისარტყელას ყველა ფერით ბრწყინავენ. ძალიან ლამაზი სანახაობაა.

ვისაც მზეზე მობრჭყვიალე წვიმის წვეთები არ უყვარს, ვერც იმის თქმა უნდა გაბედოს, ბრილიანტი მიყვარსო. ბრილიანტი კი თითქმის ყველას უყვარს. საიუველირო მაღაზიაში მუდამ ნახავ უსაქმურ ხალხს, ვითომდა მყიდველებს, ბრილიანტის თვლებს რომ დაჰყურებენ. მერე როგორ დაჰყურებენ; ნაკვერჩხლებივით ანთებული ხარბი თვლებით. წვიმის წვეთების საყურებლად კი არცერთი მათგანი წამითაც არ შეჩერდება. წვიმის წვეთები არაფერი არ ღირს, ამიტომ ვერც მის სილამაზეს ამჩნევენ. ამით იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს ძვირფას თვლებს არაფრად ვაგდებდე: პირიქით, სხვებზე

ნაკლებად არც მე მიყვარს ბრილიანტები. მეც მინდა მქონდეს ბრილიანტის თვლებიანი სამკაულები. როცა სკოლა დაემათავრე ამ ორიოდ წლის წინათ, საზეიმო საღამოზე ყველა გოგონას ჰქონდა რაიმე ძვირფასი სამკაული. მე არ მქონდა და ცოტა არ იყოს, გული დამწყდა. დედას ოქროს ერთადერთი უთვლო ბეჭედი აქვს და მისი გაკეთება ამ საღამოზე არ შეიძლებოდა.

წვიმამ საკმაოდ გააგრილა ჰაერი. ოქტომბრის თვიდან ხანდახან ვანთებ ხოლმე ბუხარს. ჩვენი ძველი ბინის ერთი დიდი უპირატესობა ლამაზი ბუხარია. მართალია გათბობა კარგა ხანია გაიყვანეს, მაგრამ დედაჩემი ბუხარს ვერ შეელოა, (ძალიან უყვარს ცეცხლის ტაკუნის მოსმენა, ამაზე მშვენიერი მუსიკა ჩემს სიცოცხლეში არ მსმენიაო, იტყვის ხოლმე) და ახლა მოგებულნი დავრჩით. ბუხარი ისევ შემოვიდა მოლაში. ჩვეც ძალიან მოგვაქვს თავი ჩვენი ბუხარით. მუდამ მომარაგებული გვაქვს კოხტად დაჭრილი შუშა, ნაკვერჩხლებზე ხანდახან გემრიელ ნამცხვარსაც ვაცხობთ. მართლაც, სულ სხვანაირი, განსაკუთრებული გემო აქვს. ამას ყველა ერთხმად აღიარებს, ვისაც ჩვენი ნამცხვარი უგემია.

შინ არავინაა. დედაჩემი სტუმრადაა თავის დასთან, რალაც საქმე გამოუჩ-

ნდათ. მე ბუხრის წინ დავეჭქე, ცეცხლის ტყაცუნს ყური მივუგდე და ახალი წიგნი გადავშალე. ამაზე სასიამოვნო ჩემთვის არაფერია. ათასჯერ მირჩევნია წიგნის კითხვა ტელევიზორის ყურებას. ამ წიგნს ძალიან მიმიზიდავლი შეხედულემა აქვს. როგორც ეტყობა სათავგადასავლო ეპიკისა უნდა იყოს. ყდაზე ნიღბიანი პრინცესა ახატია, გვერდით აღმოსავლურ კოსტუმში გამოწყობილი პრინცის მუქი სილუეტი მოჩანს. სათაურიც შთამაგონებლად ეღერს: „ყალბი ბრილიანტი“. რა ბედნიერებაა, ჯერ წაიკითხული რომ არ მაქვს. ვინ იცის, რა საინტერესო სამყარო იმალება ამ თხელი ფურცლების მიღმა.

ფრთხილად გადავშალე თავფურცელი. ერთი ფრაზის წაკითხვაც ვერ მოვასწარი, რომ კარზე კაკუნის ხმა გაიქცა. თავიც არ ამიწყევია, ისე გავძახე, შემოდი, კარები ღიაა-მეთქი. ალბათ მეზობლის ბავშვი იქნება, პატარა ნინიკო. მასთან რაღაც საერთო აღმომაჩნდა და ამ ბოლო დროს დავმეგობრდით, მასაც ჩემსავით უყვარს ზღაპრების კითხვა.

ჩემი, რბილი ნაბიჯების ხმა გაისმა და შეწყდა. თავი ავწიე, ჩემ წინ მწვანე ლამურა იდგა.

— რა გინდა?

— ფერების ბაღში კარნავალია, აირჩიე, რომელი ნიღაბი გინდა. — და მან ნიღბების აცმა გაშალა.

ძალიან საინტერესო ლამურაა. მუქი მწვანე ფერის კოსტუმში აცვია და ნიღაბიც მწვანე ფერისა აქვს. ეს მწვანე ფერი მართლაც საოცრად ამსგავსებს ლამურას. უფრო მეტად, ვიდრე ნაცრისფერი კოსტუმში და ნიღაბი დაამსგავსებდა. მართლაც ფართო ფანტაზია უნდა გქონდეს, რომ აირჩიო ერთი შეხედვით სრულიად საწინააღმდეგო ფერი ან დეტალი, მაგრამ სასურველ შედეგს მიიღწიო ბევრად უფრო ზუსტად და ეფექტურად. ნიღბებიც ძალიან მრავალფეროვანი აქვს. ყველა მათგანი მისივე კოსტუმით გონებამახვილურად

და ლამაზად არის შესრულებული. რომელი ავირჩიო? აგერ, შვედსა-ნუკსსაც ყოფილა, მშვიდი, დანამძული თვალშიც ცოცხალივით იყურება. რა უმწეო, რა საყვარელი იერი აქვს.

ხელი ნუკრისკენ გავიწოდე და იქვე მის გვერდით პრინცესა დავინახე. მშვენიერი ნიღაბია, ნაზი, სათუთი ნაკეთები და მოშვილდული გრძელი წარბები აქვს, თავზე ჭილა ადგას; მუყაოსია, მაგრამ ისე ოსტატურადაა შესრულებული, რაიმე ძვირფასი გეგონება.

პრინცესას ნიღაბი სახეზე გავიკეთე და სარკესთან მივედი. თითქოს საგანგებოდ ჩემთვის გაუკეთებიათ.

— ეს მირჩევნია ყველას, — ეთქვი და მოვტრიალდი. ლამურა სადღაც გამქრალიყო.

გამაკვირვა ლამურას ასეთმა სწრაფმა გაუჩინარებამ. აივანზე გავედი და ეზოში გადავიხედე. არავინ იყო, მერაბის გარდა, (ჩემი კარის მეზობელია). თავის რძისფერ მანქანას აპრიალებდა. მერაბს განსაკუთრებით უყვარს ეს ფერი. ტანსაცმელსაც რძისფერს ირჩევს, სახეზეც რძისფერი გადასდის. ნეტავი მასაც ხომ არ ესტუმრა მწვანე ლამურა? მინდოდა მეკითხა, მაგრამ შევეყოყმანდი, ისე ყურადღებით შეჰყურებდა ლამუზა ქარსაფარ მინას და ისე უცაღუნებდა რბილ ნაჭერს, თითქოს მანქანასაც და მინაში არეკლილ საყუთარ ორეულსაც ეფერებო. მართლა ძალიან უყვარს თავისი, ნამდვილად დიდებული მანქანა. მისი ნახვა ან მანქანაში შეიძლება, ანდა თხელი ფიცრებით გადატიხრულ ჩვენს საერთო აივანზე, სადაც მთელი მონდომებით ვარჯიშობს სპორტულ ფორმაში (ისიც რძისფერია) გამოწყობილი. რაიმე სხვა საქმით დაკავებული მერაბი ჯერ არავის უნახავს, თუმცა დედამისი, ქ-ნი ელენე სულ გაიძახის, ძალიან ბევრი საქმე აქვსო. საერთოდ, საკმაოდ სიმბათიური ყმაწვილია. ეს თვითონაც კარგად მოეხსენება და ნამდვილი ნარკისივით ტყებზე თავისი თავით. სულ სარკის ძებნაშია, რასაც არ უნდა აკეთებდეს. როცა ვარჯი-

შობს, ფანჯრის მინებში შეკუთრებს თავის, ქ-ნი ელენეს თქმით. „ანტიკურ“ აღნაგობას. მანქანაში ხუთი სარკე მაინც უყენია, თუ მეტი არა. გზაზე უფრო ხშირად საკუთარ ორეულს შეკუთრებს. როცა გელაპარაკება, სადღაც შენს მიღმა იყურება. მაშინაც სარკეს ეძებს. მე მასთან ლაპარაკისას ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს საერთოდ არ ვარსებობდე.

მერაბის ეს თვისება რომ წარმოვიდგინე, ხმის ამოუღებლად შევტრიალდი ოთახში.

„ყალბი ბრილიანტი“ წაუკითხავი დამრჩა, უამრავი საქმე გამომიჩნდა ერთბაშად, ნილაბი ჰო, მშვენიერი მაქვს, მაგრამ კოსტუმი? მწვანე ლამურა კოსტუმებს არ არიგებდა, ამაზე მე თვითონ უნდა ვიმტკრიო თავი. რომელი კოსტუმი მოუხდება პრინცესას ნილაბს? რა თქმა უნდა, რაიმე ეფექტური. სასურველია ესპანური სტილის მდიდრულად გაშლილი კაბა, მე რომ ასე მომწონს. ჩემს გარდერობში არაფერი მაგის მსგავსი არ მომეპოვება. ერთი საღამოს კაბა კი მაქვს, მაგრამ მეტისმეტად უპრეტენზიოა და ამ ნილაბთან მაინცდამაინც არ გამოდგება. არადა, საღამომდე რას მოვასწრებ.

უეცრად თვალში ფანჯარაზე ჩამოფარებული ლამაზი ფარდა მეცა და ჩემი ფიქრებიც იქით წარიმართნენ. მაშინვე ჩემი თავი რომელიღაც პოპულარული ფილმის გმირად წარმოვიდგინე, მაგრამ რომლის, არ ვიცი. იმდენ კინოფილმში მინახავს ფარდებისაგან იმპროვიზირებულ კაბას როგორ იკერავენ, რომ სულ ერთმანეთში მერევა პერსონაჟები. მაგრამ არა, მე ვერ ვიქნები ფილმის გმირი. ეს ფარდა დედამ ჩემმა სულ ახლახანს იყიდა საკმაოდ ძვირად. ამაზე ფიქრიც არ უნდა გავბედო, არ დავეჭრი ფარდას, მხოლოდ ჩამოვხსნი და მდიდრული მოსასხამით მოვიხვევ.

ერთი სიტყვით, საღამოსთვის მთელი ბინა ფარდის ნაკუწებით იყო მოფენილი, მე კი მშვენიერი, მდიდრული კაბა

მეცვა. პრინცესას ნილაბს რომ შეეფერებოდა, ზუსტად ისეთი. უფროდ ფანჯარას თვალს ვარიდებდი და საკუთარ თავს შევცქეროდი სარკეში. კიდეც რაღაც მაკლია. ჰო, რა თქმა უნდა, ბრილიანტი. ვის გაუგია პრინცესა უბრილიანტებოდა? ნილაბს მუყაოს ჯილა რომ აქვს, კარგი იქნებოდა აქ დამეშაგრებინა. სადღაც უნდა მქონდეს შუშის ძველი ბრჭყვიალა მძივები.

„საგანძური“ ამოეჩხრიკე, ათასნაირი ბრჭყვიალა ხარახურა, რითაც ბავშვობაში ვერთობოდი. ეს შუშის მძივი კისერზე მეკიდა და ჩემი თავი დედოფალი მეგონა. შუაში ნოზრდილი თვალი აქვს, თხილისტოლა იქნება. ესღა შემოგვრჩა მე და დედაჩემს, ერთ დროს კი ამ ხარახურის პატრონს, ბებიაჩემს ნამდვილი ბრილიანტებიც ჰქონია თურმე. იშვიათი სილამაზის ქალი ყოფილა, თანაც გადასარევედ მღეროდაო, ამბობენ ჩვენს ნათესაურ წრეში, ხანდახან მასზე რომ ჩამოვარდება ლაპარაკი. თაყვანისმცემლების მთელი გუხული ეხვია თურმე ირგვლივ. ძალიან არეული ცხოვრება კი ჰქონია, რომანისტების ენით რომ ვთქვათ, მისი ცხოვრება შეხედრების და განშორებების უწყვეტი ჯაჭვი ყოფილა. ძველ, ჩაყვითლებულ სურათზეც ჩანს, მართლაც, რა ლამაზი ქალი იქნებოდა ერთ დროს. საღამოს კაბაში გამოწყობილს შუბლზე ძვირფასი ბრილიანტის დიადემა უკეთია და იმ ბრილიანტებზე ნაკლებად როდი უელვარებს თვალები. სად ჩაიყლაპა მერე ეს ბრილიანტები? დედაჩემი ამბობს; პატარაობისას ჩემს აკვანზე ეკიდა და იმით ვთამაშობდიო, მერე კი, როცა წამოვიზარდე, მათი კვალი აღარსად ჩანდაო. როცა ბებიას ამაზე რაიმეს შეეკითხებოდნენ, თურმე მაშინვე ტირილს იწყებდა. და როგორც დედაჩემი ამბობს, იმ ბრჭყვიალა ქვებს კი არ მისტიროდა... არა, მაგ ყაიდის ქალი არ ყოფილა ამისთანა ქვარუნებს კრუხებივით რომ ასხედან, თორემ იქნებ არც დაკარგოდა ისინი. რაღაც უსიამო მოგონება აწუხებდა, რაც იმ

ბრილიანტებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ აღარ აცივდებოდა დედაჩემი და დღემდე საიდუმლოებითაა მოცული ჩვენთვის იმ დიადემის ამბავი. ისე გარდაიცვალა ბებიაჩემი, სიტყვაც არ დავუბრავს ამასზე.

როგორ გამომადგებოდა ახლა, ამ ხარახურაში რომ ერიოს ერთი იმ ბრილიანტთაგანი. თუმცა, ლამაზი კი არის ეს მოზრდილი თვალი. ისე ბრწყინავს, მართლა ბრილიანტი გეგონება. ძველმა ოსტატებმა იცოდნენ სტრაზის დამზადების ხელოვნება. ეს წესად იყო: როცა ძალიან ძვირფასი თვალი ჰქონდათ, მის ყალბ ასლს აკეთებდნენ, ვინ იცის, როგორ დასჭირდებოდათ.

თვალი ფანჯარასთან მივიტანე. მართლა როგორ ელვარებს. მზის სხივები ცისარტყელასავით ნაირფერ კონებად შეკრა და ამ კონებს ხან ერთმანეთს გადააქსოვს, ხან სხვადასხვა კუთხით გაშლის იმის მიხედვით, თუ როგორ შემოვატრიალებ ხელის გულზე. მართლა ლამაზია, წვიმის წვეთებით ლამაზი.

„ბრილიანტი“ წვრილ მათეულზე ავაგე და მუყაოს ჯილაზე დავამაგრე.

— აი, ახლა კი ნამდვილი პრინცესა ვარ, — ვთქვი ხმამაღლა, როცა ჩემი გამოსახულება კარგად დავათვალიერე სარკეში. — ახლა შემიძლია წავიდე კარნავალზე და იქ ნამდვილად შევხვდები ზღაპრულ პრინცს. მე როგორც ჭეშმარიტი პრინცესა, მხოლოდ პრინცთან თუ ვიცეკვებ, სხვა არავისთან.

ფერიების ბალი ასეთი ლამაზი არასოდეს მენახა. ყოველთვის მომწონდა ეს ბალი. განსაკუთრებით მიზიდავდნენ ფერიების ნაირნაირი ქანდაკებები, რომლებიც ბალის მთელ, საემაოდ მოზრდილ ტერიტორიაზე იყვნენ მიმოფანტულნი. ძალიან კარგად ეხმარებოდნენ კოხტად გაკრეჭილ ბუჩქნარს თუ მაღალ, მოშრიალე ხეებს. აქ იყვნენ ზღვის თევზისკუდიანი ფერიები, უცნაურად მორკალულებს ქერკევი ვერცხლისფრად რომ უელვარებდათ. ხელფრთიანი, მო-

მლიმარე, ქერუბიმები თითქმის სულ ერთი წამით ჩამომსხდნენ ცეცხლს მკვიდრ კვარცხლბეკზე და საცაა ისევ აფრინდებოდნენ. ტყის თმებგაშლილ ალებს ისე გაეწვდინათ წინ ხელები, თითქოს რაღაც საიდუმლო რიტუალს ასრულებენო. და სხვა მრავალი... მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ყველა მათგანი რომელიმე ერთ პოზაში გაჩინდული მახსოვდა, ახლა კი, სადღესასწაულო ფერადი განათების ზღვაში, ნაირნაირი ფანტასტიკური ნიღბებითა და კოსტუმებით შემოსილი ხალხის გარემოცვაში ისინი თითქოს გაცოცხლდნენ, მშობლიურ სტიქიაში იგრძობეს თავი. ირგვლივ ყველაფერი ზღაპრული იყო. უჩვეულო და განსაკუთრებული. არაფრით არ ჰგავდა ეს საღამო სხვა, ჩვეულებრივ საღამომს. აქ ყველა ზღაპრის გმირად გრძნობდა თავს. და არავის გაუყვირდებოდა, უცბად რომელიმე ფერია რომ ჩამოსულიყო კვარცხლბეკიდან და საცეკვაოდ გაეწვია. არც არავინ იტყოდა უარს ფერიასთან ცეკვავზე.

სხვისი არ ვიცი, მე კი ნამდვილად ფერიასთან თუ ვიცეკვებ ალბათ. რა ხანია ვათვალისწინებ და ამდენ ნიღბებში ერთი პრინციც არ ჩანს. სხვასთან კი არავეისთან ვიცეკვებ, არა და არა. აგერ, მეფისთველი მეპატიებება, წითელ, დიდებულ კოსტუმში გამოწყობილი. თამამი ჟესტით მიწვდის ხელს; მოდი, პრინცესა, ჩემთან იცეკვე! — ხმაც შესაფერისი ჰქონია, ბოხი, შთამაგონებელი.

- არა.
- რატომ?
- მე მხოლოდ პრინცთან ვიცეკვებ, სხვასთან არავისთან.
- შენ თვითონ ნამდვილი პრინცესა ხარ?
- რა თქმა უნდა, ნამდვილი. ათი ლეიბის ქვეშ ბარდის მარცვალი რომ დამიდონ, იმასაც ვიგრძნობ.
- მერე სად ნახავ ნამდვილ პრინცს, სადღა არიან. ისევ გიჩვენია ჩემთან იცეკვაო.

ეჰ, მგონი მართლაც აღარ არიან ნამდვილი პრინციები და მე მართო მომიწევს ყოფნა ამ კარნავალზე. მერე რა მხიარულებაა. თითქოს ყველას პირი შეუკრავს, სხვა დანარჩენი ყველაფერი დაიფიჭონ და რაც შეიძლება დიდებულად გაატარონ ეს საღამო. ფერადი ნათურებით განათებული შადრევნის ირგვლივ ისეთი ფერხული გაუჩაღდნიათ, მათ მასურებელს თავბრუ მეხვევა. რა კარგია! მაგრამ ამ ნაირფერ ნიღბებში ისე დავდივარ, თითქოს ტყეში დაკარგული ბავშვი ვიყო, ირგვლივ ადამიანების მაგივრად რაღაც უცხო არსებები იყვნენ, მე კი არაფრით არ შემეძლო მათთან საერთო ენის გამოხატვა.

უკვე საბოლოოდ დამეკარგა იმედი, კომპრომისზე წასვლაც არ მინდა და ძალიან ცუდ გუნებაზე მყოფმა სახლში დაბრუნება გადავწყვიტე.

და სწორედ ამ დროს (მხოლოდ უდიდესი სასოწარკვეთის ეამს ხდება უდიდესი გარდატეხა, ასე წამიკითხავს წიგნებში) დავინახე ნამდვილი პრინცი, ვაჟაკური და საოცრად მოხდენილი. აღმოსავლური კოსტუმი აცვია, ათას ერთი ლამის პერსონაჟს ჰგავს. თავზე ჩაღმა აჭურავს, ჩაღმაზე დიდი ბრილიანტი უბრჭყვიალებს. მანაც დამინახა და მთელი გულით გამიღიმა. სახეც მეტად სიმპატიური უნდა ჰქონდეს, ნიღაბს იჭით თეთრი კბილები ელვარებენ. ხმის ამოღებასაც არ ვაცლი. მაშინვე შეტევაზე გადავდივარ:

— რატომ არავისთან არ ცეკვავთ, მართო რაღა ხართ?

— მე ხმოლოდ პრინცესასთან თუ ვიცეკვებ, სხვასთან არავისთან. არ შემიძლია. მთელი საღამო დავდივარ და დავეძებ პრინცესას, როგორც იქნა, გნახეთ.

და მან ხელი გამომიწოდა გულწრფელი, უბრალო მოძრაობით, ისე რომ თავისი დიდებული შეხედულება და იერი ოღნავადაც არ დაუშვირებია.

— თქვენ წარმოიდგინეთ, მეც მაგ

დღეში ვარ, ამდენ ხალხში სრულიად მართო ვგრძნობ თავს.

— ჩვენს მართობას ბოლო მოეღო.

— ხელი ჩამვიდა და საცეკვაოდ გამაქანა. ახლა კი ნამდვილად ვაცოცხლდნენ ფერიები. ამოძრავდნენ, აცეკვდნენ, აპყვენენ მუსიკით და სინათლით დამუხბულ, გაჭერებულ ჰაერს. საღამო ზღაპრული ქვეყნისკენ გასწიეს ფრენით და ჩვენც თან გაგვიყოლეს.

როცა სული მოვითქვეთ, ბაღის მყუდრო, მწვანე შუქით განათებულ კუთხეში აღმოვჩნდით. მუსიკისა და მოცეკვაეების ხმა საღამო შორიხლოს ისმოდა. იქვე, ჩვენ გვერდით, მოზაიკისნაპირებიანი მომცრო აუზის შუაგულში თევზისკუდიანი ზღვის ფერია იღგა, ორივე ხელით მოზრდილი ნიჟარა ეჭირა და ისეთი ყურადღებით დაჰყურებდა, თითქოს მარგალიტს დაეძებდა მის სიღრმეში. ვინ იცის, იქნებ მართლა იღო იქ რაიმე ძვირფასი თვალი, თუნდაც მარგალიტი. მწვანე სხივების ზღვაში ჩაძირულ ფერიას ისეთი იღუშალი და მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველება ჰქონდა...

ოღნავ სუნთქვაჩქარებულმა მწვანე შუქზე იჩქითად შევათვალე ერთმანეთი და მე, რაც ენაზე მომადგა, ის შევეკითხე:

— რომელი სკოლა დაამთავრეთ? პრინცმა გაცეხით ასწია წარბები.

— მე სკოლა არ დამიმთავრებია, ჩემო პრინცესა, კერძო პედაგოგები მასწავლიდნენ. — და მან გამოჩენილ მეცნიერთა გვარების კორიანტელი დააყენა.

ერთი ამას დამიხედეთ. დაიცა, გიჩვენებ სიერს.

— აჰა, გასაგებია, ნამდვილი არიფი ყოფილხართ.

— როგორ თუ არიფი. მე ხომ ადამიანური სიბრძნის ყველა საფეხური შევისწავლე. მეცნიერების და ხელოვნების ყველა უახლეს მიღწევას ვიცნობ, თანაც ისე ამომწურავად, თვით ავტორებსაც გაუწუვედი მეტოქეობას.

— ეს კარგია, მაგრამ ცხოვრებას

ხართ მოწყვეტილი. დარწმუნებული ვარ, დამოუკიდებელი აზროვნება და მოქმედების უნარი სრულებით არ გაგაჩნიათ. თქვენ რომ გიყურებთ, ასე მგონია. პატარა სანიმუშო ბიჭუნას შევყურებ, რომელიც მხოლოდ დედიკოს უჯერებს და რასაც უბრძანებენ, იმას აკეთებს. საკუთარი ნება-სურვილით კი ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეუძლია. რაიმე დაუფიქრებელი, წინასწარ გაუნუსჯელი მოქმედების ჩადენაზე ზომ ოცნებასაც ვერ გაბედავთ.

ოდნავ შეცბუნებული პრინცი ყურადღებით მისმენდა. მე ჩემსას მივერეკებოდი:

...— არაფერს არ ვაფასებ ადამიანში ისე, როგორც რისკიან, თავისუფალ ხასიათს. უნდა შეგეძლოს ხანდახან თვალდახუჭული გადაეშვა საღდაც. ზომ გინახავთ, ჩანჩქერი რომ ეშვება კლდიდან, აი ისეთი თავზეხელაღებით. უაზროდ ცხოვრება ისე მოსაწყენია, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ფანჯრიდან გადახტე, მაგრამ ვაი, რომ ყველა ფანჯარას ოქროს ვისოსები აქვს აკრული.

— თქვენ თუ შეგიძლიათ, პრინცესა, რაიმე წინასწარ გაუნუსჯელი, დაუფიქრებელი საქციელის ჩადენა, — ისეთი გულმხურვალებით, ისე მიამიტად მკითხა პრინცმა, სიცილი ძლივს შევიკავე. არა უშავს რა, კარგად ასრულებს თავის როლს.

— მაგას რაღა კითხვა უნდა, თავისთავად ცხადია, შემიძლია. ჩემი სტიქიაა, მუდამ სტიქიასავით დაუდევარი და დაუფიქრებელი ვიყო. აი მაგალითად, მე შემიძლია გავიპარო იმ მოოქროვილი გალიიდან, სადაც დავიბადე და გავიზარდე. შემიძლია ინკოგნიტოდ ვიპარო. სადაც კი მოვისურვებ, და რომ იცოდეთ, ეს ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერებაა. ამ დროს სელიერად ვისკვნებ ზოლმე. თქვენ კი, ნამდვილად ვიცი, გავიჭირდებათ გაპარვა, კიდევ რომ მოგსელოდათ თავში ასეთი რამ.

ამაზე პრინცმა სევდიანი ხმით მიპასუხა:

— მართალი ხართ, ჩემი ბრწყინვალე მეც ვცადე რამდენჯერმე შეგეძლია რაფრით ვერ მოვახერხე გაპარვა. ჩემმა მშობლებმა ყოველი ჩემი ნაბიჯი იცინან. ინკოგნიტოდ ვერ არსად მივლია. აგერ, ის ორი ნილაბი. — მან ლომის-ნილაბიანებზე მიმითითა, ნელნელა რომ ჩავვიარეს შორიახლოს და მგონი გადმოგვხედეს კიდევ — მე დამდევენ, თვალს არ მაშორებენ.

— ოჰო, ჰო, რა მარჯვე ცრუბენტელაა.

— მებრალებით, პრინცი, ძალიან მებრალებით. არაფერია უფრო მტანჯველი, ვიდრე სულ ვილაცის მეთვალყურეობით ცხოვრება. აი, მე კი არავინ დამდევს ახლა, არავინ იცის, სად ვიმყოფები, თანაც პრინცესას ნილბით შორთული. ეს ნილაბი განგებ ამოვირჩიე, თუ პრინცესას ნილაბს გავიკეთებ, არავის მოუვა აზრად, რომ მართლაც ნამდვილი პრინცესა ვარ. ყველას ასე ჰგონია, მხოლოდ ნილაბი მიკეთია და მეტი არაფერი. ეს ბრილიანტიც ყველას ყალბი ჰგონია, ეს კი ნამდვილი ბრილიანტია, ძალიან ძვირფასი. საკუთარი სახელიც კი ჰქვია: „ბრილიანტის ციალი“.

— ეს კი „სამხრეთის ჯვარია“. — მიმითითა პრინცმა თავის ბრილიანტზე. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შექამოსო.

ასეთი საუბრით ნელ-ნელა ისევ ხალხმრავალ ადგილებში გამოვედი. პრინცი შეფიქრიანებულივით გაჩუმდა, მეც არ ვიღებდი ხმას, გაბუტულბავით მივამიჯებდი.

ასე მივადექით გაზიანი წყლის ფარდულს, სადაც უამრავი ნილაბი ირეოდა. იყო ერთი ჭიკავე-ჭიკავე და მიწვე-მოწვეა. პრინცმა მარჯველ გაიკვლია გზა ხალხის ტალღაში, გაზიანი წყალი იყიდა და მომირბენინა. აქ მგონი ნაცნობები ნახა, ვილაციებს ელაპარაკება. ის ორი ლომისნილბიანი დავიხაზე. წყალს ნელ-ნელა ესვამდი და ვფიქრობდი: როგორ ახსნის პრინცი ლომისნილბიანებთან დიალოგს? ალბათ სასწრაფო სახელმწიფო საქმე, ან რაღაც

ამდაგვარი გამოუჩნდა. ვნახოთ, რას მოიფიქრებს, მეც აქ ვარ. ვეცდები არ ჩამოვრჩე. ნეტავი სად გაქრა? აგერ, ვილაც პატარა ბიჭს ელაპარაკება. რაღაც ბარათი გადასცა და ჩუმიც რაღაც უთხრა. მგონი იმ ბიჭსაც უყვოდა ერთი ჭიკა რომაგისროფიანი წყალი. ხომ ისეთი ჭეცვა და ღრინავი იყო, მაინც შევამჩნიე, რომ პრინცი თავის მოქმედების შენიღბვას ცდილობდა. ნეტავი რა ჩაიფიქრა?

გამოვცდით იმ ხმაურიან ფარდულს, ისევ მუდრო ხეივანებს მივაშურეთ. პრინცი ხმისამოუღებლად მოაბიჯებს, რაღაცაზე მწუხარედ ჩაფიქრებულია. მერე ერთი ისე ამოიოხრა, თითქოს გულიც თან ამოაყოლო და თქვა:

— ეჰ, თქვენსავით რატომ მეც არ შემიძლია ხანდახან მაინც დავალწიო მათ თავი?

— გინდათ? ერთად ვცადოთ.

— როგორ?

— სულ უბრალოდ. აი, ამ ხეივნის ბოლოს გვირაბი იწყება, ის გვირაბი პირდაპირ ქუჩაში გადის. იქ მანქანაში ჩავსხდეთ და გავიპაროთ.

— გავიპაროთ და სადმე ოკეანეში კუნძული ვიყიდოთ, — ჩამომართვა სიტყვა აღფრთოვანებულმა პრინცმა. — ნამდვილ ზღაპრულ სამოთხეს მოვაწყობ იქ, თქვენ კი ჩემი დედოფალი იქნებით.

— დიდი ბედნიერებაა ეს ჩემთვის, მაგრამ ჯერ იქამდე მივალწიოთ, — ეთქვი მე და ხეივნის ბოლოსაკენ გავიქეცი. თვალეზიმიკიმებული პრინცი ბავშვივით დაემდეგა. ცოტა ხნით ჩაბნელებული ხეივნის უკან დავიცადეთ, რათა მეთვალყურეებისათვის კვალი დაგვებნია. დაეინახეთ (მართლა როგორ ემთხვევა ყველაფერი ერთმანეთს წინასწარ ჩაფიქრებულ მიზანსაცნასავით) რა შეშფოთებით აწრიალდნენ და სადღაც გაძვრნენ. ჩვენ სასწრაფოდ გვირაბში შევრგეთ თავი და უკანმოუხედავად გავიქეცი. გვირაბის ბოლოს ცარიელ ქუჩაში ცარიელი ტაქსი თითქოს საგანგებოდ ჩვენ გველოდებოდა.

— რა კარგია, გაპარე, რა მოხდა? — რხეთ, ამას თქვენ უნდა გიმადლოდეთ, პრინცესა, — თქვა გახარებულმა პრინცმა. მე არ ვამიზიარებია მისი აღფრთოვანება, ჩემსას ვფიქრობდი. ტაქსში, რა თქმა უნდა არ ჩავჯდები. რისი მომიზეზება აქვთ? სასწრაფო შეხვედრა მთვარის სამეფოს ელჩებთან... ანდა მანქანა... ჰო, მანქანა უფრო ნაღია. ესა მაკლია ტაქსში ჩავჯდე. დახჯღრეულ ტაქსში! სადაა თქვენი ეკიპაჟი? თქვენ დიდებული, ბრწყინვალე მანქანა უნდა გყავდეთ, ახალთახალი და რძისფერი, აუცილებლად რძისფერი. ასფალტზე ისე უნდა მისრიალებდეს, როგორც ციკა მოლიზულ ყინულზე.

პრინცმა ტაქსის სახელურს მოჰკიდა ხელი. მე ერთი ღრმად ჩავისუნთქე და ის-ის იყო უნდა გამომეცხადებინა ჩემი აღშფოთება, რომ ვილაც პატარა ბიჭმა მოიბრინა და პრინცს ბარათი გაუწოდა, ეს თქვენი გამომატანესო. აშკარად შეშფოთებულმა პრინცმა გაშალა ბარათი, წაიკითხა და მკვდრისფერი დაველო.

— არა, აღარაფრის იმედი აღარ მაქვს, ვერასოდეს ვერ დავალწევ თავს, — ჩაილაპარაკა ჩავარდნილი ხმით.

— რა მოხდა?

— აჰა, წაიკითხეთ, რას მწერს მამაჩემი. „ჩემო ბიჭუნა. როცა დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ წასვლას დააპირებ, არ დაგავიწყდეს კბილის ჯაგრისის წალევა. იგი შენს საწოლ ოთახში, პატარა ტუმბოს მარჯვენა უჯრაში დევეს“. განა ეს საოცარი არ არის?

— მართლა საოცარია, — ეთქვი მე მართლა გაოცებულმა და დაბნეულმა, ძალიან მარჯვე პარტნიორი შემხვდა. აი, თურმე რა გადასცა იმ პატარა ბიჭს ფარდულთან.

— ახლა სხვა გზა არაა, — განაგრძო პრინცმა იმავე ტონით. — სასწრაფოდ უნდა ვეახლო მამაჩემს. ხვალ აუცილებლად გნახავთ, ჩემო პრინცესა, აუცილებლად, ახლა კი ნება მიბოძეთ, დაგემშვიდობოთ.

პრინცი მანქანაში ჩაჯდა და კარები

მიხურა. მართლა დანჯღრეული მანქანა გამოდგა. სამჯერ მაინც მოუხდა კარის მიჯახუნება.

— ყველას როდი აქვს ინკოგნიტოდ სიარულის უნარი, — როგორც იქნა გამოვთხოვდი მე. — ეს მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულთა ხვედრია.

— იქნებ მეც შევილო ოდესმე, მაგრჩეულთა შორის მოხვედრა. — მეოცნებეავეთ თქვა პრინცმა და გაქრა.

მეორე დღით, გავიღვიძე თუ არა, მაშინვე უფარდო ფანჯარა შემეჩხირა თვალში და საზიზღარ გუნებაზე დავდექი. ეს რა სისულელე ჩავიღინე. იმისთვის დავჭერი ეს მშვენიერი ფარდა, რომ მთელი საღამო ვიღაც ცრუპენტელასათვის მეგდო ყური. როგორღა დავხვდე დედაჩემს, რა მეშველება. ამ ფიქრებით შეწუხებულს იქვე მაგიდაზე გამომწვევად დადებულმა პრინცის ნიღაბმა და „ჩრდილოეთის ციალმა“ თითქოს მდულარე გადამასხა. „თქვენლა მკლდით“. — ვთქვი გაღიზიანებულმა. — „თქვენ მაინც მოგივლით, როგორც საჭიროა“. დაეპირე ანაგვე ყუთში ჩამეყარა, მაგრამ გადაეფიქრე და ეზოში მოთამაშე ბავშვებს გადაეუყარე. აჰა, ითამაშეთ-მეთქი. პრინცისას ნიღაბი ნინიკომ დაიჭირა და გახარებულმა მაშინვე გაიკეთა. ბრილიანტი ასფალტზე გაგორდა. ვიღაც ბავშვმა ხელი დაავლო და თამაშიც გაჩაღდა. ასეთ ცუდ გუნებაზე მყოფს, მათი გახარებულო სახის ყურება და წკრიალა სიცილის გაგონება ძალიან მესიამოვნა და თვალს ველარ ვამორებდი. ბრილიანტს ჯერ, როგორც პატარა ბურთს, ისე ავდებდნენ მალლა და გამარჯვებულებს ის იყო, ვინც დაიჭერდა. მერე ჩოგანით ითამაშეს, თითქოს პინგპონგის ბურთი იყო. როცა ესეც მობეზრდათ, მანქანაში სროლა დაიწყეს ბრილიანტით. აი, ფათერაკები მაშინ დატრიალდა. ბრილიანტი ბელურას დაუმიზნეს, მშვიდად რომ იქექებოდა თავისთვის, მაგრამ აცდა და დერდა მარგოს შუშაბანდს მოხვდა ტყაცანით. შუშა გატყდა. დეი-

და მარგომ ყველაფერი წყიმღალკრულ ვით აიკლო, როდესაც შუშის-ნამტვრეტებს სანაგვე ყურში ყრიდა. მერე ბრილიანტი ბიძია აბელს მოხვდა პირდაპირ შუბლში, როცა სარკის წინ წვერს იპარსავდა ბიძია აბელმა აიღო ბრილიანტი და რაც შეიძლებოდა, შორს მოიწროლა. ბიჭებმა ისევ იპოვეს და პაატამ სახლში გააქანა, მაგრამ დედამისმა სახლიდან ცემა-ტყეპით გამოაგდო, სახლი ნაგვით ნუ ამივსეო.

კიდევ კარგი, მერაბის ჩძისფერი მანქანა არ იღდა ეზოში, თორემ იმდენი სარკეებიდან ერთერთი მაინც შეეწირებოდა „ჩრდილოეთის ციალს“.

ბოლოს ბავშვებს თამაში მობეზრდათ. ნიღაბი და ბრილიანტი შუა ეზოში მიავდეს და თვითონ საღდაც მიიშალნენ. ეზოში მეზობლის ქალი სარეცხს რეცხავდა. ჭუჭყიანი წყალი პირდაპირ ასფალტზე გადმოლეაბა. წყალმა აატივტივა ნიღაბი და ბრილიანტი, წყლის ჩასადენ კასთან მიიტანა და იქ, ნაპირზე, თითქოს საგანგებოდ შემოასკუპა. აივნიდან ვუყურებდი, ჩავარდებოდა თუ არა ბრილიანტი ჭაში. არა, არ ჩავარდა, იღო ისე, ზღვის კენჭვით. მეც მივანებე თავი მის ყურებას და შინ შევბრუნდი. ისევ ჩემს გაპირებების ტელეკესს, ბუხარს მივუბრუნდი, ცეცხლის პირას იქნება რაიმე მოვიფიქრომეთქი.

მართლაც, ცეცხლის გუზგუზმა, და ნაპერწყლების მხიარულმა ტყაცატყუცმა თავისი ჰქნა. უსიამოვნო ფიქრები თითქოს შეშასთან ერთად ჩაიწვენონ, სულ მალე მათგან აღარაფერი დარჩა. არა, ცეცხლის ხმას მართლაც არაფერი შედარებოდა ამქვეყნად. მეტად სასიამოვნო, მსუბუქი განცდა დამეუფლა. უფრო კარგად შევუყუთე ბუხარს, სულ ვუმატებდი და ვუმატებდი შეშას, სანამ ნაკვერცხლებმა მზესავით თვალის-მომპკრელად არ დაიწყეს ბრწყინვა.

მოულოდნელად ყვავის ჩხავილივით უსიამოვნო ხმამ ყველაფერი წაბილწა: — ეს ნაგავი აქ ვინ დაყარა? დეიდა მარუსიას ხმაა, მთელი ეზოს

ბატონ-პატრონისა და მბრძანებლის. მის სიტყვებს პაუზა მოჰყვია, ალბათ ხმადაბლა მიაწოდეს ინფორმაცია ჩემ შესახებ.

— კეთილინებოს და ჩამობრძანდეს, ახლავე მოაშოროს ეს ნაგავი აქედან. ვიცი, არაფრით არ გაჩერდება, მორჩილად ჩავდივარ ეზოში, დონჩჰემ-მოყრილი მარუსიას წინ ვიხრები, ვიღებ იმ ბედნავს ნიღაბს და წამოსასვლელად ვტრიალდები.

— ამას ვის უტოვებ? — თვალებით მანიშნებს ბრილიანტზე. გეგონება, ძალიან ამძიმებდეს აქაურობას. ამასაც ვიღებ და მოვდივარ.

— მე რომ არ ვიყო, აქაურობას, ვინ იცის, რას დაამსგავსებდნენ, — ამბობს დეიდა მარუსია, კამფეტს პირში იღებს, კამფეტის ქაღალდს ჩუმად აგდებს ძირს და გამარჯვებული სახით შედის სახლში.

საბრალო პრინცესა, ნუთუ არავის არ სჭირდება. არც შენ და არც შენი „ჩრდილოეთის ციალი“. არა, აღარ გადავყრი, გავრეცხავ და შევიწახავ ყველას ჯინაზე.

გარეცხილი, გაბრწყინებული „ჩრდილოეთის ციალი“ ბუხრის წინ პატარა მაგიდაზე დავდე. პრინცესას ნიღაბი კი აიენანუ გაჭიმულ თოკზე გადავკიდე გასაშრობად. პრინცესას სახეზე წყლის წვეთები ცრემლებივით ჩამოსდიოდა და ძირს, ასფალტზე ეცემოდა. ერთი წვეთი მერაბს დაეცა თავზე, რომელიც სწორედ ამ დროს შემოსრიალდა თავისი დიდებული მანქანით ეზოში, და ჩვენი აივნის ქვეშ გადმოვიდა მანქანიდან. მეორე წვეთი მგონი საყელოში ჩაუვარდა, ხელი მოისვა კისერზე და თავი მაღლა ასწია. ვითომც არაფერი დამინახავს, მტირალ პრინცესას გადაეხედე და ოთახში შევბრუნდი.

„ჩრდილოეთის ციალი“ კიდევ უფრო მეტი დიდებულებით ბრწყინავდა გაღვივებული ნაკვერჩხლების შუქზე. „მართლაც რა ლამაზია“. გამახსენდა ძველებურ წიგნებში წაკითხული ამბავი, ვლაც დედოფალი ბრილიანტებს ცეც-

ხლში რომ ყრიდა. ისინიც იქვოდნენ და დედოფალი ამით ძალიან კარგად ერთობოდა. თუ „ჩრდილოეთის ციალი“ ნამდვილი ბრილიანტია, მაშინ ესეც დაიწვება ცეცხლში, ნახშირად იქცევა. ბრილიანტი ხომ ნახშირის ალოტროპიული სახეცვლილებაა. თუ ნამდვილი არაა, მაშინ არ დაიწვება. ამ ფიქრებში გართულს ჩემს თავზე გამეცინა, „ჩრდილოეთის ციალი“ ნამდვილი ბრილიანტი რომ იყოს, ფასდაუდებელი გახდებოდა. მაშინ მართლა იქნებოდა შესაძლებელი მის ფასად კუნძულის ყიდვა. ეს ისეთივე ნამდვილი ბრილიანტია, როგორც მე ვარ ნამდვილი პრინცესა. ეჰ, რა იქნებოდა როგორმე ნამდვილი ბრილიანტი შეენახა ბებიამ ჩემს ამ სტრაზის ნაცვლად.

უცბად კარებზე კაყუნის ხმა შემომგისმა.

— შემოდი, — გავძახე. ალბათ ნინიკო იქნება, ბრილიანტი მოენატრებოდა. კარები გაიღო და ნინიკოს მაგივრად ჩემ თვალწინ რძისფერებში გამოწყობილი მერაბი აისვენდა. რბილლანჩიანი სპორტული ფეხსაცმელებით სრულიად უხმაუროდ შემოვიდა ოთახში.

— ეს ნიღაბი შენია? — მკითხა და სადღაც ჩემს მიღმა გაიხედა. იქ ბუხარია, ბუხარში თავის თავს ვერ დაინახავს.

— ჩემია.

— კარგად კი ასრულებდი შენს როლს. — თეთრი კბილები გააღვარა მერაბმა.

— რომელ როლს?

პასუხად ჯიბიდან პრინცის ნიღაბი ამოიღო. თურმე ამასაც ესტუმრა მწვანე ლამურა.

გამაღიზიანა მისმა თავდაჯერებულმა იერმა.

— არ ვიცი, რომელი როლის შესახებ ლაპარაკობ.

— პრინცესას როლზე, — ენა მომიჩლიქა.

— არავეითარ როლს მე არ ვასრულებდი, მე ნამდვილი პრინცესა ვარ.



— მართლა? — გულგრილად მკითხა და ბუხარს თვალი მოავლო, სადღაც მარცხნივ გადაიხედა. იქ კედელზე მინაში ჩასმული სურათი ჰკიდია, შეიძლება მოახერხოს საკუთარი ფიზიონომიის დანახვა.

— დიახ. — ვუპასუხე ლაკონურად და ვცადე, რაც შეიძლება, მეტი სიმკვეთრე მიმეცა ხმისთვის.

— ის ბრილიანტიც... რა ერქვა. „ჩრდილოეთის ციალი...“ ისიც ალბათ ნამდვილია, არა?

— თქვენ, როგორც ჩანს, ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებთ ყალბს და ჭეშმარიტს.

— ბევრი გაქვს მაგისტანა „ჭეშმარიტი“ ბრილიანტი? — სიტყვა „ჭეშმარიტი“ გაუსვა ხაზი.

— ძალიან ბევრი. და ხანდახან იმით ვერხობი, რომ მათ ცეცხლში ვყრი.

— მერე, იწვის ცეცხლში? — ახლა მარცხნივ გაიხედა მერაბიმ. იქ ლაქით გაპრიანებული კარადა დგას. ნამდვილად მოახერხებს საკუთარი სახის დანახვას.

— იწვის. აი, ნახეთ, თუ არ გჯერათ.

ამ სიტყვებით ხელი დავავლე მაგიდაზე დადებულ „ჩრდილოეთის ციალს“ და ბუხარში მოვისროლე. მერაბმა აღმაცერად გადაიხედა ისევ ბუხარისკენ. მე ჩუმად ვიდექი, თვალი ცარიელ სივრცეს გავუშტერე ისე, რომ მერაბის სახესაც კარგად ვხედავდი. ვიდექი და თან იმაზე ვიმტვრევდი თავს. რითი გამეგრძელებინა ეს პაექრობა, რა მეთქვა, როცა ბრილიანტის სიყალბე გამომეკადენდებოდა. მოდი, ვეტყვი: ალბათ ჩუმად შემიცვალე. ეს შენი „სამხრეთის ჯვარი“ იქნება, ჩაღმაზე რომ გქონდა დამაგრებული, ჩემი „ჩრდილოეთის ციალი“ კი ნამდვილი იყო-მეთქი. დიდი ვერაფერი ხუმრობა გახლდათ, მაგრამ მეტი არაფერი მომდიოდა თავში.

უცხად ვხედავ, ბუხარზე თვალმიშტერებულ მერაბს სახე შეეცვალა, ნაქანდაკევი. ანტიკური ნიკაპი გვერდზე

მოელრიცა, უკიდურესად მარცხნივ ბულ თვალებში შიში და გოგონა გამოეხატა. რა მოხდა-მეთქი, შეშინებულმა მეც მივიხედე ბუხარისკენ და რას ვხედავ: „ჩრდილოეთის ციალს“ ცეცხლი მოსდებია და მართლაც ნამდვილი ბრილიანტივით იწვის.

მერაბი უძრავად იდგა გაოგნებული, სანამ ბრილიანტი სულ ერთიანად არ ჩაიწვა. ვერც მე მოვედი გონს. მაშინდა გამოვფიხზლდი, როცა „ჩრდილოეთის ციალისაგან“ ნახშირის პატარა გუნდა დარჩა.

— აბა, ვნახოთ, თქვენი „სამხრეთის ჯვარი“ თუ დაიწვება. გადაადგეთ ცეცხლში. — ვეცადე მეთქვა ნამდვილი დედოფალივით, მაგრამ ხმამ აშკარად მილაღატა, ბოლო სიტყვაზე მაინც...

ჩემს სიტყვებზე მერაბმა თვალი მოაცილა ბუხარს და შემომხედა... შემომხედა გამოუპარიელებული, თავზარდაცემული თვალებით. რამდენიმე წამს ისე მიყურა, თითქოს თავის სიცოცხლეში პირველად მხედავსო, მერე უცხად მიტრიალდა, გარეთ გავარდა და სულ ბრაზხარუხით ჩაირბინა კიბეები. რანაირად ატეხა იმ რბილლანჩიანი ფეხსაცმელებით ისეთი ბრაზხარუხი, დღესაც გაუგებარია ჩემთვის. გავიგონე მანქანის კარების ჯახუნი. ისეთი ძალით ჩართო მოტორი, მთელი მეზობლები გარეთ გამოეფინენ, მეც გავედი აივანზე, იქ უკვე მუხლებმაც მილაღატეს, ჩემსკენ ცნობისმოყვარეობით თვალმოპყრობილი მეზობლების თვალწინ ჩავიკეცი. მთელი ეს სცენა ალბათ რაღაც მელოდრამატულ პასაჟს ჰგავდა...

როცა თვალი გავახილე, თავზე ეჭიმი მადგა, მთელი ბინა მეზობლებით იყო სავსე.

— თავს როგორ გრძნობ? — მკითხა ეჭიმმა.

— არა მიშავს, — ვთქვი. — მაგრამ ბრილიანტი დაიწვა. ისეთი ძვირფასი, ნამდვილი ბრილიანტი.

— რა ბრილიანტი? — მეც ყველაფერი მოვუყევი. როცა

დავამთავრე, ბინა სულ მთლად ცარიელი აღმოჩნდა. ექიმის გარდა ყველა გაპარულიყო.

— დასანანია, — ამოიოხრა ექიმმა. — ასეთი შემთხვევა აღამიანს ერთხელ თუ მიეცემა სიცოცხლეში. ზღვბა ხანდახან, რომ ნამდვილი ბრილიანტი ჩაგვივარდება ხელში, მაგრამ ვერ ვამჩნევთ მის ღირსებას და დაუფიქრებლად ცეცხლში ვისვრით. თუმცა რას იზამ, ძალიან ძნელია დღეს ერთმანეთისაგან გაარჩიო ყალბი და ნამდვილი. თუ ბრილიანტი მტვერში გდია, მაშინ ვერაფერს ამჩნევს მის ღირსებებს. თუ მეფეთა გვირგვინს ამშვენებს, მაშინ არავის შეეპარება ეჭვი მის მალალ ღირსებებში. მაგრამ საქმე სწორედ ისაა, მაშინ შეამჩნიო ნამდვილი ბრილიანტი, როცა ის მტვერში გდია.

ამ გრძელი ტირადის შემდეგ ექიმმა რალაც წვეთები დამალევინა და წასვლა დააბირა, მაგრამ ველარ წავიდა...

სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა მთელი ღამე იდგა ჩვენი ეზოს შესასვლელთან. შოფერს თავი საუკუნე ჩამოედო და არხეინად ზვრინავდა, ექიმი კი ბინიდან ბინაში დარბოდა. ყველა მეზობელი ერთბაშად ცუდად გახდა, ყველას წნევამ აუწია. მარგო დეიდამ ტირილით და მოთქმით ამოქექა სანაგვე ყუთიდან შუშის ნამტვრევები, მაგიდაზე დააწყო და სასოებით შეპყურებდა:

— ბრილიანტმა დაამსხვრია ეს შუშები, — მოთქვამდა იგი. — რატომ ხელი არ ეტაცე იმ ბრილიანტს, რა ეიცოდინა...

ბიძია აბელს ხელი ველარაფრით ჩამოაღებინეს შუბლიდან, სადაც ბრილიანტი მოხვდა. ხელი ზედ ედო და გაუთავებლად იმეორებდა: „აი, აქ მომხვდა ბრილიანტი, აი, აქ მომხვდა...“

ბოლოს ხელი ჭამრით გაუკრეს და წელზე მიუმაგრეს, მაგრამ მაინც ამოაძრო და ახლაც შუბლზე ხელმიდებული დადის. პაატას დედას ნამდვილი ისტერიკა დაემართა. — „ამ ხელებით ვცემე

და გარეთ გავაგდე ბავშვი, როცა სამხელში ბრილიანტი შემომიტანა... აი, აქ ხელებით“, — გააკიოდა და ხელებს თავპირში იცემდა. დეიდა მარუსია ორმად გულწასული იწვა, ვერაფრით გონზე ველარ მოიყვანეს. წნევამ ისე აუწია, აპარატიო აღარ ისინჯებოდა და ექიმმა თქვა, მაგისტრის რალაც განსაკუთრებული აპარატიო საჭირო, განსაკუთრებულად მალალი წნევა აქვსო. დეიდა მარუსია ხელებს მოცურავსავით ასავსავებდა და თვალდახუჭული გააკიოდა: „არიქა, წყალმა წამართვა ბრილიანტი. არიქა, წყალს მიაქვსო...“ ეტყობა, ძალიან შორს შეტოპა იმ ბრილიანტის ძებნაში, უკან ველარ გამოცურა და იმავე ღამეს თქვენი ტირი წაიღო.

როგორც იქნა, გათენდა ის ღამეც. ყველა ნელ-ნელა გონს მოეგო, წნევა ნორმალურ კალაპოტში ჩაღვა, თვალში გამოიხედეს და ერთმანეთს დილაშვილობისა უთხრეს. მხოლოდ მე კი ველარ მიტანდნენ. ჩემს დანახვას ყველაფერი ერჩივნათ.

ბოლოს, როცა მთელი წელი გავიდა, ამ ამბავსაც თანდათან დაეკარგა სიმწვავე. დრომ ნელ-ნელა მოაშუშა ყველაფერი. ჰოდა, აი, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ნაწვიმარზე მზემ გამოინათა და წვიმის წვეთები ბრილიანტებით ამტკუყვილდნენ, მე ისევ დავანთე ცეცხლი ჩვენს ძველ ბუხარში. საეარძელში მოხერხებულად მოკალათებულმა ავიღე წიგნი „ყალბი ბრილიანტი“. უდაზე ნილაბიანი პრანცესა ეხატა, გვერდით პრინცის მუქი სილუეტი მოჩანდა. ერთი ფრაზის წაკითხვაც ვერ მოვასწარი, კარებზე კაკუნის ხმა გაისმა.

— მობრძანდით, კარები ღიაა, — გავძახე თავუღლებლად.

რბილი ნაბიჯების ხმა გაისმა და შეწყდა. თავი ავწიე. ჩემ წინ მწვანე ლამურა იდგა, ხელში ნილბების აცმა ეპირა.

— ფერიების ბაღში კარნავალია, აირჩიე, რომელი ნილაბი გინდა.

ნიკო სამადაშვილი

გადარჩენილი ლექსები

ნიკო სამადაშვილის ყოველი გამოუქვეყნებული ლექსის სამზეროზე გამოტანა თავისთავად იმდენად მაღლიანი საქმეა, რომ არავითარ ახსნა-განმარტებასა თუ წინასიტყვაობას არ საჭიროებს. მე, რასაკვირველია, შემეძლო დავეკმაყოფილებულიყავი შოკლე შენიშვნით, რომ ეს ლექსები, რომლებიც ეახტანე კოტეტიშვილის არქივში იყო დატული, სასწაულებრივ გადაურჩა დროის ქარტახილს და რომ მათი არავითარი ასლი (გარდა ბოლო ლექსის ვარიანტისა) არც თვით პოეტის ოჯახში და არც სხვაგან სადმე არ შემონახულა. დანარჩენს კი თვითონ ლექსები იტყოდნენ ყოველგვარ კომენტარზე უკეთ, ვინაიდან ვერავითარი თხრობა ვერ იქნება ვერასოდეს პოეზიაზე უფრო მტკველა.

მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ იმდენად ცოტა რამ იცის ნიკო სამადაშვილის პიროვნული ცხოვრებისა და ხასიათის შესახებ, რომ, ვფიქრობ, ორიოდე სიტყვის თქმა არ უნდა იყოს ზედმეტი. ამისთანავე, თვით ამ ლექსების ბელნაწერთა ბედი იმდენად უცნაური აღმოჩნდა, რომ არ შემიძლია მკითხველს არ ვამცნო და არ გავუზიარო ჩემი დიდი სიხარულის განცდა მათი გადარჩენის გამო.

ნიკო სამადაშვილი ორჯერ შემოიჭრა ჩემს არსებაში და ორჯერვე როგორც სასწაულო მოქმედი (მე საგანგებოდ არა ვსევამ ბრწყალბებაში ამ სიტყვას, ვინაიდან იგი მართლაც ასეთი იყო: აღამიანიც და პოეტიც).

პირველად ეს მოხდა ომიანობის დროს. ექვსიოდე წლისა ვიქნებოდი. ზამთრის ცივი და ნალექიანი საღამო იყო. ოთახში ჩვეულებრივ ხტამოლავდა ნათქურა, რომელიც შექის წყაროსაც წარმოადგენდა და ღუშლის ნაჯიგობასაც გვიწვედა. ნათქურაზე, მეტი სიბოძოსათვის, აგურა იდო. უცერად ჩვენთან შემოიჭროლა ვიღაც კაცმა და ვრთბამად ხმაურით აავსო ჩვენი მდუმარე და ნაყლელი

ოჯახი. იმდღიანად მოიკითხა ჩვენები, მე ხელში ამიყვანა, მაკოცა, რიხიანად მკითხა: ხომ გახსოვს, ვისი გოგონასა ხარო, ჩამომსვია, ეკლავ რაღაც სანუგეშო სიტყვები გვესროლა და გაუჩინარდა. მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ შევნიშნეთ შავიდაზე ერთი დიდი, მთელი პური. მართალია, ეს ისეთივე პური იყო, როგორც იმ სუსხიან დღეებში ცხვებოდა ხოლმე, შავი და ნოტიო, მაგრამ ეს იყო პური, რომელიც ყოველთვის გვაკლდა. მე ვეკითხებ: ვინ იყო-მეტი? მოთხრეს: მამას ყოფილი სტუდენტი და მეგობარი ძია ნიკო სამადაშვილიო. იმ დღის შემდეგ ჩემთვის „ძია ნიკო“ იყო ის კაცი, რომელსაც დროდადრო ჩვენთვის მოჰქონდა პური (არავეინ ვიკოდით საიდან), ზანღახან გვაბატოებდა შინ, ყოველთვის ზემრობდა, იცინოდა, ზოგჯერ თვლები მოუწყლიანდებოდა ხოლმე მამაჩემის გაბხენებისას და ყოველთვის გვაშხენებდა მეც, ჩემს უფროს დას ლეილას და დიდედს, რომელიც ლეჩაქის ბოლოთი მოიწმენდა ხოლმე ცრემლს და ლოცავდა: — შენ გაიხარე, შეილო ნიკო, რომ ზოგ-ზოგებივით არ დაგვიწყენია ჩემი ეახტანის სიკეთე და ამბიო.

ეს იყო და ეს, თითქოს დიდი არაფერი. მაგრამ თუ გაიხსენებთ იმ უშიშმეს წლებს, როდესაც ყველას უჭირდა და განსაკუთრებით კი ისეთ ჭირგამოვლილსა და ბედისწერისაგან შერისბულ ოჯახებს, როგორიც ჩვენი იყო, ეს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, აღამიანური საქციელი ზნეობრივ გამირობად წარმოგვიდგება.

ასეთი კაცი იყო ნიკო სამადაშვილი. ასეთად გაიციანი იგი მე, ექვსი წლის ბავშვმა და ასეთად დარჩა სამუდამოდ ჩემს ხსოვნაში: ჭარბავი და დაუდგრომელი, ქართლურ კილოზე ოდნავ ხრინწმოკიდებული ხმით მოუბარი, ყოველთვის ქედუხრელი და ამ ცოდვა-

მადლიან ქვეყანაზე სიყეთის ჯიქტად მთესვე-
ლა.

მე მაშინ, რასაკვირველია, არაფერი ვიცო-
დი მისი პოეზიის შესახებ. მხოლოდ ერთხელ
ჩემმა დამ, ლეილამ, მითხრა: — იცი, ძია ნიკო
ახალგაზრდობაში ლექსებს წერდა და შამის
ძალიან მოსწონდაო. მაგრამ ეს ისე იყო
ნათქვამი, როგორც თითქმის ყველა ქართველ-
ზე შეიძლება ითქვას. ვის არ დაუწერია სი-
კაბუტეში ორიოდ ლექსი, თუნდაც მოსაწო-
ნო?!

გავიდა დრო და დადგა ის საოცარი დღეც,
როდესაც ნიკო სამადაშვილმა მომიტანა სულ
სხვა საზრდო — „სულის პერი“ — თავისი
პოეზია. ეს მოხდა 1967 წლის მიწურულს,
როდესაც მისი გარდაცვალების დღიდან უკვე
მთხი წელი იყო გასული.

მამაჩემს, ვახტანგ კობეტიშვილის, არქივს
ვარჩევდი. ვფურცლავდი გავუითლებულ ქაღა-
ლდებს და მათ შორის უცერად წავაწვიდი ორ
წერილსა და ხუთ ლექსს, რომელთაც ზელს
აწერდა ნიკო სამადაშვილი. მათი აღრესატი
ვახტანგ კობეტიშვილი იყო.

პირველი წერილი დათარიღებულია 1927
წლის 26 სექტემბრით, ე. ი. როდესაც ნიკო
სამადაშვილი 22 წლის უკმაყვი იყო. როგორც
ამ წერილიდან ვიგებთ, მას ვახტანგ კობეტი-
შვილისათვის მიეტანია თავისი ლექსები, რა-
თა გავგო იმ ადამიანის აზრი, რომელიც უყ-
ვარდა და პატივს სცემდა. ეს იყო ალბათ მა-
თი პირველი შეხვედრა. წერილიდანვე ვიგებთ,
რომ ვახტანგ კობეტიშვილს მოსწონებია ლე-
ქსები, მაგრამ, ამასთანავე, დამწერელი პოეტი-
სათვის უარსდებდა, უფრო მეტი ყურადღება მი-
ექცია ლექსის ფორმის დახვეწისათვის.

ნიკო სამადაშვილმა, როგორც ჩანს თვინი-
ერად მოისმინა ეს შეგონებანი, რომელიც
არ იყენებ საფუძველსმოკლებულნი. მაგრამ
შინდაბრუნებულმა გადაწყვიტა წერილობით
მოიხეც ამოეთქვა თავისი სათქმელი, რაც ასე
აწვალბდა და ღრღინდა მის სულს. და იგი
აღზნებული და ყელში სულმოპყენილი უხ-
სნის თავის „მოძღვარს“, რომ შეზნარავი ხი-
ლვები და ფიქრები ადამიანის სამყაროულ არ-
სებობაზე მას საშუალებას არ აძლევენ, რომ
ლექსის ფორმის დახვეწილობაზე იფიქროს.

ეს არის შემოქმედებით შეზუპრობილი ამა-
გაზრდა კაცის აღსარება, რომელშიც ნათლად
ჩანს მისი სულიერი სიპარტოვე, ირგვლივ მყო-
ფთაგან სრული გულგრილობა თუ ვერგაგება
მისი პოეზიის სათავეებისა, რაც დიდებულად
გამოთქვა შემდეგ თავის თავისაღმი მიძღვნილ
საოცარ ლექსში: „ავადმყოფობა ეგონათ, ბი-
კო, ლექსები ტანზე გამოწყაიარი“.

ამდენად, ეს წერილი უადრესად მნიშვნე-
ლოვანია ნიკო სამადაშვილის პოეტური სამ-

ყაროს კარიბჭეში შესაღწევად, [1967 წელს] წყარო-
ლიც:

ნიკო სამადაშვილი

ბატონო ვახტანგ!

თქვენ ინახულეთ ჩემი შემოქმედება. შეი-
ძლება ეს ჩემი მზრიდან სითახედდევ იყო,
რომ ასე მორიდებლად მოგიტანეთ ლექსე-
ბის რვეული, რადგან თქვენ ისედაც საკმაოდა
ხართ დატივრთული ლიტერატურული შემო-
ბით. და ეს ყველაფერი გავებდემ იმითომ,
რომ მე მინდოდა გამეფო იმ ადამიანის აზრი,
რომელიც შემოქმედებაზე ლტობარბივი ყინით
არის შეყვარებული და რომელსაც სტრიქო-
ნების იქით შეუძლია დაინახოს პოეტის სახე,
იღვშალი ქართი ვადამწყარი. თი მიზეზი ჩემი
თქვენთან მოსვლისა.

სტრიქონები ხომ ფანჯრებია პოეტის სამ-
ყაროს დასანახავად. არ ვიცი, ჩემმა ფანჯრე-
მა დაგანახეს თუ არა ჩემი ნამდვილი გოლ-
გოთა. იქნებ ელამი გამოდგა ის ჩემი შეშა-
ბანდი, რომელსაც უნდა დაენახებინა ის აღ-
გილები, სადაც შეშინებული ადამიანით დი-
ვიარები... რაც მე ასე მაწვალებს და ღრღინს
ჩემს სატილო სულს. ღრღინს ისე, ბატონო
ვახტანგ, რომ ძვლები დამიფუტურთვდა. სა-
კიროა ერთი ღონიერი გრიგალი, რომ მიწის
მტვერავით უფსკრულებში გადამიტანოს.

თქვენ უმთავრესად მესაუბრეთ ლექსის ფო-
რმაზე (სტრიქონის გამართვა, რითმა და
სხვა...), რაც ჩემთვის თუ არა, ლექსისათვის
უმთავრესია. თქვენი დარიგება ჩემთვის დარ-
ჩება ერთ-ერთ უმშვენიერეს მოგონებად.
თქვენი საუბრიდან დაეინახე ის სიშანიწყე, რაც
არ ეგუება პოეზიის უნაზეს ბუნებას... არა
ვარ დიდი ჰასაკისა, მაგრამ ისე ვიტანებო უსა-
ზღვარობის საშინელებით და დედამიწის
უნეგეშო ხეტილოთ, რომ ასე მგონია, თით-
ქოს მე ვარ წერტილი, სადაც თავდება სამ-
ყაროს უიმედობა.

მე ვიცი, ჩემი ვულგარული ლექსებით ვე-
რავის მოეწყვეტ ყოველდღიური ყოფიდან.
ვერ წავიფვან იქ, სადაც შიშია და იღვშალე-
ბა. საქართველოს თემცა პოეზიის ქვეყნად
თელიან, მაგრამ, ჩემი აზრით, თითებზეა ჩა-
მოსათვეული ის ხალხი, რომელთაც მხოლოდ
შემოქმედება ესმოთ...

პლანეტების გაუვალი ნახირი ხომ მავიფებს
და შიშით ტანში მავაკელებს. ვიკარგები, ხან-
დისხან სადღაც, თითქოს სხვა მსოფლიოში
დავდეივარ და სანამ არ შევკრთები სადმე, ვე-
ლარ ვბრუნდებო...

ხან თითქოს დედამიწა ფეხებიდან მეცლე-
ბა... ძნელია იმღერო და ილაპარაკო კიდევ...
არ ვიცი, სად დაეისვენებ, თუნდაც ზეზუერად.

მხოლოდ გემედარებით, ბატონო ვახტანგ, ჩემი დაახლოება თქვენ სხვათადად არ მიი-
ლოთ, და თუ გაწუხებთ, შაბათეთ.

ნიკო სამადაშვილი
26/IX 1927 წ.

P. S. ამ რამდენიმე ხნის წინ, მანამ
თქვენთან მოვიდოდი, მიწიშვილს გადავეცი
ლექსი დასაბუქდად. არ ვიცო, დამიბუქდავს
თუ არა, მხოლოდ ეს კი მიიხრბა: „უოველი
ასაღვარდა პოეტის შემოქმედებას ეწინააღ-
მდეგობიან, რადგან ეს ფერხალი მწერალთა ე-
წიორის წიკერებისაა“.

6. ს.

მეორე წერილი დათარიღებულია 1933
წლის 5 ნოემბრით, როდესაც ვახტანგ კოტე-
ტიშვილს უკვე ჩატარებული ჰქონდა თავისი
გაზაფერებელი ექსპედიცია ატენის ხეობაში,
სადაც მონაწილეობას იღებდა იუბერი მკვიდ-
რი, აწ უკვე ვახტანგ კოტეტიშვილის უმც-
როსი შვიგობარი და თანამდგომი, ნიკო სამა-
დაშვილი (ე. კოტეტიშვილის მიერ 1934 წ. გა-
მოცემულ „ხალხურ პოეზიაში“ შესულია ნი-
კო სამადაშვილის მიერ თავის მშობლიურ სო-
ფელ სიღისთავში ჩაწერილი ლექსები: „ბინ-
დისფერია სოფელი“, „გოგო წყაროს მდი-
ოდა“, „სიმღერა ბარვის დროს“ და სხვ... თუ
გადახედავთ ამ კრებულის ბოლოს დართულ
ტექსტების პასპორტს, ამაში ადვილად დარ-
წმებხებით).

ბატონო ვახტანგ

დღეს ღამე დაგბრუნდი სახლში ჩინოენი-
კური „კარიკით“ დაღლილი და გაწვალბუ-
ლი. გზაზე ვეჭვრობდი რაღაც სისულელეზე.
ვიცილდ სლამის გახეთი და დაეინახე წერი-
ლი «Атенское ушелье» დაეინახე თქვენი
გვარაც და წიკეთობე.

გამეხარდა, ბატონო ვახტანგ, გამეხარდა რომ
ქერ კიდევ ყოფილა ხალხი, რომელსაც შეს-
ძლება იქ მშენიერი მუშაობის დაფასება,
რაც თქვენ ატენის ხეობაში ჩაატარებ. რო-
გორც მხარბოდა, როცა თქვენ იქ საუკუნე-
ბის გათბრებს აწარმოებდით და ეძებდით გა-
ქვავებული ფინტასტიკის ჩონჩხებს. და რა გუ-
ლი მიცდებოდა, როცა ვეჭვრობდი, რომ ამ
შემოქმედებით არქეოლოგიას არაივნი დაეი-
ფასებდა ისე, როგორც ეს საჭიროა ყოველი
ცოცხალი ადამიანისათვის.

არა, თორმე შემოქმედების გიანოხი სულ
სება ყოფილა. ამიტომ მინდა, მოვილოცო- ჩე-
ში ვახტანგ, ეს გამარჯვება. გაეციკრდება ალ-
ბათ ჩემი სიხარული. რა ვქნა, მე ახასოღეს
არაფერი გამზარებია ისე, როგორც ეს პატა-
რა წერილი. იქნებ იმიტომ, რომ ამ სტრბიო-
ნებშია — ატენის ხეობაზე — მე მომავგონე
შენი ეჭვა, შენი უახბეგი და დიდი ხნის და-

კარგული პოეზიის შვიგობარი მომადრიოალს
ნაცნობ სახებებთან, ერთანტელის მრმეჭერის
ადგილებთან. ვიგარბენი სიხარული, ის, სიხარულ
კარგა ხანია, ძვირფასო ვახტანგ, არ განმც-
დია. მინდა, რომ დიდხანს იცოცხო, საუვა-
რელო ვახტანგ, მინდა, რომ დიდხანს უკრავდე
და დამღეროდე გრანველ ჩონგურზე იმ ლა-
მას ზღაპრებს, ლექსებს, ლეგენდებს, რაც ე-
მთა სიავეს ზოგი ხნერი ეკლესიის ეკლესებზე
და ზოგიც უბან-უბან ნაეწუბად მიუნამქრია.
მიიღე ჩემი სიხარული ისე, როგორც მომ-
დენილი ლექსი. თუ მალე მოეჩიო ჩემი გავე-
რანებული ცხოვრების დაეიდარბას, მხოლოდ
მაშინ გნახავ.

მოკითხვა მეუღლეს, ბავშვებს.
თქვენი ნიკო სამადაშვილი
5. XI. 1933 წ.

ამ საინტერესო და მრავალსმეტველ წერი-
ლებთან ერთად იყო ის ხუთი ლექსიც, რომ-
ელთაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

პირველად რომ წაიკითხე ეს ლექსები (იმ
დროს 6. სამადაშვილის სხვა ლექსების არსე-
ზობისა არაფერი ვიცოდი), გამაოცა ქერ კი-
დეე სრულიად ახალგაზრდა კაცის მიერ სამ-
ყაროს აღქმისა და განცდის სიმძაფრემ, მისი
პოეტური აზროვნების თავისთავადობამ, უხი-
საღეს ნათლად ხილვამ, სიერკისა და დროის
სხებულებრივმა შეგარნებამ და ყოველივე
ამის არაწვეულებრივი ძალით გამოთქმამ: სა-
დად, უბრალოდ, თამამად და უზუსტესადა.

მისი ხატოვანი აზროვნება ახაეისას არ
ჰგავდა. იგი თითქმის სრულიად თავისუფალი
იყო ყოველგვარი მიზანებისა და გავლენისაგან.
მის ლექსებში ექსპრესიონისტული თუ სი-
ურეალისტური ხატების გაელებამ შესაძლოა
ეინმე შეცდომაში შეეიყვანოს და ევროპის ლი-
ტერატურულ მიმდინარეობებში დააწყებინოს
მათი ანალოგიების ძებნა, მაგრამ ეს ფუჭი გა-
რჯა იქნება, ვინაიდან ქართლის სოფლიდან
ახლადამოსულ ყმაწვილს არაფერი შეეძლო
სკონდოდა ევროპული ზელოვნების ზემოსხე-
ნებულ მიმართულებათა შესახებ.

ამ ლექსებში ყველაფერი უჩვეულო იყო.
მოუღონადელი და შემზარავი შეუცნობადის
წვდომის ტრაგიკული სიციხადით, ტყვილითა
და მტეზიარობით. მის ყოველ ხილვას, ყოველ
პოეტურ ხატს ქერ კიდევ ჰქონდა შემორჩე-
ნილი პირველქმნადობის ხაო თუ ზოგჯერ. ამ
არაფერი იყო გლეჯი, გასალამინებლ-გამარი-
ალებელი და გაღამაზებელი. ეს დაწერი-
ლი ლექსები კი არ იყო, არამედ აშოთქ-
მული, ამონახერი, ტანყვით, ბორბიკით,
სულის შეხუთვით და, ამავე დროს, ეს იყო
ქროლვა, ვადალაჭა, დროის, სიერკის და
ყოველგვარი განზომილებისა. ეს იყო სადა-
ვეებაწვეუბრილი ნიკის თავისუფალი გავარდნა

კოსმიურ სივრცეებს მონატრებული სულის ხეტიალი მარადისობის უსაზღვროებაში. მის ბევრ ლექსს ჰქვამთ, სადაც პოეტები ლექსის შექმნის თარიღსა თუ ადგილს მითითებენ ხოლმე, აწერია: „მარადისობის ნაჰამარვეი“ ან „შეშლილი ბინდების კიშკრებთან“. ეს ავტორის ახირებული ორიგინალობა კი არ არის, არამედ სიმაართეა, პოეტური სინამდვილე და ქვეშაობა. ანდა ლექსების სათაურები ავიღოთ: „გადმორბენა სამყაროსკენ“, „ჩემი ფეხის ზნა მთვარისკენ“, „ადუსაბამობის ხილვა“, „წუთისოვლიდან უკვდავებამდე“... ყოველ მათგანში იგრძნობა მათი ავტორის სულისა და გონის ქროლვა უსაზღვროებაში.

ეს ლექსები იმითაც არის საინტერესო, რომ მათში დღეს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ნიკო სამადაშვილის სული, მალე დაერწმუნედი, რომ ჩემს ხელთ არსებული ზღაპრები უნიკალური იყო. მათი არავითარი ასლი არ აღმოჩნდა არც ნიკო სამადაშვილის ოჯახურ არქივში და არც სადმე სხვაგან. სასწრაფოდ გადავებეძუე ყველაფერი და ერთი პირი თამაზ ჩხენკელს მივეუბნე, ვინაიდან შევიტყე, რომ იგი და არჩილ სელაკური გამოსაცემად ამზადებდნენ ნიკო სამადაშვილის ლექსების კრებულს. ეს მასალა წიგნისათვის დაგვიანებული აღმოჩნდა, მაგრამ მაინც დავუბრუნე თამაზ ჩხენკელს შემდგომი გამოცემისათვის. თვით დედანი კი ჩემთან ინახებოდა. როდესაც მამაჩემის არქივი ლიტერატურულ მუზეუმს გადაეცემა (მაშინდელი ლიტერატორის იზა ორჭონიკიძის დაინიშნული თხოვნით და ამჟამად იქ ინახება), ნიკო სამადაშვილის ეს წერილები და ლექსები დროებით დავიტოვე, რათა ჩემთვის ფოტოპირი გადამეღო, ხოლო დედანი კი მუზეუმისათვის გადამიტოვა. მაგრამ უეცრად ჩემს ბინაში 1979 წლის 19 აპრილს გაჩნდა ხანძარი და მთელი ჩემი სამუშაო

ოთახი დაიწვა, წიგნებიცა და ზღაპრებიც. მათ შორის იყო, სამწუხაროდ, ნიკოს სამადაშვილის ლექსები და წიგნდებაც. **სამადაშვილი**
 მე აქ, რასაკვირველია, არ შევუდგები ჩემი განცდების აღწერას, ამ ხანძრის გამო, ვინაიდან ეს ისედაც ვასაგებია ყველასათვის, ბუნებრივია, დავიწყე იმის ძიება, რისი აღდგენაც შეიძლებოდა.

უეცრად გამახსენდა, რომ ნიკო სამადაშვილის ზემოხსენებული ნაწერები თამაზ ჩხენკელთან ჰქონდა 15 წლის წინ მიტანილი. მივედი და ყველაფერი უკლებლივ დამხვდა. თამაზს თავისთვის ჩვეული „კათოლიკური“ პენკტუალობით ჰქონდა შენახული ის ფურცლები და უკანა მხრიდან წარწერაც გაეკეთებინა: (1968, 11. გადმოცემა ვახუშტი კოტეტიშვილმა — მამამისის არქივიდან. დაახლოებით უნდა იყოს 1927-33 წ. წ.) ასე გადაურჩა ეს უაღრესად საინტერესო ნაწერები ხანძარს და დროს.

მე ვთხოვე თამაზ ჩხენკელს, დაებრუნებინა ეს ლექსები კვლავ ჩემთვის, რათა გამოემქვეუნებინა და საზოგადოებისათვის გამეცნო ოღენდაც დაგვიანებით. მაგრამ ქვეშაობა სიტყვამ ფიში არ იცის, იგი ყოველთვის დროულია.

ვფიქრობ, ეს ნიმუშები დიდი შემოქმედებისა, რომლებშიც ერთხელ კიდევ მელაგნდება მათი ავტორის განუმეორებელი ინდივიდუალობა, საინტერესო აღმოჩნდება ჩვენი მკითხველებისათვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისთვისაც ნიკო სამადაშვილის უჩვეულო, უცაბედი პოეტური ბოლები უფრო მეტს ნიშნავს. ვიდრე ჩვეულებრივი, თუნდაც დახვეწილი და შალაოსტატური პოეზია. ვინაიდან მარინა ცვეტაევის თქმისა არ იყოს: „არის ისეთი რაღაც, რაც უფრო მეტია — ვიდრე ზელოვნება; უფრო შემზარავი — ვიდრე ზელოვნება“.

ვახუშტი კოტეტიშვილი

გადმორბენა სამყაროსკენ

მე გამოვრბობდი. ცრემლი გალობდა. ხან ქარიშხლების სვეტებს ვეყვანი... ხატებთან ერთო: უბინაობა და კამარებში მტრედების ბუდე.

მიწები ჩანდნენ, ოდნავ ეძინათ. ღამე ლოკავდა ყვითელ სამრეკლოს. მინდოდა: ზეცა გადამერბინა და საფლავები სტყენით ამეკლო.

ჩრდილწამოსხმული იჯდა ცხედარი, იცქირებოდა იგი ნაკლებად... ისმოდა: წყევლა შორეულ ხმების და სივრცეებში ძალების ყეფა.

ქარებს ბურავდა მსუბუქი მტვერი მიტოვებული ვიწრო ღრუბლებთან. მე ვანათებდი მეტეოროვით მარადისობის ხშირ მარგილებთან.

სადღაც, სანთლებთან ტიროდნენ ტბები
და მე მლოცავდა გზებზე ყოჩაღი.
თვალეებში იდგა განმარტოებით
სქელი სიბნელე, როგორც ბორანი.

ნაძვები ბაღში ვარდებს უკრავდნენ...
გუმბათებს ნთქავდა თოვლივით წირვა.
ქარს მთვარის ელვა მსოფლიოს უკან
წყლების შუქივით გადაეწია.

შიში მეფინა მხრების ზემოდან.
შორს იყო კიდევ დისკოთა მზვარე.

კუბო წვიმებს წინ ეცემოდნენ
და გრიგალები რეკავდნენ ზარბაზნებს

ჩემს ნაფეხურებს სუნავდა ქარი
და მარმარილოს ჰყრიდნენ დილები.
სამყარო არის! ფრთხილად ვფიქრობდი,
სკამყარო არის! დანამღვილებით.

პლანეტებს გაღმა ვილაც ნანობდა,
ვინ იცის, ქარში ველარ დაბრუნდეს...
ლოდებთან ენთო: უბინაობა
და კამარებში მტრედების ბუდე.

ჩემი ფანის ხმა მოვარისკან

უსაზღვროებას გავცქერივარ მივებეტები.
ღამე ზრიალებს ქარიშხლები ემატებიან.
რა ამბავია? — ქვებზე დამჯდარ ქარს ვეკითხები,
რო გუგუნებენ? — მიმავალი პლანეტებია...

მთვარე კი ბეუტავს ცის ეზოში, როგორც ფარანი.
მიწა სიბნელეს და გაუვალ ქარს ეფარება.
იქ გუმბათები კივილს ყრიან და მიფრინავენ,
თურმე ნისლებში გზა დაკარგეს ზღვა საფლავებმა...

იქ ბრტყელ ვარსკვლავებს ცის გარედან ასკდებათ ელვა.
წვიმა თუ უშენს და კივიან სამრეკლოები.
მთვარისკენ მივალ; შუქს ცრემლების ტალღა იძლევა
და მიწებს იქით მე მისტვენენ მზის მეკობრები.

„წადი, ირბინე, სანამ ყვითლად ჩამოხნულდება,
წადი, იმღერე და დაოსდი სივრცეებისკენ“.
ოხ, ეს სიცოცხლე ნეტავ როდის გამოხნულდება!
ო, უკვდავებავ, კარგი ჰქენი, რომ არ მიკისრე.

მთვარეზე დავალ ჰანდარივით ქარწამოსხმული.
სადღაც ძაღლები სინათლისკენ იყვებებიან.
ბოლოს მომიღებს, კამარებო, თქვენი ხმაური
და ქარში თვალებს ხმა წაუვით და ჩაქრებიან.

დავიღლები. ქარი იტყვის: უცნაურობდა!
არ დამიფარო გრიგალებში, გზაო, ძლიერო...

დე, დედის მწარე და ღიმილგულ საცოდაობამ
ზეციდან ზეცა ყოველ ღამე ათვლიეროს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიდევ გონებადაკარგული მივხებები.
ფეხის ხმა ესმით, ქარიშხლები მემატებთან.
რა ამბავია? — ჩემს საკუთარ ჩრდილს ვეკითხები,
რო გიძახიან? — შებინდული პლანეტებია.

დაუსაბამობის ხილვა

მე მივქროლავდი, როგორც უღანწო. ცხედარზე უფრო დაუზარებლივ...
და მსოფლიოდან ისევ მიძახდნენ ცადაკარგული ხშირი ზარები.
სიტყვებს ვუგდებდი შეხვედრილ შარას: ტერფებს ფოთლებით ვერ დამიამებ.
მონასტრებს ზევით ვხედავდი შავად სივრცეში გაკრულ ადამიანებს...

ნისლის სვეტები იდგნენ გარშემო, ნისლებს შუადღეც ვერ ათენებდა.
გული ბწვოდა და ლურჯი კვამლი სხვილად მდიოდა ბნელ თვალებიდან.
მე ხმა მესმოდა, როცა ქვეშ მკვდრები მძიმე ურდულით კეტავდნენ კარებს.
ქარში ლოდები ზედ მაფურთხებდნენ: არ მიგიკარებთ, არ მიგიკარებთ!...

წასვლა მიწისკენ მეზარებოდა. ხავსივით მედო სახეზე ცრემლი.
თუმცა ზარები კიდევ მიძახდნენ და ანათებდნენ ზღვა სივრცეები.
მთვარე ქვასავით ედო სამყაროს, სიბნელე წყლებთან ერთად კიოდა,
მხოლოდ სინათლე ამ წუთისოფლია თხელ კამარებში გამოდიოდა...

ვიხედებოდი დასაბამისკენ. ღრუბლებს სანთლები სადღაც აენთოთ.
უნდა წახვიდე! — მისტკენდნენ გზები — უნდა მსოფლიოს კიდევ გაენდო.
ვეხვეწებოდი შერყეულ ხელებს, პლანეტებს უკან ნუ იყურებით.
ბინდში ელავდნენ გრიგალებივით ღიმილიანი ნაფეხურები.

შეხვედრილ ქარებს ვწერდი პირიქვარს, რომ დამშვიდება მაინც მეხილა.
ნაბიჯს ვადგამდი ფილტვებშემკრთალი და ვახველებდი სივრცეში ფრთხილად.
კუბო მიჰქონდათ ვერხვების ტოტებს და შემოდგომის დღეები გრილი.
გამომცქეროდნენ მკვდრები ჭგუფ-ჭგუფად, გრიგალის შუქი ეფინათ ირგვლივ.

აქ, მსოფლიოში, მზე ჩადიოდა, მე იქ, კამარებს, თვალს ვაფარებდი.
სადღაც ქარბუქი ლექსებს ამბობდა და ყურს უგდებდნენ სველი მტრედები.
ვილუბებოდი უვარსკვლავებოდ, ვიწვედი მალა ფეხის ცერებით.
უკან ზარები ისევ ტიროდნენ და გუგუნებდნენ ზღვა სივრცეები...



ხელის გაშვარა მტკვართან

მტკვარო, გაეარდი!... მიატოვე ეს დედამიწა.
საწუთრო ლოდებს ეფარება, ნულარ უცქერი.
ქვეშით შეღებე ცის მინდვრები და დამიძახე,
როცა გარიყო ზღვის სინათლე და სივრცეები.

სტვენით მოთხარე ლაქვარდების უძირო ქარი,
ალარ დაბრუნდე, მე თუ გინდა შიშით ვკიოდე.
წყლის რიყრაყები სივრცის იქით ისე მინამჭერი,
რომ ლამე ჩუმად ვარსკვლავებშიც ვერ მოდიოდეს.

შორეულ გზაზე დასველდება ის მოგზაური,
მსოფლიოს უკან შეთქმულივით რომ ჩაიარა.
წაილო ძვლები თოვლისაგან მთლად გაბზარული
და მზის წერტილებს გრიგალივით გადაეფარა...

ამომიძოვენ მდორე თვლებს ბნელი ქარები.
წვიმები ზევით მიანგრევენ მაღალ ყიყინას.
ულრან ბინდებში შეაჩერებს იმას ნამჭერი,
ვინც სამყაროდან სიმღერებით ჩამოიბრინა.

კვალდაკარგული მთების ჯოგი იხეტიალებს
და მწვანე ტალღა სადმე ქვებთან ყრულ მომიგონებს.
მტკვარო, გაეარდი და ცა ისე გაატიალე,
რომ დედამიწა მსოფლიოში ვერ მოდიოდეს.

ნუთისოფლიდან უკვდავებად

და ძვლები დარღიო გაიჭვარტლება

ქარს ეფარები, ვერაინ გხედავს.
სივრცეებს ნულარ მიაცივდები.
აჰყევ იმ მთების ვიწრო ზერხემალს
და წუთისოფელს გადასცილდები...

გასწი, ნისლებმაც თუ გაგიტყუონ,
საკუთარ თვლებს ნულარ ენდობი.
იქ ლურჯი ლამე სტვენით დაგსეტყვავს,
იქ ფოთლებს ქარში მოაგონდები...

ქარი გააფრთხობს მზეს მიწებიდან...
კუბოებს ქვები ნელა ასწევენ...
მთვარე ბუხართან ყრულ ჩაიწვება
და პანაშვიდი ჩადგება მწვანედ.

ო, აჰყევ, აჰყევ მთების ზერხემალს,
სინათლეს მაინც ველარსად სწვდები.
აჰყევ, არ დასძრა არსად კრინტი ხმა
და წუთისოფელს გადასცილდები.



მოთხრობები

წუთისოფალი

ციკლომბორის კალთაზე შეფენილ სოფელს ბინდი ეპარება ოქტომბრის შშრალ სიოს ქვევიდან დოლ-გარმონის სისხლის ამჩქროლე-ბელი ხმა მოაქვს — ბრანძოანთ უბანში ქორ-წილია. მიპატრეებულები დიდი ხანია, უკვე იქ არიან. დასანახად გამოსული, შეგვიანებული ალიან-ხალიანი კი ტუსტუსით მიიჩქარის — ყველას უნდა თავისი თვლით ნახოს როგორი პატარაალი მოიყვანა წელღიათთ უშანგმა.

ბებერი გორა ზირბალის ყურში, საქონლის ქექისაგან გაზინთულ კაცლის შორზე წამომ-ქადაა, ხელუბი ბანქოს ხელმწიფესავით დაუ-წვვია ბალაოქის უეარჭენზე და სეედაჩამდ-გარი თვალეზით უაზროდ გასყურებს ქორწი-ლში მიმავალ აკლბუქულას. დიდრონ ხელე-ბზე, გრძელ კანკებზე, ბებრულ, მაგრამ ზო-რბა მზარბუქსა და პირისაბის ზვესისებურ ხა-ცთებზე ადვილად შეატყობს დაკვირვებული თვალი, რომ ორმოციოდე წლის წინათ მასზე ფიქრსა და ოცნებაში შესულს, ალბათ, ბევრ ქალს თეთრად გაუთენდებოდა ღამე...

შარაგზაზე ძებროციელი აღარ კვაჩენებს — ყველა ბრანძოანთ უბანში ჩაიყრიდა.

თბილისის ავტობუსმა გუგუნ-ტრაბტრაბით ამოიარა. ორშილა წყალთან გაჩერდა, ოთხი სტუდენტები ბიჭი გადმოსვა და ისევე გზა გა-ნაგრაძო.

ბიჭებმა სიგარეტს მოუციდეს და ერთმანეთს

ლაპარაკი გაუბეს. მერე თავთავიანთ სახლში მისვლა საჭიროდ აღარ ჩააგდეს და პირდაპირ ქორწილში გასწიეს. კაცლის შორზე წამომ-ქადა ბერიკაცს რომ გაუსწორდნენ, ახალგაზ-რდებისათვის დამახასიათებელი უღარადელი, ერთობ ლაზღანდარობაშეპარული მზიარტო-ბით შეეხმიანენ.

— შენ რატო არ მოდიხარ ქორწილში, გი-ორგი პაპაე?

— არ კი დამპატრეეს და!

— ერთო უყურე!... რატო, კაცო?

— მუხთალია წუთისოფელი და შაგიტოშ.

ახალგაზრდებმა გაიცინეს.

— რათა, პაპაე, რათა?

— რათა და. ქველობაში არავინ მპატრეო-ბდა: ეგ სუფრას ერთი კვირაც რომ უქდეს, ადგომას არ იფიქრებსო. დავებრდი შეილოსა და, მაინც არ შეპატრეებია: ჩაჩანაქს ორიოდე კიჭაც დაათრობს, მაღე ადგება და სუფ-რას ლაზთს დააკარგვინებსო! ჰოდა, ახლა ეგე თქვენ თვითონ...

ბიჭებმა უფრო ხმამაღლა გაიცინეს და ხა-ბიქს მოუჩქარეს — არ დაგვაგვერდნესო.

შარაგზა ისევე დაკარგულა. დოლ-გარმონის ხმა უფრო გაღონივრდა.

სათბურწამოსხმული ბერიკაცი გაუხმრევლად ზის შორზე და უაზროდ გაიუტრება ბინდის-ფერ სიერკში.

პავსეოვის თოვლი

შაბათ საღამოს დუნდაროანთ იორამმა ერთი მანქანა შეშა მოიტანა. კაცებს გაუტყმათ ღვი-ნო და სუფრას მამლის პირველ ყვილაძდე შერჩნენ. დილით ჭერ იორამის მუეულდეს, შა-ყვალას გაედოქა. ფრთხილად გამოძვრა ლო-გინიდან და ფლოსტებში თოქმა ფეხები წაყო. გულმა არ მოუთმინა: სანამ ჩაიყვამდა, უხდო-და, ჭერ შეშისთვის დაეკრა თელია. ფარდის ბოლოს გასწია და უზოში გადაიხედა.

— ეიშ, რა ერთი ფეხით მოგვისწვრია!

სათონისიან ახორილი შეშა ღამით მოსულ პირველ თოვლს სქლად დაეფარა. ქათკათა თოვლზე არეკლილი დეკემბრის მზე თვალის მომჭრელად ბჭვეილაბდა. „როგორმე თავი უნდა მოუტკონო და დაეხებრბინო კიდევ, თო-რემ ამან თუ შირაქში გააფარა თავი, მერე ჩვენი ხათაბლა გაბღება“. — გაივლო გუხე-ბაში და თვალბის ქუტვით ბაისაყენ გაიხე-და. საქონელი არსად ჩანდა. ეტეცხოვა, რად-გან მამამთილი ყოველთვის დილაადრიახად გა-

მოუწყებდა ხოლმე ფერსა და დეკორაციას. „ხო არა დეკორაცია რა — შეფიქრინდა და ბამბახის ხალათი შემოიცვია, — ალბათ, სათივლეთან ტრიალებს. „ამარი ნაჩქარევად გაიბლანდა და თვალბის ფშვინით გაეძარბათ უკან კედლის სარკმლისკენ, რომელიც სათივლეს, სანათქმესა და ბაღის გადაკურებდა. ფარდებზეა თავი რომ გაყო, უნებლოდ წამოაჩვილა და შეუღლეს მივარდა.

— იორამ, იორამ, გაიღვიძე, კაცო!
 — არა მღვიძავს, მა, რა არი!.. რა მოგივიოდა, ქალო?

— მამამთილი... მამამთილი... — ენას ძლივს აბრუნებდა მაყვალა, — ერთი უფურე! თვალის დახამამებში იორამი ავაკაილებულ მუღლუსთან გაჩნდა. სარკმელს რომ მიადგნენ, ფარდებს გასწიეს, ოდნავ დაიხარნენ და თავები ისე მიიტანეს ერთმანეთთან, თითქო სურათს იღებნენ.

თოვლში ნაგორავები ბერიკაცი აღმართზე ბავშვების ციკას მიათრევდა. აღმართი რომ ათავა, შედგა, ციკა მოაბრუნა, ზედ დაჯდა და სახლისკენ სრიალთ დაეშვა. შუა გზაში ციკამ უცებ მკეუთარად მოღვებია, ვადაბრუნდა და ბერიკაცი თოვლში ბურთივით გადააგდო. ზურგზე გამოტირლ ბერიკაცს უფრადლება არ მოუტყვევია ციკისა და თოვლში ჩაუარდლილი ნაბღის ქედისთვის. ზელ-ფეხი ამოძრავა და გორაობით დაეშვა ქვევით. ვაგაკებულზე რომ ჩაგორდა, ადგომა არც უცდია. მკლავები ღაღად გადაუარა თოვლში და მზის სხივებს კატასავით გაენახა თვალუბო.

— იორამ, დავიღვიძეთ... შეზობლებს ხომ არ დავუძახო?

იორამს შიშისაგან სისხლი გაეყინა. სარკმელი გამოაღო და მკვებუნ, მაგრამ კოტა ბზადალბა, სტეის რომ არ გაეგონა, ვადაიძახა.

— რას შერებდი, მამა?

ბერიკაცი სსაიკლოდ შეხტა და დამხამავე ბავშვივით წაშობტა ფეხზე.

— თოვლი, შვილო, თოვლი!.. კაცო, თოვლი...

— რა „თოვლი, თოვლი!“ აჩვენე — ოთხმოცი წლის კაცი თოვლს პირველად ზედავ?

— თქვენმა გაბარებამ, ბალღობის დროინდელ თოვლს პირველად სწორედ ახლა მხედვე... არ ელიზბარას კბილა ჟერ ვერც კი ვაჭებოდო, მამაჩემმა ციკა რომ გამოვიტო და საცურაოდ გამამიყვანა. დაჯდებოდა ციკაზე, ჩამსივამდა კალთაში, და აბა, გამოდი!.. თურმე პატარას ზო უფრო კარგად ამასოვრადება ყველაფერი ემანდ, ნიორი რომ ვეეთესა, ორჯერ-სამჯერ გადავიბრუნდა ციკა. ო, როგორ მაგორავებდა თოვლში და ხანხანებდა! მე კიდევ მიხაროდა, მიხაროდა, რომ შეტი აღარ იქნებოდა: კიდევ, მამა, კიდევ-მეთქი!! წყევლა ჭირმა, იტყვი, გუშინ იყო...

— აბა, ერთი ელაპარაკე! კაცო, ეხმე რა...

— დღისა — საქონელს გამოვუშვებ-მეთქი და რასა ვხედავ — სწორედ იმნაირი თოვლი, მაშინ რომ იღო!.. აი, აი, კაცოს ფულუროც სწორედ ეგრე იყო ჩათოვლილი... მამისაც აეგეთი მუღლისფერი დაქრავდა მზის შუქზე... თოვლმა რაღაცნაირად თითონ შამპკინა პირში და მამინათვე ის პირველი ციკაობა და მამაჩემი მომგონდა...

ბერიკაცი ჩაფიქრდა, უაზროდ აუციძვიდა თვალუბო.

— ბოლო დროს ხშირ-ხშირად შესიზრებია ის ცხონებელი. გუშინღამაც ვნახე. ვითომ იგრევე პატარა ვიყავი. მანდ მოწყვნილი ხოთა ხარ, შვილო, წამო ჩემთან, ახალ ციკას ვაგაკეთებო, გამომჰახა... ეტყობა, უფალი მალე საიქიოში წერაილს გამატანს!

— წერაილს არა, დეგუშას! — მოუტრა შვილმა და ხმას დაუწია, — ვინმემ რომ დაგინახოს, რაღა უნდა ვთქვათ ქვეყანაზე? ჩამოიბრტყე თოვლი, აიღე ქელი...

ბერიკაცმა ვაუბედვად მოისევა ზელი თეთრომან თავზე. შერე ქეშად იხებდა ზეით, თვალუბით მოძებნა ქელი და ასაღებად გასწია.

ცოლქმარი სარკმელს მოშორდა.

ბერიკაცმა ბავში ერთი იღლია თევა შეიტანა, გეჟა წულთი აავსო და ბოსლიდახ საქონელი გამოუშვა...

სამი ღღის შემდეგ ბერიკაცი მოკვდა.

ნაპურთხი მარილი

კოლოტანთ დათამ მთელი სიკოცხლე ცხვარში გაატარა. სიბრტე ჟერ შეუშინველად შეუქარა, შერე თანდათან მაგრად ძორია, ბოლოს კი აქალმაქ მოაკითხა და ხოეძარის ბოლოს, ერთ ყინვიან ღამეს მოკვდა.

დათამ სამი შვილი ჰყავდა, მაგრამ შობუც შშობლებთან დიდი ხანია არც ერთი მათგანი აღარ ცხოვრობდა. შოთა რუსთავეში ბიხანდობდა, ლიდა და გოგია — თბოლისში.

შვილებმა ბერიკაცის სოცდელი რომ შეი-

ტყეს, დედაბუღიანად მეორე დღესვე ჩამოვიღნენ საკუთარი მანქანებით.

დამგლოვარებულ ზორეშანს ვადაწყვეტილ ჰქონდა ქმრის დასაფლავების თადარიგი თვითონ და თავისებურად დაეჭირა, მაგრამ შვილებმა არ დაანებეს — შენ ჭირისუფლად იყევი, ყველაფრის შოვნა, მოტანა და გაშვადება ჩვენზე იყოსო. დედაბერს არც დასამარხად ვადაბუღიანი ფული გამოატახიხეს სოფლის საღაროდან: ამაგიანი მამა ქვეყნის

სამავალითოდ ჩვენი ხარჭითა და შუხის კუბოთი უნდა დაეკრძალოთო.

დარდისაგან კრიკაშეკრული და ცრემლგამშრალი ხორეშანიც აღარ გაძლიახებულა. ყველაფერი მათ მიანდო, თვითონ კი ფეხმოდევლად უქდა ცხედარს, რომელთანაც ერთ უღელქვეშ გატარებული გრძელი და მძიმე სამოცდასამი წელიწადი აკავშირებდა.

სამი დღე და ღამე ისე გავიდა, დაქსციული და ღამენატეხი დედაბერი ახლოს არ გაქაჩრებია მარანს, სადაც საქვლებზე სამშადისი მიძინარეობდა. პაპასკევს, დასაფლავების წინაღმებს, სამომარზე მოსული ხალხი რომ დიშინდა და შინაურებოდა დარჩნენ, ხორეშანს მაინც არ გაუძლო გულმა: ცხედართან ჭირვარამწაქამი ბებრები — და, ორი რძალი, შაზლი, სამი შული — დატოვა, თვითონ კი ლახდითვით გადაჭრა თოვლიანი ეზო და უხმოდ შიადგა ჭვითყირის ძველებური მარძნის ღია კარს, რაშიაც თავისუფლად გაივლიდა „ქიგული“.

ყველანი — შვილები, რძლები, სძვე, შვილიშვილები — მარანში ფუსფუსებდნენ.

— დედი, დედი, ხომ გითხარით, ყველაფერს ჩვენ გაუაზრდებთ-მეთქი, რაღას დადიხარ ამ უინეაში? კაბის ამარა, კაცო, ვინდა რო გაციოდე?! — შეეგება უფროსი ბიჭი, — ვაა, თანე არ გენდობა გული!.. ნუ გეშინია, არ შეგარცხვენთ — ყველაფერი მოტანილია! აი, ორას ოცი კილო საქონლის ხორცი, ჭედლია დილაზე დაიკვლება, დაპურულ ვარიგმსაც დილაზე გამოგიგზავნიან ფერმიდან... მწვანილი და მხალეულობა ღამარას ამქარმა იცის!.. ორი თავი ცხერის ყველი წელან მოგვიტახეს!..

ორასი ლიტრი ღვინო აემ კასრშია, თუ ეს არ გვეუო, აგერ, ზეთიფიანიც სავსეა... კედევრა? ჰო, ხიზილაა, სათალი, ცოცხალი და ეონეოლი წუხელ ჩამოვიტანეთ თბილისიდან. სამწვადე სუყები ცალკე მიწყვიას!.. კარტოფილის, შილაფლავისა და წანდილის უსტაბაში კატეშა! პერს კედევ დილაზე დააყარავებ დედაკაცები და მორჩა!!!

წარბშეკრელმა ხორეშანმა გაცილილ ვახხასავით გადმოაგდო სამი სიტყვა.

— ნაყურთხი მარული მოტანილია?

ყველას შეცულში ჩაუვარდა ენა და დაშხაშვევებით გინანბნენ. კრინტის დაძერას არავინ აპირებდა. — თითქო პასუხს ერთიმეორისაგან ელიანო. მალაღი, ჩამომხმარო, შშობლიურეი, მაგრამ ცხორებვისაგან გაფლოდებული დედაკაცის შხერისქვეშ მონესხულებით იდგნენ კოლტანთ ჩამომავალნი: მყოლოდნელობისაგან შეცუნებულნი, საყუთარი კარფძის უგერგილო სტუმრები, წინაპართა ადათდაყარულნი.

ხორეშანს შეტი სიტყვა აღარ დაუძრავს, გატრილდა და ისევ თავის შკედარს შიაშერა.

მარანში შყოფებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, თუმცა ზმის ამოღებას მაინც ვერავინ ბედავდა. უმცროსმა ვაჟმა ლურსმნიდან ზამშის ეურტავი ჩამოიღო, მარცხენა საქმიანად გაუყარა, თან საათზე შებლშეყვრით დაიხედა და ეფროს ძმისწულს, რომელიც ბების გაშორენამდე ყუთში ჩამწკრევებულ ბოთლებს ღვინით ავსებდა, შყარად გადაულაპარავა.

— დათო, გაანებე შავას თავი, წაშო, დაკოქე მანქანა!

ტავუ მუზარიშვილი

• • •

მეკითხება თეონა,
ორი წლის და ორი თვის:
— ეს რა არის?
— კინკრავა.
— ა, ეს?
— აიბოლიტი.

— ეს რა არის, ბაბუა?
— ის რა არის ბაბუა?
— ეს ბუაა, უფროსიან
ჩიტუნები ამ ბუას...

ზღა ყოველ წამს: — ეს რაა?
ის რა არის, ის, ისა?..
ნეტამც სულ ასე მეკითხოს,
იცელქოს, იკისკისოს.

— ეს რად ხდება? — რომ მეკითხავს,
კოდვა მართლა მერე ვარ...
მანამდე კი გრძელდება
ჩემი ბედნიერება.

• • •

ქართულ ტბებს შორის უუდიდესი,
თან ბორჯნეული, თან ფალავანი...
თავფარავენელი ჭაბუკის ლექსით
ლელავ მამულში თავფარავანი.

ხშიანებ არა ნამამულარში,
ნასიკოცხლარში, ნაფუტეგარში,
არამედ ერში, სიმში თუ ლარში,
თუ სატრფოსათვის სულის ლევამი.

სიოს ქროლვაზე ტალღებს—ფარვანებს
კილით-კიდეშდე დაფრთხილებ,
მაინც, ბებერო თავფარავანო,
იქ ქართულ ლექსში უფრო ხშიანებ.

სხვამ ვერც რამ დამწვას და დამანელოს,
ვაი... ჩამჭრალო რერავ რანუნო!
სად ხარ, ჭაბუკო თავფარავნელო
და სიყვარულო თავფარავნელო!!

306 მოგვა

ყვავმა ყვავს
რალაც უთხრა ყრანტალით,
იქნებ ტუთილი.
იქნებ მართალი...
უცებ გაფრინდნენ
ხის კენწეროდან,
ენწერო თრთოდა
და ირწეროდა.

გადაუფრინეს იმ ბორცვს,
იმ ყანას,
ნეტავ რა უთხრა,
სად წაიყვანა?!
ვინ მომცა ამის
მიხვედრის ნიჭი,
მომძის ნათქვამის
გაგება მიჭირს.

დროებით



ჩემივე თავის
გაუხდი ნატრული
და მსურს დარჩენა
საკუთარ თავთან.
ვიხეტიალო ხევ-ხევ
და მთა-მთა,
მტკიოდეს ელვით ცა გაფატრული.

მინდა დროებით გაველურება,
ვეძებდე ნაყოფს
წაბლის, წიფელის...
და ჩვილი ბავშვის
ცრემლივით წრფელი
ჩანგი აკვნესოს
ჩანგის ლარებმა.

სალამო სალამოს ტბასთან

ბოვდანოვის რაიონში ერთ ტბას სალამოს ტბა მქვია.

მართლა დიდი ხარ და არ ილევ
მამულო ჩემო თუ მეჩვენება...
ძლივს მოვატანეთ,
მზის არილები
ტბას ღრუბლებიდან ერთვის ჩქერებად.

ო, ლურჯო ტბაო სალამოისაც,
ძმაო ძევახო და ჯავახეთო,
გროშის ფასი აქვს ახლა მოისარს
და კრილობაში არ ჩამახედოთ.

რა ლამაზია მზით გარღვეული
ღრუბლები ლურჯი და სიფრიფანა,
ვაგლახ ქართველმა ქართველის სხეული
ბედის რისხვისგან ვერ დაიფარა.

არ მითხრა, სხვისო ცელო, ფიწალო,
რომ სასო ძვალი არის გაბრული...
არ მომიწამლოთ,
არ მომიწამლოთ
სალამოს ტბასთან დღე ჯავახური!

როგორ შვენის

როგორ შვენის ეს ცაცხეები ამ ეზოს
და მრუმე ცას უმიზნუო სევდა?!
მოგონება თბილი და უამესი
გადამისვრის ყრმობის დაისებთან.

აქ, წარსულში, წასვლა ხშირად მიხდება,
იქ, წარსულში, სიყვარული მგზავნის...
გახსენება წამალივით მიხდება
დედულეთის —
დიხაშხოს და... ბზენის.

კვლავ მთვრალი ვარ, იმისთანა რა მასვი
პატარობის ბრმაო ბედისწერაც...
ეს ცხოვრება ცხრაჯერ უფრო ლამაზი
იყო,
რადგან არ ვიცნობდი ჯერაც.

მოგონება თბილი და უამესი
დაფუთფუთებს ყრმობის დაისებთან,
როგორ შვენის ეს შაშვები ამ ეზოს
და მრუმე ცას — უმიზნუო სევდა?!

ასე ვფიქრობ



ასე ვფიქრობ ახლა —
 თბილისს მომავალი სურამიდან:
 მე არ მინდა თქვენთან ყოფნა,
 უთქვენობა სულ არ მინდა...
 იმდენჯერვე დაგიბრუნდით,
 გაგეჭეცით რამდენჯერაც.
 მე არ მჯერა თქვენი.
 თანაც
 ის არ მჯერა,
 რომ არ მჯერა.
 არ მსურს:

მაგრამ ისე გგავართ,
 ვით ტყუპის ცალს
 ცალი ტყუპის.
 თქვენ მამლერებთ
 და ცრემლებიც
 თქვენგანვე მდის ლაპალუპით.
 მე არ მინდა თქვენთან ყოფნა,
 უთქვენობა სულ არ მინდა...
 ასე ვფიქრობ ახლა
 თბილისს
 მომავალი სურამიდან.

იმ სიმართლით

სიკვდილამდე
 მოალერსე მზერით ასჯერ დაგაკვდები,დ
 მერე...
 გულნატენი სვეზე
 წავალ,
 თვალში დაგაკვდები.

 გამაყოლებს მკვდრის მზე ამბორს
 და მოკეთე მკვდრებს მიმართული...
 როგორც ცამდე მართალს ვამბობ,
 გამიმარჯოს იმ სიმართლით.

• • •

სიყვარული რომ გცოდნია,
 პირველად ახლა ვიწამე,
 გცოდნია, მერე როგორი
 გცოდნია, ჩემო ბელურავ.
 ბარტყს ფრთებით ეფერებოდი
 (ერძალვით თავს გიხრი მიწამდე),
 დანტურ ნანასაც უმღერდი.
 არ ვცდები,
 არ მოჰყურა!



თქმულაჲ ხათაგუ

არც სიმდიდრე, არც ქონება,
 რაც ცხოვრებას გვიადვილებს,
 ლეგენდები დაგვრჩა მისგან
 იმის შვილს და შვილიშვილებს.
 და დიდება დაგვრჩა მხოლოდ,
 სიმხნევე და სიჩაუქე,
 იმის ჩარხზე ვილესებით
 და მარადეამ ვიჭაბუკებთ.
 თვითონ ჰქონდა იარაღად
 სულ პატარა წვერი კალმის,
 საფიცარად ხეთაგის ტყე —
 რისი ქებაც მე არ ძალმიძს...
 მაგრამ რა ვქნა, მაინც ვბედავ,
 — ეს ამბავი არის ძველი,
 მის ჩანგს შევთხოვ შემწეობას,
 მასვე ვმადლი, თუ შევძელი.
 ჰოდა გეტყვით, დიდი კოსტა
 მტერმრავალი კაცი იყო,
 დიდს კი იცით, ყველა ცდილობს
 დაჩაგროს და დაიბრიყვოს...
 ერთ მტერს ისე გადააწყდა,
 არსით რომ ჰქონდა შველა,
 მაგრამ კოსტამ რომ დაჭაბნა,
 შიშისაგან ჩაისველა.
 მეორე კი საესე სუფრას
 შემომჭდარი აუხირდა,
 სუფრა ლხინით ყელს იღერდა
 საწუნარი არა სჭირდა,
 მაგრამ კოსტაც იქ რომ იჭდა
 ბოროტმა ვერ აიტანა,
 ჭამა-სმა ხომ მიატოვა,
 თან უკმეხი სიტყვა ბრძანა...
 სატყვა ბრძანა თავის მსგავსი,
 თავის ზნეს და უნებროს.

კოსტას ბართი მისწერა
 ლანძღვისა და გინებისა.
 მაგრამ კოსტამ, როგორც ბრძენმა,
 დინჯად, მშვიდად, როგორც ძველად,
 თავხედს ყური არ ათხოვა,
 ისევე ლხინი გააგრძელა.
 ამაზე კი უფრო მეტად
 გაღირია კოსტას მტერი,
 ქათმებს, იხვებს პირში ივლებს,
 არ დატოვა ანაჭერი.
 ვით ჩვეოდათ ჩვენში ოდით
 ველურებს და უნახავებს...
 მაგრამ დახეთ, ის ბოროტი
 ძვლებს კოსტას წინ დაახავებებს.
 თანაც ეტყვის — მუცელ-ღმერთო,
 რით ვერ გაძლა შენი ფაშვი,
 ან იქნება შენ შველოდი
 ქალებს ქათმის გაპუტვაში...
 მაშინ კოსტამ სიტყვა უთხრა
 ბრიყვებისთვის უებარი:
 — შენ რომ შენს წინ ერთი ძვალიც
 არ დასტოვე, როგორ არის!
 ხორცს ძელიანად ხომ ძალღი ჭამს,
 ძალღი, კაცის შეგობარი.
 — რას მიბედავ, მთის ციკლოპო,
 მე რა წილი მიღვეს შენთან,
 ლატაკების შეგობარო,
 შენი ჭიშიც გადაშენდა!
 ესა თქვა და წამოვიარდა,
 მიატოვა ფიცხლად სუფრა,
 იმას იჭით აუსრულდა,
 რაც აქეთკენ დაიმუქრა!
 კოსტა ღარიბთ შემწე იყო.
 იმათ ზღუდე, იმათ ფარი.

ყველა მასთან მიდიოდა
 სათხოვრით და საჩივარით.
 ერთხელ გული ამოუჯდა
 გუბერნატორს თბილისისას —
 ბარისთვის ვერ მომივლია,
 ამბებს მაგონებენ მთისას.
 ვილაც კოსტა გაჩნდა თურმე,
 საქმეს ურევს ოსეთისას,
 გადაეცით მაგ ბუნტის თავს,
 დავატყდები, როგორც მეხი,
 ამ მიწაზე არა ვნახო,
 მაგის ჯლანიანი ფეხი!
 წავიდეს და დაიკარგოს,
 ვლდრე მე ვპატრონობ თბილისს,
 საქართველოს არ დაეცეს
 მაგის აყლაყუდა ჩრდილი.
 ბაუჯიკაუს გაიგო
 კოსტამ ეს შემონათვალი,
 იქირავა ფაიტონი,
 ვითომ სხვა არ ჰქონდა ვალი...
 დარიალის ხეობაში
 ქვებზე კვესდა ცხენის ნალი,
 ერთ დღეში გამოიარა
 სამი დღის გამოსავალი
 და სასახლის კიბებთან
 დილამ შეაგება თვალი.
 ტანზე ჩოხა-ახალუხი,
 მხრებს ნაბადი დაეფინა,
 იმ სასახლის კიბებში
 ერთ წამზედაც აირბინა,
 ვერცხლის ქამარ-ხანჯლიანი
 წელი უფრო გაიწვრილა,
 გუბერნატორს წინ დაუდგა
 და მგელივით შეუღრინა.

— შენ მიკრძალავ, რომ ოსეთის
 მადლიანი მიწა ვთელო. *ეროვნული*
 ისეთ ცოდვას რაც მაგტულბ: *ინოვაცია*
 გადუხდელს და უსამველოს,
 ხეთაგი ვარ! მესმა შენი
 კანდიერი დაქადნება,
 ჩემი ოსი ხალხისათვის
 თითქოს მე მომჭონდეს ვნება.
 — მოთხარ, ციდან ჩამოფრინდი,
 ისეც ნამი გადევს მხრებზე?
 — ფაიტონიდან გადმოვხტი
 პირდაპირ შენს კიბებზე!
 თუმც ეს ვისი მიწა არის?
 მისი, ვინც ჰკამ უკეთესსა?
 თუ მისია, ვინც ოფლსა ღვრის,
 ვინცა ხნავს და ვინცა თესავს?
 მაგიდაზე მუშტი დაჰკრა
 გაფრთხილებად, გახსენებად,
 ის თქვა, რაც გულს დარდი ჰქონდა,
 რაც ესურვა, რაც ენება...
 და გაფრინდა ვით არწივი,
 უცხო კუთხის, უცხო მხარის,
 ფაიტონში შებმულ ცხენებს
 მუხლში შეუყენა ქარი...
 — თფუ! ვინ იყო? ცას გაფრინდა
 თუ ჩაყლაპა დედამიწამ!
 დამფრთხალი გუბერნატორი
 თავის სავარძელზე მიწვა,
 ბედნიერი არის კაცი
 თუკი მოიხადა ვალი,
 თუ მტრის ჭავრი არ შეჭამა
 და დაატყო მიწას კვალი...
 დარიალის ხეობაში
 ქვაზე კვესდა ცხენის ნალი.

ანტონიო და ღვინო

მოთხრობა

ანტონიო და ღვინო

ამ შემთხვევამ მე და ანტონიო მძიმე განსაცდელში ჩაგვავადო. მართალია, შინ რომ წამოვედით, ხალხმა, რომელიც ჯერ ისევ გაოგნებული იდგა ეკლესიის ეზოში, ანტონიოს მალულად მადლიერი და აღტაცებული მზერა გამოაყოლა, ხოლო მოგვიანებით ჩვენი დიასახლისიც, სადილი რომ შემოგვიტანა, ჩვეულებრივზე მეტხანს და, როგორც მომეჩვენა, უფრო ხალისიანად დაგვტრიალებდა თავს, მაგრამ გამარჯვება წარმავალი და მოჩვენებითი იყო. იმ დროს ხალხი, ანტონიოს გამბედაობით მონუსხული, უბრალოდ თავს ანგარიშს ვერ აძლევდა, თორემ მე ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ სულ მალე მისი აღტაცება რისხვითა და სიძულვილით შეიცვლებოდა. მღვდელი საკუთარი მკვერამეტყველების მსხვერპლი შეიქნა, ანტონიო ჩაეროდა თუ არა, ამით მისი ბედი არ შეიცვლებოდა; სამაგიეროდ იმ ორი ყმაწვილის ცოდვა, რომლებიც ახალციხის ბაზარზე უნდა გაგზავნილიყო, ჩვენ დაგვედებოდა. ენაიდან ეს მსხვერპლი დავითმა ჩვენი აქ შემოსვების საფასურად მოსთხოვა თავადს, და ხალხიც ცოტა ხნის შემდეგ, როცა ეს პირველი აღტაცება გაუვლიდა, უმკველად გამოიტანდა დასკვნას—და თუ თვითონ ვერ გამოიტანდა, თავადი დაეხმარებოდა —

რომ ყველაფერი ჩვენი ბრალი იყო და ეს ახალი უბედურება ჩვენი ჩამოსვლის გამო დაატყდათ თავს. კაცმა რომ თქვას, ასეც იყო! მეორე მხრივ მე და ანტონიოს ახლა ხიფათი გველოდა არა მარტო დავითისაგან, არამედ თავადისაგანაც და, ვინ იცის, უფრო თავადისგან, ვიდრე დავითისგან. დავითი, ისევე როგორც ქართველთა უმრავლესობა, გულისტყმას აყოლილი კაცი იყო და მის საქციელსა და მის მოქმედებას უფრო წამიერი გუნება-განწყობილება განსაზღვრავდა, ვიდრე წინასწარი განსჯა. გარდა ამისა, მას საკუთარ უპირატესობაში ეჭვი არ ეპარებოდა. ამიტომ, მართალია მისგან ხიფათი კი იყო მოსალოდნელი, მაგრამ არანაკლებ მოსალოდნელი იყო, იმდღევანდელი შემთხვევა სულაც არ გაეხსენებინა. თავადს კი არ შეიძლებოდა ჯაფარი არ ჩაედო გულში. საფუძველიც ჰქონდა: ერთი — მთელი ამასწინდელი ტრაზი, რითაც თვითონვე იტყბარუნებდა პირს, ეკლესიაში მომხდარი შემთხვევის შემდეგ სულ წყალში გადაეყარა და მიხვდა, რომ მე და ანტონიოს თვალში საცოდავი და სასაცილო შეიქნა. ამას კი ამა როგორ გვაპატიებდა! მეორე — რაკი ახლა მისთვის ცხადი გახდა, რომ მე და ანტონიომ ყველაფერი გავიგეთ, რაც კი რამ უკანონობა ამ ტაფობზე ხდებოდა, ჩვენი აქედან გაშვება მისთვის ძალზე საშიში იყო. ამბავი რომ გაგვეტანა, ან მთავარი დასჯიდა, ან.

კიდევ უარესი, დავითი, და მესამე — ჩვენი თავიდან მოშორება გაცილებით უფრო იოლი იყო, ვიდრე დავითისა, ასეთი მხდალი კაცისთვის კი, სხვა მიზეზიც რომ არ ჰქონოდა, შურისაძიებლად მარტო ეს მიზეზიც იკმარებდა.

ანტონიოსთვის ჩემი შიში არ გამოიხელია. მთელი დღე აფორიაქებული იყო, ხან გაშმაგებული ბოლთას სცემდა, ხან უცებ გაშეშდებოდა, მზერას საკუთარ თავში ჩაიბრუნებდა და ისე გარჩინდებოდა, გეგონებოდათ ამ ქვეყნისა ალარ არისო. ვიფიქრე, დამშვიდდეს და მერე გადავწყვიტო, რა ვქნათ და რა ვიღონოთ-მეთქი. სამაგიეროდ, საღამოს რომ მოურავი მოადგა კიშკარს და გარედანვე გადმოგვძახა, თავადი კითხულობს, როდის აპირებენ სტუმრები გამგზავრებასო, უყოყმანოდ მივუბე.

— ვწუხვარ, მაგრამ ყველაფრის მოგვარება, რისთვისაც წამოვედიო, ჯერ ვერ მოვასწარით. ასე რომ, თუ თავადს ჩვენი სტუმრობით თავი ძალიან არ შევაწყინეთ, ეგებ ნება დაგვრთოს, ორი-სამი კვირა კიდევ დავრჩეთ.

მოურავი დამპირდა, რომ ჩემს თხოვნას დაუყოვნებლივ გადასცემდა თავადს, და წავიდა.

ანტონიო ხის ძირას იჯდა პატარა სკამზე თავის ფიქრებში ჩაფლული და მე და მოურავის საუბარში არ ჩარეულა. მაგრამ, მოურავი რომ თავას მიეფარა, თავი ასწია და ნაღვლიანი კილოთი თქვა:

— ბართოლომეო! მერწმუნე, მე თვითონვე მწარედ ვნანობ ჩემს საქციელს. გრძობამ ამიყოლია და ჰკუთით ვერ გავზომე, თორემ რა დიდი მიხვედრა იმას უნდოდა, რომ ჩემი ჩარევით მღვდელს ვერ ვუშველიდი, მხოლოდ ხალხიფათს გადავეყრებოდი და, რაც მთავარია, შენც ხიფათში გაგხვევდი.

— რაც სანაღვლო არ არის, იმას ნუ ნაღვლობ. შენ შენი ქრისტიანული ვალი აღასრულე. შენ რომ არ ჩარეულიყავი, მე ჩავერეოდი.

— ჩემი საქციელი რომ მარტო მე

მეხებოდეს, არც ვინაღვლებდი, მაგრამ ამ ტაფობში განგებამ ჩვენი ბუღისე გადააჯაჭვა ერთმანეთს, რომ ვერც ერთი ჩვენგანი ისე ვერ გადადგამს ნაბიჯს, მეორეც თან არ გაიყოლიოს. შენ თუ ჩაერეოდი, უფრო გონივრულად ჩაერეოდი.

— გონივრულად ჩარევა მანდ შეუძლებელი იყო. სარგებლობას ვერანაირი ჩარევა ვერ მოიტანდა, ჩაურევლობა კი ღვთით გაჩენილი კაცისთვის დიდი სირცხვილი იქნებოდა. მაგრამ მოვეშვათ ამას. თუ ჩვენს მიმე მდგომარეობას ამით რაიმე ახალი ხიფათი დაემატა, დავითის მხრივ დაემატა, ჩვენთვის კი ახლა თავადი უფრო საშიშია, ვიდრე დავითი.

— მეც ეგრე მგონია. თავადი უფრო საშიშია. მაგრამ თავადი მხდალია, ჩვენ კი მთავრისგან შეუვალობის სიგელი გვაქვს ნაბობები.

— სწორედ მაგიტომ გამოვიტხოვე დარჩენის ნებართვა. სანამ თვალწინ ვყევართ, საძულველი კი ვართ, მაგრამ საშიში არა ვართ, და სანამ საშიში არა ვართ, მანამ შეუვალობის სიგელიც იოლად გაქრის. წასვლა თუ დავაპირეთ, მთავრის შიშს დავითის შიში გადასწონის და სიგელი ველარაფერს გვიშველის. სამი კვირა დიდი დრო არაა, მაგრამ იმისთვის მაინც კმარა, რამე მოვიფიქროთ. გაპარვა რომ შეიძლებოდეს, თავადს არც იმდენი ერთგული კაცი ჰყავს, ვერ გავეპაროთ. მაგრამ ჩვენი გაპარვა თავადის მხრივ პირობის დარღვევა იქნება, დავითი კი ეტყობა მხოლოდ მიზეზს ელოდება...

— მარტო შენ უნდა გაიპარო, ბართოლომეო, — თქვა მოულოდნელად ანტონიომ და, მე რომ სიტყვის შეწყვეტინება დავუპირე, ხელით გამაჩერა, — ჯერ ბოლომდე მომისმინე. მე ისეთი გეგმა მოვიფიქრე, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება. მადნის მომიზეზებით რომ მთავი წავიდეთ, თუნდაც თავადმა მეთვალყურეები დაგადევნოს, იქიდან მაინც მოახერხებ გაპარვას და ტყე-ტყე წასვლას. მე კი

ყვირილს ავტებავ და ყველას დავარწმუნებ, რომ შენ უფსკრულში გადაიჩეხე...

— მერედა, შენ მარტო დაგტოვო ამ განსაცდელში?

— შენ სამეფო კარის დავალებით ხარ წამოსული და სამეფო კარს პასუხი უნდა მიუტანო. ჩემთვის კი რა მნიშვნელობა აქვს სად ვიქნები. ვინ იცის, ეგებ აქ უფრო სიჭირო ვარ.

— ან ერთად დავაღწევთ თავს ამ დაწყვეტილ ტაფობს, ან ერთად დავრჩებით. სამეფო კარს არც დავალემა მოუცია ჩემთვის ისეთი მნიშვნელოვანი და არც ჩემი სიცოცხლისთვის დაუღვია იმოდენა ფასი, რომ ლაჩრობის გასამართლებლად კმაროდეს. მაგრამ თუ შენ გულახდილად მეტყვი — შენს გულახდილობას კი სავსებით ვენდობი — რომ ჩემს ადგილას ასეთ წინადადებას დასთანხმდებოდი და წახვიდოდდი, მაშინ მეც დავთანხმდები და წავალ. ამის მეტი ამ საგანზე სათქმელი აღარაფერი მაქვს.

ამაზე ანტონიო ერთხანს ჩუმად იყო, მერე მხარზე ხელი დამადო და სახეში არ შემოუხებდავს, ისე მითხრა:

— მაპატიე, ბართოლომეო.

იმ ღამეს ორთავეს ცუდად გვეძინა და ორთავეს ერთი და იგივე ფიქრი გვტრიალებდა თავში: თუ ასე გულხელდაკრეფილი ვინახდებოდით და არაფერს ვილონებდით, არსებითად ჩვენც უჩალებს ისეთივე ტყვე და მონა ვიქნებოდით, როგორც თავადი იყო.

მეორე დღეს ღრუბლიანი დილა გათენდა. მთებზე სქელი ნისლი იწვია, რომელიც თანდათან ქვემოთ და ქვემოთ იწვედა და მალე ტაფობს ოთხივე კუთხით შემოადგა. ცა საწვიმრად ემზადებოდა.

ხელ-პირი რომ დავიბანეთ და დიასახლისმა ჩვეულებისამებრ თბილ-თბილი რძე და ახლადგამომცხვარი ხაჭაპური მოგვართვა, არ ვიცო, მართლა ასე იყო თუ ეს ჩემმა გამოუძინებელმა და გაღიზიანებულმა ფანტაზიამ წარმოიდგინა, მომეჩვენა, თითქოს თავლე-

ბში რალაცის იმედიანი მოლოდინი ეწერა.

მარტიაძე

ანტონიოს პირი არაფერსმეცხმს დასუკარებია. მე ორიოდ ლუკმა ძალისძალად გავღეჭე. დიასახლისმა რა დაინახა არაფერს ვჭამდით, ერთი ღრმად ამოიოხრა და სუფრის ალაგებას შეუდგა.

მარტო რომ დავრჩით, ანტონიომ მითხრა:

— ბართოლომეო! ახლა ხომ დაბეზლება არ დაგვბრალდება! ეგებ დავიყოლიოთ თავადი.

მე თავი დავეუქნიე. თითქმის მთელი ღამე მეც სწორედ ამაზე ვფიქრობდი.

— ეგრე ვქნათ. მაგრამ ხომ არ აჯობებს, სანამ თავადთან მივალთ, ჭერ მღვდელთან ვცადოთ ბედი? რაც არ უნდა იყოს, საკუთარი სიცოცხლე უღვეს სასწორზე. იქნებ სასოწარკვეთამ გამბედაობა შეჰმატოს.

ანტონიოს ჩემი თათბირი მოეწონა და მალე ორივე მღვდლის ეზოს მივადექით. მთელი ტაფობი უკვე ნისლში იყო გახვეული, ირგვლივ ნესტის სუნი იდგა და სახეზე და ხელებზე შეუმჩნევლად გვედებოდა სისველე.

მღვდლის ეზო დაბალი ღობით იყო შემოკეცილებული. მარცხნივ, კუთხეში, მოზრდილი სახლი იდგა, სახლის წინ მცირე მღვდლო იყო, ზემოთ, სადაც მღვდლო თავდებოდა, ვენახი იწყებოდა. მღვდელი ვენახში იდგა, ხელში თოხი ეჭირა და ვაზს ძირს უმარგლიდა. პენანგისამარა იყო, თავზე ქალის ჭრელი ხილაბანდი წაეკრა და სქელ ნისლში მისი ფორმალდაკარგული სხეული განდღრეულ ლაქასავით ჩანდა. ფეხები საღლაც მარჯვნივ თავისთვის იყო, ხელები — საღლაც მარცხნივ, ასევე თავისთვის, და დაშლილ-დაწაფერებული, არაბუნებრივად დაგრეხილი ტანი ძლივძლივობით ახერხებდა მათ შეერთებასა და დაკავშირებას.

— მაშაო ეფრემ! — დაბალი ხმით გასძახა ანტონიომ.

მღვდელი შეერთა და თოხი ჰაერში გაუშემდა. წამით ასე იდგა, მერე თავ-

ვი ზელა აილო, უკან გადასწია და ცაბ ახედა. ბოლოს თოხს მარჯვენა ხელი გაუშვა, პირჯვარი გადაიწერა და მუშაობა განაგრძო.

— მამაო ეფრემ! — ისევე გასძახა ანტონიომ.

მღვდელმა ახლა თოხი მიწას დააბჯინა, ტარს ორივე ხელით დაეყრდნო და გაირინდა. მერე სწრაფად მოტრიალდა, ხელი მოიჩრდილა და დაეჭვებულ კილოთი იკითხა:

— რომელი ხარ?

— ჩვენა ვართ, მამაო ეფრემ! — მიუგო ანტონიომ.

მღვდელმა გვიცნო, თოხს ხელი გაუშვა და ჩვენკენ წამოვიდა. რაც უფრო გვიახლოვდებოდა, მისი სხეული თანდათან თავის ფორმას იბრუნებდა. ბოლოს, სულ ახლო რომ მოვიდა და სახეც გავარჩიეთ, ამ სახეზე ერთმანეთში იყო არეული სიმწარე, რისხვა და სასოწარკვეთა.

— ღმერთო, მოუსპე სიმშვიდე და სიხარული, ვინც მე სიმშვიდე და სიხარული მომისპო! — ხმადაბლა, მაგრამ ღრმა სასოებითა და ასევე ღრმა სიძულვილით თქვა მღვდელმა, — ღმერთო, დაამზე და დააქციე, ვინც მე დამამხო და დამაქცია!.. რაღა გინდათ? რილასთვის მოხვედით?..

— მამაო.. — შეეცადა ანტონიო სიტყვა ჩაერთო.

მღვდელმა არ აცალა.

— მამაზეციერმა გაგამწართ ჩემი გამწარებისთვის! შენ, პირველ რიგში! — თითო ანტონიოს მიასვირა, — შენ! შენ! რა გინდოდა? რას მერჩოდო? ვინ გეკითხებოდა სხვის საქმეში ჩარევას? რატომ დამლუპე? როგორც აქამდე მომივლია ჩემი საქმისთვის, ახლაც ისე მოვუვლიდი. დავითმა განრისხება თუ იცის, შებრალებაც იცის. შეგვხვეწებოდი, მუხლებში ჩაუთვარდებოდი, ოჯახს შევავედრებდი, ცრემლის ზღვას დავაყენებდი, იმ დანამ გაგიპოს გული, რა დანითაც ის თოკი გადაჭერი!.. წადით, მომშორდით! ხომ ხედავთ, თქვენთან სალაპარაკოდ არა მცალია! რის

გაკეთებასაც მოვასწრებ, ეფრემ! — გავუკეთო, რომ . გაკეთებულბს — დაგტყუებას უჩემოდ ვინ რას გააკეთებს! ვინ მიხედავს ჩემს სწეულ ცოლს და უწლოვან ბავშვებს! შიმშილით რომ სული ამოსძვრეთ, ვინ მიაწვდის ლუკმას! წადით აქედან! გამეცალეთ, თქვე წყეულებო!..

მღვდელი გაჩუმდა და წასვლა დააპირა. ანტონიომ ამით ისარგებლა და უთხრა:

— მამაო ეფრემ! ნუ გეშინია, ყველაფერს ეშველება.

ამის გაგონებაზე მღვდელი უკანვე მოტრიალდა. მკვეთრად მოტრიალდა, ფიცხლად და ანტონიოს დააცქერდა. სახეზე რამდენჯერმე ტალღა-ტალღა გადაუარა იმედმა და სასოწარკვეთამ. თვალები ამასწინანდელივით გაუფართოვდა: მარჯვენა მეტად, მარცხენა ნაკლებად. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო და ბორძიკით თქვა:

— რას ეშველება? როგორ ეშველება?

— ყველაფერს ეშველება! — ჩუმად, მაგრამ აღზნებით უთხრა ანტონიომ, — შენც, შენს ოჯახსაც, მთელ ამ ტაფობს.

ანტონიოს ბოლო სიტყვებზე მღვდელს სახიდან იმედის ნაპერწკალი გაუქრა. იქ ახლა უნდო გამომეტყველება დარჩა, რომელშიაც ზიზლი იყო შერეული. მერე, რომ დაილაპარაკა, ზიზლი ხმის კილოსაც დაეტყო.

— მაინც როგორ?

— ხალხი აეშალოთ. შენ რომ დაუძახო, მამაო, გამოგყვებიან. სულ ცოტა, ასი ცაცი მაინც შეიკრიბება, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია...

სანამ ანტონიო ლაპარაკობდა, მღვდელს სახე თანდათან ეცვლებოდა და საბოლოოდ ისეთი გაუხდა, როგორიც გუშინ ეკლესიაში ჰქონდა დავითის დანახვაზე. მერე უცებ მოწყვეტით დაეცა ორთავ მუხლზე, გაშლილი ხელები, ჩვენკენ მოქცეული ხელისგულებით, ფარდასავით აიფარა სახეზე და სწრაფად მოჰყვა ბუტბუტს:

— ღმერთო, დიდებულო! განმარ-
დე ბოროტს, დამიცავ უკეთურობისა-
გან, ნუ დამლუპავ და ნუ ამომავდებ,
ოჯახი გადაშირჩინე, ღმერთო, შენს სა-
ხელს ვენაცვალე. ჩემი თავი იქმარე
მსხვერპლად! — აქ ისევ წამოდგა, ერ-
თი ნაბიჯით მიუახლოვდა ანტონიოს და
შეშლილი სახით მიაჩერდა, — განვედ,
სატანავ! განვედ, უკეთურო! განვედ,
ტარტაროზის მოციქულო! — უცებ
ხმას აუწია და ყვირილზე გადავიდა,
— წადით აქედან! ჩემი დალუპვა არ
იქმარეთ, ახლა ოჯახიც გინდათ ამომი-
წყვიტოთ?! წაეთრიეთ აქედან, თორემ
თავს გაგიჩეჩქვავთ ორივეს! — ამ სი-
ტყუებით ერთი მიმოიხედა, მერე გა-
ხსენდა, რომ თოხი ვენახში დატოვა,
შეტრიალდა და დამუჭრებული ნაბი-
ჯით წავიდა.

ამ დროს კარმა გაიჭრიალა და აივა-
ნზე ქალი გამოჩნდა, რომელიც ნისლ-
ში მოჩვენებას ჰკავდა.

— ვინ არის, კაცო?

მღვდელი წამით შედგა და მიიხედა.

— ის წყეული უცხოელები არიან...

— და ბუტბუტით განაგრძო გზა, — მე
თვითონ... სანამ სხვა ეტყოდეს, მე
თვითონ ვიტყვი ყველაფერს... მე თვი-
თონ...

ქალმა ხელები მალა აღაპყრო.

— გაგოწყრეთ მამაზეციერი, მიწამ
გიყოთ პირი, არ გაიხაროს თქვენმა
ცოლ-შვილმა, დაიქცეს იმის ოჯახი,
ვინც ჩვენს დასაქცევად აქ გამოგზო-
ვნათ...

მე და ანტონიო შევბრუნდით და
თავჩაქინდრულები უკანვე წავედით.
მთელი სხეული მოწყვეტილი და შო-
ღუნებული მქონდა, ასე მეგონა, ძარ-
ღებში სისხლი აღარ მოძრაობდა.
მღვდლისა და მისი ცოლის ხმა ჭერ
კიდევ ყურებში მდგა.

ანტონიო გაფითრებული იყო, ტუ-
ჩები მაგრად მოეკუმა და ხმას არ იღე-
ბდა. გზისგასაყარს რომ მივადექით,
გეზი შინისაკენ აიღო, მაგრამ მე შე-
ვაჩერე.

— თავადთან მივიდეთ, რაკი დავი-
წყეთ, ბოლომდე ვცადოთ ნედი.

ანტონიომ შემომხედა, მერე მძიმედ
დამიქნია თავი და გამომყვა.

თავადმა არ მიგვილო. არა მცალიაო,
მოურავის პირით შემოგვეთვალა, არც
მეცლება და ტყუილად ნულა მომაკი-
თხავთ, მხოლოდ, ქალაქს გამგზავრებას
რომ დააპირებთ, ის კი წინასწარ შე-
მატყობინეთ, რომ შეიარაღებული ხა-
ლხი გაახლოთ, თორემ ქვეყანა ყაჩა-
ღებითაა სავსე და გზა საშიშიაო.

მე და ანტონიო იმედგაცრუებულე-
ბი და დამძარბულელები დავბრუნდით
შინ. კაცმა რომ თქვას, ჩვენი მცდე-
ლობიდან მე სხვა უკეთეს შედეგს არც
მოველოდი. სამაგიეროდ ერთ რამეში,
რასაც აქამდე მხოლოდ ვგარაუდობდით,
ახლა საბოლოოდ დავრწმუნდით: თა-
ვადი აქედან ცოცხლებს არ გაგვიშვე-
ბდა. მისი „შეიარაღებული ხალხი“,
რომელიც ვითომდა მცველებად უნდა
გამოეყოლებინა, გზაში დაგვხოცავდა,
ხმას კი გაავრცელებდნენ, ყაჩაღებთან
შეტაკებაში დაიღუპნენო.

ირგვლივ ნისლის მეტი აღარაფერი
ჩანდა და, თითქოს ყველა სულიერი
ერთიანად ამოხოცილიყოს, მთელ ტა-
ფობს მძიმე, სულსშემსხუთავი დუმი-
ლი ჩამოსწოლოდა. ბავშვების ხმაც კი
არსაიდან ისმოდა. ყველაფერი გაშე-
შებული და გარინდებული იყო. სახლს
რომ მივალწიეთ, ჭიშკართან ჩვენი მო-
ხუცი დისახლისი შეგვეფეთა, წამით
შემოგვხედა და მის თვალებში კვლავ
გაქრთა იმედიანი კითხვა და რალაცის
მოლოდინი.

რას მოელოდა ეს ქალი ჩვენგან? ან
ცხოვრებისგან რალას მოელოდა? ქმარი
არ ჰყავდა. ერთადერთი შვილი ჩვენს
ჩამოსვლამდე რამდენიმე თვით ადრე
დაემარხა, სხვა კი მთელ ქვეყანაზე
არაეინ გააჩნდა არც საზრუნავი და არც
მზრუნველი. აღარც დასაკარგი ჰქონდა
რამე, აღარც შესაძენი. მალე თვითონაც
თავისი ქმარ-შვილის გზას გაუყვებოდა
და ოჯახის უკანასკნელი კვალიც გაქ-
რებოდა. ამ სახლს, ამ კარმიდამოს თა-

ვადი სხვას მისცემდა, სხვა გაიდგამდა ფესვს, სხვისი კერია აინთებოდა, აქაურობას სხვა სიცოცხლე მოედებოდა, ძველი სიცოცხლე კი, რომელსაც მახსენებელი ალარავინ ეუბლებოდა, ყველას მუხსიერებიდან გაჭრებოდა. მიუხედავად ამისა, ანტონიოს გუშინდელმა საქციელმა ამ ქალის თვალებში იმედის ნაპერწკალი აანთო. მაგრამ ეს იმედი თვითონ არაფერში სჭირდებოდა, იგი სხვის იმედს შეჰხაროდა, სხვაზე ფიქრობდა, მათ შორის, უნდოდა თუ არა, იმათზეც, ვისაც მისი სიკვდილის შემდეგ მისი და მისი ქმარ-შვილის სიცოცხლე დავიწყებისთვის უნდა მიეცა.

ნაშუადღევს ველარ მოვითმინე და ანტონიოს ვუთხარი:

— ანტონიო, ასე გულხელდაკრეფილი ჯდომა ალარ შეიძლება. რამე უნდა ვიღონოთ.

— ჰო, — თქვა ანტონიომ, თავი აიღო და სახეში შემომხედა, — ეშმაკის ციხეში უნდა წავიდეთ.

მის ღრმა თვალებში ისეთი მშვიდი რწმენა იდგა, ისეთი რბილი კეთილშობილება, ისეთი უბრალო, ბუნებრივი და უხინჯო იმედი, წამით მომჩვენა, თითქოს ღვთაებრივი სინათლის ზღვამ გული გადამიხსნა და თავის გასხვიონებულ უფსკრულში ჩამახედა. და მე ერთბაშად მივხვდი, თუ რაოდენ ბედნიერი ვიყავი, რომ ეს კაცი გვერდით მგულუბოდა და განგებამ მისი მეგობრობა მარგუნა წილად.

ადამიანის არსებობის ღრმა ფენებში, როგორც ფარული წყაროები მიწის გულში, ისეა ჩაბუდებული იმედის ამოუწურავი მარაგი, რომელიც იმითაც ჰგავს მიწისქვეშა წყაროებს, რომ არავინ იცის, როდის სად გაიჩენს სადინარს და როდის სად ამოხეთქავს გვალვისგან გადაბრუულ უდაბნოში.

— ეშმაკის ციხეში რა გვინდა, ანტონიო?

— ბედისა და ჩვენი თავადისაგან განწირულები უნდა ვიხსნათ. შენ თუ გინდა, ნუ წამოხვალ. ორივეს წასვლა

აუცილებელი არ არის. — აქ ცოტა შეუყოვნდა, თითქოს საჭირო სიტყვებს ეძებო, მერე განაგრძო, — დავითისთვის სულ ერთი არ არის, ვის მიჰყიდის თავის საქონელს?! მართალია პატიოსან კაცს არ შეჭფერის ყაჩაღთან ვაჭრობა, მაგრამ სხვა გზა არა ჩანს.

— მართალი ხარ, ანტონიო. ახლა ამაზე მეტის გაკეთება მე და შენ არ შეგვიძლია.

ციხეებზე რომ შევსხედით და გზას გაუდევით, დიასახლისმა, რომელიც აივნის კუთხეში მატყუს ჩეჩავდა, თვალს გამოგვაყოლა.

სალამოვდებოდა. ეჩენლავდა გრილი ნიავი უბერავდა და ნისლი ხან გადაიყრებოდა, ხან ირგვლივ მჭიდროდ შემოგვეჭარებოდა.

ნაგაზები ყუფით მოაწყდნენ კიშკარს, მაგრამ მათ შუა რომ სქელ ნისლში, თითქოს მიწიდან ამოიზარდაო, მონაზანგი გაჩნდა, წამსვე ისევ შეწყვიტეს ყუფა. ზანგი სწორედ ისე, როგორც ამ სამიოდე კვირის წინ, მდუმარედ შემოგვაკეპრდა უტყვი, გაქვავებული სახით.

ჩვენ სულ ახლო მივედით (რის გამოც ძაღლებს მოუსვენრობა დაეტყუოთ) და ანტონიომ უთხრა ზანგს:

— დავითს დაუძახე. სალაპარაკო გვაქვს.

ეს კი უთხრა, მაგრამ აღრინდელი გამოცდილება გვახსოვდა და ამიტომ დიდი იმედი არ გვექონდა, რომ რამეს გავაგებინებდით.

ზანგმა ერთხანს კიდეც გვიყურა ძარღვემუხრელად, მერე უცებ შებრუნდა და ლამაზად ჩამოსხმული, მოქნილი ტანის ოდნავი რწევით ეზოს სიღრმისკენ წავიდა.

ძაღლები კიშკართან დარჩნენ და ყურებდაცკვეტილები მტრულად შემოგვეკეპროდნენ.

უსიამოვნო ლოდინში კარგა ხანი გავიდა. ბოლოს ფეხის ხმა მოისმა და ჩვენი ზანგი ისევ გამოჩნდა: თან ორი ახალგაზრდა თურქი მოჰყვებოდა, ორივე შეიარაღებული და თავგადაპარსუ-

ლი. თურქები ჭიშკარს მოადგნენ, აგდებულად აგვხედ-დაგვხედეს და ერთმა მათგანმა მკვახე ხმით გვკითხა:

— ვინა ხართ და რა გინდათ?

— დავითის ნახვა გვინდა, — მიუგო ანტონიომ.

— დავითთან რა საქმე გაქვთ?

— დავითთან რა საქმე გაქვს, მაგას დავითს ვეტყვი! — ხმას აუწია ანტონიომ, — გასწით და უთხარით, უცხოელები გკითხულობენ-თქო!

თურქმა ანტონიოს ისეთი მზერა მიაპყრო, თითქოს იმაზე ყოყმანობდა, აქვე ხომ არ დავახალო ტყვიანო. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ მიანც შეტრიალდა და თავის ამხანაგთან ერთად უკანვე წავიდა. ზანგი დარჩა და ძველებურად უტყვი, უძრავი სახით მოგვაჩერდა.

ამჭერად წელანდელზე მეტხანს მოგვიხდა ლოდინი. ბოლოს, როგორც იქნა, კვლავ გაისმა ფეხის ხმა და ვილაც გამორჩნდა. ესეც თურქი უნდა ყოფილიყო, მაგრამ წინა ორისაგან განსხვავებით უფრო ხნიერი ჩანდა, უიარაღოდ და თავზე წითელი ფეხი ეხურა.

თურქმა ერთხანს უხმოდ გვიყურა, მერე ზანგს მიუბრუნდა და უთხრა:

— ძაღლები გაიყვანე!

ზანგი ზემოთ წავიდა, ეზოს ბოლოსკენ, ჭიშკარს კარგა მანძილზე გასცდა, მოშორებით დაჯდა ნამიან ბალახში და ხმადაბლა, შაშვის ხმაზე დაიკახუბა. ძაღლები მყისვე მოსცილდნენ ჭიშკარს, ზანგს მიაშურეს, ირგვლივ შემოეხვივნენ და ჩაუტყდნენ.

თურქმა უხმოდ გაგვიღო ჭიშკარი და მერე, რომ ჩამოვკვეითდით, უხმოდვე გაგვიძღვა წინ.

ძაღლებს არ მოუხედავთ.

ციხე არც ისე პატარა აღმოჩნდა, როგორც პირველ ნახვაზე მოგვეჩვენა. თურქმა დიდხანს გვატარა ვიწრო და ბნელი ტალანებით, სანამ ბოლოს ერთ ხის მაღალ, მძიმე კარს არ მივადგექით. შიგნიდან გაურკვეველი ხმები ისმოდა, რომელიც მერე, როდესაც თურქმა ხელით გვანიშნა, შეჩერდითო, თვითონ კი ის კარი შეაღო, ერთბაშად ყაყანად

იქცა. თურქი ზღურბლზე რაღაცეებსა თაყი მდაბლად დახარა.

მე და ანტონიო აღმოვჩნდით ვრცელსა და მაღალ დარბაზში, რომლის კედლები და იატაკი ძვირფასი ხალიჩებით იყო მოფენილი. უკანა კედელზე, ასე ადამიანის სიმაღლიდან მოყოლებული თითქმის ჭერამდე ნაირ-ნაირი იარაღი ეკიდა — ხმლები, ხანჭლები, დანები, თოფები, დამბაჩები — იმდენი, რომ მათ უკან ხალიჩა აღარც კი ჩანდა. ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ კედლებს ვიწრო და მაღალი სარკმლები ჰქონდა დატანებული. შუაგულ დარბაზში დაბალი, მაგრამ ფართო და გრძელი, მასიური მაგიდა იდგა, რომელზედაც უხვად და უწესრიგოდ ეყარა ხორაგეული. მაგიდას ათი-თორმეტი კაცი, მათ შორის წელანდელი ორივე ახალგაზრდა თურქი, შემოსხდომოდა.

ჩვენს გამოჩენაზე წამით ყველანი გაჩუმდნენ, თავები მოაბრუნეს და უხმოდ მოგვაჩერდნენ.

ამდენი საშინელი, ველური სიხარბით გამოშრიარალი თვალი ჩემს დღეში არ მენახა. ტანში ერქოლამ გამიარა და თავი ძლივს შევიმაგრე, რომ შიში არ დამტყობოდა.

დავითი სუფრის თავში იჯდა, გრძელი სპარსული ხალათი ეცვა, ხელში ღვინით სავსე თასი ეჭირა და თავისი ოქროსფერი კულულებით, ქერა წვერულვანი თა და ნატიფი ნაკვთებით ამ შავ-შავ, გაბურძნულ, უხეშ თანამეინახეთა შორის ისე ჩანდა, როგორც წარმართული ღვთაება.

— ესენი არიან, — თურქულად თქვა დავითმა და ისეთი ღიმილით შემოგვხედა, რომელშიაც, თითქოს მუგუხალს ნაპერწკლები სცვიავო, ერთდროულად და ერთმანეთში არეულად ინთებოდა და ქრებოდა უღმობელი ცბიერება, თავშესაქცევი დაცინვა და მიამიტური ცნობისწადილი, — თოკი კი იმან გადამიჭრა, — თითი ანტონიოს მიაშვირა. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და ქართულად განაგრძო, — დავითთან

სტუმრობა ჭერ არავის გაუბედავს გადამთიელებო.

— მაშ, პირველი ჩვენ ვიქნებით, — მშვიდად მიუგო ანტონიომ.

დავითმა შეაწყვეტინა:

— პირველიცა და უკანასკნელიც. მაგრამ, რაკ მოხვედით, ბარემ ჩემიც მოვითავო, — ამ სიტყვებით თვალები მოწურა და ახლა შიგ მხოლოდ დაცივნვა იდგა, — ერთი ეს მითხარი, გადამთიელო, — მიმართა ანტონიოს, — სული რა ადგილას მაქვს? წუხელ მთელი ღამე ვეძებდი და ვერსად ვიპოვე, — აქ სუფრას გადახედა და თანამეინახეებს თურქულად უთხრა, — აი, ამას სცოდნო სული სადა გვაქვს და, თუ ცრუ და მატყუარა არ არის, ახლა უნდა გვაჩვენოს, — და აქ თანამეინახეთა საერთო სიცილ-ხარხარში, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ამ საგანზე ჭერ კიდევ გუშინვე ბევრი უცინიათ, ისევ ანტონიოს მოუბრუნდა, — რა ადგილას მაქვს სული, გადამთიელო?

ანტონიო დაელოდა, სანამ სიცილი ჩაცხრებოდა. მერე დავითს კითხვაზე კითხვითვე მიუგო:

— დავითო შენი სახელი?

დავითი ამ მოულოდნელი შეკითხვით იმდენად სახტად დარჩა, რომ წარბი, რომელსაც დროადრო აზიდავდა ხოლმე, ახლა უნებურად შეუხტა. მერე, წამიერმა გაკვირვებამ რომ გაუარა, ღიმილით თქვა:

— არ იცი განა?

— ეგ კი ვიცი, — მშვიდად მიუგო ანტონიომ, — მაგრამ ის არ ვიცი, რა ადგილას გაქვს ეგ სახელი. იქნებ შენ თვითონ მაჩვენო.

დავითი ანტონიოს ერთხანს დაეინებო უცქეროდა, თითქოს მის სახეზე რაღაცის ამოკითხვას ლამობსო, მერე ისევ გაიღიმა.

— ვიცი, რისი თქმაც გინდა...

— იცი? — შეაწყვეტინა ანტონიომ, — მაშ ისიც გეცოდინება, ეგ ცოდნა რა ადგილასა გაქვს?

დავითს თვალეზში ჩრდილმა გადაურბინა და ტუჩები მოკეცა. წამით სი-

ჩუმე ჩამოვარდა. მისი უთანხმოებაზე-ბიც მდუმარედ ისხდნენ და ცდილობდნენ დავითისა და ანტონიოს სახის გამომეტყველებით გამოეცნოთ, თუ რაზე იყო ლაპარაკი. ბოლოს დავითმა ნელა, დაფიქრებით თქვა:

— სითამამეს გიქვებ, მაგრამ...

— მაგრამ, — კვლავ შეაწყვეტინა ანტონიომ, — ის აღარ იცი, სითამამე რა ადგილას მაქვს.

მე მომეჩვენა, რომ ანტონიო ზედმეტად აღზნებული იყო, ამიტომ საჭიროდ დავინახე ჩაერეულიყავი.

— უსარგებლო ლაპარაკს ისა სჯობს, სათქმელი ვთქვათ და საქმე გავათავოთ.

დავითმა ახლა მე შემომხედა.

— ეს კაცი უფრო გონიერია, — თურქულად უთხრა თავის ხალხს. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და ისევ ქართულზე გადავიდა, — რა საქმეზე მოხვედით?

— რა ღირს ახალციხის ბაზარზე თითო კაცი? — ჰკითხა ანტონიომ.

დავითმა წამით გაკვირვებით შეხედა ანტონიოს. მერე გაიცინა.

— სარფიანი საქმეა. თუ გინდათ, ორთავეს ჩემს გუნდში მივღებთ.

— ნუ შეწუხდები, — მიუგო ანტონიომ, — გუნდში, როგორც ვხედავ, ჩვენზე უკეთესი ვაქაცები გყავს. — და ერთბაშად მოჭრა, — ეფრემ მღვდელსაც და იმ ორ ყმაწვილსაც, რომლებიც თავადმა უნდა მოგვეაროს ხვალ, ჩვენ ვყიდულობთ. — აქ წამით შეყოყმანდა და დასძინა, — თურქულად გადათარგმნა საჭირო არ არის.

მოგვიანებით ანტონიო გამომიტყდა, ამას რომ ვეუბნებოდი, უკვე ვიცოდრი, შეცდომა მომდიოდა, მაგრამ ველარ შევჩერდიო.

მართლაც დავითმა გულლიად გაიღიმა და ხმამაღლა თქვა თურქულად:

— გადამთიელები ხვალინდელი ტყვეების საყიდლად მოსულან.

სუფრას ხარბი გაკვირვების ხმაურმა გადაურბინა და ყველანი ჩვენ შემოგვატყერდნენ. ისეთი თვალებით გვიმ-

ხერდნენ, როგორც შეიძლება მონადირე უმწერდეს კუთხეში მიჩიხულ ნადირს, რომელსაც გასაქციევი აღარსაინა აქვს.

მე ჩემი გამძლეობის უკანასკნელ მარაგს ეხარჯავდი, რომ სიმშვიდე შემენარჩუნებია.

— ფული თანა გაქვთ? — თურქულად გვკითხა დავითმა და ამ დროს ხმა ცოტა გამომწვევი ჰქონდა.

— თანა გვაქვს, — თურქულადვე მიუგო ანტონიომ. გულში რას გრძობდა, არ ვიცი, გარედან კი მისი ცივი, შეუვალი, ცოტა ქედმაღლური სიმშვიდე და აუღელვებლობა მართლაც რომ მომწუხრებელი იყო.

დავითის ხალხი ისევ ახმაურდა. ორი თუ სამი კაცი წამოიწია კიდეც. საშიშროებამ მწვერვალს მიაღწია. მართლაც, რად უღირდათ ამ ავაზაკებს, რომელთაც ძარცვა და მკვლელობა ხელობად ჰქონდათ ვახდით, აქვე დავებოცეთ. ტყვეებიც დარჩებოდით და ტყვეების გამოსახსნელი ფულიც!

ახლა ჩვენი შველა მხოლოდ დავითს შეეძლო.

დავითმა ცოტა შეიცადა, მერე კი, იმ ორ-სამ კაცს რომ დანარჩენებიც მიჰყვნენ და თითქმის მთელი სუფრა წამოიშალა, ხელი ასწია.

ყაჩაღები გაჩუმდნენ და ისევ დასხდნენ. მაშინ დავითმა თქვა:

— ეს ხალხი საეპროდ მოვიდა და არა საომრად! თანაც სტუმრები არიან. თითო ტყვეში ოცდაათ ოქროს გამოგართმევთ, გადამთიელებო!

ფული ანტონიოს ჰქონდა თან. მან ქისა ამოიღო, რომელშიაც ასი ოქრო იყო, დავითთან მივიდა, ქისა მშვიდად გახსნა, ასევე მშვიდად, ნელა ამოიღო იქიდან ათი ოქრო და მერე ქისა წინ დაუღო.

— ოთხმოცდაათი ოქროა. დაითვალე.

ყაჩაღები ნადირის უგუნური სიხარბით მისჩერებოდნენ ქისას.

— გენდობი, — თქვა დავითმა.

— მაშ, თავადს ვეტყვეოთ შემწონებული ხალხი დაამშვიდოსს.

— მე თვითონ ვეტყვი. თქვენ რომც უთხრათ, არ დაიჭერებს, რალაც ოინი ეგონება. — აქ ერთი ზიზღნარევი დაცივით გაიღიმა და განაგრძო, — ჩემი სიძე ისე მყავს გაწვრთნილი, სხვას არავის ენდობა.

— მღვდელსაც შენ ეტყვი? თუ ჩვენ ვუთხრათ?

— მღვდელს? — გაჭიანურებით წარმოთქვა დავითმა და ჩაფიქრდა. მერე, ლაპარაკი რომ განაგრძო, ანტონიოს სახეში უყურებდა და თვალს არ აშორებდა, — მღვდელი ტუტუცია და თავისი სიტუტუცე უნდა შევანანო. შენ და შენს ამხანაგს, რომელიც შენზე უფრო წინდახედულია, ალბათ გირჩევენიათ, თქვენი დიდბუნებოვანება რაც შეიძლება მალე გააგებინოთ ქვეყანას. მაგრამ თავის შეკავება უნდა გირჩიოთ. დაე ამალამდელი ღამეც შიშში და ლოცვაში გაატაროს კეთილმა მოძღვარმა, ეს მისი სულისთვისაა სასარგებლო, თუ არ ტყუით და მართლა აქვს სადმე სული. ზვალ, სამგზავროდ გამზადებული რომ შეახლება, მაშინ ვახარებ თავისუფლებას და მშვიდობით გავისტუმრებ.

— კეთილი, — თქვა ანტონიომ, — ეგრე იყოს.

— ოღონდ გახსოვდეთ: ჩუმად რომ შეატყობინოთ, დავითი ნაწყენი დარჩება და, თუ სხვა უარესი არაფერი ჩაიღინა, ამ ჩვენს მოლაპარაკებას მაინც გაუქმებულად ჩათვლის.

ანტონიომ უხმოდ დაუქნია თავი, გამობრუნდა და წამოვიდა. ყაჩაღები შეკავებული ბოღმითა და მწარე სინანულით გვიყურებდნენ.

— ერთიც გახსოვდეთ, გადამთიელებო, — მოგვაძახა დავითმა, — ამ ციხეში ჭერ გარეშე არავინ შემოსულა, და თუ შემოსულა, აღარ გასულა. შინ რომ დაბრუნდებით, ღმერთს მადლი შესწირეთ, რომ დღეს დავითი კარგ გუნებაზეა. სხვა დროს ამის იმედი ნულა გექნებათ. ამის შემდეგ თუნდ ამ

ციხეში შემოსულხართ და თუნდ საი-
ქიოს კარიბჭე შეგლიათ.

მსახური, რომელმაც აქ შემოგვიყვანა,
კვლავ წინ გაგვიძღვა.

მონა ზანგი საცა დაგტოვეთ, ისევ იქ
იჯდა. ირგვლივ ძაღლები ეხვია.

როდის ან ვისი პირით შეატყობინა
დავითმა ჩვენს თავადს ყმაწვილების
გამოსყიდვის ამბავი, არ ვიცი, მაგრამ
ჩანს იმ დღესვე შეუტყობინებია, რა-
დგან საღამოს მოხუცმა დიასახლისმა
სწრაფად წაიჩურჩულა, ღმერთმა დიდი
დღე მოგკეთ, შვილებო, და ამ დროს
სახეზე პირველად ჩვენი აქ ყოფნის
მანძილზე ღიმილმა — თუმცაღა სუს-
ტმა, გაუბედავმა, უჩვევემა — გადაუ-
რბინა.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, მე და
ანტონიო რომ მეზობელი სოფლიდან
დაებრუნდით, სადაც ერთი წყალმანკით
სწეული კაცი გვყავდა სანახავი, ეზოში
მღვდელი დაგვხვდა.

ამან ძალიან გაგვაკვირვა. ხის ძირას
იჯდა დაბალ სკამზე, შეშფოთებული
ჩანდა, მოუსვენრად წრიალებდა და
თვალეებს ისე აცეცებდა, თითქოს ეში-
ნოდა, მისი აქ ყოფნა არავის შეეტყუო.
ჩვენს დანახვაზე წამოდგა და კიდეც
მეტად აწრიალდა.

სალამი რომ ვუთხარი, არც პასუხი
მოუცია და არც სახეში შემოუხედავს.
ერთხანს ჩუმად იყო, განზე იყურებო-
და და ხელები უცახცახებდა. მერე ენის
ბორბიკით, გაუბედავად და თან თით-
ქოს ცოტა მწყურალადაც გვითხრა:

— საქმე მაქვს თქვენთან, — ამ სი-
ტყვებით სახლისკენ გვანიშნა.

შინ რომ შევედით თვალების ცეცე-
ბასაც უმატა და კანკალსაც. ფერიც კი
დაკარგა.

— ბრძანე, მამო, — უთხრა ანტო-
ნიომ.

მე უხმოდ ვუყურებდი და აღელვე-
ბული ვფიქრობდი, ნუთუ ეს აფორია-
ქება იმის ნიშანია, რომ შიში დაძლია
და ხალხის გამოყვანას აპირებს-მეთქი.

ეს ეჭვი მალე გამიქარწყულა. მღვდელ-
მა ერთხანს კიდეც იწრიალა და აცე-

ცა თვალეები, მერე უბეჭე ხელი ჩაიყო,
ქისა ამოიღო და მაგიდაზე დააგდო.

— ეს რა არის? — ერთდროულად
აღმოგვხდა მე და ანტონიოს.

მღვდელი თავჩაქინდრული იდგა, გა-
ნზე იყურებოდა, მაგრამ ხმაში კი ისევ
ის გაუგებარი წყრომა ედგა.

— ოცდაათი ოქროა.

— პირი გვიშალა?! — განცვიფრე-
ბით წამოიძახა ანტონიომ.

— არა, — თქვა მღვდელმა და გა-
ჩუმდა. ცახცახებდა და იატაკს ჩასც-
ქეროდა. რამდენჯერმე თითქოს რაღა-
ცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ თქვა.
ეტყობოდა საკუთარ თავს ებრძოდა.
ბოლოს, როგორ იქნა, ამოღერდა, —
ასე შემოგითვალათ... ფასში შევეციდით...
კარგად რომ გავსინჯე, მივხვდი, რომ
ასეთი... — აქ ენა დაება და ერთხანს
ვერაფერი თქვა, მერე თავს ძალა და-
ატანა, — გაფუჭებული საქონელი
გროში არა ღირსო... თქვენს ფულს
უკან გიბრუნებთო... ეს მღვდელი კი...
მუქთად მომიციაო..., სახსოვრად გყავ-
დეთ ჩემგანო... ოღონდ... ოღონდ კარ-
გად შეამოწმეთ, სული რა ადგილას აქ-
ვსო...

მღვდელი გაჩუმდა.

შუბლი ოფლით ჰქონდა დაცვარუ-
ლი, სახეზე მკვდრის ფერი ეღო და
უცნაურად გამხდარი და დაბატარავე-
ბული ჩანდა.

მე და ანტონიოც კრიჭაშეკრულები
ვიდექით, მუნჯებივით შევეცქეროდით
და ვინ იცის კიდეც რამდენ ხანს ვერ
შევძლებდით ხმის ამოღებას, მღვდელს
რომ ბოლოსდაბოლოს თვითონვე არ
დაერღვია ეს მძიმე ღუმელი. თავი არ
აულია, ისე წაიბურტყუნა, მაგრამ წა-
იბურტყუნა ღრჯოდ, უამურად, ნახევარ-
ი ხმით, ეტყობოდა ყელში რაღაც
უქერდა და სიტყვებს ძლივს ერეოდა:

— ჩემსას რას მეტყვიო?

მე ჯერ გამივივრდა, ვერ გავიგე, რას
გვეკითხებოდა. მერე ერთბაშად მივხვ-
ვდი, რომ ის ახლა ჩვენს მონად, ჩვენს
საკუთრებად თვლიდა თავს, და გული
ამემღვრა.

— რა უნდა გითხრათ, — მივუგე მე, თან ვცდილობდი, რაც კი შემიძლო, სიბრაზე დამეძალა და მშვიდად მელაპარაკა, — შინ წადი და ოჯახს მიხედე.

— ოღონდ ერთი პირობით, — ჩაუბრთო ანტონიომ და, თუმცა შენიშნა, რომ სიტყვა „პირობის“ გაგონებაზე მე გაკვირვებით შევხედე, ყურადღება არ მოუქცევია, — ორი დღეა ეკლესია დაკეტილია. იმის შემდეგ, რაც დავითმა მთელი მრევლის თვალწინ შეგამთხვია, შენი მღვდლად დარჩენა აღარ შეიძლება. თავადს მოელაპარაკე და, ვისაც ჭერ არს, შეუთვალეთ, რომ სხვა მღვდელი გამოგზავნონ.

მღვდელმა წამით შეხედა ანტონიოს და მის თვალეში სირცხვილის ნაცვლად სასოწარკვეთილის მძულვარება დავინახე. მერე უხმოდ გატრიალდა და წავიდა.

ის, რაც მეორე დღეს განთიადისას მოხდა, მე ჩემი თვლით არ მინახავს და იძულებული ვარ სხვათა მონათხრობის მიხედვით აღწერო. ერთის მხრივ ეს ძნელი და საშიშია: მართალია მოწმებმა და მონაწილეებმა — ანტონიომ, დავითმა, მონა ზანგმა — დაწვრილებით მიამბეს თვლით ნანახიც, ყურით გაგონილიც, გულით ნაგრძნობიც, და ყველა ჩემს შეკითხვაზე შეძლებისდაგვარად ზუსტი და ამომწურავი პასუხი გამცეს, მაგრამ, რამდენიც არ უნდა ეცადო, სხვის მონაყოლში არ შეიძლება ბევრი რამ, ზოგჯერ ძალზე მნიშვნელოვანიც, არ დაგეკარგოს, ხოლო თუ ამ ამბის აღწერასაც აპირებ, თითქმის შეუძლებელ საქმეს ეჭიდები, რადგან წამკითხველმა მონაყოლის მონაყოლი უნდა იკმაროს.

მაგრამ უსარგებლო წუწუნი ახლა ველარაფერს მიშველის. რაჟი დავიწყე, ღმერთს უნდა მივენდო და ვეცადო საქმე ბოლომდე მივიყვანო.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ მეორე დღით, როდესაც გავიღვიძე და ავდექი, დიასახლისისგან შევიტყე, რომ ანტონიო შინ არ იყო. დიასახლისი გომურში ძროხას წველიდა. ჩემს და-

ნახვაზე წველა შეწყვიტა. განკითხვილია და რაღაც უცნაურად შემოხმაცქერდა. მე ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, დილა მშვიდობისა ვუსურვე და ჩემი გზა განვაგრძე წყაროსაკენ. მაშინ დიასახლისმა მითხრა:

— ბართლომეო, შვილო! ანტონიო მოუსვენარი კაცია, თავს არა აუტეხოს რა.

მე გაკვირვებული მივუტრიალდი.

— მაგას რაზე ამბობ?

— არ იცი? ამ დღით უთენია ცხენზე შეჭდა და სადღაც წავიდა.

— წავიდა? — მე წამით დავიბენი, — სად წავიდა?

— არ ვიცი. მაგრამ სახე ისეთი ჭკონდა... დავითთან თუ წავიდა, დავითი დაუნდობელია...

დიასახლისი წინსაფარს ორივე ხელით კმუჭნიდა და შეშფოთებული მოლოდინით შემომცქეროდა. ასაკისა და უსიხარულო ცხოვრების მიერ ერთიანად დაკარული სახე თითქოს კიდევ უფრო დაღარვოდა.

მე ერთხანს საბტად დარჩენილი ვიდექი და ვერაფერი მომეფიქრებინა. მერე რომელიღაც ძლიერ ბიძგს დავმორჩილდი, ცხენს მოვახტი და დავითის ციხისაკენ გავეპროლე.

თავში დავითის გუშინდელი ნათქვამი მიტრიალებდა — ამის შემდეგ თუნდ ამ ციხეში შემოსულხართ და თუნდ საიქიოს კარიბჭე შეგილიათო.

ანტონიო გზაში შემხვდა. დავინახე თუ არა, სიხარულის ისეთმა ტალღამ დამიარა, რომ ერთხანად მოვდუნდი და ერთიანად მოვიტენთე. არსებითად ახლავა მივხვდი, თუ რა ზომამდე ვყოფილვარ შეშინებული. მაგრამ შემდეგ, როდესაც ანტონიომ დიასახლისის ვერაუდი დამიდასტურა და მითხრა, დავითთან ვიყავი და ახლა იქიდან მოვდივარ, ეს ქამარ-ხანჯალიც დავითმა მჩუქაო, თან წელზე შემოკრული ვერცხლის ქამარ-ხანჯალი დამანახვა, ისევ შემიპყრო შიშმა, ქამარ-ხანჯლისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, სამაგიეროდ ჩემდაუნებურად თავად ანტონიოს და-

ვუწყე სულელურად სინჯვა და თვალღებობა, თითქოს იმას ვამოწმებდი, ნამდვილია თუ მოჩვენება-მეთქი.

მოგვიანებით, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ყველაფერი შევიტყუე.

ანტონიომ თქვა:

— სანამ ცხენზე შევჯდებოდი და გზას გავუდგებოდი, დავითთან წასვლა ფიქრადაც არ მომსკლია. ახლა კი ისიც ვიცი, რომ ყველაფერი, რაც მანამ ხდებოდა, საამისო საშაღისი იყო. იმ დღემს ძილი გამიფრთხა. შუალაქამდე მაინც ვიტრიალე ლოგინში იმის იმედით, რომ დავიღლებოდი და ბოლოსდაბოლოს დამეძინებოდა. შუალაქე რომ გადავიდა და მივხვდი, დაძინებაზე ფიქრიც კი მეტი იყო, ფრთხილად ავდექი, ტანთ ჩაეიცვი და სახლიდან ფეხაკრეფით გავედი. წინა ორ დღეს რომ მთელი ტაფობი ნისლში იწვა, იმ ნისლიდან ახლა კვალი არ დარჩენილიყო. ცა ისე კრიალებდა, იფიქრებდი საგანგებოდ გაუქმენდიათო, და ზედ ურიცხვი მკაფიო, ბრდღვილა ვარსკვლავი პატარ-პატარა კოცონებით ენთო. ირგვლივ ღრმა სიჩუმე იდგა. მე ეზოს გავედი, სახლის უკან ბექობზე ჩამოვყევი და თვალგაშტერებული მივაჩერდი პორიზონტს. არემარე ისე თანაბრად გახვეულიყო ვარსკვლავების დაბინდულ შუქში, კაცს გეგონებოდა, მთელი ტაფობი ერთსა და იმავე სიზმარს ხედავსო. სოფლებს იქით მაღალი მთა წვერით ცის კიდეს ეხებოდა და ძნელი გასარჩევი იყო, ვარსკვლავებიც ცაზე ისხდნენ თუ მიწაზე. მე ამ უტყობ სანახაობას შევცქეროდი და არაფერზე არ ვფიქრობდი, ამიტომ არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა. უეცრად დასალიერთან ვარსკვლავებმა გაფართოება დაიწყეს, ერთიმეორისკენ დაიძრნენ, თანდათან ერთმანეთს შეერივნენ და გაქრნენ. ახლა იქ, პორიზონტზე, სადაც მთა ცას ეხებოდა, ცალკეული ვარსკვლავების მაგივრად ერთიანი სინათლე იდგა, ვეება, ოქროსფერი სინათლე — მთის წვერს დაყრდნობილი და ცად აღმარ-

თული. ცოტა ხნის შემდეგ ამ დიდი და ღრმა სინათლის ფონზე ორხეი კაცე გაჩნდა; სწორედ რომ გაჩნდა, რადგან არსიდან არ მოსულან, თითქოს მულამ იქ იყვნენ, ოღონდ ჩემს თვალებს აქამდე მათი დანახვის უნარი არა ჰქონდა. სამი მათგანი, თოვლივით თეთრი, სპეტაკ სამოსში გამოწყობილები და ლოცვად ზელაყრობილები გვერდი-გვერდ იდგნენ პირისახით ჩემკენ, მეოთხე კი, რომელსაც თეთრი სამოსი არ ეცვა, მაგრამ რა ფერისა ეცვა არ ვიცი, ორთავ მუხლზე დაჩოქილი იდგა მათ წინაშე, ხელები მკერდზე დაეკრება და თავი ჩაელხნა. თუმცა ძლიერი სინათლის გამო სახის ნაკვთებს ვერ ვარჩევდი, ყველანი წამსვე ვიცანი. სპეტაკსამოსიანი მლოცველები ჩემი სულიერი მოძმეები იყვნენ, რომელთაც ამ რამდენიმე წლის წინ ისეთი სიმშვიდით მიიღეს ინკვიზიციის მიერ დადებული სასჯელი, როგორც მხოლოდ ამქვეყნიურში ამაოებისაგან განმდგარ, ქეშმარიტად თავისუფალ სულს შეჰფერის, ხოლო მათ წინ მუხლებზე იდგა დავითი, თავმოდრეკილი და მონანიე. ყველაზე უფრო საკვირველი კი ამ ხილვაში მაინც ის იყო, რომ მე არა მარტო ბექობიდან ვუყურებდი ყოველივე ამას, არამედ ამ სცენის მონაწილაც ვიყავი, ჩემი არსება მათში იყო გაბნეული, რაც მათ უნდა განეცადათ, შეგანვიცდიდი და ამავე დროს იმას, რასაც განვიცდიდი, შორიდან შევცქეროდი. დიდხანს გრძელდებოდა თუ ცოტა ხანს ეს უცნაური ყველგანყოფნა, არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ, როცა ხილვა გაქრა და მეც გამოვერკვიე, არემარეს ალიონის პირველი, ჯერ კიდევ მღვრიე და მკრთალი სინათლე ეფინა. გამორკვევით კი გამოვერკვიე, მაგრამ ჩემს მოქმედებას გონების თვალს ვერ ვადევნებდი. სწრაფად წამოვდექი, ეზოში შევედი და თავლიდან ცხენი გამოვიყვანე. გადაწყვეტილება, რომ ეშმაკის ციხეში უნდა წავსულიყავი, ამ დროს ჩემთვის უკვე ცნობილი იყო, ოღონდ ის კი აღარ ვიცოდი,

რატომ უნდა წავსულიყავი, რადგან ეს გადაწყვეტილება მე არ მეკუთვნოდა, ჩემს ქვეყანასა და მოქმედებას რალაც სხვა, ჩემგან დამოუკიდებელი ძალა განაგებდა, რომელსაც რწმენის ბეჭედი ებყრა. ციხეს რომ მივაღწიე, მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული. ჭიშკარს ჩვეულებრივად ყეფით მოაწყდნენ ძალები, მათ შორის კი მყისვე ზანგი გაჩნდა. მე აღელვებით ვუთხარი, საჩქაროდ დავითს დაუძახე-მეთქი. პირველად მაშინ ვნახე, რომ ამ ზანგის სახეზე რალაც შეირბა. თითქოს ქანდაკება გაცოცხლდაო, წარბის თავები ოდნავ დაბლა დაეშვა და ერთმანეთისკენ მიცურდა. ჩქარა-მეთქი, რომ გავუშვო, ზანგმა თავი დამიქნია და სწრაფად გატრიალდა. მე მეგონა, მსახურს დაუძახებდა, ის კი უკან მარტო მობრუნდა, ძალებს რალაც უთხრა ჩემთვის უცნობ ვნახე, ჭიშკარი გამიღო, თვითონ გამიძღვა და იმავე დარბაზში შემოიყვანა, საცა მაშინ შევხვდით დავითს.

ზანგმა თქვა:

— ბებეს ძილში ფლოქვების ხმა ჩავსმა. ბებეს ეზოში ეძინა. მზე ჯერ უფსკრულიდან არ ამოსულიყო, მაგრამ თვალი უკვე გახელილი ჰქონდა. იმიტომ, რომ ცა ძალიან მოწითალო იყო და მიწა ცოტა მოწითალო. თეთრი ბატონი ცხენზე იჯდა და დიდი თვალები ჰქონდა. რასაც ბებე ამბობს, იმაზე ბებე ათასჯერ დაიფიცებს და არ შეეშინდება, ტყუილისთვის ჯოჯობეთში მოვხვდებით: თეთრ ბატონს თვალბში სანთლები ენთო. ბებეს მახვილი მხერა აქვს. თეთრ ბატონს ღიღ თვალბში თეთრი სანთლები ენთო და სახეზე ცეცხლი ეკიდა. მაშინ ბებემ ბებეს ბატონი გააღვიძა. ბებეს რომ მსახურისთვის ეთქვა, მსახური ბებეს ბატონის გავიძობას ვერ გახედავდა. ბებემ გაბედა, რადგან თეთრ ბატონს ისეთი სახე ჰქონდა, რომ ბებეს შეეშინდა. როცა ბებე ბებეს ბატონთან შევიდა და უთხრა, თეთრი ბატონი ისევ მოვიდაო, ბე-

ბეს ბატონი ჯერ გაჯავრდა, მერე გიციონა და ბებეს უბრძანა, შემოიყვანო. ბებემაც შეიყვანა.

ანტონიომ თქვა:

— ზანგმა კარი შეაღო, მაგრამ თვითონ არ შესულა. მე მანიშნა, შედგო, და წამსვე უკან გაბრუნდა. დავითს ისევ ის ხალათი ეცვა, შიშველი ფეხები ხის ქოშებში წაეყო და შუბლშეკრული იდგა. არ ვიცი, შეგიძინებია თუ არა, ბართოლომეო, შეუხედავი ადამიანი, ქალიცა და კაციც, ახალგაზრდობებულზე კიდევ უფრო შეუხედავი ხდება, ლამაზი კი ამ დროს თითქოს თავისი სილამაზის მწვერვალს აღწევს. დავითი საოცარი სანახავი იყო.

დავითმა თქვა:

— ანტონიო რომ დავინახე, შევკრთი: თვალები ცეცხლივით შეღავდა და სახეზე ისეთი აღმური ასლიოდა, როგორც ჰაერს ასდის ხოლმე ზაფხულის ხვატში ისედაც ხომ დაუჭერებელი იყო, ჩემი მაშინდელი მუქარის შემდგმ კუთამყოფელ კაცს აქ მოსვლა გაებედა, მით უფრო, რომ არ შეიძლებოდა არ მიმხვდარიყავით, თქვენს განზრახვას მღვდელი წვრილად შემატყობინებდა, ახლა კი, ეს ანთებული თვალბებიც რომ დავინახე, ვიფიქრე შეიშალა-მეთქი.

ანტონიომ თქვა:

— ჩემს დანახვაზე დავითი თითქოს ერთი შეკრთომა შეკრთა, მერე შუბლი კიდევ უფრო შეიჭმუნხა და წყნარად, მაგრამ სუსხიანი ხმით მითხრა: „აივი გაგაფრთხილე, ვადამთიელო, მეორედ რომ მოხვიდე, აქედან ცოცხალი ვეღარ გახვალ-მეთქი რაკი გაფრთხილება არად ჩააგდე, მაშ ჩანს სიკვდილი მოგნატრებია. კეთილი, შეგისრულებ მაგნატრას. მაგრამ ჯერ ეს მითხარი, რისთვის მოსულხარ?“ მე პასუხი არ მიმიცია. მის მუქარას არ შევეუშინებოვარ, ისედაც კარგად ვიცოდი, რომ აქ

სიკვდილი მელოდა. პასუხი კი არ მიმცია იმიტომ, რომ არ ვიცოდი რა პასუხი მიმეცა. მე რალაც უცხო ძალას ვემორჩილებოდი, იმ უცხო ძალამ მომიყვანა აქ და მხოლოდ იმ უცხო ძალამ იცოდა მოსვლის მიზეზი. პასუხსაც ის ძალა მისცემდა, როცა საჭიროდ დაინახავდა. მე მარტო იმას ვგრძნობდი — ოღონდ ძალიან ბუნდოვნად — დავითს ადრე თუ გვიან თვითონ უნდა მივეხვედრებინე, რისთვის მოვედი და რა უნდა მიქნა.

დავითმა თქვა:

— არც ჩემი მუქარის შეშინებია და არც ჩემს კითხვაზე პასუხი მოუცია. ერთი შემომხედა, მერე აუჩქარებლად გაიარა მთელი დარბაზი, უკან კედელს მიადგა და იარაღს დაუწყუო თვალიერება. მე მის ზურგს მივჩერებოდი და ასე მეგონა, რალაც მქონდა გასახსენებელი და ვერ ვიხსენებდი.

ანტონიომ თქვა:

— დავითის შვრას ისე ვგრძნობდი, თითქოს ბეჭებში ისარი მქონდა გაყრილი, მე კი იარაღს ვათვალიერებდი და ველოდი, ხელახლა როდის გამოძელაპარაკებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ამოიღო ხმა და ახლა ამ ხმაში ძველებური, ნაცნობი დაციწვა გაისმა: „რაჯ ასეთი მამაცი ყოფილხარ, ჭილდოც დაიშახტრე. აირჩიე მაგ იარაღში, რომელიც მოგწონს, და შენი ფეშქაში იყოს. მართალია ამ ციხიდან გასვლა არ გიწერია, მალე ან ძაღლებს დაევაგლეჯინებ შენს თავს, ან ჩემს ამხანაგებს, რომლებსაც სისხლი ძალიან უყვართ, ან ეგებ ჩემი ხელითაც მოგვლა, მაგრამ ეს ნახევარი ან ერთი საათის შემდეგ მოხდება, მანამ კი, რასაც საჩუქრად ინდომებ, შენი იქნება“.

დავითმა თქვა:

— როგორც კი ეს ვუთხარი, იმ წამსვე მივხვდი, აქამდე რატომ არ მოვკალი: მისი სითამამე და გულადობა

მაშმაგებდა. მას აქეთ, რაც პირველად ვნახე ეკლესიაში, ჩემდაუნებურად თურმე სულ იმას ვედილობდი, როგორმე შემეშინებია, რომ შეშინებული მომეცლა. მას კი არ ეშინოდა, ან თუ ეშინოდა, ისე მალავდა თავის შიშს, ვერაფერს ვამჩნევდი. ახლაც მშვიდად განაგრძო იარაღის თვალიერება. ჩემი მუქარა აინუნშიაც არ ჩაუგდია. კარგახანს ათვალიერა. ბოლოს ერთ ხანჯალთან შეჩერდა. ეს ხანჯალი, რომელიც ვერცხლის ქარქაშში იდო, მოვერცხლილი ტარი ჰქონდა და თავისი ვერცხლის ქამარიც ახლდა, ამ რამდენიმე წლის წინ ერთ ქართველ დიდებულს წავართვი. დიდხანს უყურა ამ ხანჯალს, მერე ქარქაშს წვერში ხელი მოჰკიდა, გამოსწია და ახლოდან დააკვირდა. ბოლოს თავმოუბრუნებლად მიტხრა: „აი, ეს მომწონს“. ამ სიტყვებით ქამარ-ხანჯალი ჩამოხსნა და წელზე შემოიკრა. მერე მოტრიალდა და ღიმილით მიტხრა: „გულუხვობისთვის მადლობა მომიხსენებია. ჩემს ქვეყანაში რომ დავბრუნდები, ამ ხანჯალს საწოლის თავთან ჩამოვიკიდებ და ყველას ვეტყვი, ეს ყაჩაღების მეთაურმა მაჩუქა, რომელმაც სული დაკარგა და ვეღარ იპოვა-მეთქი“.

ანტონიომ თქვა:

— დავითს სახეზე წამით რისხვამ გადაუბრინა და უეცრად — ისე სწრაფად, რომ იმის შემჩნევაც ვერ მოვასწარი, თუ საიდან დააძრო — მის ხელში დანა გაჩნდა. დანა გაშლილ ხელისგულზე ედო ტარით ჩემკენ. ზემოდან ცერა თითით ეჭირა. „კარგად კი ხუმრობ, ვადამთიელო, — ავის მომასწავებელი ხმით მიტხრა, — მაგრამ დავითმა დანდობა არ იცის“. იმავე წამს დანა ჩემს გვერდით, თვალის სიმაღლეზე, კედელში ჩაერჭო ხმაღსა და დამბახას შუა.

დავითმა თქვა:

— დანის დანახვაზე ძარღვი არ შეტოვებია. ისე მილიმოდა, ლამის ხელი ამიკანკალდა. მაღლობა ღმერთს, ჩემი თავის იმედი მაქვს და, რა აღელვებულად არ უნდა ვიყო, მიზანი არ მესწავლება. ისე დაეუმიზნე, რომ მარჯვენა ყურს ლამის გახახუნებოდა, მაინც არ შერხეულა, მაინც ღიმილით მიყურებდა. უცებ სიბრაზემ გამიარა და წამით მომეჩვენა, თითქოს მთელი ჩემი სიცოცხლე ამ კაცის გვერდით გამეტარებინოს. იქნებ ეს გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ის კი ნამდვილად არ არის გადაჭარბებული, რომ მე ახლა მისი მოკვლა იოლად აღარ შემეძლო. არ ვიცი, თვალი მატყუებდა, არ ვიცი, უეცრად და მოულოდნელად მართლა შეიცვალა, გულში მის მიმართ ველარც მტრობას ვგრძნობდი და ველარც სიძულვილს. ამან ცოტა დამაბნია, რადგან აქამდე ასეთი რამ არასოდეს დამმართნია.

ანტონიომ თქვა:

— დავითი ერთბაშად დამშვიდდა, ეტყობა მთელი თავისი აფეთქებული რისხვა ნატყორც დანას გამოაყოლა, რომელმაც ისე ახლო ჩამიჭროლა, რომ მისგან აყენებულმა ქარმა ყურის ბიბილოზე ცივად გადამიარა. ერთხანს ჩუმად იყო და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს თავისი სიმშვიდე აეჭვებდა და იმაზე ფიქრობდა, ნამდვილი იყო ეს სიმშვიდე თუ არა, ბოლოს თვალი თვალში გამიყარა და წყნარი ხმით, რომელშიაც ახლა ცნობისწადილის მეტი სხვა აღარაფერი ისმოდა, მითხრა: „ვხედავ, რომ სიკვდილს დაეძებ, მაგრამ ის კი ველარ გამიგია, რატომ მაინცდამაინც ჩემი ხელით გინდა მოკვლე“. ამ დროისთვის მე უკვე ვხედავდი ჩემი აქ მოსვლის მიზეზს, მაგრამ ვხედავდი ბუნდოვნად, როგორც თეთრ მხედარს მღვრიე ნისლში, ამიტომ ცნობით ჯერ კიდევ ვერ ვცნობდი. დავითის სიტყვებმა კი უეცრად სწორედ ეს

ნისლი გაფანტა და არა მარტო აქ მოსვლის, არამედ ამ ტაფობზე ამოსვლის, ვინ იცის, საერთოდ, კოლხეთში გამომგზავრების მიზეზი მკაფიოდ, სრული სიცხადით დამანახვა.

დავითმა თქვა:

— ანტონიოს თვალეში ისევ ელვა ჩაუდგა, მაგრამ პირი უღიმოდა და ეს ელვა და ღიმილი ერთმანეთს ძნელად ესადაგებოდა. „სწორედ რომ შენი ხელით სიკვდილი არ მიწადა, — მითხრა მან, — რადგან ამით ორივენი, შენცა და მეც, საბოლოოდ დავმარცხდებით“. მე ვერ გავიგე, რას გულისხმობდა ამ სიტყვებში და გაკვირებული მივჩერებოდი. ვუყურებდი და მეგონა, მისი ღიმილი ჩემს ირგვლივ უხილავ ბადეს ქსოვდა; ვგრძნობდი, ეს ბადე საბოლოოდ იყო და ანგარიშმიუცემელი გამწარებით ვცდილობდი ძაფები თავშივე დამეწყვიტა. მკირე ღუმლის შემდეგ ანტონიომ განაგრძო: „ვინც შენთან მომავლინა, ისიც მაჩვენა, რომ ცოდვებისაგან დაბეჩავებულ შენს არსებაში ჯერ კიდევ ფეთქავს სული და შენი სიმბდალისა და სილაჩრის ბნელ ხაროში ჯერ კიდევ ბეუტავს სიმამაცის ნაპერწყალი“.

ანტონიომ თქვა:

— დავითი აშკარად საბტად დარჩა, ეს რომ გაიგონა, და განცვიფრებით აღმოხდა: „ჩემი სიმბდალისა და სილაჩრის... რა?..“

დავითმა თქვა:

— ანტონიომ ღიმილი მოიშორა, მაგრამ თვალეში კი კვლავინდებურად უღელავდა და ისე წყნარად, დაჭერებით ლაპარაკობდა, თითქოს საკუთარი თვალით ნანახს მიყვებოდა: „ტყუილად გიკვირს. შენ ისეთივე მხდალი და მშინშარა ხარ, როგორც შენი სიძეა, ან მისი მღვდელი. ყოველთვის გეშინოდა, ახლაც გეშინია და, რაც კი რამ შენს

სიცოცხლეში ჩაგიდენია, ყველაფერი შეიშის გამო ჩაგიდენია“.

ანტონიომ თქვა:

— მოულოდნელობის პირველმა გაკვირვებამ რომ გაუარა, დავითის ხმაში ჩვეული დამცინავი კილო გაისმა: „შინც რისი მეშინოდა, ან ახლა რისი მეშინია?“

ღავითმა თქვა:

— ამაზე ანტონიომ ისევე გაიღიმა და მითხრა: „ყველაფრის გეშინოდა, შიმშილის, სიცივის, ბატონის, როზის, გაქცევის, დარჩენის, ბოქაულის, მანდატურის, სასამართლოსი, ხელისუფლების, მეფის, სახელმწიფოსი, ხალხის, სიმართლის, პატიოსნების, პირდაპირობის, ვაჟკაცობის, სიკეთის, ერთგულების, ამხანაგის, ნათესავის, მტრის, მოყვრის, გამცემის, მოლაღატის, სულმდაბლის, სულმაღლის, შეკობრეთმძებნელის, დამბეზღებლის, გამვლელის, გამომვლელის, დიდის, პატარის. ყველაფრის გეშინოდა და ახლაც ყველაფრის გეშინია...“

ანტონიომ თქვა:

— დავითმა გამაწყვეტინა. თვალბში რისხვა ჩაუდგა, მაგრამ ხმას რომ აუწია, მომეჩვენა, თითქოს ამის გამო რისხვამ ძალა დაკარგა: „ცრუობ, გადამთიელო! თავის დაბრუნება გწადია. უკვე ნანობ შენს სითავხედეს, რამაც აქ მოგიყვანა, და იმაზე ფიქრობ, ტყავი როგორ გადაირჩინო! მაგრამ ტყუილი იმედია! ჩემი ხელით გამოგჭირ ყელს!“

ღავითმა თქვა:

— ანტონიომ ამაზე გაიციანა. მერე მშვიდად განაგრძო: „გეშინია. და თუ ყელს გამოგჭირი, ამასაც შეიშის გამო ჩაიღენ. კაცი კაცს მხოლოდ იმიტომ უკრის ყელს, რომ ეშინია. კაცს იარაღი მხოლოდ იმიტომ დააქვს თან, რომ ეშინია. კაცი სიავეს მხოლოდ იმიტომ სჩადის, რომ ეშინია. ბოროტებას ბო-

როტი კაციც ისევე თვლის უსამართლობად, როგორც კეთილმდებარეობა ჩადენდა, შეიშს რომ ლაჩრად არ ექცია. ლაჩარი და ბოროტი ერთი და იგივეა. შიში ყველა ადამიანს დაბადებითვე თან დაჰყვება, მაგრამ ზოგს ჰყოფნის გამბედაობა, თვალი გაუსწოროს თავის შიშს, ზოგს არა. ვისაც არ ჰყოფნის, ის ლაჩარი და უსამართლო ხდება. თანდაყოლილი შიში სიკვდილის შიშია და, ვინც შიშს ბატონად გაიხდის, მას ყველაზე მოსაფრთხილებელი ამ ქვეყნად თავისი სიცოცხლე ჰგონია. შენ რომ იცოდე, შენი სიცოცხლე იმაზე მეტი არა ღირს, ვიდრე სხვისი, განა მაშინაც მოკლავდი კაცს! ჩვენ ყველანი მშობრებად კი ვიბადებით, მაგრამ ყველანი ლაჩრები არა ვართ. შენ ლაჩარი გამოდები და შიშის დაძლევის შიშის დამალვა ამჯობინე, რადგან შიშის დამალვა უფრო ადვილია, ვიდრე შიშის დაძლევა, მოკვლა უფრო ადვილია, ვიდრე გადაარჩენა, გაძარცვა უფრო ადვილია, ვიდრე დახმარება, წაქცევა უფრო ადვილია, ვიდრე წამოყენება, სიტულებილი უფრო ადვილია, ვიდრე სიყვარული. შენ შენს თანდაყოლილ შიშს ვერ გაუშელო, ლაჩრად იქეცი და იოლი გზა აირჩიე. შენ ყველაფრის გეშინია, რაც შენს გარეთაა, ამიტომ ცდილობ, რაც შენს გარეთაა, ყველაფერი მოსპო, მაგრამ ეს შეუძლებელია. თავს არ უტყულები, თორემ თავდაც იცი, რომ ეს შეუძლებელია. მთელი ქვეყანა რომ მონად გაიხადო, როგორც შენი სულმდაბალი სიძე გაიხადე მონად, შენს შიშს მაინც არაფერი ეშველება: ნადირს ხომ ვერ გაიხდი მონად, სტიქიონს ხომ ვერ დაჩაგრავ და დაიმორჩილებ, ზვავს ხომ ვერ შეაკავებ, წარღვნას ხომ ვერ დაემალები, ვულკანს ხომ ვერ გაქეცი? ეს კი იცი, მაგრამ გგონია, რომ, თუ შენს საცოდავ შიშს ზემოდან სხვათა სიცოცხლე დააყარე, სხვათა ტანჯვაში, სხვათა ცრემლებში, სხვათა შეურაცხყოფაში, სხვათა უბედურებაში გაახვიე, რაკი ვეღარ დაინახავ, თავსაც მოიტყუებ, ვითომ

აღარც არსებობს. მაგრამ შენი მცდელობა მხოლოდ შენს უსუსურობას ამტკიცებს. შენ ხომ არაფერი ისეთი არ ჩაგიდენია, რასაც შეგიძლია სიმამაცე უწოდო! შენ ხომ მუდამ მხოლოდ იმას ჩაგრავედი, იმას ძარცვავედი და იმას კლავდი, ვისი დაჩაგვრაც, ვისი გაძარცვა და ვისი მოკვლაც ადვილი იყო! შენ ხომ ყოველთვის უხიფათო გზას ეძებდი! ეს ციხეც ხომ იმიტომ აირჩიე სადგომად, რომ შენი სიძე ადვილი დასამორჩილებელი გამოდგა! შენზე უფრო ძლიერს რომ გადაეყარო, ხომ მაშინვე სამალავს დაუწყებ ძებნას! შენი შიში ცოცხალია და არ იქნება ერთ მშვენიერ დღეს მთელი ძალით არ ამოხეტოვს, სისხლსა და ხორცში არ გაგიჭდეს და მთელი შენი საცოდავი არსება თხემით ტერფამდის, თმის ძირებამდის შიშად არ აქციოს! მე უიარალოდ მოვედი აქ, მკვლელებისა და ყაჩაღების ბუნაგში, სადაც უეჭველი სიკვდილი მელოდა, შენ კი ახალუხის ქვეშ დამბაჩა გქონდა დამალული, როცა ეკლესიაში შემოხვედი, თუმცა იცოდი, დაბეჩავებული ხალხი უბატონოდ ხმის ვაცემას ვერ გაგიბედავდა. შენ ცდილობ, ყველა მონად გაიხადო, თავად კი საკუთარი შიშის მონა ხარ და მუდამ იმას აკეთებ, რასაც შიში გიბრძანებს. მალე შენი მბრძანებელი ჭურჭულიდან ამოვა, თავზე დაგადგება და თვალს თვალში გაგიყრის. მაშინ ნახავ, რა ყოფილა ის შიში, სხვებისთვის რომ ასე გულუხვად იმეტებდი! ადრე თუ გვიან წინ შეგეყრება და ისეთ ადგილას გიყვლებს, ვასაქციევი არსაით გექნება. ჭალათი რომ სახარბოებლავზე აგიყვანს და მოქანავე ყულფს დაინახავ, რომელიც წამის შემდეგ კისერზე უნდა შემოგეჭდოს, მაშინ მიხვდები, რომ შიშის მეტი არაფერი ყოფილხარ. შუალამისას ტყეში რომ მარტოდმარტოს მგლებს ხროვა ირგვლივ შემოგახვევა და ნელ-ნელა დაიწყებს სასიკვდილო წრის შეკვრას, მაშინ მიხვდები, რომ შიშის მეტი არაფერი ყოფილხარ. დილით რომ გაიღვიძებ და დაინახავ,

თავზე მკვლელი გადგას, რომლის დამბაჩის ლულა შუბლში გნჯეს მომჭენილი, მაშინ დაინახავ, რამ შიშიმ მეტი არაფერი ყოფილხარ. ღვინით სავსე ჭამის დაცლისას რომ გულ-მუცელი ჩაგეთუთქება და იგრძნობ, თურმე რომელიღაც შენსავ ამხანაგს საწამლავი შემოუპარებია, მაშინ მიხვდები, რომ შიშის მეტი არაფერი ყოფილხარ. ყველაზე დიდი შიში მერე გელის, მას შემდეგ, რაც სიკვდილის შიში მოგკლავს. ყველაზე დიდი შიში მაშინ გელის, როცა შენი ცოდვები მატლებივით დაგებხვევა და შენი სული შვების სამყოფელში შვებას ვერ ჰპოვებს. აი, ამის სათქმელად მოვედი. ახლა შეგიძლია დაუძაბო შენს ძალებს, ან შენს ამხანაგებს, რომლებიც შენს ძალებზე უკეთესები არ არიან“. ანტონიო გაჩუმდა. მეც ჩუმად ვიყავი და საკუთარ სხეულს ვაყურადებდი. იქ სიბრაზის ტალღა, რომელსაც კარგად ვიცნობდი, რადგან ჩემს მოქმედებას მუდამ ის წარმართავდა, რამდენჯერმე აიზიდა, მაგრამ რამდენჯერაც აიზიდა, იმდენჯერ უკანვე დაეშვა, ვინაიდან საყრდენი ვერ იპოვა.

ანტონიომ თქვა:

დავითი დიდხანს იყო ჩუმად. თვლები მოეწყურა და სადაც ჩემს მიღმა კედელს მიშტერებოდა. სახეზე არაფერი ეტყობოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მის გულსა და გონებაში ახლა ჩემი ბედი წყდებოდა. ბოლოს ასე გაშტერებულმა და თვალგაშტერებულმა წყნარად მკითხა: „მაშ, შენ სიკვდილის არ გეშინია?“

დავითმა თქვა:

— „სიკვდილის მეშინია, — მშვიდად მიპასუხა ანტონიომ, — მაგრამ შიშისა კი არ მეშინია, რადგან გამოცდილებით ვიცი, რომ სიცოცხლე იმად არ ღირს, მისი გულისთვის კაცი შიშს მონად გაუხდეთ“.

ანტონიო მკვა:

— დავითმა სახეში შემომხედა და ერთხანს დაეჭვებითა და ცნობისმოყვარეობით მიმზერდა. ბოლოს მკითხა: „გამოცდილებით იცი? რა გამოცდილებით იცი?“

დავითმა მკვა:

— „მე ჩემი სათქმელი ვთქვი და ჩემი საქმეც გავათავე, — მიპასუხა ანტონიომ, — ახლა ჭერი შენზეა. შენ შენი სიტყვა გაქვს ასასრულებელი“.

ანტონიო მკვა:

— დავითი დიდხანს, ძალიან დიდხანს თვალმოუწორებლად მიყურებდა და სახის გამომეტყველება სწრაფად და ხშირ-ხშირად ეცვლებოდა, თითქოს თავის თავში ისეთ ძალას ეძებდა, რაც ეჭვებს გაუფანტავდა და მტკიცე გადაწყვეტილებამდე მიიყვანდა. ბოლოს ეტყობა რაღაც განზრახვაზე შეჩერდა. წამით თავისებურმა ცბიერმა და დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე და ყოყმანმაც გაუარა. მსუბუქად შეტრიალდა, სარკმელს მიადგა და ზანგს დაუძახა. მერე ისევ მობრუნდა და კვლავ მე მომაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო და ზღურბლზე ზანგი გამოჩნდა. დავითმა თითოთ მოიხმო. როცა ზანგი მის ბრძანებაზე ახლო მოვიდა, ხელი ჩემკენ გამოიშვირა და რაღაც უთხრა. რა უთხრა, ვერ გავიგე. ჩემი აზრით ეს იგივე ენა იყო, რომელზედაც წელან ზანგი ძაღლებს შეეხმანა. მხოლოდ ხმის კილოთი და გამომეტყველებით თუ მივხვდებოდი, რაზე ელაპარაკებოდა, ხმის კილო მწყურალი ჰქონდა, სახე მკაცრი, შუბლი შეკუმხნული. თვალეში რისხვა ედგა. ზანგმა პასუხად თავი დაუქნია და წამით მის სახეზე, რაღაც გამომეტყველება გაჩნდა, რაც კმაყოფილებას ჰგავდა. მერე ხელით კარზე მანიშნა და თვითონაც უკან გამომყვა. ეს ძალიან მძიმე წუთები იყო, ბართოლომეო, და დამერწმუნე, ერთ-ერთი პირველთაგანი

მაშინ შენ გამახსენდი და ერთ-ერთ პირველთაგანს გუნებაში შენ გამოგეთხოვე. ძაღლები ჰიშკრისავენი მიმავალი ბილიკის ზემოთ ჩაცუქულიყვნენ. რომ გავუსწორდით, ყურები დაცქიტეს და თავები წამოსწიეს. მე ჩემდაუნებურად შევდექი. ზანგმა, რომელმაც ჩემი შეჩერება ჩანს თავისებურად გაიგო, ძაღლებს რაღაც უთხრა. ძაღლებმა ყურები ისევ დაუშვეს. ზანგმა წინ გადაამსწრო და ჰიშკრისკენ წავიდა. მეც უკან გავყვირი, თუმცა წამითაც არ დამიჭერებია, რომ აქედან ცოცხლად გაშვებას მიპირებდნენ. მაშინაც კი, როცა ზანგმა ჰიშკარი გამიღო და მის სახეზე რაღაც ღიმილის მსგავსი გაჩნდა, ჭერ კიდევ ვერაგობას მოველოდი. მხოლოდ მაშინ, ცხენზე რომ შევჯექი, ციხის გაღვანს გამოვცდი და ზანგმა, რომლისკენაც ვცდილობდი არ მიმხედა, ჩემს ზურგს უკან ხმაურით დახურა ჰიშკარი, მივხვდი, რომ სიკვდილის შიში თურმე ჭერ კიდევ ვერ დამეძლია.

ამის შემდეგ სამი დღე ისე გავიდა, მნიშვნელოვანი და ღირსსაცნობი არაფერი მომხდარა. ეშმაკის ციხიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ტაფობშიც სიწყნარე იდგა. ერთი ის იყო ახალი, რომ მე და ანტონიო, საცა არ უნდა ვყოფილიყავით, ყველგან ჭთავადის მეთვალყურეთა გადაარაჩებულ შერას ვგრანობდით. თავადს ჩანს ეშინოდა, ქალაქში არ გაეპარულიყავით. მაგრამ ჩვენ გაპარვას არ ვაპირებდით და ამიტომ არც იმათ თვალთვალს ვაქცევდით ყურადღებას.

სამი დღის შემდეგ კი, ნაშუალამევს, მოულოდნელად დავითი გვეწვია.

დიასახლისს უკვე ეძინა. მე და ანტონიო ეზოში ვისხედით და ხმადაბლავებასობდით. ცაზე სავსე მთვარე კაშკაშებდა და დღესავით ნათელი ღამე იდგა. უეცრად ჩვენი ბებერი ნაგაზი ყფით გამოვარდა სადგომიდან. ჩვენ გვეკონა — ყოველ შემთხვევაში მე მაშინვე ამ აზრმა გამიელვა — რომ თავადის რომელიღაც მეთვალყურეს ბა-

ტონის ჭარბი ერთგულების გამო მეტროპოლიტის მოუვიდა და იმდენად ახლო გაბედა მოსვლა, თავი გაამქლავნა.

ანტონიომ ძალს დაუყვავა და გააჩუმა. მერე ორივენი ჭიშკრისკენ გავეშურეთ. იმავე წამს ჭიშკარს თავის თეთრ ცხენზე ამხედრებული დავითი მოადგა.

პირველი მე მოვეგე გონს და ჭიშკარი გაველე. დავითი ჩამოქვეითდა.

ჩემი თვლით რომ არ მენახა, ვერ დავიჯერებდი, რომ ესოდენ მოკლე ხანში ადამიანი შეიძლებოდა ამ ზომამდე შეცვლილიყო. მის მსუბუქსა და თამამ მოძრაობაში, ლალ დგომაში, ბუნებრივ, თანდაყოლილ სიამაყეში, რომელიც მნახველს მისდაუნებურად შურსა და აღტაცებას აღუძრავდა, ახლა რაღაც ტლანჭი სიმძიმე ჩაბუდებულიყო; შუბლზე ნაოჭები დაყროდა, თვალები თითქოს უფრო ღრმად ჩასხდომოდა და ზედ რაღაც ჩრდილი გადაჰფენოდა, ბეჭები ძველებურად — ფართოდ და გამართულად — ველარ დაჰქონდა და უცნაურად მოტეხილი ჩანდა. ყოველივე ეს ალბათ იმის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, რომ სინათლეს სიბნელეში გზა ეპოვნა, მაგრამ, უნდა გამოგირცხდე, ამის დანახვაზე გული შემეკუმშა. კიდევ უფრო შემეკუმშა გული, როცა დავითმა დაილაპარაკა.

— კარგია, ჭერ არ დავიძინათ. — ხმაც შეცვლილი ჰქონდა, მოგუდული, ცოტა გაუბედავი, თითქოს ის ტლანჭი, მოუხეშავი სიმძიმე ყელშიც ჩასდგომოდა.

ანტონიოც ვერ იყო ჩვეულ კალაპორტში.

— შინ შევიდეთ, — თქვა ყრუ, ნაძალადევი, უცხო კილოთი.

აივანზე ავედი და ანტონიოს ოთახში შევედი. ანტონიომ დავითს სკამში შესთავაზა, მერე სანთლები აანთო.

მე დავითს თვალს არ ვაშორებდი და ამოდ ვცდილობდი მისი მომნუსხველი სილამაზის კვალი დამენახა. ნაკეთები ისევ ისე სწორი ჰქონდა, მკაფიო და დასრულებული, მაგრამ ნაკეთებსა და

ნაკეთებს შუა უცხო ნაღველი ჩასწოლოდა და ეს ნაღველი, ნაკეთებს საშუალებას არ აძლევდა იმ პარპონიად შეერთებულიყვნენ, რომელშიაც სილამაზის უმთავრესი ძალა დევს.

მე და ანტონიო ჩუმად ველოდით. ანტონიო გაფითრებული იყო. დავითი თავის ხელებს დასცქეროდა, მაგრამ დროდადრო თვალი ანტონიოს საწოლის თავისკენ გაურბოდა, სადაც მისეული ვერცხლის ქამარ-ხანჯალი ეკიდა. ბოლოს თავგალუნულმა და თვალგაბნეულმა ყრუდ, მძიმედ თქვა:

— თუ შენი სტუმრობა ჩემს მოსატყუებლად გამართული ჯამბაზობა იყო, მოტყუებული ვარ. უიარაოდ მოვედი და არც სხვა რაიმე საშუალებით ვაპირებ თავის დაცვას.

მე გულში თითქოს რაღაც ჩამწყდა. ანტონიო კიდევ უფრო გაფითრდა და ორ-სამჯერ მძიმედ გადაყლაპა ნერწყვი.

— მე მხოლოდ იმიტომ მოვედი, — მიუგო ბოლოს, — რომ მოუსვლელი არ შემეძლო, და მხოლოდ ის გითხარი, რის უთქმელობაც ჩემს ძალღონეს აღემატებოდა.

დავითმა ერთი სწრაფად შეხედა, თითქოს მისი ნათქვამის სიმართლეს ამოწმებდო, და ისევ დახარა თვალები. მერე უმცრად იკითხა:

— ცოდნა რა ადგილასა მაქვს?
— გონებაში, — წყნარად მიუგო ანტონიომ.

— გონება?
— სულში.
— სული?
— ღმერთში.
— ღმერთი სადღა?
— ღმერთია ყველაფერი, რაც არის და რაც არ არის.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა. დავითი რაღაცას დაძაბულად ფიქრობდა. ბოლოს თავი აიღო, ამჯერად პირდაპირ შეხედა ანტონიოს და ჰკითხა:

— როგორ დაძლიე შიშის შიში?
ამ დროისთვის მე ჭერ კიდევ არ ვიცი და დაწერილებით მათი ის საუბა-

რი, რომელიც ზემოთ აღწერე, ამიტომ ვერ მივხვდი, რაზე იყო ლაპარაკი.

ანტონიო ერთხანს ჩუმად იყო. მერე ნაღვლიანი კილოთი თქვა:

— გეტყვი... ეს ამბავი ბართოლომეოს მეტმა არავე იცის. ბართოლომეოსაც მხოლოდ მაშინ ვუთხარი, როცა გულითადი მეგობრები გავხდით...

და ნელა, დაფიქრებით, ცოტა გაბზარული ხმით და კიდევ უფრო გულისშემძვრელად, ვიდრე მაშინ, გეშე, მოყვა სასამართლოს ამბავი.

სარკმლიდან მონაბერი სუსტი სიო სანთლებს ალს ოდნავ ათამაშებდა და მძიმე სიჩუმეში სიტყვები ისე ისმოდა, თითქოს არა მარტო ისმოდა, არამედ ჩანდა კიდევ, როგორც ხელშესახები რაიმე საგნები.

ანტონიომ რომ მოყოლა მოათავა, სამივენი დიდხანს, ძალიან დიდხანს ვისხედით ჩუმად.

ბოლოს დუმილი ისევ დავითმა დაარღვია:

— გუნდი დავშალე... — მძიმედ ლაპარაკობდა, გაჭირვებით, თავს ძალას ატანდა, რომ სიტყვები მკაფიოდ გამოეთქვა. მე ამ დროს დავითს ვუყურებდი, მაგრამ მაინც შევნიშნე, რომ ამის გაგონებაზე ანტონიო შეკრთა. — ვისაც რა ერგებოდა, მივეცი და გავისტუმრე... მაინც სულ დრტვიანდნენ და თვალი გაქცევაზე ეჭირათ. მოზეზრდათ ხეტიალი, მშვიდი ცხოვრება მოენატრათ... მარტო მე და ბებე დავრჩით...

— აქ ვაჩუმდა და ერთხანს ჩუმად იყო, თითქოს მოელოდა, რომ სიტყვას ჩამოვართმევდით; მაგრამ ვერც მე და ვერც ანტონიომ დუმილის დარღვევა ვერ გავხედეთ. მაშინ ისევ თვითონ განაგრძო, — ჩემი ბედის გადასაწყვეტად მოვედი... მე თვითონ ვერ გადავწყვიტე... რამდენჯერ მწარედ ვინანე, რომ არ მოკვალნი. რომ მომეკალი, იქნებ მომესვენა. მაგრამ ვერ მოკვალნი... არ ვიცი, ეშმაკი ხარ თუ ანგელოზი, მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი ბედი ახლა შენს ხელთაა... მითხარი, რა ვქნა?

ანტონიო თავჩაღუნული იჯდა, როგორც „მნათობი“, № 2.

გორც დატუქსული შეგირდი. ბოლოს დამნაშავეს კილოთი მიუგო:

— რაც გითხარი, იმასე შეტყამდეც არაფერი ვიცი...

დავითმა თავი აიღო და ერთხანს უხმოდ უყურა ანტონიოს. მერე უცებ მე მომიბრუნდა:

— მაშინ შენ მითხარი. შენ ხომ უფრო გონიერი ხარ!

მე ამ საუბარში ჩემს თავს გარეშე კაცად ვთვლიდი და არათუ რჩევის მიცემას, უბრალო ჩარევასაც არ ვაპირებდი. ამიტომ ჩემი დაჭერებული კილო მე თვითონ გამიკვირდა:

— აილე მთელი შენი ფული და ჭონება, ახალციხეში წადი და, რამდენსაც შეძლებ, იმდენი ტყვე გამოიხსენი. დანარჩენი მერე მოვიფიქროთ.

დავითმა ჭერ მე შემომხვდა, მერე ანტონიოს შეხედა და, ანტონიომ რომ ნაღვლიანი ღიმილით დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად, ზეზე წამოდგა. სახეზე კვლავ გაუკრთა სიცოცხლის ნიშანი.

— ეგრე ვიზამ... — ეს რომ თქვა, ცოტა შეეყოყმანდა, — თქვენ ხომ არ წახვალთ ჩემს დაბრუნებად? ხომ დამელოდებით?

— რაკი ბართოლომეოც თანახმაა, დაგელოდებით, — მიუგო ანტონიომ. დავითი ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა.

მაშინდელივით ნაშუაღამევს მოვიდა, მაგრამ ამჯერად ქვეითად იყო, უცხენოდ. დაკმუხნული ტანისამოსი ეცვა. კიდევ უფრო მოტეხილი ჩანდა, კიდევ უფრო დამძიმებული და კიდევ უფრო დამწყურებული. შინ რომ შევიყვანეთ, სკამზე მოწყვეტით დაეშვა და დიდხანს იჯდა ასე მდუმარედ. როდის-როდის ამოიღო ხმა:

— ახლა რა ვქნა? — ისეთი ღრმა ტკივილით იკითხა, რომ მეცა და ანტონიოც ორივენი შევკრთით.

— რა მოხდა? — ვკითხე მე. მაშინ თავი ნელა აიღო. მაგრამ ჩვენთვის არ შემოუხედავს, თვალგაშტე-

რებული ერთ წერტილს მისჩერებოდა სადღაც, საარკმლის მიღმა.

— ძნელი ყოფილა გამოღვიძება... — წყნარად, მაგრამ მწარე ნაღველით დაიწყო მერე, — განა შესაძლებელია იმდენი ოქრო გქონდეს კაცს, რომ ყველა ტყვე გამოიხსნა?.. სხეული გველებითა მაქვს სავსე... — აქ ჯერ ანტონიოს შეხედა, მერე მე, და ცოტა უფრო მშვიდად განაგრძო, — ბაზარზე რომ ხმა გაეარდა, ვიღაც ახირებული კაცი ტყვეებს ყიდულობს და ათავისუფლებსო, ჩემი ჩაბალახის დანახვაზე... სახე ჩაბალახით მქონდა აკრული, რომ ჩემს მიერ გამოსყიდულებს ოდესმე არ ვეცნე... ჩემი ჩაბალახის დანახვაზე გასაყიდად გამოფენილი ტყვეები წამსვე აჩოჩქოლდებოდნენ და თვალბეჭით იმედის სხივი უდგებოდათ... ფული რომ აღარ დამჩია, ცხენები გავყიდე, ორივე — ჩემიცა და ჩემი ზანგისაც — და კიდევ ერთი ტყვის გამოსასყიდი თანხა მოვავროვე... მხოლოდ ერთის. ისინი კი ბევრნი იყვნენ და ყველას იმედი ჰქონდა... როგორ ამერჩია?.. რომელი ერთი ამერჩია?.. რა ნიშნით ამერჩია?.. — დავითმა ისევ ხელებში ჩარგო თავი და ერთხანს ჩუმად იყო. მერე თქვა, — ახლა ვხედავ, რომ სიკვდილი ყველაზე უარესი არ ყოფილა იმ საშინელებათა შორის, რაც სიცოცხლეში შეიძლება შეგემთხვეს კაცს...

— ნუ გეშინია, — წყნარად, დაყვავებით უთხრა ანტონიომ და ამ დროს ისეთი თბილი და გულშიჩამწვდომი ხმა ჰქონდა, როგორც აქამდე მისგან არასოდეს გამეგონა, — შენი ტყვილი შენივე განჯურნების წამალია. ღმერთი მოხედავს შენს ტანჯვას და ცოდვებს შეგინდობს.

— განა ყველაფრის შენდობა შეიძლება? — თავაუღებლად თქვა დავითმა ყრულ და მწარედ.

— ღმერთი თავად შენდობაა, — მიუგო ანტონიომ.

— არა, — დავითმა თავი ასწია და თვალბეჭით წამით ელვა გაუკრთა, —

თუ ღმერთი მართლა არის სადმე / და ის ღმერთი სამართლიანია, ჩემი ცოდვების მიტევა არ შეიძლება. მე ვთხოვ შემინდოს, იმათ რა პასუხს მისცემს, ვინც ამ ცოდვების მსხვერპლი შეიქნა?.. არა, ისა სჯობს, სადმე ტყეში გამოქვაბული რამე მოვებნო, იქ დაეჭდე და ვიჯდე გაუნძრევლად, სანამ ან ნადირი არ დამგლეჯს, ან უსმელ-უჭმელობა არ მომკლავს...

ანტონიომ დავითს შეხედა, მერე უხმოდ წამოდგა, სახარება აიღო, რომელიც ფანჯრის რაფაზე ედო შანდლის გვერდით, ისევ თავის ადგილას დაჭდა და გადაფურცლა დაიწყო.

— უფალმა ჩვენმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ, — თქვა მან, თან წიგნს ფურცლავდა და რალაცას ეძებდა, — ზორცი იმიტომ შეისხა და ქვეყანას კაცად იმიტომ მოველინა, რომ საკუთარი გამოცდილებით ენახა, რა აიძულებს ადამიანს ბოროტების გზას დაადგეს, მართლა ბუნებითაა იგი მიდრეკილი ბოროტისაკენ თუ არა. უაზროდ თავის მოკვლა კი ღვთის მოსაწონი საქციელი არაა. — ამასობაში, რასაც ეძებდა, იპოვა. — აქ ლათინურად სწერია. მე წაგიკითხავ და ბართოლომეო გითარგმნის, — ამ სიტყვებით შეუდგა იმ ადგილის კითხვას, სადაც ძე შეცთომილის ამბავია მოთხრობილი.

მე სიტყვასიტყვით ვთარგმნიდი, ხან ქართულად და ხან, როცა შესაფერის ქართულ სიტყვას ვერ მოგიგონებდი, თურქულად. დავითი დაფიქრებული და საკუთარ თავში ჩაღრმავებული ერთ წერტილს მისჩერებოდა. ანტონიომ რომ კითხვა მოათავა, კარგა ხანს ჩუმად იყო. მერე თქვა:

— ჩემი ცოდვები მძიმეა და აურაცხელი.

— შენდობა მონანიების პასუხია, — მიუგო ანტონიომ, — ღმერთი კი, ადამიანისაგან განსხვავებით, ცრუსა და ჭეშმარიტს კარგად არჩევს ერთმანეთისაგან. ვინც გულით მონანიებს და არა მხოლოდ სიტყვით, როგორც ფარისევლებს სჩვევიათ, მას მიეტივება

კიდევ. — ამ სიტყვებით კიდევ რამ-
დენიმე გვერდი გადაფურცლა და ახლა
ზაქეს ამბავი წაიკითხა იმ ადგილამდე,
სადაც წერია: „რამეთუ მოვიდა ძე კა-
ციისაჲ მოძიებად და ცხოვრებად წარ-
წყმედულისა“.

დავითი ამჯერად წელანდელზე უფ-
როს დიდხანს დუმდა. მერე უცებ თქვა:

— თავიდან წაიკითხე, — და თით-
ქოს ის, რაც თქვა, უნებურად წამოც-
დაო, შემგრათალმა დაუმატა, — არ შე-
იძლება?

— შეიძლება, — მიუგო ანტონიომ,
წიგნი იმ ადგილას გადაშალა, სადაც
წმინდა მათეს სახარება იწყება, და კი-
თხვას შეუდგა.

დავითი მოდუნებული იჯდა და ნაკ-
ვთებსა და ნაკეთებს შორის მძიმე ნა-
ღველი ღრმა ნაოკებდალ ჩაჰფენოდა, რის
გამოც ნაადრევად დაბერებულს ჰგავ-
და.

სიბნელე რომ ოდნავ შეიმღვრა, და-
ვითი წავიდა, რათა ციხეში მანამ და-
ბრუნებულიყო, სანამ სოფელი გაილ-
ვიძებდა. წასვლის წინ კართან ცოტა
ხანს შეუკვნდა, თითქოს გუნებაში რა-
ღაცას სწონისო, მერე მოიხედა და გა-
უბედავად იკითხა:

— ამაღამაც რომ მოვიდე?..

— მოდი, — მიუგო ანტონიომ.

ცხრა ღამის განმავლობაში ვკითხუ-
ლობდით წმინდა სახარებას და ორჯერ
წაიკითხეთ. დავითი პირველ ხანებში
ისეთი იყო, გეგონებოდათ ბურანშიაო.
გარინდებულად გვიგდებდა ყურს და ხმას
არ იღებდა. მერე და მერე, განსაკუთ-
რებით მას შემდეგ, რაც ერთხელ მო-
ვათავეთ წაიკითხვა და მეორედ დავიწ-
ყეთ, ცოტა გამოფხიზლდა და, კითხ-
ვით დაღლილები რომ წიგნს მკირე ხნით
გვერდზე გადავდებდით და მის მომა-
ვალზე დავიწყებდით ბჭობას, დროდა-
დრო თვითონაც ჩაერეოდა ხოლმე.

დავითის მომავლის გადაწყვეტა კი
ფრიად საშური საქმე იყო. მოხუცი
დიასახლისის შიში არ გვექონდა. ისა და
ჩვენ ამ დროისათვის უკვე უხმოდ და
უთქმელად ვენდობოდით ერთმანეთს.

მას თავი ისე ეჭირა, ვითომ დაავითს
ღამეული სტუმრობისა არაფერი იყო-
და, ჩვენ თავი ისე გვეჭირა, ვითომ
დარწმუნებული ვიყავით, რომ არაფე-
რი იყოდა. სამაგიეროდ მოსალოდნელი
იყო, რომ თავადის მეთვალყურეები
აიღებდნენ ეჭვს. ამიტომ დროზე უნდა
გადაგვეწყვიტა რამე და დავითი დრო-
ზე უნდა დადგომოდა რაიმე გზას. ან-
ტონიო ახლა კარგად გრძობდა თავისი
პასუხისმგებლობის მთელ სიმძიმეს და
ყოველ შესაძლებლობას ზედმეტი ში-
შითა და ზედმეტი სიფრთხილით ეკი-
დებოდა. არც ვამეტყუნებოდა: როცა
დავითს ციხეში მიუვარდა, მაშინ მის
არსებაში, როგორც თავდაც ალიარა,
უცხო ძალა იყო ჩაბუდებული, რომე-
ლიც გონებას ანგარიშს არ უწყევდა,
თორემ ის რომ სცოდნოდა, დავითს —
მკვლელს, მძარცველს, ავაზაკს — მო-
სპობდა და მის მაგივრად სულ სხვა
ადამიანს შექმნიდა, ასეთი ნაბიჯის
გადადგმა იქნებ ვერც გაებედა, რად-
გან მაშინ იმასაც მიხვდებოდა, რომ
საკუთარ ქმნილებაზე ბოლომდე უნდა
ეგო პასუხი. ამიტომ ახლა ყველაფერს
მისხალ-მისხალ წონიდა, რათა რაიმე
ისეთი შეეცდომა არ მოსვლოდა, რაც
შეიძლებოდა საბედისწერო გამომდგა-
რიყო. საბოლოოდ იმ აზრისკენ გადა-
იხარა, რომ დავითი რომელიმე განდე-
გილს ან მეუღაბნოე ბერს შეჰკედლე-
ბოდა და სიცოცხლე მორჩილებაში,
ლოცვაში და ღვთის სამსახურში გაე-
ტარებინა. რაც შემეხება მე, მე რო-
გორც ერისკაცსა და გონიერების მსა-
ხურს, არ შემეძლო იმის დაშვება, რომ
დავითის უნარი უქმად დაკარგულიყო.
მის გამოცდილებას, რომელსაც აქამდე
ბოროტებისთვის მოჰქონდა სარგებლო-
ბა, ახლა სიკეთისთვის შეეძლო სარგე-
ბლობის მოტანა, მაგრამ გზას ვერ ვხე-
დავდი.

თვითონ დავითსაც ვერაფერი გადა-
ეწყვიტა. მართალია ერთხელ კიდევ
ახსენა პირვანდელი განზრახვა — საღ-
მე გამოკვებახულში წასულიყო და სიკ-
ვიდის დალოდებოდა — მაგრამ მე და

ანტონიომ რომ ეს განზრახვა მკაცრად და გადაჭრით უარყვავით, მეტად აღარ გაუშეორებია. ჩანდა, მთლიანად ჩვენ მოგვენდო — უფრო ანტონიოს, ვიდრე მე — და ჩვენგან მოელოდა რჩევას, რომელსაც ისე მიიღებდა, როგორც ბრძანებას.

ასე გავიდა ცხრა ღამე. მეცხრე ღამეს. — შუაღამე ახალი გადასული იყო, როცა წმინდა სახარების მეორე წაკითხვა მოვათავეთ — ჩვეულებრივზე უფრო ადრე მოინდრემა ციხეში დაბრუნება. წასვლის წინ კარი, რომელიც უკვე გამოღებული ჰქონდა და გასვლას აპირებდა, ისევ მიხურა, თითქოს, რაღაც, რაზეც აქამდე ყოყმანობდა, ერთხელად გადაწყვიტაო, მოგვიბრუნდა და აქვა:

— ანტონიო! შენ ახლა ფიქრობ და ამიტომ ყოყმანობ. ადრე არ ფიქრობდი და ამიტომ არც ყოყმანობდი. ალბათ მაშინაც მართალი იყავი და ახლაც მართალი ხარ. თვალახელიშმა კაცმა თავის თავს თვითონ უნდა მიხედოს და თავისი ბედი თვითონ გადაწყვიტოს. მე ჯერ არ ვიცი რა გზას დავადგები. ეგებ მართლა სადმე გამოქვაბულში წავიდე და სიყვდილს დაველოდო, ეგებ რომელიმე მეუღლანოე ბერს შევავარდოხო თავი და ლოცვაში დავლიო დარჩენილი სიცოცხლე, ეგებ სხვა საშუალება გამოვნახო და დანაშაულის გამოსყიდვას შევეცადო. ის კი ვიცი, რომ, რომელი გზაც არ უნდა ავირჩიო, ერთხანს ამ ტაფობზე უნდა დაერჩე, რადგან ის, რაც მთავარია, აქ უნდა გადაწყდეს. ეს — ჩემი. ახლა თქვენი ვთქვათ. ალბათ ატყობთ, თავადის კაცები თვალს არ გაშორებენ და, წასვლა რომ დააპიროთ, ვეჭვობ ცოცხალი გაგიშვან. თავადს არ ენდოთ. როცა წასვლა გადაწყვიტოთ, ციხეში ამოდიოთ. ბებემ აქ ყველა ბილიკი იცის, ყველა ხე და ყველა ბუჩქი. ისე გაგიყვანა სამშვიდობოს, ვერაფერ ვერაფერს შეიტყობს. მშვიდობით! — ამ სიტყვებით ისევ გამოალო კარი და, სანამ მე და ანტონიო რამეს მოვიფიქრებდით, წავიდა.

დავითის სიტყვებმა შეგვაფიქრა და მისი წასვლის შემდეგ კედლები დიდხანს ვისხედით და იმაზე ვბრძანდით, რას გულისხმობდა იმ მთავარში, რაც აქ, ამ ტაფობზე უნდა გადაწყვეტილიყო. ფიქრში და საუბარში თავზე დაგვათენდა. მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. ეს ცხრა ღამეა, რაც დავითს წმინდა სახარებას ვუკითხავდით, ღამისთევა და სამაგიეროდ დღე ძილი ჩვევად გვაქცა.

იმ ღამეს დავითი არ გამოჩენილა. მეორე დღეს კი, დილით, ის იყო, ხელპირი დავიბანეთ და დისახლისს ველოდით, რომელსაც საუზმე უნდა შემოეტანა, უეცრად სასოწარკვეთილი ყვირილი მოისმა. შემკრთალები ზეზე წამოვცვივდით. ანტონიო მაშინვე აივანზე გავარდა, მე კი, სანამ უკან მივყვებოდი, მოგზაურობაში გამომუშავებული ჩვეულებისამებრ, წყვილი დამბაჩა პერანგის ქვეშ შარვლის სათავეში გავიკრე. სწორედ იმ წამს, მეც რომ აივანზე გავედი, ეზოში შურდულივით შემოვარდა დავითის მონა ზანგი.

— კეთილო ბატონებო! ბებეს ბატონს უკლავენ! უშველონ კეთილმა ბატონებმა! ბებეს ბატონს ქვებს ესვრიან!

— საღ არის? — შესძახა ანტონიომ და თან ორივენი ძირს დავეშვიო.

— ეკლესიის ეზოშია... ჩქარა უშველონ კეთილმა ბატონებმა, თორემ ბებეს ბატონს მოკლავენ!

მე და ანტონიო ელვის უსწრაფესად მოვახტით ცხენებს. ზანგი ფეხდაფეხ დაგვადევნა.

ეკლესიის ეზოში შემზარავი სურათი გადაგვეშალა თვალწინ: ჩრდილოეთის მხარეს, ზედ კედლის ძირში, ორთავ მუხლებზე დაჩოქილი, პირქვედამხობილი და გასისხლიანებული, ეგდო დავითი. ფეხშიშველა იყო და ქედზე სქელი, ვეება ჩაჭვი ედო, რომლის ნაწილი მკერდქვეშ მოქცეოდა. რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ველურად აღგზნებული სახით იდგა შვიდი თუ რვა კაცი, ყველანი თავადის შინაყმები, და

მათთან ერთად მღვდელი. მღვდლის გარდა ხელში ყველას ქვეები ეჭირა.

— შეჩერდით! რას სჩადით! — არა-ადამიანური ხმით შესძახა ანტონიომ და იმავ წამს ისიცა და მეც მათსა და დავითს შორის ჩამოვხტით ცხენებიდან. ჩვენს მოულოდნელ გამოჩენაზე ყველანი დაიბნენ და ქვეები ჰაერში გაუშვედნენ. ანტონიო მყისვე დავითთან გაჩნდა. მე ჯერ კიდევ ვერ გადამეწყვიტა, ანტონიოს მივშველებოდი ჯოჯო ამ სახედაკარგული მკვლელებისათვის გადამეღობა გზა, რომ ამ დროს მღვდელი გონს მოეგო და ზიზღითა და მძვინვარებით დასძახა:

— ჰაა გადათიელებს! ჰაა ჯოჯო-ხეთის მოციქულებს!

მე სხვა არაფერი დამრჩენოდა და იმ წამს, რა წამსაც ქვებჩაბლუჯული ხელები მუქარით აღიმართნენ, ორივე დამბაჩა ერთდროულად ეიძრე.

— დაყარეთ ქვეები, თუ სიცოცხლე არ მოგებურებიან! — ისეთი ხმით დავიყვიარე, მე თვითონ შემზარა. სახე მიხურდა და მთელი სხეული მიცახცახებდა.

ჩემმა დამბაჩებმა და ჩემმა ხმაემ წამსვე იმოქმედა. აღმართული ხელები ისევ დაეშენენ. ხოლო მერე, როცა ეს ხელები გაიშალნენ და ქვეები ყრუ ხმაურით დაცივიდა ძირს, არ ვიცი, ამ დროს ვინ მბრძანებლობდა ჩემს არსებაში, რადგან იმას, ვისაც მე ჩემს თავს ვუწოდებ, ფიქრისა და განსჯისთვის დრო არ ჰქონდა, მრისხანე მუქარით დავუმარტე:

— გასწიო აქედან! ვინც უკან ჩამორჩება, იცოდეთ ვესვრი!

შეშინებულები მართლაც ბეჯითად ცდილობდნენ ერთმანეთს არ ჩამორჩენოდნენ. თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ და უკან არავის მოუხედავს.

მაშინ მეც დავითს მივუბრუნდი. ანტონიოს ამასობაში ზანგის დახმარებით მისთვის ჯაჭვი გადაეძრო და სისხლი მოუწმინდა. დავითი გრძობადაკარგული იყო. ზანგმა წყაროდან, რომელიც იქვე ახლო, ეკლესიის გვერდით ამოე-

დინებოდა, რამდენჯერმე მოარბენინა პეშვით წყალი. კრილობებში მოგზავნეს, მაგრამ მოსულიერებით ვერ მოეპყრებოდა.

— უნდა ვიჩქაროთ, — ვუთხარი მე ანტონიოს, — ადვილი შესაძლებელია თოფები აიღონ და უკანვე მობრუნდნენ.

ანტონიომ თავი დამიქნია. მერე მი-თხრა:

— ჩვენთან ვერ მივიყვანთ. საშიშია

— ჩვენთან ვერა, — დავუდასტურე მე. — ციხეში უნდა წავიყვანოთ.

— შინაც საჭიროა შევლა. მაღამო დაგვეკრიდებო. სახვევებიც.

— მე შევივლი.

ზანგს ჯერ ვერ გაეგო, ცოცხალი იყო თუ არა მისი ბატონი, ჩვენი ენა კი არ ესმოდა, ამიტომ ხან მე მომაპყრობდა შეშინებულ მზერას, ხან ანტონიოს.

— მაშ, ჩვენ წავალთ, — თქვა ანტონიომ. მერე ზანგს მიუბრუნდა და თურქულად უთხრა, — მომეშველე!

ზანგს გაეხარდა, რომ რაღაც გაიგო და საქმეც გამოუჩნდა. ანტონიო ცხენზე შეჯდა, მე და ზანგმა დავითი ავიყვით და წინ შემოგვსვით. მერე მეც ცხენზე შევექევი.

ეკლესიის ეზოს რომ გავცდით, ქვემოთ, გზაზე, რამდენიმე ქალი და ბავშვი დავინახეთ. ეტყობა ზანგის ყვირილით გამოსულიყვნენ, რათა შეეტყუათ, რა ხდებოდა. ჩვენს დანახვაზე შედგნენ. მტრობა არ ეტყობოდათ, ამიტომ თამამად განვაგრძეთ გზა. წინ ანტონიო მიდიოდა, მერე მე. ზანგი ბოლოში მოგვეყვებოდა. რომ მივუახლოვდით, მიიწყო-მოიწიეს და გზა დაგვითმეს, ხოლო მერე, როდესაც მათ შუა გავიარეთ და წავედით, მღუმარედ გამოგვაყოლეს თვალი.

გზისგასაყართან ანტონიომ და ზანგმა ზემოთ გასწიეს, ციხისკენ, მე კი თავქვე დავეშვი. ეზოში დიასახლისი დამხვდა. მე ცხენიდან ჩამოვხტი. სწრაფად ავიარე აივანი და შინ შევედი. წამლების ყუთი რომ ივილე და უკანვე უნდა გამოვსულიყავი, ერთბა-

შად მივხვდი, რომ მე და ანტონიოს აქ დაბრუნება ალბათ აღარ გვეწერა. მეტიც: განრისხებული თავადი ჩვენს სადგომს დაარბევდა და მისი ხალხი, რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს დაიტაცებდა. მცირე ფიქრის შემდეგ ფული და აუცილებელი ნივთები ავიღე, მათ შორის დაეითისეული ვერცხლის ქაშარ-ხანჯალი. წიგნები დავტოვე, მაგრამ აივანზე რომ გამოვედი, კიდევ ერთხელ შევებრუნდი და სახარება წამოვიღე. ყველაფერი ეს ორ მოზრდილ ჩანთაში ჩავალაგე, ჩანთები ერთმანეთს ხურჭინივით გადავაბი და ცხენს აკვიდე.

დასასხლისი ეზოში იდგა და უხმოდ აღევნებდა თვალს ჩემს სამზადისს.

დაწინაურებულებს შუა გზაზე წამოვეწიე და მალე ციხეს მშვიდობით მივაღწიეთ.

ძაღვები ჭიშკართან შემოგვეგებნენ. კულებს აქიცინებდნენ, მაგრამ დროდადრო კულის ჭიკინს შეწყვეტდნენ და ყურებს წამოსწევდნენ, რითაც ჩანდა მე და ანტონიოს მიმართ თავიანთ უნდობლობას გამოხატავდნენ. მერე, ზანგმა რომ ჭიშკარი გააღო და თავის ენაზე რაღაც უთხრა, საბოლოოდ დამშვიდდნენ.

დავითს ტანთ გახვადეთ და ლოგინში ჩავაწვიეთ. თავი სამგან ჰქონდა გატეხილი, მარცხენა მხარი ამოვარდნილი, მკერდი და კისერი ჩალურჯებული. რამდენიმე ქვა ზურგში და ბეჭებში მოხვედროდა, ეტყობა მას შემდეგ, რაც ძალაწართმეული პირქვე დაემხო. საბედნიეროდ არც ერთი ჭრილობა სასიკვდილო არ იყო. ჭრილობები კიდევ ერთხელ კარგად მოვბანეთ, მალამო წაცვებთ და შევუხვიეთ. ცოტა ხნის შემდეგ დავითი გრძნობაზე მოვიდა, თვალი გაახილა, ერთხანს უხმოდ უცქირა ანტონიოს, რომელიც ტახტის წინ იყო დაჩოქილი და ხელში მისი ძაჯა ეჭირა, და ისევ დახუტა. ნაშუადღევს საბოლოოდ გამოერკვა, მაგრამ ლაპარაკი უჭირდა. სისხლი ბლომად დაეკარგა და მისუსტებული იყო.

საკვირო წამლის დასამზადებლად ანტონიოს ბროწეულისა და სხვა მცენარეების წვენი სჭირდებოდა. ზანგმა მისი სიძვერობამდე მოჩხრიკა საეკუქნაო, მაგრამ ვერც ბროწეული იპოვა და ვერც ჭარხალი. ამის გამო, თითქოს ბრალი თვითონ მიუძღოდა, მთელი დღე ნირწამხდარი დადიოდა და დამნაშავესავით გვიყურებდა. საღამო რომ მოახლოვდა, მითხრა:

— ბებე სოფელში წავა და ბროწეულსა და ჭარხალს მოიტანს.

— აბა, საიდან მოიტან! — დაუეშაღე მე, — ვინ მოგცემს!

ზანგმა თავი გაიქნია.

— ბებემ იცის!

მე და ანტონიოს არ გვირდოდა გაგვეშვა, მაგრამ ამ დროს დავითმა, რომელიც თვალდახუჭული ისმენდა ჩვენს საუბარს, სუსტი ხმით თქვა:

— წავიდეს. ბებეს დარდი ნუ გაქვთ.

კარგად რომ დაბნელდა, ზანგმა ორი ძაღლი გაიყოლა და შუალამისას ბროწეულითა და ჭარხლით პირთამდე აესებული კალათით დაბრუნდა.

— აი! — გვითხრა ამაყად, — ბებემ იცის!

ბებემ მართლაც რომ „იყოდა“. მისი სიმარჯვისა და მოხერხებულობის წყალობით, სანამ ციხეში გამოკეტილები ვიყავით, არც ჩვენ და არც ჩვენს დაჭრილს არაფერი მოგვეკლებია. უხმაუროდ ვასხლტებოდა ხოლმე ციხიდან და რამდენიმე საათის შემდეგ სურსათისანოვავით დატვირთული ასევე უხმაუროდ შემოძვრებოდა. მე მოგზაურობისას მრავალი გაჭირება მინახავს, მათ შორის, უნდა გამოვტყდებ, ისეთიც, რომ თავის გასატანად ზოგიერთ ქრისტიანულ მცენებაზე თვალის დახუჭვა მიხდებოდა, მაგრამ ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ნაჭურდალს ეჭამდი და ამის გამო სინდისი არ შაწუხებდა. ბებეს ისე მოჰქონდა თავი თავისი ხელმარჯვეობით, ისეთი ამაყი სმით დაგვიწყობდა ხოლმე წინ ნაჭურდალს და ისე მოუთმენლად მოელოდა ქებას ერთგული და კეთილსინდისიერად სამსახურ-

რისათვის, რომ ჩვენზე უფრო დარბა-
ისელი კაციც სიცილს ვერ შეიკავებ-
და, ხოლო სიცილი კი, მოგეხსენებათ,
საუკეთესო ურდულია იმ კარისათვის,
საიდანაც სინდისის ხმა გამოდის.

პირველ ხანებში ბებე დამწუხრებუ-
ლი იყო. არ იცოდა, გადაჩრებოდა თუ
არა დავითი და იმის შიშით, რომ ჩვენს
პასუხს სულ არ გადაეწურა იმედი, კი-
თხეასაც ვერ გვიბედავდა. იმასლა ცდი-
ლობდა, ჩვენს ქვეყაში და გამომეტყ-
ველებში რაიმე სანუგეშო ეპოვა და
ამ ნუგეშის ძებნაში ზოგჯერ ისე საწ-
ყალობლად მოგვაჩრებოდა, ასე მე-
გონა, საცაა წკაქვკავს დაიწყებს-მეთ-
ქი. სამაგიეროდ მერე, რა დაინახა და-
ვითმა ამ ქვეყნისკენ ქნა პირი, აქამომ-
დელი ჭარბი მწუხარება ასევე ჭარბ
სიხარულად შეეცვალა.

დავითს კი თავისი ძლიერი აღნაგო-
ბისა და ანტონიოს ოსტატობის წყა-
ლობით ყოველდღიურად ეტყობოდა
უკეთესობა. ორი დღის შემდეგ ანტო-
ნიომ ცოტ-ცოტა ღვინოც დაუნისა.
მალე ჭრილობებმა პირი შეიკრა და ახლა
იმასლა ველოდით, რომ იმდენად მო-
ლონიერებულოყო, ცხენზე შეჭდომა
შეძლებოდა, რათა აქედან გავპარული-
ყავით. ორი ცხენი ხომ გვყავდა და
ორსაც ბებე შეგვიპირდა: ბებემ იცისო,
გვითხრა, რა დღესაც ბატონები წას-
ვლას გადაწყვეტენ, ბებე იმ დღესვე
გააჩენს ცხენებსო. ხოლო ბებე რომ
თავის სიტყვას შეასრულებდა, ამაში
უკვე ეჭვი აღარ გვუპირებოდა.

თავადისა და მღვდლისაგან არაფერი
ისმოდა და ეს ამბავი ერთი მხრივ თუ
გვახარებდა, მეორე მხრივ გვაფიქრე-
ბდა და საგონებელში გვაგდებდა, რა-
დგან თავადის უმოქმედობა ისეთ
დროს, როცა მან ჩვენი გაპირებული
მდგომარეობა იცოდა, ვაითუ იმას მო-
ასწავებდა, რომ რაღაც მზავკრულ
ოინს გვიწყებდა და უჩუქმარ მახეს
გვიგებდა. ჩვენ ჩვენი მხრივ რამდენა-
დაც შეგვეძლო ვფრთხილობდით და
ბრძოლისთვის მუდამ მზად ვიყავით.
მართალია დავითს მთელი თავისი ქო-

ნება, და მათ შორის იარაღიც, გაეჩი-
და, როცა ახალციხეში ტყვეებში გა-
მოსახსნელად წავიდა, მაგრამ მათ
თოფი და ოთხი დამბაჩა მინც დაე-
ტოვებინა და ეს ორი თოფი და ოთხი
დამბაჩა ჩემს ორ დამბაჩასთან ერთად
ყოველთვის გამოხადებული გვექონდა.
თავადი კი ჩანს თავდასხმას არ აპირე-
ბდა, რადგან, თუ თავდასხმას აპირე-
ბდა, ამისთვის პირველი სამი-ოთხი დღე
ერჩინა გამოეყენებინა, სანამ დავითი
ჯერ კიდევ სუსტად იყო და ბრძოლაში
მონაწილეობის მიღება არ შეეძლო.
ამიტომ მე და ანტონიო იმ დასკვნამდე
მივედით, რომ ან შეუვალობის სიგელი
აკავებდა, ან მართლა რაღაც მუხანა-
თურ ხაფანგს გვიგებდა. ბევრი ვიფი-
ქრეთ ამაზე. ბევრი ვიმტკიცეთ თავი,
თითქოს ყველა შესაძლო ვარაუდი ვი-
ანგარიშეთ, მაგრამ ბოლოს მინც მო-
ტყუებული დავრჩით.

ამასობაში ორი კვირა გავიდა.
მას შემდეგ, რაც ცოტა მოიკეთა და
ლაპარაკისთვის საჭირო ძალა დაუბ-
რუნდა, დავითმა ნელ-ნელა გული გა-
დამიშალა და მალე დავემგობრდით
კიდევ. ანტონიოს ის საყვირველი სტუ-
მრობაც, რომელიც ზემოთ აღვწერე,
მაშინ მიაბო. ვატყობდი, რომ ჩემთან
საუბარი ეხალისებოდა. ცხადია ანტო-
ნიოს თანდასწრებითაც ლაპარაკობდა,
მაგრამ ანტონიოს თანდასწრებით ლა-
პარაკობდა მხოლოდ იმას, რაც აუცი-
ლებელი სათქმელი იყო და ისე ბუ-
ნებრივად გამომდინარებოდა საერთო
საუბრიდან, რომ ეჭვს არ იწვევდა და
ახსნას არ საჭიროებდა. სამაგიეროდ თა-
ვის გულისხმადებს, სულის ღრმა ფე-
ნებში გამონაცყულს, მრავალგზის აწონ-
დაწონილს, დიდხანს ნალოლიავებს და
სწორედ ამის გამო სათუოსა და შესა-
მოწმებელს, მარტო მე მანდობდა. მა-
გრამ იმას იმიტომ კი არ ჩადიოდა, თი-
თქოს ანტონიოზე მეტად შეუწყვარდი
და ანტონიოზე მეტად დამიახლოვდა.
არა. ჩემთან იმიტომ ლაპარაკობდა, რომ
ანტონიოსთან ლაპარაკს ვერ ბედავდა.
შედარება რომ მოვიშველიო, დავითი

იმ ყმაწვილს ჰგავდა, რომელსაც დაუ-
ოკებელი სურვილი აქვს, თავისი პირ-
ველი სამიჯნურო თავგადასავალი საყ-
ვარელ უფროს ძმას გაანდოს, მაგრამ
იმის შიშით, რომ მისი დიდი გამოც-
დილებისა და დიდი ჭკუის სიმალლიდან
ეს თავგადასავალი შესაძლოა ბავშვური
გამოჩნდეს, გულუბრყვილო და სასა-
ცილო, ამჯობინებს ისევ თავის კბილა
ამხანაგს გაუმჯავნოს, მასავით გამო-
უცდელსა და მიაშიტს. საყვედურიც
იმის გამო, რომ მღვდელი და თავადის
კაცები გავაქციეთ და სიკვდილს გადა-
ვარჩინეთ, მე მითხრა. უფრო ზუსტად
რომ ვთქვა, ზოგადი საყვედური ორი-
ვეს ერთად გვითხრა. მაშინ ჯერ კიდევ
სუსტად იყო და მიმჭრალი ხმით ძლივს
წაილაპარაკა, ნეტა კი იმ ხალხისთვის
ჩემი ჩაქოლვა დაგენებებინათ, ახლა
მოსვენებული ვიქნებოდით, მაგრამ, რო-
დესაც ამ აუხდენელი ნატურის ახსნა და
განმარტება დასჭირდა, ამისათვის ისე-
თი დრო შეაჩრია, როცა ანტონიო ოთა-
ხში არ იყო. მახსოვს, გულაღმა იწვა
გაუძრველად, თვალები დაეხუჭა და
მეგონა სძინავს-მეთქი, როცა უეცრად
წყნარი, მაგრამ ნაღვლიანი ხმით დაი-
წყო:

— ცუდად მომექეცით, ბართოლო-
მეო, შენ და ანტონიო... სწორედ მა-
შინ, როდესაც ვიგრძენი, რომ სიკვდი-
ლის შიშს ვაჯობე, სიკვდილი არ მაკა-
ლეთ. რას მერჩოდით!.. — აქ გაჩუმდა
და დაფიქრებული ერთხანს მდუმარედ
იწვა. მერე განაგრძო, — თავიდან, სი-
მართლე გითხრა, შეგვართი, მღვდელი
და ჩემი სიძის კაცები რომ დაეინახე;
მეგონა შემთხვევით გამოჩნდნენ, მაგრამ
წამსვე გამახსენდა, რომ მოსკლისთა-
ნავე გალავანთან ქვების გროვა შეე-
ნიშნე, და მივხვდი, მომზადებული მო-
სულან. ჩანს წინა დილით მნახეს, რო-
ცა პირველად შემოვუარე მუხლიჩოქამ
ეკლესიას, და დარწმუნებულემა, რომ
იმ დილითაც მივიდოდი, წინაწინვე
მოაგროვეს ქვები... ამან დამამშვიდა,
ხოლო მერე, პირველი ქვა რომ მომხ-
ვდა... მე ორთავ მუხლზე დაჩოქილი

ვიდექი ეკლესიის კედელთან მათ პირ-
დაპირ და ყველას კარგად ვხედავდი,
რადგან ამომავალი მზის სხივები სახე-
ზე სცემდათ... პირველი ქვა რომ მომხ-
ვდა, მათი სახეები და თვალები, რომ-
ლებიც თავიდან ავი და ქუში მეჩვენა,
ახლა ერთგულ მეგობართა და მოყვას-
თა სახეებად და თვალებად იქცა, თი-
თქოს ღმერთმა წყალობით გადმომხედა
და ანგლოზები მომივლინა, რომელ-
თაც ჩემი სხეული ქვევით უნდა ჩაქო-
ლათ, რათა ამით ჩემი სული გადაერჩინათ.
პირველად მაშინ ვიგრძენი, თუ რა ყო-
ფილა ჭეშმარიტი სიხარული. მწამდა,
რომ სიკვდილის შემდეგ შენდობასაც
ველირებოდი, რადგან ვატყობდი, მი-
ზანში მოხვედრილი ყოველი ქვა ცო-
დვის თითო მძიმე ლოდს მხსნიდა...
თქვენ კი არ დამაკალეთ, შენ და ან-
ტონიო...

დავითის გაუბედაობა უსაფუძვლო
იყო. ამ საგანზე მას სწორედ ანტონიო-
სთან უნდა ელაპარაკა და არა ჩემ-
თან. ანტონიოს რელიგიური გრძნობა
გაცილებით უფრო ღრმა იყო, ვიდრე
ჩემი, და დავითის განცდებსაც ალბათ
სხვა, გაცილებით უფრო მართებული
საზომით შეაფასებდა. ჩემი საზომი
მხოლოდ განსჯასა და სავანთა გონივ-
რულ წესრიგს ემყარებოდა და ამი-
ტომ ასეთი პასუხი მივეცი:

— ნაძალადევი სიკვდილი უაზრო
სიკვდილია. სასჯელი კი შურისგებაა
და არა ცოდვებისგან განწმენდა. და
თუნდაც შენი სიკვდილით შენდობასა
და მიტევებას ლირებოდი, მღვდელი
და მისი ამქარი ხომ შენი მოკვლით
კიდევ უფრო გაიმძაველებდნენ ცოდ-
ვებს! განა მართებული იქნებოდა, შენი
ცოდებისაგან სხვისი ცოდვების ხარ-
ჯზე განთავისუფლებულიყავი?! ანდა
უფალი ჩვენი მაცხოვარი, რომელმაც
ყველაზე უკეთ იცის სხვათა ცოდვების
სიმძიმე, ასეთი სიკვდილის ნებას მოგ-
ცემდა?! არა, დავით. შენ სიკვდილში
შეებას ეძებ, რადგან სიცოცხლემ დაგ-
ტანჯა, მაგრამ ტყუილად გგონია, რომ
თუ საკუთარ თავზე შური იძიე, ამით

განთავისუფლებას ეღიროსები, სინამდვილეში ასეთი სიკვდილით ახალ ცოდვას დაიდებდი. შენი გადარჩენა უფლის ნება იყო და არა ანტონიოსი, ან ბართოლომეოსი.

დავითმა თავი მოაბრუნა და ერთხანს მღუმარედ მიყურა. მერე ისევ ამარბდა თვალი, მზერა ჰქვას მიიპყრო და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ნუთუ ღმერთი მართლა ყოველთვის ხედავს და მაინც ითმენს...

ზოგჯერ სახარებიდან ამა თუ იმ ადგილის წაკითხვას მთხოვდა. უფრო ისეთ ადგილებს არჩევდა, სადაც ლაპარაკი იყო ცოდვაზე, სასჯელზე და შენდობაზე.

მაგრამ ციხეში ყოფნის ბოლო სამი დღის განმავლობაში, როდესაც უკვე იმდენად იყო მომჯობინებული, ფეხზე წამოდგომაც შეეძლო, თითქოს ლაპარაკის ხალისი ერთბაშად წაერთვო, უეცრად გაჩუმდა. აღარც მესაუბრებოდა, აღარც სახარებას მაკითხებდა, აღარც რამეს მიყვებოდა. წამლებს კი თავის რიგზე იღებდა და საერთოდ ანტონიოსს ყველა ბრძანებას მორჩილად და სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებდა, მაგრამ ლაპარაკით თითქმის აღარ ლაპარაკობდა. გულაღმა იწვა ხოლმე გაუძნრეველად და, დაფიქრებული და მჭმუნვარე, თვალმოუშორებლად შესცქეროდა მაღალ ჰერს. ვხედავდი, რომ რაღაცის გარკვევას ცდილობდა და იტანჯებოდა, მაგრამ ვერაფერს ვშველოდი. ერთი-ორჯერ, როდესაც ნუგეშისცემა დავეუბირე, შევატყე, რომ არ ესაიამოვნა. ბოლოს, სწორედ იმ დღეს, რომელიც ბედისწერას ჩვენი იქ ერთად ყოფნის უკანასკნელ დღედ ჰქონდა შეგუებული, ისევ ამოიღო ხმა.

სალამო ახლოვდებოდა, როდესაც ბებეს პირით მე და ანტონიო თავის ოთახში გვიხმო. ჩაცმული დავგვხვდა, ტახტზე იჯდა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაცისთვის ემზადებოდა. ჯერ კიდევ ფერდაკარგული იყო, მაგრამ უკვე (შესაძლოა იმის გამო, რომ ლო-

გინში არ იწვა) სახეებით გამთუნანსრულელებული ჩანდა.

— მგონია, თითქოს რაღაცას მივხვდები, — მშვიდი და, როგორც მომეჩვენა, ოდნავ საზეიმო ხმით დაიწყო, რა წამს მე და ანტონიომ ოთახში ფეხი შევედგით. ამჯერად თვალს არ გვარიოდებდა. ხან მე შემომხედავდა ნათელი, დაწმენდილი, დაჯერებული მზერით, ხან ანტონიოსს, — მთელი ეს ხანია ბეჭითად ვცდილობდი გამეგო, რასაც მეუბნებოდით და რასაც მასწავლიდით, მაგრამ აქამდე შიშის მეტი ვერაფერი გავიგე, რადგან გულში წყვილიანი მედგა დათქვენი ნათქვამი სიტყვები იმ წყვილიადში უკვალოდ იკარგებოდა. მას მერე, რაც ეფრემ მღვდელმა ჩაქოლვა დამიპირა, თითქოს ჰრაქი აინთო და წყვილიანი ნელ-ნელა განათდა. ახლა ყველა სიტყვა ჩანს. ახლა სიტყვები, გულში რომ შემოდიან, ხნულს ავლებენ და კვალს ტოვებენ. მაგრამ მიტყვება და შენდობა სხვადასხვა რამე უნდა იყოს. მიტყვებით არაფერი მიმეტყვება. თუ იმ ჰვეყნად მართლა ღვთის სამსჯავრო მეღის, იმ სამსჯავროს წინაშე ცალ-ცალკე უნდა დავაწყო ცოდვა და მადლი. ერთიერთმანეთში კი ცოდვასა და მადლს არავინ გამოიმიბრის. შენდობა სხვა რამე მგონია. წყვილიადში რომ ჰრაქი აინთო, დავინახე, რომ თურმე დაბადებამდეც ვიყავი და სიკვდილის მერეც ვიქნები. ჩემთვის ეს იყო შენდობა და, რაკი ჩემს თავს შევეუნდე, ღმერთმაც შემინდო, რადგან მივხვდი, რომ, სანამ ცოცხალი ვარ, სიცოცხლე ჩემგან სამსახურს მოითხოვს. ჩემ წილ სამსახურს კი სხვა ვერ გასწევს. ახლა მზადავარ ვიცოცხლო, მზადა ვარ ჩემი ცოდვები ზურგით ვატარო, მზადა ვარ ვიტანჯო და თავის დროზე სასჯელი მივიღო, ხოლო მანამ, ვიდრე ღმერთი ჩემს სიკვდილს იწებებს, სიცოცხლის სამსახურში ვიდეგე. მაგრამ ისევ რამ არ შევეცდე და ავი და კარგი ერთმანეთში არ ამერიოს, მინდა ჩემი გადაწყვეტილება თქვენც აწონ-დაწონოთ და რა გე...

მკეთ. თქვენს სიკეთეს ვგრძნობ, თქვენს გულმოწყალებას ვხედავ და თქვენს სიბრძენს ვენდობი. ჩემი გადაწყვეტილება ესაა: მთავარს ვეახლო, აღსარება ვუთხრა, რა სასჯელსაც დამადებს; მორჩილად მივიღო და, თუ სიკვდილს არ გადამიწყვეტს, შევევედრო, სასჯელის მოხდის შემდეგ შეკობრეთმძებნელად გამიშვას.

დავითი გაჩუმდა. მე და ანტონიო დაფიქრებულები ვუსმენდით და ერთხანს ვერცერთმა ხმა ვერ ამოვიღეთ. ბოლოს ანტონიომ რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ აღარ დასცალდა, რადგან ამ დროს გარედან ძაღლების გაავეებული ყეფა მოისმა. ვიდრე ამით შემკრთალები გონს მოვიდოდით, ოთახში ბებე შემოვარდა.

— ბებემ ცხენები დინახა! — აღვლევებით თქვა მან, — ცხენებზე თეთრი ბატონები სხედან! თეთრ ბატონებს იარაღი აქვთ!..

— ვინ ბატონები არიან, ბებე? — რაც შემეძლო მშვიდად ვეითხე მე, — თავადის ხალხია?

— არა, — მიპასუხა ბებემ, — უცხო ბატონებია. ბებე იმ ბატონებს არ იცნობს.

— ვნახავ, ვინ არიან, — დავიბარე მე და პასუხს აღარ დავლოდებოვარ, ოთახიდან გავედი.

ტალანები გავიარე, წინა განაპირა ოთახში შევედი და საჭკერეტიდან გავიხედე. მალე ჭიშკარს იარაღში ჩამჯდაარი თხუთმეტიოდ მხედარი მოადგა. არც თავადი ერია მათ შორის, არც მღვდელი და არც მათი ხალხი, მაგრამ ორი კაცი მაინც ვიცანი. ერთი ის ახალგაზრდა აზნაური იყო, რომელმაც აქ მოგვიყვანა. იგი ყველაზე წინ იდგა და ჩანდა, გუნდის უფროსი უნდა ყოფილიყო. მეორე ნაცნობი გვიან შევნიშნე. ის იყო საჭკერეტს უნდა მოვშორებოდი, რომ სულ ბოლოში უმცრად ერთი ჩვენებური მისიონერი — ძმა თადეოზი — დავინახე. თუმცა მთავრის რაზმის გამორჩენაც მოულოდნელი იყო, გუმანით ვგრძნობდი, რომ

ამას რალაც ბუნებრივი და განსაზღვრის სახსნა შეიძლებოდა მოსძებნოდა. მისიონერის დანახვამ კი ძალზე გამაყვირვა. სწრაფად უკან გავბრუნდი და, როდესაც დაზვერვის შედეგები ანტონიოსა და დავითს ვაცნობე, სამთავემ უყოყმანოდ გადაწყვიტეთ, ბედს დავმორჩილებოდი, რადგან მთავრის რაზმისთვის წინააღმდეგობის გაწევა უაზრობაც იყო და უკანონობაც. ანტონიოსა და დავითის თანხმობით მომხდურთა შესახებ რად მე გავედი. თან ბებე გავიყოლე.

ჩემს გამოჩენაზე აზნაური ცხენიდან ჩამოხტა და ისეთი თავშეკავებული გულითადობით მომესალმა, როგორსაც მოითხოვდა ერთი მხრივ ჩვენი ძველი ნაცნობობა და მეორე მხრივ ახლანდელი საჩოთირო ვითარება. მერე მითხრა:

— ვიცი, რომ აქ ყაჩაღთა გუნდის მეთაური იმყოფება. მთავრისგან მისი შეპყრობა მაქვს ნაბრძანები. წინააღმდეგობის გაწევას არ გირჩევთ, ტყუილუბრალოდ სისხლს ნუ დაეღვრით.

— ჩვენ მხოლოდ უკანონობას ვუწევდით წინააღმდეგობას. კანონის წინააღმდეგობა ფიქრადაც არ მოგვსვლია, — მივუხე მე, ბებეს ვუბრძანე, ძაღლები გვერდზე გაეყვანა, და ჭიშკარი გავაღე.

ყველანი რომ შემოვიდნენ, მე და ძმა თადეოზი სიყვარულით მოვეხვით ერთმანეთს.

რაზმის უფროსმა ვითარება სწორად შეაფასა და, როცა მე ციხის ტალანებში შევუძებნი, ძმა თადეოზის გარდა თან მხოლოდ ორი კაცი იახლა.

რაზმის უფროსმა დავითს მთავრის ბრძანება წაუკითხა, ძმა თადეოზმა კი მე და ანტონიოს მამა სებასტიანეს წერილი გადმოგვცა.

მთავრის ბრძანებისა და მამა სებასტიანეს წერილის სიტყვისიტყვით აქ მოტანა საჭიროდ არ მიმაჩნია. მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავ იმ მიზეზებს, რომლებმაც ამ რაზმის გამოგზავნა გამოიწვია და რომლებიც ჩვენთვის ნათელი

შეიქნა ნაწილობრივ ამ მოწერილობათაგან და ნაწილობრივ ძმა თადეოზისა და სხვათა ნაამბობიდან.

სანამ მე და ანტონიო იმაზე ვფიქრობდით, თუ რა გეგმები უნდა ჰქონოდა თავიდან და რატომ არ გვესმოდა თავს, ისა და ეფრემ მღვდელი თურმე მთავრის კარზე მისულან და წერილობითი საჩუქარი მიუტანიათ. საქმე ისე წარმოუდგენიათ — ეს კი ჩვენს თავადს კარგად ეხერხებოდა — თითქოს ავაზაკთა ცნობილი გუნდი, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია მთელ საქართველოში დაუსჯელად დათარეშობდა, ამ ცოტა ხნის წინ კი თავადის სამფლობელოში გამოჩენილა, თავადს ერთიანად გაეციტა, მხოლოდ მეთაური, სახელად დავითი, გასხლტომოდა და აქ მყოფ ორ უცხოელ მოგზაურთან შეეფარებინა თავი. თავადს უცხოელებისათვის დავითი მოუთხოვია, მაგრამ უარი მიუღია, ძალა კი ვერ უხმარია, ვინაიდან უცხოელებს მთავრისაგან შეუვალობის სიგელი ჰქონიათ. აქაურ მცხოვრებლებს, რომლებიც პირდაპირი და სიმართლისმოყვარე ხალხია, თავადის უნებართვოდ მიიწვი მოუნდომებიათ ავაზაკების მეთაური უცხოელებისათვის წაერთმიათ, მაგრამ შეუვალობის სიგელით გათამამებული და თავგასული უცხოელები მათ იარაღით დახვედრიან. ახლა აქაური ბატონი, აქაური მოძღვარი და აქაური მცხოვრებნი მთავარს ევედრებოდნენ, თავისი ხალხი გამოეგზავნა, ავაზაკების მეთაური დავითიც შეეპყრო და უცხოელებიც გაიწვია.

ამგვარად თავადმა და მღვდელმა დაგესწრეს და არა მარტო დამაჯერებელი ვერსია შეთხზეს, რის შემდეგაც ჩვენი სიმართლის დამტკიცება ძალზე ძნელი იქნებოდა, არამედ — რაც ყველაზე უარესი იყო — თავისდაუნებურად შესამიანი ისარი ისეთ მიზანს მოართყვეს, რომელზედაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ: დავითს ეშმაკეულობას სწამებდნენ, საამისოდ მრავალი საბუთი მოჰქონდათ და ბოლოს ვარაუდს

გამოთქვამდნენ, რომ ალბათ ანტონიოსაც (საერთოდ საჩივარში უმდიდრესად ანტონიოზე იყო ლაპარაკი, ჩემს სახელს კი მხოლოდ შიგადაშიგ ახსენებდნენ, რის გამოც ცოტა არ იყოს თავს დამცირებულად ვგრძნობდი) სული ეშმაკისთვის უნდა ჰქონოდა მიყიდული. ანტონიოს წარსული რომ სცოდნოდათ, ამაზე მეტი მზაკვრობა მგონი მაშინაც კი ვერ მოეფიქრებინათ.

მაგრამ ეშმაკეულობის ბრალდება მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით. რაზმის უფროსმა მხოლოდ დავითის შეპყრობის ბრძანება ჩამოიტანა, ძმა თადეოზმა კი მხოლოდ მამა სებასტიანეს წერილი, რომლითაც იგი მე და ანტონიოს უკანვე გვიწვევდა ისე, რომ მიზეზს არ გვატყობინებდა.

რაზმის უფროსმა ჩვენი თხოვნითა და თავისი კეთილშობილებით ავადმყოფობისაგან დასუსტებულ დავითს ხელ-ფეხი არ შეუტრა, მხოლოდ სიტყვა ჩამოართვა, რომ გაქცევას არ შეეცდებოდა.

უკვე შებინდებული იყო, როდესაც ქალაქის გზას დავადექით. ზანგი არავის მოჰგონებია, მაგრამ, ტაფობს კარგა მანიილზე გაედენილებს რომ რამდენჯერმე შაშვის შორეული კახჭახი შემოგვესმა, ჩვენ — დავითი, ანტონიო და მე — მიეხვდით, რომ იგი ჩუმად მოგვეყვებოდა.

დავითი მთელი გზა დუმდა. დასუსტებულს უჭირდა ხანგრძლივად ცხენზე ჯდომა, მაგრამ არ იმჩნევდა და დროდადრო ფარულად იწმენდა ოფლს.

ქალაქამდე ერთად ვიარეთ. ქალაქში რომ შევედით, დავითი მთავრის რაზმმა წაიყვანა, მე და ანტონიო კი ძმა თადეოზთან ერთად ჩვენი მისიის გზას დავადექით. გამოთხოვებისას დავითმა მხოლოდ გავვიღიმა.

მისიაში მისვლისთანავე შევიტყეთ, რომ ანტონიოს (მხოლოდ ანტონიოს, მე — არა) ისევ ეშმაკეულობა ეღებოდა ბრალად. ეს ბრალდება რომ უფიცი თავადისა და ურწმუნო მღვდლის

მოგონილი ყოფილიყო, მამა სებასტიანეს იქნებ ყურადღება არც კი მიექცია, მაგრამ თავადი და მღვდელი იმას იმეორებდნენ, რაც თავის დროზე ინკვიზიციის მიერ დასაბუთებულად ითვლებოდა. ამ გარემოებამ ბრალდება შიშმე და არსებითად გამოუსწორებელ ხიფათად აქცია.

მაშინ მე წინამძღოლს ვეახელი იმ ვარაუდით, რომ ყოველივე შეამბნა და ანტონიოს უღანაშულობაში დამერწმუნებინა.

მაგრამ მამა სებასტიანე ცივად შემხვდა და, როგორც კი თავადისა და მღვდლის საჩივარი ვახსენე, მაშინვე შემაწყვეტინა.

— განა შენ წაკითხული გაქვს ეგ საჩივარი? — მკითხა მშრალად და თვალში თვალიყარა.

— არა, მამაო სებასტიანე, მაგრამ ვიცი, რა ეწერება. მე მაგ თავადსაც კარგად ვიცნობ და მაგ მღვდელსაც. მერწმუნეთ, ერთიცა და მეორეც სულმდაბალია, გაიძვრა და მეუხანათი.

წინამძღოლმა თვლები დახუჭა და გაახილა. მე ვიცოდი, რომ ამით იგი მოუთმენლობას გამოხატავდა ხოლმე, და წამსვე გაეჩუმდი. მაშინ მან წელანდელივით მშვიდად და მშრალად მითხრა:

— ის, რაც უფლის განსასჯელია, უფალს მივანდოთ განსასჯელად. კეთილგონიერებას არ შეჰფერის სხვის თვალში ბეწვის ძებნა. მართლმსაჯულებას, უნდა ვფიქროთ, დააინტერესებს არა მომჩივანთა ადამიანური ღირსებები, არამედ ის, თუ რამდენად შეესატყვისება სინამდვილეს მათ მიერ წამოყენებული ბრალდებანი.

— მე დარწმუნებული ვარ, იმ საჩივარში სიმართლის ნატამალი არ არის!

— თუ საჩივარში სიმართლის ნატამალი არ არის, მაშინ ასაღლევებელიც არაფერი ეოფილა, — ნელა, დინჯად ლაპარაკობდა წინამძღოლი და მისი მშრალი, მონოტონური ხმა ფეხქვეშ თითქოს ნიადავს მაცლიდა, რის გამოც გაცილებით უფრო მეტად ვლელავდი,

ვიდრე სხვა ვითარებაში ავლელდებოდი. — მაგრამ დავანებებოდა თუ არა, ვარს, რაკი იგი სულმდაბალი და გაიძვერა ადამიანების მიერაა შეთხზული. შენ გკითხავ და მიპასუხე. შენ ხომ სიმართლეს იტყვი! სულ რამდენიმე შეკითხვას მოგცემ. ოღონდ მიპასუხე მოკლედ და არსებითად, განმარტებებისა და საკუთარი შეხედულებების დაურთველად. მაშ ასე: მართალია თუ არა, რომ ეგ დავითი ყაჩაღთა გუნდის მეთაური იყო?

— მართალი გახლავთ, მაგრამ...

— „მაგრამის“ გარეშე, — წყნარად შემახსენა წინამძღოლმა: ...

— მართალი გახლავთ.

— ძალიან კარგი, ახლა ეს მითხარი, მართალია თუ არა, რომ ბავშვებსა და ქალებს იტაცებდა და მონებად ჰყიდდა?

— ადრე იტაცებდა და ჰყიდდა. მერე კი პირიქით, ყიდულობდა და ათავისუფლებდა.

— მართალია თუ არა, რომ ადრე ბავშვებსა და ქალებს იტაცებდა და მონებად ჰყიდდა?

მე ტუჩი მოვიკვნიტე.

— დიახ, მართალია.

— ისიც მართალია, რომ ანტონიომ და შენ ადგილობრივ მცხოვრებთ არ დაანებეთ მისი დასჯა?

— ჩაქოლვას უპირებდნენ, მამაო სებას...

— თქვენ კი წაართვით და შეიფარეთ.

— დიახ.

— და კიდევ ერთი შეკითხვა: ვისია ის კუთხე და ის მიწა-წყალი, სადაც ყოველივე ეს მოხდა?

მე თავს ძლივს ვიკავებდი.

— ჭერ უფალი ღმერთის, მერე მთავრის და ბოლოს იქაური თავადის.

— მაშ, ცოტათი მაინც იქაური თავადისაც ეოფილა. შენი და ანტონიოსი კი — არა. ამგვარად, არაერთარი ყურადღება რომ არ მივაქციოთ საჩივარს და მხოლოდ შენი პასუხებით ვიმსჯელოთ, შეგვიძლია დავასკვნათ: სა-

კუთარი მიწა-წყლის გამგებელი ებრა-
ოდა მის მიწა-წყალზე მყოფ ყაჩაღს
და თქვენ — უცხოელებმა, სტუმრებმა
— ამ ბრძოლაში ყაჩაღის მხარე დი-
ჭირეთ.

მე საბოლოოდ ავლელდი.

— ეგ ყაჩაღი, მამაო სებასტიანე,
ათასჯერ უფრო კეთილშობილია, ვიდ-
რე ის სულმოკლე და ლაჩარი თავადი,
რომელსაც, როგორც ვხედავ, მართლ-
მსაჯულება ქომავალ დადგომას უბი-
რებს!

წინამძღოლმა ხელისგული დაკრა მა-
გიდას და ზეზე წამოიღვა. მეც ავდექი.
პირველად და უკანასკნელად მაშინ
ვხახე, რომ სიმშვიდემ უღალატა. მაგ-
რამ ეს მხოლოდ ერთი წამით მოხდა.
როცა ლაპარაკი დაიწყო, კვლავ ძვე-
ლებურად დამცხრალი იყო, მშრალი და
აუღელვებელი.

— იმის მიხედვით, თუ გულში რა
გვიდევს, უფალი ღმერთი სჯის. მარ-
თქმისაჯულება კი იმის მიხედვით
სჯის, თუ რას ჩავდივართ. სასწორზე
არა ანტონიოს ბედი, არამედ ჩვენი
ქვეყნისა და ჩვენი მისიის კეთილი
სახელი. როცა აგორებდით ლოდს, მა-
შინ გეფიქრათ, რომ, სანამ ხევში არ
ჩავარდებოდა, ვეღარ შეაკავებდით.
ჩვენ კი უფლება არა გვაქვს აქაურებს
იმის მიზეზი მივცეთ, ჩვენს ქვეყანაზე
კუდი იფიქროს! თავისუფალი ხარ!

მაღე ხმა დაირხა, წინამძღოლი ან-
ტონიოს სასამართლოს გამართვას უბი-
რებსო. მართალია მე ეს არ დამიჯერე-
ბია, რადგან ეჭვი შეპარებოდა, რომ
მამა სებასტიანეს ამის უფლება ჰქო-
ნოდა, მაგრამ მაინც შეშინებული ვი-
ყავი. ანტონიო ამ ამბავს მშვიდად შე-
ხვდა. საერთოდ მშვიდად იყო. მხო-
ლოდ დავითის ბედი აწუხებდა და ამ
საგანზე. რამდენჯერმე ლაპარაკიც და-
მიწყო, რამაც კიდევ უფრო განმიმტკი-
ცა განზრახვა, რომელიც ადრევე მქო-
ნდა გულში ამოჭრილი: მთავრისათვის
დარბაზობა მეთხოვა და დავითი შემე-
ვედრებინა.

მისიაში მე და ანტონიო ერთ ოთახში

დაგვაყენეს, რომელშიაც უჩვეუნდა გარდა
ამა თადეოზიკ იდგა. მამის სმისსმისს
ყურადღება არ მიმიქცევია და აზრად არ
მომსვლია, თავი ტუსაღად მიმიჩნია,
ამა თადეოზი კი მეთვალყურედ, მაგრამ
სასახლეში წასვლა რომ დავაპირე,
უცებ გამოირკვა, რომ თურმე ქალაქში
გასვლის ნება არა მქონდა. აღშფოთებუ-
ლმა მამა სებასტიანესთან შეხვედრა
მოვითხოვე. მამა სებასტიანე მაშინდე-
ლივით ცივად შემხვდა და, როდესაც
ჩემი უკმაყოფილება მოვახსენე, უბოლ
ამოიღო და მაჩვენა ის საბუთი, რომ-
ლითაც განუსაზღვრელი უფლებები
ჰქონდა მინიჭებული და რომელიც ერ-
თხელ მგონი უკვე ვახსენე. მაშინ იძუ-
ლებული შევიქენი მეც ჩემი მხრივ
(ამას ყოველთვის ვმალავდი, მაგრამ ახ-
ლა, როდესაც ძველი ხელისუფლება
კარგა ხნის შეეცლილია, დამალვას ახ-
რი აღარა აქვს) ჩემი საიდუმლო სიგე-
ლი ვაჩვენე, რომელიც წამოსვლის წინა
დღეს მომცეს სასახლის კარზე და რო-
მლის მიხედვით მთელი ამ მოგზაურო-
ბის განმავლობაში უფლება მქონდა
ჩემი შეხედულებისამებრ შემოქმედა და
არავისთვის ანგარიში არ ჩამებარებინ-
ა. მამა სებასტიანემ სიგელი დათვა-
ლიერა, ოდნავ გაფითრდა და უბოლ
დამიქნია თავი.

რამდენიმე დღის შემდეგ მთავარმა
მიმიღო. ძველი მეგობარივით შემხვდა
და. ყურადღებით მომისმინა. რომ მო-
ვთავე, გაიღიმა. გაიღიმა ნაღვლიანად,
უმისამართო დაცივით, და მითხრა:

— კაცი რომ სიმართლის გზას მია-
გნებს, მისი შველა უკვე ძალიან ძნე-
ლია. — აქ ცოტა ხანს ჩუმად იყო, მე-
რე ნაღვლიან-დამციანი ღიმილი უე-
ცრად გულშია, ნათელი ღიმილით შე-
ეცვალა, მხარზე მეგობრულად მომი-
თათუნა ხელი და დაუმატა, — რაც
ერთ საწყალ მთავარს შეუძლია, ვეც-
დები. ეგებ მოვახერხო რამე.

რომ ეცდებოდა, ამაში დარწმუნებუ-
ლი ვიყავი, მაგრამ შეძლებდა თუ არა, ეს
კი ძნელი სათქმელი იყო.

მართლმსაჯულება კი ამასობაში აქეთ

ანტონიოს ბედს წყვეტდა, იქით დავითისას. მაგრამ თუ დავითის ბედი, ასე თუ ისე, წინდაწინვე გარკვეული იყო, ანტონიოს საქმეში მამა სებასტიანეს მრავალი თავსატეხი გაუჩინა. თავიდან მის იმედი ჰქონდა, ანტონიოს დავითთან ერთად გაასამართლებდნენ (ეტყობა, სწორედ ამგვარ შესაძლებლობას გულისხმობდა, როდესაც ერთხელ გემზე მითხრა, იქ მფარველები არ ეყოლებათ), მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უცხოელის თავიანთ სასამართლოში მიცემა მართებულად არ მიიჩნია და ანტონიოს საქმე მამა სებასტიანეს მიანდო. სინამდვილეში ეს დიპლომატიური ნაბიჯი იყო, ერთგვარი პოლიტიკური თავაზიანობა, რომელიც ჩვენი მხრიდანაც შესაფერის თავაზიანობას მოითხოვდა. ამგვარ ვითარებაში წინამძღოლმა ყველაზე გონივრულად მიიჩნია, მთავარის კართან შეუთანხმებლად არაფერი გადაეწყვიტა. ამ მიზნით რამდენჯერმე ეწვია კათალიკოსსა და მთავრის ზოგიერთ მაღალი ჩინის მოხელეს. ერთი-ორჯერ ანტონიოც თან იახლა. საბოლოოდ საიდუმლო სასამართლო გამართა და ანტონიოს კვლავ კოცონზე დაწვა გადაუწყვიტა. მაგრამ, რაკი ამ სასამართლოს კანონიერი უფლებამოსილება არ გააჩნდა, განაჩენი წინასწარი იყო, სავარაუდოდ და არა საბოლოო. ამიტომ, განაჩენი რომ გამოიტანა, სასამართლომ ისიც დაადგინა, რომ ანტონიო სამშობლოში გაგზავნილიყო, რათა საბოლოო განაჩენი წმინდა ინკვიზიციის სამსჯავროს გამოეტანა. ანტონიოსთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო მმა თადეოზი, რომელიც თან წაიღებდა სასამართლოს ოქმს, ბრალდებათა ნუსხას, საჩივრის ასლს, სავართოდ, ანტონიოს მთელი საქმიანობის აღწერას და აგრეთვე მამა სებასტიანეს პირად ეპისტოლეს მისი უწმინდესობის მიმართ. მმა თადეოზსვე ევალებოდა ინკვიზიციის სამსჯავროზე მოწმედ გამოსვლა.

ეს ყველაფერი ანტონიომ მამამო.

მამამო მშვიდად. წყნარად მსუბუქდებლად. მერე დასძინა: *ЗЫЗЛУИТИМЪ*

— მაგრამ მამა სებასტიანეს შიში აქვს, რომ, რაკი ჩემი დასჯის ამბავს აქაური ხელისუფლება ვერ შეიტყობს, შეიძლება ამან არასასურველი მითქმამოთქმა გამოიწვიოს. ამიტომ მთავრის კართან და კათალიკოსთან შეთანხმებით არჩევანის წინაშე დამაწყენეს: თუ დავთანხმდები, აქვე მივიღო სასჯელი — ოღონდ ჩემი ნებით და არა სასამართლოს გადაწყვეტილებით — კოცონზე დაწვას საწამლავით შემიცვლიან.

მე შევეკრით.

— მერე?

— უარი ვუთხარი. — ანტონიო ისე ლაპარაკობდა, თითქოს რაღაც უმნიშვნელო, უბრალო საგანზე მსჯელობდა, — ჯერ ერთი. უცხო ქვეყანაში სიკვდილს სამშობლოში სიკვდილი მირჩევნია, მეორე, ჩემი ნებით საწამლავის მიღება არა მგონია ღვთის წინაშე მართებული საქციელი იყოს, მესამეც, რაც მთავარია, რაკი საშუალება მომეცა, მოვალე ვარ სწორედ ის სასჯელი დავიდო, რაც თავის დროზე სულმოკლეობის გამო ავირიდე.

მეც ის მერჩინა, ანტონიო სამშობლოში გამგზავრებულიყო, ოღონდ სულ სხვა მიზეზით: მართალია მცირე, მკრთალი, უღიმღამო, მაგრამ მაინც იძუდი მქონდა, ეგებ მეგობრებმა და ნათესავებმა კიდევ ერთხელ გადააჩინონ-მეთქი... თუმცა ვინ იცის, იქნებ ეს იმედი კი არ იყო, არამედ კაცის ბუნებაში ღრმად ჩამალული ეგოიზმი, რომელიც საკუთარ სიმშვიდეს უფროთხილდება და ურჩევნია ძვირფასი ადამიანის სიკვდილი თავისი თვალით არ ნახოს...

გემი, რომლითაც ანტონიო და მმა თადეოზი უნდა გამგზავრებულიყვნენ, სამი კვირის შემდეგ გადიოდა.

დადგა მოლოდინის მძიმე, აუტანელი დღეები. მე გულამღვრეული დავდიოდი და ადგილს ვერ ვპოულობდი, ანტონიო მშვიდად იყო, დილა-საღამოს ხანგრძლივად ლოცულობდა, გასამგზავ-

ვრებლად ემზადებოდა და ყოველნაირად ცდილობდა მეც დავემშვიდებინე. დავითის ამბავი კი, ისე როგორც მე, მასაც ძველებურად აწუხებდა, მაგრამ არც მე და არც მას უკვე აღარაფერი შეგვექლო: (ხელმოვრედ ხომ ვერ მივიღოდი მთავართან!

ასე გავიდა რამდენიმე დღე. ერთ ღამეს, როდესაც ბილის წინ ეზოში ვსერილობდი, ღობის გადაღმიდან უეცრად შაშვის ქაპუხი მომესმა. შევეკრთი და გული ისე შემიტოკდა, ლამის ბუდიდან ამოვივარდა. ფრთხილად მიმოვიხედე და, რა დავრწმუნდი, ახლო-მახლო არავინ იყო, იქით გავეშურე, საიდანაც ხმა შემომესმა, სანამ სულ ახლო არ მივედი, მანამ ვერ გავარჩიე ბნელ ღამეში შავად მბზინავი ბებე.

— ბებე! — ვუთხარი ჩურჩულით, თან მღელვარებას ვერ ვმაღავდი, — აქ საიდან გაჩნდი?

— ბებემ იცის! — ჩვეული სიამაყით მომიგო მან და თეთრი კბილები გამოაჩინა, მერე ხმას უფრო დაუწია, — თეთრმა ბატონმა ბებეს უთხრას: მართალია თუ არა, რომ თეთრი ბატონის ამხანაგს სიკვდილი ელის?

ცოტა ხნის შემდეგ უკვე კარგად ვიცოდი, თუ რა პასუხი უნდა მიმეცა ამ კითხვაზე, რადგან ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი ნათელი შეიქმნა, მაგრამ მაშინ ვერ გავითვალისწინე, თუ რამდენი რამ იყო დამოკიდებული ჩემს პასუხზე. ანტონიოს განაჩენი გონებიდან არ ამომდიოდა. ზოგჯერ შემადრწუნებელი სიცხადით ვხედავდი ავად მოლაპლავე, გველივით დაკლავნილ ცეცხლის ენებს და უილაჯობის ტყვილი, რომელიც ყველა ტყვიელზე უმწვავესია, მთელ სხეულში შანთივით მივივლიდა. ახლაც, ბებემ რომ ანტონიოს სიკვდილი ახსენა, გული ჩამეთუთქა და დანადგლიანებულმა უანგარიშოდ მიეუფე:

— მართალია, ბებე.

— თეთრი ბატონის ამხანაგი ცეცხლში უნდა დაწვან? — შეშინებულნი და

თან დაეკვებულნი კილოთი მკითხებენ.

— პო, ბებე, — დავუღმარე მთაზე ბუნდოვნად გამოარა გაკვირვებამ იმის გამო, რომ ბებემ ამდენი რამ იცოდა.

ბნელ ღამეში ზანგის თვალებმა წამით ნაკვერჩხლებივით იელვა.

— მაშ ბებეს ბატონი უშველის თეთრი ბატონის ამხანაგს!

აი, ამ დროს მივხვდი, თუ რა პასუხი უნდა მიმეცა ბებეს პირველ შეკითხვაზე! მთელი ჩემი დიპლომატიური გაწაფულობა, რასაც უხვად ეხარჯავდი ჩემი ქვეყნისა თუ სხვა ქვეყნების მაღალ-მაღალი ჩინის მოხელეებთან, თურმე იმისთვის მქონია მონიჭებული, რომ ახლა გამომეყენებინა, ამ უბირ ზანგთან საუბარში. მე კი ამას დროზე ვერ მივხვდი და ისეთი შეცდომა ჩავიდინე, რომლის გამოსწორება უკვე შეუძლებელი იყო.

— განა შენი ბატონი სატუსალოში არ არის? — გაიკვირა მე.

— ბებეს ბატონი სატუსალოდან გამოვა! — ამაყად მიპასუხა ბებემ.

— როგორ გამოვა? — ანგარიშმიუცემლად ვკითხე და სადღაც, გონების მიღმა, სინანული გამიკრთა მთავართან ამასწინანდელი დარბაზობის გამო.

— ბებემ იცის! — თქვა ბებემ. ხოლო როცა ბებე იტყოდა, ბებემ იცისო, იქ სალაპარაკო აღარაფერი იყო.

— არა, ბებე, — ვუთხარი მე, — ანტონიოს არ სურს... — აქ ენა დამება და გულში შიშმა გამიარა. არა. ანტონიოს რომ არ სურდა, ეს ცხადი იყო და ამაში ეჭვის შეტანა ჩემი მხრივ მკრეხელობა იქნებოდა, მაგრამ მე მჭონდა უფლება მეთქვა, არ სურს-მეთქი?

— ბებე კიდევ მოვა, — დამიბარა ამ დროს ბებემ და, ვიდრე რამეს მოვისახრებდი, გაქრა.

აღელვებული ერთხანს კიდევ დავაბიჯებდი ეზოში, მერე, ცოტა რომ დავმშვიდდი, ოთახში შევედი, მაგრამ ძმა თადეოს არ ეძინა და ამიტომ ანტონიოს მხოლოდ მეორე დღესღა ვუთხარი ბებესთან შეხვედრის ამბავი. ანტონიო შემფოთდა, საყვედურიც კი წასცდა

ჩემი წინდაუხედაობისა და აჩქარების გამო. ბოლოს გადაწყვიტეთ, თუ ზანგი ისევ მოვიდოდა, როგორც შემპირდა, ერთად შევხვედროდით და დავითისთვის მკაცრად შეგვეთვალა, განზრახვაზე ხელი აეღო.

სამი დღის შემდეგ, შუალამის ხანს, მართლაც კვლავ გაისმა შაშვის ქაბ-ქახი. მე და ანტონიო უჩუმიად გამოვედით ოთახიდან და ფრთხილად გავწიეთ ლობისაკენ. ჩვენდა გასაკვირველად ზანგთან ერთად იქ ახლა დავითიც დაგვხვდა. დღესაც არ ვიცო, დავითის განთავისუფლების მიზეზი მთავართან ჩემი დარბაზობა იყო თუ ბებეს მოხერხებულობა.

დავითი უგუნებოდ იყო. ქუშად მოგვესალმა და, როგორც კი სალამი მოათავა, მაშინვე დაადასტურა ის განზრახვა, რაც ამას წინათ ზანგის პირით შემოთვალა. უკვე ყველაფერი დაწყებულიებით იცოდა: სამსჯავროს გადაწყვეტილებაც, გემის გასვლის დღეც, ანტონიოს აქედან გამგზავრების დროც. ყველაფერი იცოდა და გვემაც დაწყობილი ჰქონდა. ანტონიო სწორედ გემზე ასვლის წინ უნდა გაეტაცა.

ანტონიომ ფიცხლად, გადაჭრით, ცოტა მკაცრი და მბრძანებლური კილოთიც კი, უარი თქვა დავითის გეგმაზე. ჩემზე ზრუნვა შენი საქმე არ არის, შენ ის გირჩევიან, შენს სულზე იზრუნო.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთის პასუხის შემდეგ დავითი იძულებული შეიქნებოდა თავის განზრახვაზე ხელი აეღო, მაგრამ მოვტყუვედი. ანტონიოს პასუხი რომ მოისმინა, ერთხანს ჩუმად იყო, მერე ნაღვლიანი, მაგრამ რაღაც უცნაურად ჭიუტი და გაუტეხელი კილოთი უთხრა:

— რაც არ უნდა თქვა და როგორც არ უნდა გაწყრე, ჩემს განზრახვას მაინც ავასრულებ. მე შენგან მოთმინება კი ვისწავლე, მაგრამ იმასაც ვხედავ, რომ ამ ქვეყნად ცოდვილს ისე არ დევნიან, როგორც უცოდველს.

ანტონიომ, რა დაინახა, დავითის სიჭიუტეს ვერ გატეხავდა, ეშმაკობას მი-

მართა: ჩემს დასჯას ვერ გაბედავენო, უთხრა, განაჩენი მხოლოდ შესაწყენებლად გამოიტანეს, თორემ ჩემი შეგობრები და ნათესავები ჩემს თავს ასე იოლად ვის დაანებებენო.

ზნელი ღამე კი იყო, მაგრამ მაინც შევამჩნიე, ამის გაგონებაზე როგორ გაიმართა უეცრად დავითი, როგორ გაშალა მხრები და როგორ დაუბრუნდა ძველებური ლალი სიამაყე. და რაღაც ნაირი კილოთი, რომელშიაც ერთსა და იმავე დროს უქმეხობაც იყო და სიმწყარეც, თქვა:

— რა უამური სანახაობა ყოფილა, შენისთანა კაცი რომ ცრუობს! მე ჩემსას ვიზამ.

ესა თქვა, გატრიალდა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. ბებეც მყისვე უკან მიჰყვა.

ამ ამბავმა ანტონიო მძიმე საგონებელში ჩააგდო. შფოთავდა, წრილებდა, თავს იმტვრევდა, რომ რამე გამოსავალი ეპოვა, მაგრამ ვერაფერი მოეხერხებინა. დარწმუნებული იყო, ერთხელ კიდევ რომ ენახა დავითი, განზრახვაზე ხელს ააღებინებდა, მაგრამ სად უნდა ენახა! თავისით თუ გამოჩნდებოდა, თორემ მისი ასაველ-დასავალი არათუ ჩვენ, ქვეყნად აღბათ არავინ იცოდა.

მე, გამოტეხილი უნდა ვთქვა, გულის სიღრმეში მიხაროდა დავითის მტაცე და ჭიუტი გადაწყვეტილება. მგონია, რომ მოვალეობაც მესმის რა არის და ზნეობრივი ტანჯვაც, მაგრამ იმის ფიქრი, რომ შესაძლებელი იყო ანტონიო სიკვდილს გადაარჩენოდა, ყველაფერს მაიფიქებდა.

ცხადია, ამ ჩემს სიხარულს საგულ-დაგულოდ ვმაღავდი და ყოველნაირად ვცდილობდი, არ დამტყობოდა.

რაც უფრო ახლოვდებოდა გამგზავრების დრო, ანტონიოს მღელვარება მით უფრო იზრდებოდა.

გამგზავრების წინა დღეს ლოგინიდან გაფთვრებული და დაღლილი ადგა. მთელი ღამე თეთრად გაათენა. არ ბორავდა, არ წრილებდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ არ ეძინა.

ნასაუზმევს მამა სებასტიანე ინახუ-
ლა. იქიდან მობრუნებული შუადღემდე
მთვარეულივით იყო. დაბნეული მიმო-
დიოდა, ფიქრებით საღლაც სხვაგან
იწყობებოდა, რამეს რომ ვეტყოდი,
სამ-ოთხჯერ მაინც უნდა გამემოკრე-
ბინა, რომ გაეგო. გეგონებოდათ სული
უკვე გაკლოდა და სხეული ბედის ანა-
ბარა დარჩენილიყო. მე რა თქმა უნდა
ყოველივე ამას ხვალინდელ გამგზავ-
რებასა და დავითთან გარდაუვალ შეხ-
ველრას ვუკავშირებდი და ფიქრადაც
არ მომდიოდა. ამ დროს თუ უკვე სულ
სხვა გადაწყვეტილებას დაადგომოდა.

ნაშუადღევს დამიძახა და საუბარი
გამიბა. მამა თადეოზი ამ დროს ოთა-
ხში არ იყო. ერთხანს მესაუბრა, მერე
სკივრი გახსნა, იქიდან დავითოსეული
ვერცხლის ქამარ-ხანჯალი ამოიღო და
გამომიწოდა.

— ეს შენი იყოს, ბართოლომეო.

მე უიკრძენი, რომ ფერი წამივიდა.

— რატომ? შენ გაჩუქა და შენია.
თან წაიღე.

— რომ წავიღო, ვის დავუტოვო?
დავითოსეული ნივთი ან მე უნდა მიქო-
ნდეს, ან შენ... — და უცებ დაუმატა,
— დავითს გაუფრთხილდი.

ამ დროს განაყოფიერებით ნათლად
და მწვავედ ვიკრძენი, საღ და რისთ-
ვის მიდიოდა, და გული მომეწურა, მა-
გრამ შევეცადე სიმშვიდე შემენარჩუ-
ნებინა. ქამარ-ხანჯალი ჩამოვართვი და
შევიწაღე.

თითქმის ორი საათი კიდევ ვისხედით
და ვსაუბრობდით. ეს საშინელი საათე-
ბი იყო.

ამასობაში მოსაღამოვდა. ოთახში მამა
თადეოზი შემოვიდა და მითხრა, მამა
სებასტიანეს შენი ნახვა სურსო. მამა
თადეოზს ხელში სურა და მომცრო
ფალა ექირა.

მამა სებასტიანემ ზოგადი საუბარი
გამიბა. მე ეს არ გამყვირებია. ვიფი-
ქრე. ეტყობა რაღაც მნიშვნელოვანი
აქვს სათქმელი და, როგორც ჩვევია,
მორიდან უვლიან-მეთქი. წუნარად ვე-
საუბრებოდი და ველოდი, როდის გა-

დავიდოდა საქმეზე, თან ანტონიოზე
ვფიქრობდი.

გარეგნული

დაახლოებით ნახევარსამსაღამოს
ხელით ასე. უცებ კარი გაიღო, მამა თა-
დეოზი შემოვიდა და მდუმარედ მია-
ჩერდა მამა სებასტიანეს. მე მაშინ ფი-
ქრით არაფერი მიფიქრია, მაგრამ, მამა
თადეოზის სახე რომ დავინახე, რაღაც
უცხო, გაუგებარა შიშმა ტანში ერთ-
ანტივლივით დამიარა.

მამა სებასტიანე წამოდგა და უხ-
მოდ გაემართა კარიკენ. მე და მამა
თადეოზი უკან გაყვევით.

ანტონიო გულაღმა იწვა თავის ტა-
ხტზე. მამა თადეოზს მისთვის თვალე-
ბი დაეხუქა და სულარა გადაეფარები-
ნა. სურა და ფილა გაეტანა.

მამა სებასტიანემ პირქვეარი გადაიწე-
რა და თავი დახარა.

მეორე დღეს დილიდან საღამომდე
აშკარად ვგრძნობდი — გულით, გო-
ნებით, მთელი სხეულით, ყოველი ასო-
თი, იყე მკაფიოდ და ცხადად, თითქოს
თვალთ ვხედავდი და ხელით ვეხებო-
დი — რომ აქვე, ახლომახლო, უჩინრად
და უხილავად ტრიალებდა ბებე. ზოგ-
ჯერ აწრავდა მივებრუნებდი თავს იქი-
თკენ, სადაც მეგულებოდა, და მივი-
რდა, რომ ვერ ვამჩნევდი.

დასაფლავების წინა დღეს, დილა-
დრიან, როდესაც მზე ის-ის იყო ამო-
ვიდა და ირგვლივ სითბოს გამაბრუნე-
ბელი სუნი დატრიალდა, უეცრად
ფლოქვეების ხმა მოისმა და წამის შემ-
დეგ ღია ჭიშკარში ისარივით შემოვა-
რდა მხედარი. ეზოში ამ დროს რამდენ-
ნიმე კაცი ფუსფუსებდა. ისინი დავითს
არ იცნობდნენ, ამიტომ მოულოდნე-
ლობისაგან გაშეშებულები ისეთი სა-
ხით მიაჩრდნენ. მგონი არც კი ეჭე-
რათ, რომ ხორცშესხმულ ადამიანს ხე-
დავდნენ. დავითი თეთრ ცხენზე იჯდა,
ძველებურად ლარივით გამართული,
მთელი ტანით სულ ოდნავ უკან გადა-
ხნივქილი და ცოტა გვერდზე შებრუნე-
ბული. ალისფერი, გულგაღვლილი ახა-
ლუხი ეცვა, შუბლზე ოქროსფერი კუ-

ლულები ეყარა და განრისხებულ ღვთაებას ჰგავდა.

ხედ შენობასთან ცხენი მოწყვეტით შეაყენა, სწრაფად ჩამოხტა, თვალით მომძებნა, ჩქარი ნაბიჯით მოვიდა, მარჯვენა ხელი მარცხენა მაჯაში ისე ჩამავლო, სისხლმა მოძრაობა შეწყვიტა, და მკითხა:

— სად არის?

— წამოდი, — მიუხედავად მე და ანტონიოს ოთახისკენ გავუძებნი.

ყველანი, ვინც კი ამ ამბავს შეესწრო, ჭერაც გახევებულები იდგნენ და გონს ვერ მოსულიყვნენ.

ანტონიო მძინარეს ჰგავდა.

თავით ორი ბერი უჯდა, რომელთაც ფეხის ხმაზე თავი ასწიეს და, დავითი რომ დაინახეს, პირჯვარი გადაიწერეს.

დავითი ანტონიოს დააკვირდა. დიდხანს დასცქეროდა უხმოდ. რას ფიქრობდა, ძნელი გამოსაცნობი იყო, რადგან გაქვავებულ სახეზე ძარღვი არ უტოკავდა. ბოლოს გამოტრიალდა. მეც გამოვყევი. კარის ზღურბლს რომ მივატანეთ, წყნარად, მაგრამ ისეთი კილოთი, თითქოს გარინდებულ ჰაერში მათრახმა გაიტაკაუნაო, მითხრა:

— არაფერი დამიმალაო, ბართოლომეო.

ანტონიოს სიკვდილის შემდეგ გონებაში ყველაფერი არეული და აბურღული მქონდა. სული მიწუხდა და ერთიანად შეძრული ადგილს ვერ ვპოულობდი. ძნელია ასეთ დროს კაცს მოსთხოვო საღად იმსჯელოს და ზუსტად განსაზღვროს, რა მართებულია და რა უმართებულო. სხვას, ჩემზე უფრო გამოცდილს, ეგებ მოეხერხებინა კიდევ ავი სიმართლე ტკბილი ტყუილით შეელამაზებინა, მაგრამ მე ვერ მოვახერხე და ყველაფერი ისე ვუამბე, როგორც იყო. ვუამბე, რომ ანტონიომ უკანასკნელ წამს გადაწყვეტილება შეიცვალა და საწამლაგის დაღვევა არჩია, რათა ამით დავითისთვის მისი გატაცების საშუალება მოესპო და ახალი ცოდვისგან ეხსნა.

დავითი მდუმარედ და თითქოს მშვიდად მისმენდა. პასუხი არ მღუფღუფებდა მოდ ჩაავლო ხელი ცხენის სადავეს და ნელი ნაბიჯით გაემართა ჭიშკრისაკენ, სადაც, ღობის გადაღმა, ბებე ელოდა. ჭიშკარს რომ მივეუახლოვდით, მაშინლა ამოიღო ხმა. შეჩერდა, მაგრამ ჩემკენ არ მოუხედავს, ისე თქვა ნელა, დაფიქრებით:

— იქნებ ყოველივე სიცხიანის ბოდვაა?! იქნებ არაფერიც არ არსებობს?! იქნებ მთელი ქვეყანა მძიმე სენითაა შეპყრობილი და ყველაფერი — ცოდვა, მადლიც, სიცოცხლაც, სიკვდილიც, ღმერთიც, სახარებაც, ცხადიც, სიზმარიც — ყველაფერი მხოლოდ სნეული გონების მოლანდებაა?!

— არა, დავით, — მიუხედავად მე და ვიგბენი, როგორც გადმომედო მისი ტყვილი, — რასაც შენ ამბობ, ეს სასოწარკვეთილების ხმაა და არა სიმართლე. კაცის გონება მძიმე სენითაა შეპყრობილი, მაგრამ ეს სენი არც უმიზეზოა და არც საბედისწერო. ადამიანი სამყაროს პარმონიიდან ამოვარდა და მარტო დარჩა. უკვე მრავალი საუკუნეა გაწირული მეცადინეობით ღამობს, კვლავ იმ პარმონიას შეუერთდება. ადრე თუ გვიან შეუერთდება. მანამ კი ცოდვა-მადლის ტრიალი მუდამ განუკითხაობად მოგვეჩვენება.

— მაშ, ანტონიო მართლა მკვდარი ყოფილა... — თქვა უცებ დავითმა და გაჩუმდა, თითქოს პასუხს მოეღიწო. მერე, მცირე დუმის შემდეგ, მკვეთრად მოატირიალა თავი, თვალთ თვალში გამოყარა და განაგრძო, — შენ ძალიან ჭკვიანი კაცი ხარ, ბართოლომეო, და იქიდან, რასაც მეუბნები, ბებერი რამ არ მესმის. მაგრამ თუ ყველაფერი მართლა ასეა არეული, მე როგორღა გავარჩიო ავი და კარგი?

— ავი და კარგი იმთავითვე გარჩეულია, რადგან ღვთით მონაბერი სული ყოველ კაცში სუფევს. როცა შენ ავს იქმოდ, განა იმიტომ იქმოდ, რომ ავი და კარგი ერთმანეთისგან ვერ გავარჩიო! მაშინაც ისევე იცოდი, როგორც

ახლა იყო. ავი რა არის და კარგი რა არის, მაგრამ გარჩევა ადვილია. არჩევა კი ძნელია. არჩევაზე რომ მიდგება საქმე, მაშინ ვიბნევით, რადგან გულის-თქმა ეშმაკისგან გვაქვს.

კიშკარს გავცდით. დავითი და ბებე ცხენებზე შესხდნენ და წასასვლელად მოემზადნენ.

— როცა ცოდვა-მადლი განუეითხა-ობად გვეჩვენება, ბართოლომეო, სინაართლის გზა ალბათ შურისძიება უნდა იყოს.

ამ სიტყვებით ცხენს ქუსლი ჰკრა და მალე ორვენი თვალს მიეფარნენ.

იმ დღეს დავითს უკანასკნელი სიტყვები რამდენჯერმე გამახსენდა. და რაც უფრო ხშირად მახსენდებოდა, მით უფრო მიპყრობდა ეჭვი, რომ მათ რაღაც საშიში და საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ეჭვს კიდევ მეტად მიმტკიცებდა ის გარემოება, რომ დავითის გარეგნობა მოულოდნელად იავე ძველებური გახდა.

ღამე ცუდად შეძინა. დილით აფორიაქებულმა გავიღვიძე. გონებაში დავითის სიტყვები მიტრიალებდა და შიში და მღელვარება თანდათან მემატებოდა. ბოლოს, ანტონიოს ნათქვამიც რომ გამახსენდა — დავითს გაუფრთხილდით — დასაფლავებას აღარ დაველოდე და გზას გავუღდექი.

შეუსვენებლად მივაქროლებდი ცხენს და ნაშუადღევს ტაფობს მივაღწიე. ქედზე რომ გადავდექი, მკირე ხნით შეეჩერდი და იქაურობა მოვათვალიერე. ავი წინათგარბობა გულს მიღრღნიდა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შევაპჩნიე და ცოტა დავმშვიდდი. სოფელს შორიდან შემოვუარე, რომ არავის შევფეთებოდი, და პირდაპირ დავითის ციხისაკენ გავწიე.

კიშკარი ღია იყო. ეზოში ჭორი ება. ჭორის დანახვა აქ, ეშმაკისა და დავითის ციხეში, იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სახტად დარჩენილი ერთხანს უაზროდ მიეჩერებოდი. სანამ რამეს მოვიანზრებდი, ციხის კარი გაიღო და ვიღაც უცხო კაცი გამოვიდა. გრძელი

ანაფორა ეცვა, კისერზე მოზრდილი ჯვარი ეკიდა. შუა ტანისა იყო, გამხდარი, მაგრამ მკერძი და ძეგლმსხვილი. შავი თმა-წვერი ჰქონდა და მშვიდი, თაფლისფერი თვალები, მე რომ დამინახა, შუბლი ოდნავ შეიკუმხნა და ყურადღებით დამაკვირდა. ბოლოს თქვა — ბართოლომეო უნდა იყოთ...

— ბართოლომეო გახლავართ, — გაცვირვებით დავედასტურე მე და ციხის მაღალ კარს გავხედე, რომელიც მან ღია დატოვა, — თქვენ...

— მე მღვდელი ვარ. ერთი კვირაა, რაც ამ მხარეში გამოამწყესეს. დავითს თუ ეძებთ, დავითი აქ არ არის.

— მაშ სად არის?! — დაუფიქრებლად, უანგარიშოდ აღმომხდა.

მღვდელმა შემომხედა. მისი თაფლისფერი თვალების მშვიდ მზებში წამით რაღაც ინტერესი გაკრთა. მერე ეს ინტერესი ისევ გაქრა და წყნარად მიპასუხა:

— არ ვიცი... — აქ თვალი ამარიდა. ერთხანს ჩუმად იყო. მერე განაგრძო, — გუშინ ნაშუადღევს გამოჩენილა. მე არ მინახავს, სხვებმა მითხრეს. ღამით ისევ გამქრალა. — აქ კიდევ ერთხელ შემომხედა და წამით შეყოვნდა. მერე თვალი არ მოუშორებია, ისე დაატანა, —თავადი და მღვდელყოფილი ეფრემიც გაქრნენ.

მე გამაყრეოლა და თვალწინ წარმომიდგა დავითი — თეთრ ცხენზე ამხედრებული, ალისფერი, გულგაღმდიანი ახალუხით, ბეჭებგანიერი და ოქროსკულულებიანი, ლარივით გამართული, მთელი ტანით სულ ოდნავ უკან გადახნილი და ცოტა გვერდზე შებრუნებული; წარმართული ღვთაება, ამაყი; პირგამეხებელი, შურისმაძიებელი.

ერთხანს ჩუმად ვიყავით.

— ახალციხეში წაიყვანდა, — ვთქვი ბოლოს.

— მეც ეგრე ვივარაუდე, — მიპასუხა მღვდელმა და თაფლისფერი თვალები მშვიდად შემომანათა, — ერთი პირობა დავაპირე, მღვდარი დამედევნე-

ბინა, მაგრამ მერე ისევ გადავიფიქრე. მე უკვე მთელი კვირაა აქა ვარ და აქაურობის გაცნობაც მოვასწარი. წყნარი ხალხია, ლეთისმოსში და სამართლიანი... ან კი რა აზრი ჰქონდა მღვდლის დადევნებას... — ეს რომ თქვა, პირველი გადაიწერა, — ღმერთო, შემინდე ცოდვის, ხალხმა მგონი შევებით ამოისუნთქა... — ამ სიტყვებით ნელა, მძიმედ გადაიქნია თავი, — ჯერ სადა ვართ... ჯერ სიმართლაც ისევე მოითხოვს სისხლს, როგორც უსამართლობა...

ერთხანს კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მერე, მღვდელი რომ თავისი ჭორისკენ გაემართა, ვკითხე:

— აქ ამოსვლა მართომ როგორ გაბედეთ?

— რატომ? — გაუკვირდა მას, — ძაღლები თავადის ბრძანებით ადრევე დაუხოციათ.

— დავითს რომ გადაყროდით?

მღვდელმა შემომხედა და რამდენიმე წამის განმავლობაში თვალმოუწორებლად მიყურა. მერე წყნარად მკითხა:

— განა დავითი საშიშია? — და მცირე დუმილის შემდეგ დაატანა, — აქაურები თბილად დასიყვარულით გიგონებენ თქვენცა და თქვენს ამხანაგსაც. მგონი ანტონიო ჰქვია, არა?

— ერქვა, — მივუგე მე, — ღღეს უნდა დავსაფლავებინათ, — და მღვდელმა რომ ნელა გადაიწერა პირველი და აუმღვრეველი მოლოდინით შემომაცქერდა, უეტრად მისდამი ისეთი ნლობით გავიმსჭვალე, თითქოს ძველი მეგობრები ვყოფილიყავით, და მოკლედ ვუამბე ყველაფერი. ბოლოს დავძინე, — არც დასაფლავებაზე დავრჩი და ვერც დავითს ამოვუსწარი.

— ახლა რას აპირებთ?

— უნდა დაველოდო. თუ ცოცხალია, გამოჩნდება.

— სოფელში არ წამოხვალთ?

— არა, აქ დავრჩები.

მღვდელმა ჭორი ახსნა.

— მაშ, ხვალ წირვის შემდეგ ამოგაკითხავთ.

ციხე დარბეული იყო. ვინც ძაღლები დახოცა, ჩანს რალაციკ ჰქონდა. ვინც ვინც ჰქონდათ და ყველაფერი გადაეჭოთებიანათ.

მღვდელი მეორე დღეს მართლა ამოვიდა. თან ცოტაოდენი საგზალი ამომიტანა. მერეც თითქმის ყოველდღე ამოდიოდა და ზოგჯერ საღამომდე რჩებოდა ხოლმე. ჰქვია კაცი იყო, სასიამოვნო მოსაუბრე, ზნეკეთილი და დიდსულოვანი. რამდენჯერ გავიფიქრე, თავიდანვე რომ ეს ყოფილიყო აქაურთა მოძღვარი და არა ის სულმოკლე და გაუმამილარი ეფრემი, ვინ იცის, ამდენი უბედურება არც დატრიალებულიყო-მეთქი.

ამასობაში დრო გადიოდა, დავითისა კი არაფერი ისმოდა და ჩემი იმედიც ნელ-ნელა ილეოდა და იწურებოდა.

მაგრამ ერთ საღამოს, სწორედ მზის ჩასვლის ქამს, ჰქმნარი გაიღო და ეზოში დავითი შემოვიდა.

სიხარულის კამყამა ნაკადი და შიშის მღვრიე ზვირთი გულში ერთდროულად შემოვარდა და ერთმანეთში აირია: დავითი ჰქვითად იყო. ძველი ქალამნები და ნაცრისფერი ჭვალის ხიფთანი ეცვა.

— დავით! — ვთქვი მე.

— ქალაქში გეძებდი, ბართოლომეო, — გაიღმა დავითმა, მაგრამ თვალებში წუხილი ედგა და ამიტომ ღიმილიც ნაღვლიანი გამოუვიდა, — რომ ვერ გიპოვე, მივხედი, აქ იქნებოდი.

მე ვეცადე სიხარულიც დამემალა და შიშიც. თვალი თვალში გავუყარე და ვკითხე

— თავადი და მღვდელი სად არიან? დავითმა თვალი ამარიდა. მერე წყნარად თქვა:

— შინ შევიდეთ.

ციხის დარბაზები რომ არეულ-დარეული ნახა, ნაკეთებსა და ნაკეთებს შუა ის მძიმე, ტლანქი ნაღველი ჩაეფინა, რომელიც მისი მეფური სილამაზის ჰარმონიას ასე ერთი ხელის დაკვრით არღვევდა და აქარწყლებდა.

ბოლოს, მთავარ დარბაზში რომ შევე-
დით, ისევ ვკითხე:

— თავადი და მღვდელი სად არიან,
დავით?

— გემზე არიან, — მშვიდად მიზა-
სუხა მან, — დავსხდეთ მცირე ხნით.

— ამ სიტყვებით ტახტზე ჩამოვჯდა და
დასაძინა, — უკვე გემზე არიან.

მე თვალს არ ვაშორებდი.

— გაყიდე?

დავითმა შემომხედა.

— განსჯა უფრო იოლი ყოფილა,
ბართოლომეო, ვიდრე სხვის გულში ჩა-
ხედვა. შურისძიება კი სულ აწყნარებს.
ქალაქში იმიტომ დაგვიძვდი და, რომ
ვერ გიპოვე, აქ იმიტომ ამოგაკითხე,
რომ შენს უნახავად არ მინდოდა წაე-
სულიყავი.

— სად მიხვალ? — ვკითხე გაკვირ-
ვებით.

დავითმა თვალი ამარიდა. ახლა დაფი-
ქრებული, თვალგაშტერებული, საღდაც
ჩემს მიღმა მისჩერებოდა სივრცეს და
დიდხანს დუმდა. დაღვრემილი იყო და
მოღრუბლული, როგორც საავდრო ცა.
სახე ისეთი ჰქონდა, თითქოს რალაციის
გამო ყოყმანობდა და საკუთარ თავს
ებრაოდ. ბოლოს წყნარად, დაფიქრე-
ბით დაიწყო:

— შენ მშვიდი და გონიერი კაცი
ხარ, ბართოლომეო, და სხვის ტყვილს
აღბათ შენი ტყვილით ზომავ. მე კი
ანტონიომ ერთი უფსკრულიდან რომ
ამოიყვანა, მეორე უფსკრულში ჩამა-
გდო, სადაც რამდენადაც საკუთარი
ტყვილი იოლი ასატანია, იმდენადვე
ინელია სხვისი ტყვილის ცქერა. მე
ამის არ შემშინებია. რადგან ჩემი ცო-
ლდები ყოველგვარ ტყვილს აღემატე-
ბა. მაგრამ ანტონიოს სიკვდილის შემ-
დეგ მივხვდი, რომ შურისძიება მოვა-
ლეობაა. ადამიანი ტანჯვის ღირსი ყო-
ფილა, თანაგრძნობის ღირსი კი — არა.
თავიდან ვაპირებდი ჩემი სიძეცა და მი-
სი მღვდელიც ცხენის კუდზე გამომე-
ბა და მანამ მეთრია, სანამ სული არ
ამოხდებოდათ. — ეს რომ თქვა, თვა-
ლებში წამით ელვა გაუერთა, — მერე

უკეთესი სასჯელი მოვიგონე: ულრან
ტყეში წამეყვანა, სადაც გლომბაღ-
დირია, თოკით მიმება ხეებზე; მათ შუა
მესამე ხეზე მეც მივბმულიყავი და ასე
სამი ცოდვილი ერთად შევბედროდით
სიკვდილს. ნუ შეკრთები, ბართოლო-
მეო. ამ განზრახვავზე უარი ვთქვი. კა-
რგი კი იქნებოდა, მაგრამ უეცრად მი-
ვხვდი, რომ კაცის მოკვლა თურმე
აღარ შემძლებია. მაშინ ორივე ახალ-
ციხის გზას გავუყევ და ვილაც იზმი-
რელ თურქს მიყვიდე. ტყუილად მიყუ-
რებ საყვედურით, ასე მართებულად
აღბათ ჩემს სიცოცხლეში არასოდეს
მოექცეულვარ. იმ ფულით ერთი დე-
და-შვილი გამოვიხსენი... ქალი სრუ-
ლიად ყმაწვილი იყო; ტანისამოსი შე-
მოფლეთილი ჰქონდა, თმა აწეწილი,
სახე არეული... ისეთი ლამაზი იყო, ბა-
რთოლომეო, და ისეთი უმწეო, რო-
გორც შეგინებული ხატი. ბავშვი სამი-
ოდ წლისა თუ იქნებოდა, კრავივით იჯ-
და დედის კალთაში, არ იცოდა, რა
ხდებოდა მის თავს და გაოცებული ან-
გელოზივით იცქირებოდა აქეთ-იქით;
ჩანდა ამდენი ჭრელი ხალხი ერთად
არასოდეს ენახა... მუშტარი რომ გა-
მოჩნდებოდა, დედა გულში იკრავდა
შვილს და ზედ ეფარებოდა, თითქოს
ამით რამეს უშველიდა... — ამ სიტყ-
ვებზე უეცრად წამოდგა და კილოც შე-
იკვალა, — ეს მინდოდა მეთქვა შენ-
თვის, ბართოლომეო. ახლა კი უნდა წა-
ვიდე. — და კარისკენ გაეშურა.

— სად მიდიხარ?

— მე შენც ისევე შეგეთვისე, რო-
გორც ანტონიოს. მაგრამ სიკვდილში
ყველა საკუთარი თავის ბატონ-პატრო-
ნია. მეტი აღარაფერი მაქვს სათქმე-
ლი.

ეზოში რომ გავედით, ვკითხე:

— ბებე? ბებე რაღა იქნა?

— ბებეც გავისტუმრე... ბებე გულ-
ჩვილია, მაგრამ მარჯვე ხელი აქვს.
არ დაიარგება. ერთ ნაცნობ ვაჟარს
ჩავაბარე და გავისტუმრე... მშვიდობით,
ბართოლომეო!

ამ სიტყვებით გატრიალდა და წავი-

და. უკან აღარ მოუხედავს. მიძიმედ მიდიოდა, მაგრამ მყარი, მტკიცე ნაბიჯით. ეზოს გასცდა, აღმართს შეუყვდა და მალე ტყეში გაუჩინარდა.

იმ ღამეს თვალზე რული არ მომკარებია და გათენებამდე ჩემდაუნებურად სულ იმას მოველოდი, ან ახლა გავიგონებ შაშვის ჭახჭახს ან ახლამეთქი.

მაგრამ ჩემი მოლოდინი ამაო გამოდგა და მეორე დღეს, მღვდელი რომ ამოვიდა, გასამგზავრებლად უკვე მზად ვიყავი.

მღვდელმა ტაფობის ბოლომდე გამაცილა. სოფელს ამჯერადაც შორიდან შემოვუარეთ.

ქედზე რომ ავედით, გამომეფიქრებოდა, პირველი გადასხა. ~~ჩვენი~~ ~~მეტირეულა~~ და ნელა დაუყვდა თავდაღმართს. სანამ თვალს არ მიეფარა, მე მის ზურგს მივჩერებოდი და გულში მწუხარება და სიხარული ერთმანეთს ებრძოდა.

მერე ტაფობზე გადმოყუდებულ მაღალ ქედს ავხედე, რომელიც გაუვალი, უკაცური, უღრანი ტყეებით იყო დაფარული...

იმ წელიწადს საქართველოს კიდევ რამდენიმე კუთხე მოვიარე და ჰომდევნო წლის გაზაფხულზე სამშობლოში დავბრუნდი.

გურამ ბანაშვილი

ღლეები, ბავშვობის ღლეები

მარსელ შვობი თავის ჩანაწერებში ერთ ამგვარ აზრს ავითარებდა: „ბიოგრაფები, — წერდა იგი, — უიქრობენ, რომ ჩვენ შესაძლოა ადაგვიანტროპოს მხოლოდ დიდი ადამიანების ცხოვრებაში. ხელოვნებისათვის უცხოა ამგვარი წარმოდგენები. მხატვრის თვალაზრებისათვის კრანახის უცნობის პორტრეტი ისევე ღირებულა, როგორც პორტრეტი ერანჰისა. თვით ეს სურათიც განუმეორებელია, არა მხოლოდ ერანჰის სახელის წყალობით. ხელოვნება ბიოგრაფისა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ უცნობი აქტიორის ცხოვრებას იმგვარივე ფასი მიანიჭოს, როგორც ცხოვრებას შექსპირისა. მდებალი ინსტიტუტის ძალით ჩვენ სიამოვნებით შევნიშნავთ ხოლმე ალექსანდრეს ბიუსტის დამოკლებულ სტერნოშასტოდიორ კუნთს ანდა თმების ზეფულს ნაპოლეონის შუბლზე. მაგრამ მონა ღიზს დიმილი, რომლის შესახებაც ჩვენ არაფერი ვიცით (შესაძლოა, ეს არის სახე კაცისა), ბევრად უფრო იღუშალია, ზოგუნაის სურათზე აღბეჭდილი გრიმასა ბევრად უფრო ღრმა განსწიხსიანე მიმართავს ჩვენს აზროვნებას. მათთვის, ვინც იმ ასპარეზზე ვასვლა მოინდომა, სადაც ასეთი ბრწყინვალეობით დაფრინენ ბოსუელი და ობრი, უმჯობელია, რომ არც თუ საჭიროა თავისი ღრისი უცვლელად დიდი ადამიანის უცვლა წერაღმანების გულმოდგინე აღწერა თუ დახასიათება. უფრო მნიშვნელოვანია ამავე ძალისხმევით მოუთხრონ უცნობი ადამიანების განუმეორებელ ცხოვრებაზე, იქნებთან ისინი თავმოდრეკის ღირსნი, ჩვეულებრივნი თუ თვით ბრალეულნიც კი“.

მიუხედავად ამონაწერის ემოციური მომხიბვლელობისა, მასში, შესაძლოა, მაინც უტარიანობულია აზრის განვითარების შინაგანი ლოგოკა. უცნობ ადამიანთა ცხოვრება არაბოდეტრეკებს საჩინო კვალს, რომელიც იმპულსის მიმცემი იქნებოდა მწერლის შეთავრებისათვის.

რა შეუძლია თქვას მწერალმა არაფრით გამოჩენულ ადამიანებზე, რომელთაც არაფერი დაუტოვებიათ საკუთარი არსებობის შესახებ. ბუნებრივია, არჩევანს მხოლოდ ერთია, კერძოდ, გულწრფელი თხრობა იმ პიროვნების ცხოვრებაზე, რომელთან ერთადაც მას უხდებოდა ურთიანე, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაშია მოსალოდნელი მისი არა ხელოვნური, ორგანული მთლიანობის წარმოჩენა. მხოლოდ ასეა შესაძლებელი დროსა და სივრცეში გაუჩინარებული ადამიანის აღმოჩენა და მისი უნიკალური თავისთავადობის მხატვრულ-ფსიქოლოგიური წვდომა.

ამგვარი ფიქრისაქენ განგაწყობს რეზო კვიციანიას ერთ ვრცელ წიგნად შეკრული ნოველათა „კრიალისანი“, რომელთაც საერთო სიუჟეტური კონტურები და სამოქმედო ანტურაჟი გააჩნიათ.

შესაძლოა „მუსიკა ქარში“ ავტორის უცვლელად უფრო ლირიკული თრთოლვით დაწერილი წიგნისა, რომელმაც ჩვენს წინაშე მთელი სიხარულით გადამხსნა მწერლის გრძნობადემოციურ შესაძლებლობათა ვრცელი გამოა. ამ შემთხვევაში თითქოს ნაწილობრივ უარყოფილია მისი პოეტისათვის დამახასიათებელი თხრობის სიმშრალე და მხატვრული საღებავების ძუნწე არჩევანი. პოეტური ენის პრევალირება აღიქმება როგორც შედეგი მწერლის ინდივიდუალური ძიებისა, რომლის გაცნობიერებაშიც სწორი გზა უნდა მოგვანახვიოს შემოქმედებითი სულის სიღრმეებისაქენ, აზროვნების თავისებურებისაქენ, გრძნობათა საშუაროსაქენ. და ბოლოს, მან უნდა ახსნას მის იდეათა არსი.

მხატვრული და ინტელექტუალური სინატიფის გაუნდებელი სურნელი საოცარი ზომიერებით ამკეთობს და ხელშესახებ გამოხსახველობას ანიჭებს ბავშვობის მკრთალ მოგონებებს. აზრის სტილისტური სრულყოფილება

სკვლიან თვალთახედვას, ჩადგან ღრმად გაცნობის, რომ მეურნე ადგიანდარსებთან ერთად, ჩადაც თუნდაც სულ მეორედი ნაწილი წარსულისა, მოუბრუნებლად განერიდა ადამიანთა პასტორალურ წარმოდგენებს. ჩვენს წინაშეა ფრანკა, რომელშიაც მაქსიმალურადაა მოქონილი სააზროვნო სიშეხი. მასში დრო საგნობრიობაშია შეშენებული და წარმოჩენილი. „ერთი წამის სავსე“ «Espace d'une seconde» ამ შემთხვევაში ოპტიკურად არსებული მრავალსახეობრივი მოკვლენების მოძრაობასაც თავისუფლად ითავსებს. სადა და იმედ დროს. ერთადერთობის პრეტენზიით აღბეჭდილი სიტყვა შეუბრალებლად ამსხვავებს უსივრცე ილუზიებისა და ფუჭი ოცნებების ამოწმების შესაძლებლობებს და მკითხველს ცნობიერებას მხოლოდ მწერლის მიერ მონიშნული სააზროვნო არხისაკენ მიმართავს.

ერთ დროს ნოდარ ჩხეიძე მწერლის სტილისტურ ნოვაციებს ამგვარად ახასიათებდა: „რა შეიძლება ითქვას მის მანერაზე, სტილზე? პარველ რიგში, ის, რომ მისი მანერაცა და სტილიც შეესაბამება მის თვალს, ხილვის გროტესკულ ხასიათს, შეესაბამება ამბავს, რომელსაც უყვება. ვაცდას, რომელსაც ვადმოსიყვას, სიტუაციას, რომელსაც ქმნის, შეესაბამება. რაც მთავარია, მისი აზროვნების ხასიათს. სწორედ ამიტომაც მისი მოთხრობები უადრესად სასიამოვნო საკითხავია. ამ მოთხრობებში არაა წყაღუნული ადგილები, დაუდევარი, უპიზნოდ, შინაგანი ფსიქოლოგიური მოტივირების გარეშე დაწერილი ფრაზები. მისი სტილი ზედმიწევნით პოეტური, დახვეწილი და მკაცრი ურთაა.“

აქ, ამ შემთხვევაში მწერლის სტილისტიკისა და სააზროვნო მიმართების პარამონიულ ნერწყვსავზე უკრავდება პროცესირებული, თუ საერთო სააზროვნო სულისკვეთება რა ბუნებრივი უშუალოდით შეერწყმის რაღაც კონკრეტულს. საბოლოოა, ნამდვილსა და ხილულს; თუ აზრი რა საიმედო საურდენს პოეზიის თვით ჩვეულებრივი, თუნდაც წერაღმანი უოფთი სიტუაციების სახით, ჩადგან წინასწარვე საოცრად ნათელი და ორგანული კავშირი სურვილსა და აღსრულებას, სუბიექტურ განცდასა და ობიექტურ საფუძვლს შორის: „გაზფხულდა, რამაც შექმნა ეველაფერი. ეველაფერი იმანვე აღორძინა. აბიზინდა ხალაბი. გამწვანდა ტოტები. ნათოვლარზე ენძელები ამოვიდა. ტრიფოლიაბის ღობეში მესკია ჩიტებმა დაიწვეს ფრთხილი. გამოცდელი თერაქლედი ზრო არტეში დაადგა ჩვენ სახლს“. სახლის გადაჭრვის ამადედეგებელი და, იმედ დროს, დამაშვილებელი პროცესი ეველაზე არსებითი აღტალებითაა ამ შემთხვევაში წარმოჩენილი. ბუნებრივია, არსებითი ამ გამოორიცხავს სანტერესო წერაღმონებს. რაც ნათელ წარმოდგენას ქმნის სიტუა-

ციისა თუ ადამიანის სრულყოფილი წარმოდგენისათვის. „არტეში ზროს ოსტოქმე, რადაცას იტიკებდა, სატკოებრს წარმოდგენებდა და წელმოწყვეტილი დადიოდა სახურავზე. მალე იღლებოდა, უგუნებობას და უმადობას უჩიოდა. დვინოს სამწუწრვალოდაც არ ტკარებოდა, არ შეიძლება, საოპერაციო ვარა“. ხელოსნის ეს კონტურული პორტრეტი მწვენიერი ნიმუშია მწერლის ორიგინალური ხელწერისა. მან კარგად იცის, რომ არასოდეს უნდა გამოეპაროს თვალს ადამიანის გარეგნული იერი, მისი მახასიათებელი ენები, ღმიოცილი, გამომსახველობა, კონტრევიცე საპიროსო ვიოლდეუ ადამიანზე, რომელსაც წიგნში ვეცნობით. აბსტრაგირებული პიროვნება მკითხველისათვის, როგორც წესი, დაკარგულია და ამიტომაც თვით პერსონაჟის წამიერი გაღმევის დროსაც კი, სრული წარმოდგენით ვტოვებთ მას, ვითარცა ნაცნობსა თუ ახლობელს. აი კიდევ ერთი უცანასკნელი შტრიხი არტეშის პორტრეტისა — „მას წინებზე შეცხვლი ვასვენებაში. თუ დაეკირადები, არაფერი არ არის ადამიანო, მოთხრა, დაფლავების შემდეგ სახალგაოს ჭიშკარს რომ გამოვცდიო“. ამ სიტყვაში თითქოს შეშვლდება სიცოცხლის ამოგებასთან შერიგებული კაცის ადამიანური ბუნება. ამ ღრმად განცდილი მარტივი ფილოსოფიური სიძაძილის გამოშვტველ ამოთქვაში წარსულის უსიხარულო დღე-ღამე სურველი გამოტანჭული არსებობის აზრია ამტკველებული, ვისთვის ღიმილის მომგვრელი და ვისთვის გულწრფელად განსაცდელი.

მწერლის ამ წიგნში იქნაური ხასიათების ურცელი საშუაროს წარმოსახული. ისინი რეალური ცხოვრების ნაყოფნი არიან და ამიტომ, მიუხედავად მთელი რიგი ექსცესებისა, მაინც არ მკარგავენ ადამიანურ სახეს, სიბრალულისა და შეწყნარების აღმგვრელ ემოციათა მოჭარბებას შეიძლებული.

საინტერესო ადამიანთა სახეებად კონკრეტდება მკითხველის წარმოსახვაში იმ ურუმარ პერსონაჟთა წამიერი გაღმევა, რომელთაც თვითნათი ვაუჩინარებით შეუცხვმელი, თუნდაც მკირე სიკარიელ დუბოვეს ნაცნობთა გულებს. გინდა გულწრფელად დაიჭრო, რომ სწორედ ახეთი იყო ფუტკარივით მოუსვენარი ქვის მთელი და კალატოზი გრიგოლი. ჩქარობდა ცნობილი ოსტატი, ჩადგან შესაძლოა გუშაწით გაცნობდა, რომ სულ მალე ძლიერ დაეკლდებოდა მისი კურთხული ქარჯვენა სავარტელ ქალაქს. ისიც, ვითარცა ბევრი სხვა, იმში ვაწევებს და უკან აღარ დაბრუნებულა. მაშინდა ვახდა ქალაქისათვის საცნაური დაფერული მარჯვენის მთელი და ღირსება — „ახლაც ჩვენს ქალაქში თუ სართულნაბეჭოან, ლაშაჲ, ჭვით მოუტრანგებულ, კარხიზმოვკირისტებულ ზუტერთმებმოქარველ სახლს შეამჩნევთ და შეაფახებთ, გრიგოლა ბრეგაძის

ნახელავიან, გიტყვიან. ყველა ამ არ იცის ვინ იყო ეს გრიგოლა ბრეგაძე, მაგრამ სახლები თავისთავად ხომ არ აშენებულა ჯერ“.

„ხელოვნება, — წერდა კვლავ მარსელ შვობი, — საერთო წარმოდგენების ანტიპოდი, იგი აღწერს მხოლოდ ინდივიდუალურად, მისწრაფებს მხოლოდ ერთეულისაკენ. იგი არ ახდენს კლასიფიკაციას; პირიქით, იგი წინააღმდეგება უკველებვარ კლასიფიკაციას... მაგრამ დაკვირდით ზის ფოთლზე, მისი საუცხოო ძარღვებით, შრისგან და ჩრდილისაგან არათანაბარი შეფერილობით, წვიმის წვეთისაგან წარმონაქმნი ოდნავი ამონაბურცით, მწერისაგან დატოვებული კუჭურტანით, პატარა ლოკიანის ვერცხლისფერი ნაკვადევით, შემოდგომის პირველი სასიყვდილო ოქროს ვარაყით — მერორზე, ზუსტად ასეთისავე ფოთლზე, მთელი ხაშუაროს ტყეები რომ მოიაროთ, ვერაფერ აღმოაჩენთ... ის, რომ მავანსა და მავან ადამიანს ჰქონდა ერთიმეორეზე მაღლა ჩასმული თვალები, მოღრცეილი ცხვირი, მახინჯი ხელები, ის, რომ მას ჰქონდა ჩვეულებად ამა და ამ საათისათვის ეკმაპო წიწვლის ფრთა და უპირატესობა მიენიჭებინა მალჯანისათვის შატო-მარგოზე — აი რა არის ჰუმანიტად განუზოგრებელი. თაღებს, ისევე როგორც სოკრატს, შეეძლო წარმოეთქვა: შეიკან თავი შენო, მაგრამ ჭურბულში შეუყო მასვეთ, საქამლავის დაღვეის წინ, ვერ მოიფხანდა ფეხს. იდეები დიდი ადამიანების — კაცობრიობის საერთო მონაპოვარია, უკველი მათგანის განუყოფელი საკუთრება მხოლოდ საკუთარი უცნაურობა იყო წიანი, რომელიც ადამიანის ყველა ამოშალიას აღწერს, ხელოვნების ისეთივე ნაწარმოები იქნებოდა, როგორც იპონური ესტამპი, რომელშიაც ერთხელ, დღის განსაზღვრულ მონაკვეთში, დანახული მუღღუხანა აღებდელი“. ფრანგი მწერლისა და მოაზროვნის ამ ხიტყვებს კანონიერი უფლებები გააჩნია. იგი თანაბარი ძალით განეფინება ძლიერთა და სუსტთა ამა ქვეყნისათა. ვრცელი ამონაწერის დაუმურველი ნათელი ქართული მწერლის ამ ღრმად დამაფიქრებელი წიგნის ფურცლებსაც სწვდება და განსაკუთრებული ღირსებებით მოსავს მას. მგზაერთების ბოლკებით მოიფით და სიცოცხლე შთაბერო მხოლოდ ისეთ ხსიათებსა და ეპიზოდებს, რომელთაც ანალოგი არ ეპოვება, სულაც არა ადვილი რამ. იგი მწერლის გამოსარჩევი ღირსება და ნიჭია. სამწუხაროდ, ამგვარი ფუფუნებას იშვიათად თუ გვარგუნებს ზოლზე ჩვენი სინამდვილე...

...ქარის მოტანილ მუხარაკლურ მანგებს თანდათანობით ომის მწუხარებ მელოდიაც ერევა. უჩვეულოდ ახალი და ჩვენი საქმოდ ვაწაფული ყურთამაშენისათვის იღუშაღვებითა მოხალე ამ ზნაია მორთოლვარე, ჩურჩულისმაგვარი ინტონაცია. მასში თავაღაწვე დამცხრალი

და დაღმებულა ის არაფრისმოქმელი მათეტიკა, რომელიც მხოლოდ შეტყურადებულს სიხალბით თუ მოიწონებდა ზვეს: *მედიანარეები უკან აღარ ბრუნდებიან*“.

ამ პოეტურ ფრაგმენტში, ბავშვის უძირო სივრცეს კიდევ ერთი ღრმად ადამიანური ხალვა გამოტყუებული. ბავშვის მგრძნობარე გულმა ომის გაუბეზებელი ატმოსფეროს წიაღში ისეთი სიბრალულის აღმჭრელი სურათი ამოკითხა, რომელიც თავისი მოჩვენებითი ჩვეულებრიობით, ამ საერთო მწუხარების ფონზე, თითქოს სულაც არ წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულს. არაქსტრემალური სიტუაცია იქცა ლირიული განცდის სათავედ, რომელშიც მკითხველი ადამიანური ტრაგედიის ცრემლიან ფილოსოფიასაც მშვენიერად ამოიციობს. აი, ამ ფიქრიანი განცდის წარმომშობი ეპიზოდის თავი და მაღლ... ბავშვის სახლის წინ მწყობრი ნახიჯით მოიხად ახალწვეულთა რიგს გამოეყო კაბუკი და ხარბად დაეწაფა ეზოდან გამომდინარე ნაწრტ წყალს, ბუნებრივია, არა ანკარასა და დასაღვად უფარვისს. „არ დალიო-თქვა, მინდოდა მეყვირა, მაგრამ გვიანდა იყო. გადამხობოდა ახალწვეული თბილს და ქვის უროსათვის მიებჯინა ორვე ხელი; ხარბად სვამდა უორეზე გაღმომდინარე წყალს. წუურვილი რომ მოყლა, ტუჩების წმენდით, სველი ქუდის ფერთხვით და სირბილით წამოეწია წინ წახულ ქავუსს“.

უშინშველთა თითქოს ის, რაც ბავშვის თვალწინ მოხდა, მაგრამ ამ წამიერ ეპიზოდში ისეთი გულსიმომწვეველი პერსპექტივა ილანდება, რომელშიც არ შეიძლება გულწრფედ და არ დაფიქროს გონიერი არსება; „...თავისი სოფლის ანკარა წარარს მოიპვანა ჩვენს კანავო. წყალი უველგან ისეთივე სუფთა ეგონა, როგორც იქ, ხაღდანაც ის წამოვიდა. ვინ იცის, შემდეგ სად წვიდა მისი სიცოცხლის ნაკადული, დღე თუ მდინარე, რას შეუერთდა, სად დაგუბდა, სად დაშრა. შეიძლება მშვიდობიანად განვლო გზა დასაწიხისიდან ბოლომდე. მაგრამ მდინარეები ხომ უკან აღარასოდეს ბრუნდებიან. ბრუნდებიან, მხოლოდ დეღლებად და სუფთა ნაკადულად აღარ, სხვანაირად ბრუნდებიან, თუღაც გასაფუხლის წეიად“. წარმოსახვის ძალამ ბავშვობის ერთი, შესაძლოა, თავის დროზე ბოლომდე გაუცნობიერებელი მოგონება განსოვადების მაღალ ტაბრეტვანზე წაიღა და სიბრალულისა თუ თანაგრძნობის ამოიერ ვაღლებას დამოუციადებელ ღირსება მიანიჭა.

ომისდროინდელი მოგონებების ღრამატიკზმს თანდათანობით ემატება სიმამაფრე და ღრმა კეთუნი. მაგრამ ტრაგიკული სიტუაციების სივრცეც შესაძლოა, იმიტომ, რომ იგი მისიც ბავშვის თვალშია დანახული და აღქმული, იმგვარი ფერწერული საღებავებით იმატება, რომელშიაც ნათელი, ინფანტილური კოლორიტი

მოუხედავად იმისა, რომ „კართული ერის ისტორიის“ პირველ წიგნში ივ. ჯავახიშვილი კართლის მოქცევის საკითხთან დაკავშირებით ვრცლად მსჯელობს (თხ. ტ. I, გვ. 216-217). კართლის მოქცევის თარიღად შემოთავაზებული 337 წლის რამდენადმე დამადასტურებელი დასაურდენი არა აქვს მოტანილი. თარიღს მხოლოდ, ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე დიდის სიყვადლის წინ მონათულის ფაქ-

1 ბიზანტიელ ავტორთა ცნობები კართლის მოქცევის შესახებ პალესტინის კესარიის ეპისკოპოსის გელასი კესარიელის (გარდ. 395 წ.) „საეკლესიო ისტორიიდან“ მომდინარეობს.

ტი უდევს საფუძვლად. 337 წლის სისწორეს წყაროთა ცნობები ან ერთნაზება, როგორც ქართლში, ისე ბერძნულ-რომაულ და სომხურ წყაროთა ცნობით, ქართველთა მოქცევის შემდეგ კონსტანტინე დიდის მალე გარდაცვალება არ ივარაუდება. პირიქით, ამ წყაროთა თანახმად, ქართველთა მოქცევის ფაქტით გახარებულმა კონსტანტინემ მირიანს იმპერიაში მძევლად მყოფი ძე დაუბრუნა და მღვდლებმა გამოუგზავნა.

როგორც ჩანს, 337 წლის რამდენიმე მუხარ საფუძვლის უკონლობა იყო მიზეზი 1925 წელს (გამოქვეყნდა 1926 წ.) კ. კვეციანის მიერ მოქცევის თარიღად 355-356 წლის შემოტანა და მისი სათანადო საბუთებით გაყვარება რომ სცადა.

1975 წელს, ქართლში ქრისტიანობის საბეღამო რელიგიად გამოცხადების თარიღის ისტორიოგრაფიისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ა. ბარამიძემ ქართლის მოქცევის თარიღად კ. კვეციანის მიერ მიღებული 355-56 წწ. 357 წლით შეცვალა (ქრტიული „ქართული ისტორიოგრაფია“, III, გვ. 95-118).

ნ. ლომოურმა 1975 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში (ნარკვევები ქართლის სამეფოს ისტორიიდან) კ. კვეციანის დებულებათა დამაჭერებელი კრიტიკა მოგვცა (გვ. 69-77). იქვე (გვ. 79-83). სათანადო არგუმენტების მოყვანით, კონსტანტინე დიდის მიერ ქართლში სასულიერო პირთა გამოგზავნა, რაშიც იგი ქართლში ქრისტიანობის აღიარების ფაქტს ბედავს, 325-330 წლებს შორის მომხდარ ფაქტად მიიჩნია. ქართლის მოქცევის თარიღად ნ. ლომოურის მიერ მიღებული 325-330 წწ., როგორც ქვემოთ ვნახავთ, დაახლოებით ერთნაზება წმინდა ნინოს პირდაპირ ქართლის პირველი ეპისკოპოსის — იოანეს (იოვანეს) დაახლ. 324 (325) წლებში ხელდასმების შესახებ.

ქართლის მოქცევის თარიღის დასადგენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართლში ნინოს შემოსვლის ზუსტი თარიღის განსაზღვრა. კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიზანს სწორედ ეს საკითხი შეადგენს. პირველ რიგში მასზე შევჩერდებით.

„ნინოს ცხოვრებაში“ იმპერიიდან ნინოს ქართლში წამოსვლა ისეა წარმოდგენილი თითქოს მან თავისი სურვილით დატოვა იგი. იერუსალიმში მყოფი ნინოს გაუგია, რომ, ქრისტეს ქვაკმის შემდეგ, როცა ქრისტეს სამოსელი განაწილეს, „უკრთი იგი უფლისა“ „წილით მხუდა ჩრდილოთა მცხეთელთა“. ნინო დანტერტებულა „სადა არს ჩრდილოთა იგი ქუეყანა“. მისთვის უთქვამთ, რომ ჩრდილოეთის ქვეყანა „საწარმართო სახელმწიფო იყო“. ქართლში ნინოს დანტერტებულა თითქოს დიდა რომელი შეუბრუნებულა ნინოს ბიძას, იერუსალიმის პატრიარქს იობენანს (ამჟერად იობენანის პარონების ისტორიულობაზე არაფერს

ვახაზ). სწორედ მან აყრთხა ნინო და წამოაღიანა ქართლში საქადაგებლად მისცა ქის „ქუარი და კურთხევა საგზნად“.

„ცხოვრებაში“ არსებული ერთი მითითებით ნინო აზნობს: კონსტანტინეს, დედოფალ ელენესა და „ყოველი პალატის“ მიერ ქრისტიანობის აღიარებიდან „მეშვიდე“ წელს იყო წმიდა კრებამ ნიქას, და მერვესა წელსა იყო სივლტოლამ ჩუენი საბერძნეთით. რისხომე დედოფალი და გაქციედე და მძევლი, და ორმეოცდაათი სული წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათუთმეტესა და გამოვედით ართოა სომხეთისათა, სამოხესა მას თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლნეს მუნთთუესა პირველსა ოცდაათსა, დღესა პარასკევსა“ (გვ. 832).

შემომოყვანილ ციკატის ცნობები ამოსავალია ქართლის მოქცევის დასაბარებლად. მაგრამ რომელი მათგანია მისადები?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო ცნობიდან ამჟერად ჩანს, რომ ნინო და მისი თანამგზავრები საბერძნეთიდან თეიანონი ნებით კი არ წამოვიდნენ, გასმოქცენ. სომხეთში მოსული ნინოს თანამგზავრები თრდატა: სიკვდილით დასაქა.

რაც შეეხება ლტოლვილთა წარმოსვლის დროდ მითითებულ მერვე წლის რეალობას, ამის თაობაზე იმპერიაში არსებული პოლიტიკური ვითარება უნდა ვთავივალისწინოთ.

305 წლის 1 მაისს, დოკუმენტანეს გადადგომის შემდეგ, იმპერიის აღმ. ნაწილს ვალერიუსი (გარდ. 311 წ. მანში) განაგებდა. სწორედ მან, 311 წლის 30 აპრილს ნიკომედაში გამოცემული ედიქტით ქრისტიანთა დევნა შეწყვიტა და მათი უფლებები აღადგინა. ვალერიუსის შემდეგ იმპერიის აღმ. ნაწილს მაქსიმიან დაზა და ლიცინიუსი განაგებდნენ. 313 წლის ივნისში სირიისა და ეგვიპტის გამგებლის დაზას დამარცხების შემდეგ ლიცინიუსი იმპერიის აღმ. ნაწილის ერთპირიველი განგებელი გახდა და ამ წელს ქრისტიანთა შემწყნარებლობის ედიქტად გამოსცა, მაგრამ მისი პოლიტიკა ქრისტიანთა მიმართ თანმიმდევრული არ იყო (ე. ფილოროვა, იმპერატორების ხანის რომი... 1979, გვ. 191-192, 197. რუს. ენაზე).

კონსტანტინე დიდის განგებლობაში მხოლოდ 324 წლის 18 სექტემბერს, ლიცინიუსის საბოლოო დამარცხების შემდეგ, გადაიდა რომის იმპერიის აღმ. ნაწილი. ახვ რომ, 324 წლის 18 სექტემბრამდე კონსტანტინე აღმოსავლეთის საქმეებში ვერ ჩაეროდა.

საკუთრად მინიშნული მაქსიცინიუსზე გამარჯვების შემდეგ კონსტანტინესა და ლიცინიუსის მიერ 313 წელს მიღწანი გამოცემული ედიქტი ქრისტიანების უფლებებზეა წარმართებთან გათანაბრების შესახებ. კონსტანტინემ მხოლოდ

მეც წელს, ლიცინიუსზე გამარჯვების შემდეგ, გამოსცა ორი ედიქტი, ერთი ქრისტიანების უფლებების აღდგენას შეეხებოდა, მეორით კი წარმართებს უფლებათა დაცვას პირდებოდა (ა. კუდანი, ქრისტეაძე კონსტანტინე II-ზე, 1965, გვ. 30). ამიტომ „ცხოვრებაში“ არსებულ ცნობას, ნიკეის კრებაზე 7 წლით ადრე, ე. ი. 318 წელს კონსტანტინესა, დედოფალი ელენესა და „ყოველი პალატის“ მიერ ქრისტიანობის აღიარების შესახებ, ისტორიულ რეალობად ვერ მივიჩნევთ. არაა სწორი ლტოლვილთა წამოსვლის თარიღად მიითვებოდა შერვე — 326 წელიც. ამ წელს იმპერატორ ისეთი არაფერი მომხდარა იმპერიის ტერიტორიიდან ქრისტიანები მასიურად რომ გამოქცეულიყვნენ. პირაქით, ძველი საეკლესიო ისტორიკოსის ზოსიმეს ცნობით, კონსტანტინე მხოლოდ 326 წლიდან დაგვა საბოლოოდ ქრისტიანთა მხარეზე (კუდანი, გვ. 28). მეორეც, ამ დროისათვის სომხეთში ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო რელიგიად იყო აღიარებული და 326 წ. აქ მოსულ ლტოლვილებს ქრისტიანი მეფე სიკვდილით არ დასჯიდა. აშკარაა, იმპერიიდან ლტოლვილთა წამოსვლის დრო „ცხოვრებაში“ მითითებული 326 წელი არასწორია.

ფიქრობ, „ცხოვრებაში“ ასეთე გვიანდელი ჩანამატია ცნობა ლტოლვილთა იერუსალიმიდან წამოსვლის თაობაზე. გარდა იმისა, რომ წყაროებში ნინოს წამოსვლის აღვლილ, იერუსალიმს ვარდა, რომელ და საბერძნეთი არის დასახლებული, ყოვლად დაუშვებელია ლტოლვილებს გზა იერუსალიმიდან სომხეთის მხონდელ დედაქალაქ — ვაღარშაბაძე (ხხლად. ენკიპადინი) 15 დღეში ვაეკლონ. გადაწყვეტილება, როგორც „ცხოვრებაში“ როცა იერუსალიმს ამატებდა, როგორც ჩანს, გვის საშორე ვეღარ ვაითვალისწინა, რაც მთავარია, ერთი მხრივ, IV ს.ს დამდგენისათვის იმპერიის აღმ. ნაწილში არსებულ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, ხოლო, მეორე მხრივ, „ნინოს ცხოვრების“ და ავთანეველის „სომეხთა მოქცევაში“ არსებულ ცნობებს, ქართლის მოსაქცევად ნინოს იერუსალიმიდან წამოსვლა საბევრად მოგვეჩვენება.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში იმპერიის აღმ. ნაწილში ანტიოქიის ეკლესია პირველობდა. ყოველ საეკლესიო კრებას, თუ კი მას რომისა და ალექსანდრიის ეპისკოპოსები არ ესწრებოდნენ, ანტიოქიის ეპისკოპოსი თავმჯდომარეობდა. ანტიოქიის ქრისტიანული თემი უძველესი და უდიდესი იყო. ადრეკრისტიანული ეკლესიის ცნობილი მკვლევარის ა. მარნაეის თანახმად, ანტიოქიის ეკლესიას ავტორიტეტი შეუქმნა დიდმა სამისიონერო მოღვაწეობამ. ანტიოქიის ეპისკოპოსთა ზემოქმედების არე, იმპერიის პროვინციებს ვარდა, სპარსეთს, სომხეთს, საქართველოს და სხვა მრავალ ქვეყანას მოიცავდა.

ამ დროისათვის იერუსალიმის ქრისტიანული თემი ქრისტიანთა თვალში მართლაც დიდი პატივისცემით სარგებლობდა. შარვაში ზღა ვს. კატაქისთან შედარებით უმნიშვნელო იყო. იერუსალიმის ეკლესია მხოლოდ V ს.ს დამდეგს იქნა ცნობილი რომის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის მსგავსად მოციქულთა სწორ ეკლესიად, ხოლო სამწესოდ პალესტინა იერუსალიმის ეპისკოპოსმა 451 წელს, ქალედონის კრებაზე მიიღო ანტიოქიის პატრიარქისაგან (პ. ვიდულიანოვი).

აღნიშნულთან ერთად, ა. მარნაეი მცირე აზრის მთელ მოსახლეობას IV საუკუნისათვის ათიქმის მთლიანად ქრისტიანად მიიჩნევს. მისი მტკიცებით, მცირე აზრში ადრევე დაიწყო მოსახლეობის ეთნიკურ შედგენილობაზე შექმნილი ეკლესიების ჩამოყალიბება. იმ ეროვნულ ეკლესიათა შორის, რომლებმაც ანტიოქიის მურვეობას დააღწეს თავი და საკუთარი სამისიონერო მოღვაწეობა გააჩაღეს, იგი კაპადოციის ეკლესიასაც ახაბებებს. თუ გავთვალისწინებთ ძველ ავტორთა მტკიცებას კაპადოციის მოსახლეობის ქართველური წარმომავლობის შესახებ, მაშინ „ცხოვრებაში“ ნინოს კაპადოციელად დასახლება შეტ საფუძველს გააძლეებს, ნინოს (ასევე სხვა ლტოლვილებს) წამოსვლა კაპადოკიიდან ვაგარაუდით. აღნიშნულთან ერთად, ნინოს ზიძის კაპადოკიაში უფრო შეიძლება და ეპისკოპოსო კათედრა დაეჭირა, ვიდრე იერუსალიმში.

ავთანეველის ობზულებიდან კარგად ჩანს კაპადოციის ეკსარის ეპისკოპოსისა და მისი ზელებითი სებასტიის ეპისკოპოსის როლი სომხეთისა და სამხრ.დასავლეთ საქართველოს ეკლესიათა ორგანიზაციის საქმეში. ამ ორგანიზაციას, რა თქმა უნდა, წინ უსწრებდა, კაპადოციის ქრისტიანული ცენტრებიდან გამოგზავნილი მისიონერების მრავალწლიანი მოღვაწეობა. ეკსარის ეპისკოპოსებმა თავიანთ მისიონერთა საშუალებით მათთვის უცხოენოვანი სომხეთის მოქცევა თუ მოაზებინეს, ისინი მითუმეტეს ქართლს არ დატოვებდნენ უფურადღებოდ. ნინო ქართლში სწორედ კაპადოკიიდან უნდა შემოსულყო. ქართული ეკლესია, როგორც კ. კუდანი ამტკიცებს, იერუსალიმური კი არა კაპადოკიური წარმოშობისა უნდა იყოს.

ნინოს ქართლში შემოსვლის დასათარიღებლად უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია მითითება იმპერიიდან ლტოლვილთა „ოთხეხა პირველსა ანთუმეტისა“ წამოსვლისა და „ოთხეხა პირველსა ოცდაათსა“ სომხეთში მათი სიკვდილით დასჯის თაობაზე. ფიქრობ, სწორედ ეს ცნობა „ცხოვრებაში“ ქართლის მოსახლეობის თანადროული ეს უნიკალური მითითება, ნინოს ქართლში მოსვლისა და ქართლის მოქცევის დასათარიღებლად დღემდე არ ყოფილა გამოყენებული. იმპერიის ტერიტორი-

დას ღტოლვილია მასიური წამოსვლა, ამჟამად მომხდარი შინაგანი მოვლენებით უნდა აიხსნას.

ღტოლვილი კრისტალები, როცა „სამოხებსა მას თრდატ მეფისა“ მოვიდნენ, თრდატმა ისინი სიყვდილით დასაჯა. სომხეთის პირველმა კრისტაანმა მეფემ თრდატ III, სომხეთის ტახტი 288 წელს რომის იმპერატორის დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) დახმარებით დაიკავა. პერსე მხრივ, სომხეთში კრისტაანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ტრადიციულ თარიღად 301 წელი ითვლება (ქსე, ტ. 4, პტ. თრდატ III). ვაჟი, რომ 301 წლის შემდეგ სომხეთში მისული ღტოლვილი კრისტაანები. კრისტაანმა მეფემ დასაჯა სიყვდილით. ღტოლვილია შორის მყოფი ნინო, როგორც „ცხოვრებაში“ ნათქვამი, დასჯას იმით. ტომ გადაურჩა. რომ „დაშთა ეკალთა შინა ვარდისათა, ჩაშეთუთ ვარდი და ნუთა უთაოდა მას ეამსა“.

ღტოლვილები სომხეთში რომ ნამდვილად ეწამენ. ეს საუკუო არაა. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ეკეს კრისტაანი მეფის მიერ მათი დასაჯა იწყეს. კრისტაანობისათვის უფრო ახლო იქნება თუ დავუშვებთ, რომ ღტოლვილები იმპერატორის საზღვრებიდან გაღერაქის ედიქტის (311 წ.) გამოცხადებამდე ბევრად ადრე უნდა წამოცნულიყვნენ. სომხეთში მათი დასჯის თრდატ III ქრ კიდევ არ უნდა უთიფილიყო კრისტაანი, ბოლო სომხეთში კრისტაანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებულა.

ღტოლვილები იმპერატორის ფარგლებიდან უეწელია იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ დაწვეულ კრისტაანთა დიდი დევნის დროს უნდა წამოსულიყვნენ („ადდგა იქ ჩვენზე განსაუღული და მოვედით სომხეთის“. ნათქვამია ქართ. ცხოვრების ძველ სომხურ თარგმანში, გვ. 18-19). თავისი სპეციფიკით უფლებზე მშინელი იყვნენ კრისტაანებისა დიოკლეტიანემ 311 წელს დაიწყო. ედიქტით კრისტაანთა დევნა მართალია მთელი იმპერატორის მასშტაბით გამოცხადდა. მაგრამ განსაუთრებული სისხლისმძებრელი ხასიათი დევნას იმპერატორის აღმოსავლეთ ნაწილში ქონდა. ბიზანტიელი კრისტაანის თეოფანე ემთაღწერდას ცნობით, საძირკვლამდე ანგრევდნენ კრისტაანთა ეკლესიებს, სწავლდნენ საღვთო წიგნებს, საზღვრულებს და უეწელია კრისტაანს აწამებდნენ. აიძულდნენ კრისტაანთა შეეწიარა მსხვერპლი. იმპერატორის აღმოსავლეთ ნაწილში ათასობით კრისტაანი იქნა სიყვდილით დასჯილი.

სწორედ აღნიშნულით უნდა აიხსნას, 288 წელს დიოკლეტიანეს მხარდაჭერით სომხეთის ტახტზე ასულმა თრდატ III კრისტაანი ღტოლვილები სიყვდილით რომ დასაჯა. მით უმეტეს. რომ 311 წლისათვის, როგორც ამ ბოლო

ხანებში სომხეთის ისტორიაშია მიმდევრულ ლიტერატურაშია მითითებული, რომელიც ქრ კიდევ არ უთიფილია გაქრებულნიყვნენ გამოც, იმპერატორი დიოკლეტიანეს მიერ წამოწვეულ კრისტაანთა დევნის იგი დიდი ენთუზიაზმით გამოხმარებებოდა. თრდატ III მიერ წამოწვეული კრისტაანთა დევნა, აღნიშნულისა სომხეთის ისტორიაში, იმპერატორი დაწვეული დევნის თანადროულად — 302-308 წლებში მიმდინარეობდა და, როგორც ეს V ს.ის ისტორიკოსის ავთანაგელოსის ცნობიდან ჩანს, მასთან იყო დაკავშირებული.

შემოდინებულია გამოხმდინარე, 301 წელს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებაოდა სომხეთში კრისტაანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებულყო. ეს მეცნიერები, რომელნიც სომხეთის გაქრისტაანების თარიღად 301 წელს ითვლიდნენ, IV ს.ის დამდევსათვის რომის იმპერატორისა და სომხეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას არ ითვალისწინებდნენ. რატომ უნდა, კრისტაანობის დიდი მტრის დიოკლეტიანეს იმპერატორობის წლებში თრდატ ვერც თითო გაქრისტაანდებოდა და ვერც კრისტაანობას გამოცხადებდა სომხეთში სახელმწიფო რელიგიად. ამ მხრივ, 301 წელი სპარსთლიანად უარყო სომხებ მეცნიერთა ერთმა ნაწილმა. თუმცა, სომხეთის გაქრისტაანების თარიღად ახლად მიღებული 314-315 წ. არ არის რაიმე ისტორიული მონაცემებით გამოარებული. ამ წლის წინა ზღვარად ავტორს 313 წლის მილანის ედიქტი აქვს აღებული (სომხეთის ისტორია, 1988, გვ. 88, რუს. ენაზე).

ღტოლვილები ამპერიდან მართლაც დიოკლეტიანეს დროს რომ გამოიქცნენ, ამის შესახებ მითითება შემოჩნებულია ავთანაგელოსის „სომხეთა მოქცევაში“ შესულ „ჩიფსიმიანთა წამებაში“. ამ თხზულებაში მართალია იმპერატორიდან თარიღს, ჩიფსიმიანა და სხვათა გამოქცევის თარიღი არაა მითითებული და გამოქცევის მიზეზად დიოკლეტიანეს მიერ ვითომც რომის ერთ-ერთ მონასტერში მყოფი „ქალწული ჩიფსიმიან“ მოწონება დასაბუღებული, მაგრამ, რაც ჩვენთვის განსაუთრებით საინტერესოა, თხზულების ავტორი, იმპერიდან ღტოლვილია წამოსვლის დიოკლეტიანეს სახელთან აკავშირებს (წამების ძველი ქართული თარგმანი, გვ. 22; არაბული თარგმანი, გვ. 25, 127, 145).

ახე რომ, თუ „ნინოს ცხოვრებაში“ არაფერია ნათქვამი იმპერიდან რომელი იმპერატორის დროს წამოვიდნენ ღტოლვილები, „ჩიფსიმიანთა წამებაში“ მათი გამოქცევა უშუალოდ დიოკლეტიანეს სახელთანაა დაკავშირებული. ამრიგად, იმპერატორიდან კრისტაანთა და ღტოლვილის მიზეზად 303 წელს დიოკლეტიანეს მიერ დაწვეულ კრისტაანთა დევნა უნდა იქნას მიჩნეული. რის საფუძველზეც

ნიწონს მცხეთაში (ასევე სომეხი ლტოლვილების ვალარშაპატში) მოსკლა 808 წლით უნდა დათარიღდეს, მაგრამ 808 წლის რომელ თვეში გამოიქვეყნენ ისინი ამერიიდან?

„ნიწონს ცხოვრებაში“ არსებული ცნობით, ლტოლვილები იმპერიიდან „თთუება პირველმა ათხუთმეტმა“ წამოვიდნენ და, თთუება პირველმა ოცდაათმა“ პარსკვე დღემა ისინი თრდატმა ვალარშაპატში სიკვდილით დასაჯა. დახჯის დღეს — პირველი თვის 80.ში „ვარდი და ნუში უვაოდა“. ამ ცნობის მიხედვით მათი გამოქვეყნა გაზაფხულზე ივარაუდება.

„რეფსიმიანთა წამების“ ძველ ქართულ თარგმანში ლტოლვილთა დასჯის დღედ 26 სექტემბერია მითითებული (გვ. 28), არაბულ თარგმანში კი — 26 ოქტომბერი (გვ. 91, 87).

როგორც ვხედავთ, „ნიწონს ცხოვრებასა“ და „რეფსიმიანთა წამებაში“ ლტოლვილთა დასჯის შესახებ განსხვავებული ცნობებია, ამ ცნობათა ისტორიული რეალობის შესამოწმებლად უნდა გაირკვეს III-IV ს-თა მიჯნაზე როდის იწყებოდა ახალი წელი ქართლსა და იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში.

ძველი ქართული წარმართული კალენდრისაში მიძღვნილ სეციკალურ გამოკვლევაში წარმართული ახალი წლის დასაწყისად პ. ინგოროვამ 28 აგვისტო მიიჩნია (მუზეუმის მოამბე, 1981-1982, ტ. VII, გვ. 281, 280).

კ. კეკელიძის თანახმად, საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლისას უკვე უძრავი წელიწადი იყო წარმართული ახალი წელი 8 აგვისტოს იწყებოდა. პირველ თვეს „ახლწლისა“ ეწოდებოდა. რაც შეეხება თვეთა თანამიმდევრობას, — წერს იგი, — მიზარაჲს მიხედვდა ივრიკა, ივრიკას ვარდობა (ებრაელები, I, გვ. 110). ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად, — განაგრძობს კ. კეკელიძე, — ბიზანტიიდან შემოვიდა სექტემბრის წელიწადი, 2 რომელშიც ქართული თვეები ზუსტად ემთხვევიან შესაფერ რომულ თვეებს. სექტემბრის წელიწადი, აგვისტოს წლის ზმარებიდან გამოსვლის შემდეგ, მეცხრე საუკუნის დასაწყისში ერთადერთი საოქტობრო წელიწადია ჩვენში გვ. 124). IX საუკუნის I ნახევრიდან, ჩვენში შემოდის მარტის წელიწადი. კ. კეკელიძის მტკიცებით, ეს კარგადაა ახსნული „ნიწონს ცხოვრებაში“. „...მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც იწერებოდა და უაღბოდებოდა ნიწონს „ცხოვრების“ უძველესმა რედაქციამ, წლის დასაწყისად ჩვენში მარტი ითვლებოდა“ (ტიტულები, I, გვ. 123). კ. კეკელიძის თანახმად, ამაზე მიგვითითებს

„ნიწონს ცხოვრების“ შატბერდულ ვარიანტში არსებული ცნობა პირველი თვის ოცდაათში ვარდის ყვავილობის შესახებ.

ძველი დასაქვრებელია „პირველი თვის ოცდაათში“ მარტის ოცდაათი ივრლისხმებოდეს და თუნდაც IX ს-ის ავტორს ამ თვეში მარტი ეგულისხმა. მარტის ოცდაათში იგი ვარდის ყვავილობის შესახებ არ მითითებდა. „ცხოვრების“ ამ დეტალს, როგორც ჩანს, ჭერ კიდევ ლეონტი პროვლემა მიჰქცია უფრადებმა და ტექსტი ასე შეცვალა „...ნიწონს დაიშალა ეკლეთა შორის ვარდისაჲ, რომელი იგი ჭერათ არა უფრადა მას ემსა“ (ქართ. ცხოვრება, I, გვ. 84).

აღნიშნულთა ერთად, როგორც კ. კეკელიძე წერს, IX ს-ში ჩვენში მარტის წლის შემოსვლის შემდეგ, მის გვერდით თუ არსებობას განაგრძობდა სექტემბრის წელიც შუაში საუკუნის ნახევრამდე, მაშინ IX საუკუნეში მცხოვრებს „ნიწონს ცხოვრების“ შემდგენელი რატომ არ შეეცადა თბრობა მის დროისათვის ჭერ კიდევ არსებულ, ძველი სექტემბრის წელზე ავიკო, რათა თავისი თბრობა ნიწონს ქართლში შემოსვლის დროისათვის შეედაგებია?

კ. კეკელიძის მიერ მოტანილი დასაბუთების საფუძველზე „ნიწონს ცხოვრების“ IX ს-ში შექმნილ თხზულებაში მიჩნევა, ვტიკრობ, საფუძველს შოკლებულია. თუ კ. კეკელიძის დასკვნებს ვაიწიარებთ, მაშინ ლტოლვილთა დასჯის დღედ ავთანგილოსის თხზულების ძველქართულ თარგმანში მითითებული 26 სექტემბერი უფრო რეალური მოგვეჩვენება. მაგრამ, ჩემი აზრით, სომეხი წყაროს ეს ცნობა იმაზე მიგვითითებს, ავთანგილონი თავის თხზულებას მართლაც V ს-ის მეორე ნახევარში, სექტემბრის წლის არსებობისას რომ ადგენდა. ასევე საეჭვოდ მერჩენება ქართული წარმართული ახალი წლის დაწყება აგვისტოში, როგორც ამას პ. ინგოროვა და კ. კეკელიძე ფიქრობენ. ქართლში ქრისტიანობის შემოსვლისას ქართული წარმართული კალენდრის ძველამოსავლური, კერძოდ ბაბილონურსაპარსული უნდა ყოფილიყო, რადგან საქართველო უძველესი დროიდან სწორედ ძველამოსავლური სახელმწიფოთა კულტურულ ორბიტაში იმყოფებოდა. ამიტომ, ქართული წარმართული წლის დასაწყისის განსარკვევად თვალდაუვალოდ როდის იწყებოდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ახალი წელი.

ბაბილონური მთვარე — მზის კალენდრით ახალი წელი გაზაფხულის დღედამსწრობის შემდეგ ახალი მთვარის პირველი გამოჩენისას იწყებოდა. წლის პირველი თვე ნისანი, ხოლო ხოლო — მეთორმეტე თვე — ადარი იყო. ნისანის პირველი დღე ახლანდ. კალენდრით 22 მარტისად 20 აპრილამდე პერიოდს ემთ.

2 ი. კლიმონინის თანახმად, იმპერიაში წლის ათვლა I სექტემბრიდან ოფიციალურად 462 წლიდან დაიწყო (კალენდარი და ქრონოლოგია, 1981, გვ. 121, რუს. ენაზე).

ხეოდა (ი. ერმოლაევა, ინტორაული ქრონოლოგია, 1940, გვ. 48, რუს. ენაზე).

ფ. წ. 219 წელს ბაბილონეთი აქემენიანთა სპარსეთმა დაიპყრო. სპარსელებმა კულტურის სფეროში ბერძნის რამე გააძლიერეს ბაბილონელებთან. მათ შორის კალენდარი (ბაბილონური კალენდარი გამოიყენებოდა სელივიკებთან და პართიის სახელმწიფოებშიც). ამის გამო ძველსპარსული კალენდარი მთლიანად შეესაბამებოდა გვიანი ხანის ბაბილონის მთავარ-მშენებელ კალენდარს. თუმცა სპარსელებს თავების საკუთარი სახელწოდებები ჰქონდათ (აქემენიანთა სპარსეთში ბაბილონური კალენდრის გვერდით ზოროასტრული კალენდრის არსებობაც ავსალებდა). აქემენიანთა შედეგებმა ბაბილონური კალენდარი მიიღეს მთელი სამეფოსათვის. აქემენიანთა სამეფოში კი, სხვა ხალხებთან ერთად, შედიოდნენ ებრაელები, კაპადოკიელები, კამბოჯიის მოსახლეობა სამხრ. კოლხეთის მოსახლეობა (უფრო ჩრდილოეთით მცხოვრებნი ნებუფდოლით ხაყს უდიდენ აქემენიანებს). რაც შეეხება აღმოსავლურ ქართულ მოსახლეობას, „აქაური გავრთიანებები მოუხდევად ამისა, რომ აქემენიანთა სპარსეთისაგან დამოუკიდებელი იყვნენ, მისეც მისი ენოვარა პოლიტიკური და კულტურული გავლენის ქვეშ უნდა უფილიყვნენ“ (ქსე).

დასახლებული ქვეყნები მართლაც ერთიანი კულტურული ტრადიციების მატარებლები რომ იყვნენ და ახალი წელსც ერთდროულად უნდა დაწყებულიყო, ამას ბიბლიის ძველქართულ თარგმანებში შემონახული ცნობებიც მოწმობს.

როგორც ვარაუდობენ, ბიბლიის ცალკეული წიგნები, ქართლში ქრისტიანობის გამოცხადებისთანავე უშუალოდ ებრაულად ითარგმნა. რაც მთავარია, ძველი თარგმანები შეზღვევი ცვლილებებს აწვითადად განიცდობდა, ამიტომ ბიბლიის ქართული ტექსტები მტკად ძვირფასია თარგმნის თანადროული ვითარების შესაწავლად.

ბაბილონეთში, ასევე იმ ქვეყნებში, სადაც ბაბილონური კალენდარი გამოიყენებოდა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ადრია მეოთხრმეტე თვე იყო. მსგავსი მითითება გვაქვს ბიბლიის ძველქართულ თარგმანში. მაგ. ესთერის წიგნში ნათქვამია: „მეთისმეტეა აღდგა თუხა მის მეთორმეტისასა, თუთესა აღარსა, რომელ არს იგრიკას“ (ესთერი, 8, 12; შდრ., 3, 7, 13). ადრის თვის შემდეგ მოდიოდა ებრაული რელიგიური ახალი წლის პირველი თვე — ნისანო. რომელსაც ქართული „თუთე ვარდობისა“ (იგივე „უთუვილობისა“, „ახლთაჲ“ შეესაბამებოდა. იმავე ესთერის წიგნში ნათქვამია: „და მოუწოდეს მწიგნობარსა პირველსა მას თუთესა ნისანსა, რომელ არს ვარდობისა...“ (ესთერი, 8, 3; შდრ., „პირველსა მას დღესა

თუთესა ადარ და ნესასა, რომელ არს იგრიკასა და ვარდობას“. ა. აბულაძე, მწიგნობრების ლექსიკონი, ვარდობა). **სპარსეთში** როგორც ხედავთ, ებრაული კალენდრის ბოლო თვე — ადარი, ძველქართული კალენდრის იგრიკას, ხოლო ებრაული რელიგიური ახალი წლის პირველი თვე ნისანი, ქართული წარმართული წლის ვარდობას შეესაბამებოდა. ვფიქრობ, ზემოთაღნიშნული მასლით დასტურდება, არა თუ წარმართობის ხანაში, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგაც, როცა ებრაულიდან ქართულად ბიბლიის წიგნებმა ითარგმნებოდა, ახალი წელი, ებრაული რელიგიური წლის მსგავსად, გაზაფხულზე რომ იწყებოდა. ნისანის ქართლში შემოსვლის დროისათვის როგორც ჩანს, ახალი წელი კაპადოკიაშიც გაზაფხულზე იწყებოდა. ამის დამადასტურებლად მისაჩინა ლტოლვის დღედ ნინოს პირველი თვის 15 რიცხვის მითითება. როგორც ქვემოთ ვნახავთ, პირველი თვის 15-ში, ებრაული რელიგიური წლის პირველი თვის ნისანის 15 იგულისხმება, რაც საშუალებას გვაძლევს უხეტად განვსაზღვროთ იმპერიიდან ლტოლვილთა წამოხვედის დღე.

„ცხოვრებაში“ იმპერიიდან ლტოლვილთა წამოხვედის დღედ რომ პირველი თვის 15 არის დასახლებული, შემოხვევილი არაა. ბიბლიური თქმულებით, ებრაულად კამოსელა ეგვიპტიდან ნისანის 15-ში მოხდა (სელიმნიკოვი, გვ. 115, შდრ., ებრაულ ენციკლოპედიაში, სტ. პასსა). სწორედ ამ დღეს აღსანიშნავად ზემოხმდენ ებრაელები პასექს ნისანის 14-ში (რიცხვთა, 24; 16, 17; ლევიტელთა; 24; 5, 6). ამ დღის შესაბამისად, რათა ნისანის თვე უფილიყვის გაზაფხულზე უფილიყო, გადამუშავდა ებრაული კალენდარი. იგი შეუარაღებულ იქნა მთვარის ფაზათა ცვლილებასა და მზის წლიურ

3 მართლაც, ახალი წელი გაზაფხულის ბუნიობის (სხვა საკითხია რამდენად სწორად განსაზღვრავდნენ მაშინ ამ მოვლენას) შემდგომ ხანაში (როცა დღე იმატებს, თბება, ბუნება იღვიძებს და იწყება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები) უფრო შეიძლებოდა დაწყებულიყო, ვიდრე წელშიაღება სხვა დროს. ვფიქრობ, მართალი იყო დ. ცხაკაია, ქართული 5604-წლიანი ერის შესახებ შემონახულ ძველ ტრაქტატში არსებულ ცნობათა გაანალიზების საფუძველზე, ახალი წლის დასაწყისად 25 მარტი (ახ. სტალით 7 აპრილი) რომ მიიჩნია (დ. ცხაკაია, მთავარბიკის ისტორია, თბ., 1948, გვ. 212-214). იგი შეიძლებულად მიიჩნევა, გაზაფხულის ზენიანის დღედ, მაშინდელი ასტრონომების გამოთვლილით, 25 მარტი კოფილიყო მიღებული (ივე, გვ. 218).

მოძრაობასთან (სულენიკოვი, კალენდრისა და ქრონოლოგიის ისტორია, 1972, გვ. 115).

რომის იმპერიის აღმ. ნაწილში, ქრისტიანული აღდგომის დღესასწაული ებრძოლათა პასეის უმთხვეოდა (სოზომენე, წიგნი 1, 21). იმპერიის დასავლეთი ნაწილის ქრისტიანები აღდგომის იმთხვეოვე გაზაფხულის ბუნობის შემდეგ სახვე მთვარის მომდევნო კვირა დღეს დღესასწაულოდდენ. ისინი აღმოსავლეთის ქრისტიანებს აღდგომის ებრაულ პასექთან ერთად აღნიშენას ცოფვად უთვლიდდენ. აი რას წერს ამის შესახებ იოანე კონსტანტინოპოლელი. „...ოღენშე ქრისტიანენი აღვებება ჰორიათა თანა ჰყოფდენ [ქოთონბეტისა მთოფარისასა, და არა ზოლო თუ კრიაკესა ჰყოფდეს, არამედ ურველსა დღესა, ვითარცა რიცხუ იგი მთოვარისაა მიემთხვოს, და შურტაცხ იქმნებოდა დღე იგი აღდგომისაა. და ესე გამოიბა წმიდან კრებამან ნიკეასამან სამს ათვამეტთა ეპისკოპოსთა ნეტარისა კონსტანტინეს ზე მეფისა დიდისა, და ვანაინეს კრიაკესა ურვად დღე იგი დიდი აღდგომისაა, ვითარცა სამართალ იყო (ი. აბულაძე, „მრავალთაჲ“, ენციკლის მოაზბე, 1944, XVI, გვ. 292).

მარიკად, იმპერიის აღმ. ნაწილში 808 წლისათვის ებრაული პასეი და ქრისტიანული აღდგომა ჭერ კიდევ ერთდროულად, 14 ნისანს აღნიშნებოდა, ამიტომ იმპერიის საზღვრებიდან ნინოს და მისი თანამგზავრების გამოქცევის ზუსტი დღის დასადგენად უნდა ვაგრკვიოთ, როდის დაიწყო 808 წელს ებრაული რელიგიური ახალი წელი და რომელ დღეს მოუწევდა 15 ნისანი.

ძველებრათლი კალენდარი ბაბილონური კალენდრიდან მომდინარეობდა. ამიტომ თვეთა სახელები მას ახლც ბაბილონური აქვს. დაახლ. ძვ. წ. IV ს-იდან ბაბილონური მთვარის კალენდრის გამოდენა თანდათან დაიწყო უფრო რთულმა მთვარე-მზის კალენდარმა, მაგრამ ამ ახალი კალენდრის დაშუშავება-ჩამოყალიბება მხოლოდ ახ. წ. 499 წელს დამთავრდა (სულენიკოვი, გვ. 114-116). ასე რომ, 808 წლისათვის ებრაელები ჭერ კიდევ ძველ კალენდარს იყენებდენ. კალენდრის წლებში დღეთა რაოდენობა განსხვავებული იყო. ნისანი, ისევე როგორც ბაბილონურში, ებრაულშიც 30-დღიანი იყო. ახალი წლის პირველი თვის — ნისანის დასაწყისად გაზაფხულის დღეღამსწორობის შემდეგ, დასაკეთის ცისკიდურზე მზის ჩასვლისას ახალი მთვარის გამოჩენა ითვლებოდა. რელიგიურ წესჩვეულებათა გამო ახალი წლის დასაწყისი არ შეიძლებოდა ურფილიყო კვირა, ითხშაბათი და პარასკედი (ერმოლავა, გვ. 45).

808 წელს გაზაფხულის დღეღამსწორობა 23 მარტს მოხდა (კლიმიშინი, გვ. 107-108). ამ დღეღამსწორობის შემდეგ, 8 აპრილს ხალა-

მოს ახალი მთვარის გამოჩენის ნისანის პირველი დღე დაიწყოდა.

808 წლის 8 აპრილს ხალაქმის სახლამთა მთვარე დადგა, ეს ჩვენ თანამედროვე ასტრონომიული განაგარიშებებიდან ეკითხ (ბიკერმანი, გვ. 158, ცხრალი). ძველი ქრისტიანებო და ებრაელები თუ ასეთივე სიზუსტით განსაზღვრავდენ მთვარის ახალი ფაზის გამოჩენას (არის ასეთი ვარაუდი. ერმოლავა, გვ. 44, შენ. № 1), მაშინ 808 წლის 8 აპრილს შაბათ საღამოს დაიწყოდა ნისანის თვე, და იმავე ნისანის 14-ს, ახლანდ. კალენდრით 17 აპრილს (იმპერიის აღმ. ნაწილში იმ ხანად მოქმედი ალექსანდრიული ციკლით, 808 წელი იყო დიოკლეტიანეს ერის მე-19 წელი. ამ წელს სახვე მთვარე მართლაც 17 აპრილს იყო კლიმიშინი, გვ. 128, ცხრ. გვ. 105). გაზაფხულის დღეღამსწორობის შემდეგ დამდგარ პირველ სახვე მთვარეს ებრაელები პასექს, ხოლო ქრისტიანები აღდგომის დღესასწაულებდენ. და ლტოლვილი ქრისტიანები, როგორც ეს „ნინოს ცხოვრებაში“ მითითებული, აღდგომის მეორე დღეს 15-ში (ახლანდ. კალენდრით 18 აპრილს) იმპერიიდან წამოსულან. იმავე პირველი თვის 30-ში, ახლანდ. კალენდრით 8 მაისს, ისინი უკვე ვადარშაბათში მოსულან. სადაც თრდატ III სომეხი ლტოლვილები სიკვდილით დახაჯა.

ლტოლვილებს იმპერიის ტერიტორია მართლაც ნისანის 15-ში (ახლანდ. კალენდრით 18 აპრილს) რომ უნდა მიეტოვებათ, ამას დიოკლეტიანეს მიერ გამოცემული ანტიქრისტიანული ედიქტის თვისა და რიცხვის მითითებაც ადასტურებს. ედიქტი 808 წლის 28 თებერვალს გამოქვეყნდა ნიკომედაში (ი. ფიგორი, გვ. 128; ამ დროისათვის რომში უკვე იანერის წელი იყო). ედიქტით, რა თქმა უნდა, აღდგომის დღესასწაულაც აიკრძალებოდა. როგორც ჩანს, ლტოლვილებმა აღდგომა ჩუმად იდღესასწაულეს ნისანის 14-ში და ნისანის 15-ში იმპერიის ტერიტორიიდან თავანთი ლტოლვა ეგვიპტედა ებრაელთა გამოსვლის დღეს დაუკავშირეს.

808 წლის ნისანის 30-ში (ახლანდ. კალენდრით მარის 8) სიკვდილით დასჯას შემთხვევით გადაარჩენილ ნინოს სომხეთის დედაქალაქ ვა-

4 თუ 303 წლისათვის ჭერ კიდევ არ იცოდენ ახალი მთვარის გამოჩენის ზუსტი თველი, მაშინ, როგორც ცნობილია, ახალმთვარობის დროს მთვარე ჩვენსევე ვუნათებელი ნახევრათა მოქცეული და უხილავია. მისი ხილული რკალი მხოლოდ 1, 2 დღის შემდეგ ჩნდება ცაზე (სტ. მთვარე, ქსე, ტ. 8) და იგი თუ 5 აპრილს — რომშაბათ საღამოს დაანახეს, მაშინ ლტოლვილთა დასქის დღე 303 წლის 5 მაისს — ითხშაბათ დღეზე მოვა.

დასწავლაში მართლაც შეიძლება ვარდი აყვავებული ენაბა.

ზემომოყვანილი განგარისებანი თუ სწორია, მაშინ, შეიძლება ითქვას, ზუსტად ვიცით იმპერიიდან ნინოს და სხვა ლტოლვალთა წამოსვლისა და მათი ვაღარშაბაძის შოსვლის წესი, თვე და დღე. „ნინოს ცხოვრებაში“ არსებული მითითებათა საფუძველზე შევედგებო ასევე ზუსტად მივეთითო ნინოს მცხეთაში შემოსვლის თვე.

საკვდილით დასჯას ბედად ვადარჩენილი ნინო სომხეთის დედაქალაქს, რა თქმა უნდა, მაშინვე დატოვებდა. ამიტომ „ცხოვრებაში“ არსებული მითითება, თითქმის ვაღარშაბაძედან წამოსულმა ნინომ „ულოპორეთა დანიამთარა“ (დუონტი მროველი დანიამთარების ადგილად არბანს უთითებს, სომხეთის საზღვარზე, გვ. 85) და შემდეგ „თთუესა მეოთხესა“ წავიდა ჭავჭავთოსკენ, სიმაღლეს არ შეეფერება, რა თქმა უნდა, სომხეთიდან ჭავჭავთის გავლით მცხეთაში მომავალი ნინო გზაში არ დანიამთარებდა. არც ის იქნება სწორი, ამ მითითებაში ნინოს ვაღარშაბაძის უფრო ვიგუვ მივხებოდ, ლტოლვალთა საკვდილით დასჯას შემდეგ წარმოუდგენელია ნინო იქ კიდევ სამა თვე დარჩენილიყო და „თთუესა მეოთხესა“, როგორც ამა ს. კვეციანი იხარებს, წამოსულიყო ქართლისკენ.

თავდაპირველ ტექსტში უმჯობესია, „თთუესა მეორესა“ ეწერებოდა, რაც რეალურად შეესაბამება ისტორიულ ვითარებას. რადგან, პირველი თვის (ებრ. ნინანი, ქართული ვარდობისა) 20-ში (ახლანდ. კალენდრით მაისის 2) ლტოლვალთა დასჯის დღეს, ეს პირველი თვე დასრულდა და მეორე დღეს, როცა ნინო ვაღარშაბაძე დატოვებდა, უკვე ახალი წლის მეორე თვის — იარის პირველი დღე იყო.

საქართველოში შემოსულმა ნინომ ფარანის ტბის ნაპირზე მწვემსებთან ორი დღე დაჰყო. შემდეგ ურბნისამდე გზას რამდენი დღე მოანდომა არ ვიცით. ჩება ვარაუდით, მაისის 17-ისში იგი უკვე უნდა ჩამოსულიყო ურბნისში, სადაც მან ერთი თვე გაატარა „ცეცხლსა და ქვათა“ თუყვანისმცემელთა შორის (გვ. 434).

და აი, ურბნისში ერთი თვის უფრის შემდეგ, ნათქვამია „ცხოვრებაში“, „...დღესა ერთსა აღძრინეს ერნი ძლიერნი და ურცხვნი სიძრავლითა მით ქალაქით წარმავალინი დიდად ქალაქად მცხეთად... ვაჭრობად და ლოკოვად არბანს ღმერთისა მათისა“ (გვ. 334). ამ შოვნებზე ხალხთან ერთად გამოემართა ნინო მცხეთისკენ.

„ლოკოვად არბანისა“ გამართული ეს დღე-სასწაული და ვაჭრობა, რომელსაც ქართლის სამეფოს უფროსი კუთხიდან მოსული ხალხი ესწრებოდა, რომელ დღეებში იმართებოდა „...ნინოს ცხოვრებიდან“ არ ჩანს. სხვათა შო-

რის, ისეთ დღესასწაულზე, როცა კვეციანს უყვლა კუთხიდან მიდიოდა ზღაპრული „მეორეთა გამოსვლაზე“ და სავაქროდ „ქრტიანთა“ მრავალბრძოლს. ასეთი დღესასწაულის ადგილად იგი კახაბერის რელიგიურ ცენტრს კომანას ასახელებს (XII, III, 36; კომანა ერქვა როგორც დიდი კახაბერის, ისე პატრონს კახაბერის რელიგიურ ცენტრებს). ქართლის სამეფოსათვის მცხეთა, დედაქალაქს გარდა, ხომ რელიგიური ცენტრიც იყო. სამწუხაროდ, არც სტრაბონი მიუთითებს რაღაც ამართებოდა ეს დღესასწაული. მაგრამ, ივანისის შუარჩი ცხებებში არმაზის სახელზე გამართული საერთო სახალხო დღესასწაული „ბაზრობა სხვა რა უნდა უფიცილიყო თუ არა მოსავლის აღების სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებული ბაზრობის დღეობა?

ქართველთა უმაღლესი წარმართული ღვთაება — არმაზი მთვარის ღვთაებზე არის შინეული (ქსე, ტ. I, სტ. არმაზი), მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ არმაზის მთვარის ღვთაებზე მივხებვას, ძველ ქართულ წყაროებში შემონახული ამ კერპის აღწერა არ ეთანხმება. ამ წყაროთა თანხმად, არმაზი (ზადენთან ერთად) იყო ღმერთი ღმერთთა „...დიდათა ნაყოფთა მომცემელი და სოფლის მპრობელი, მზის მომცემელი და წამისა მომცემელი, ქვიყანი ნაყოფთა განაგრდელი“ (შატბერდის კრებული, გვ. 310, შდრ., ქართ. ცხ., I, გვ. 106).

სწორედ ამ მონაცემთა გათვალისწინებით, ჭერ კიდევ 1924 წელს მ. წერეთელმა მიუთითა, რომ არმაზი არის „...ღმერთი ცისა და სინათლისა, ატმოსფერისა, წვიმისა და ელვა-ქვიქისა“. ამ ბოლო ხანებში, ზეთურ-არმაზულ კერპების შესახებ არსებულ მასალათა განაღმარების შემდეგ, გრ. ვიორგაძემ დაასტანა: „...არმაზი უახლოვდება მცირეაზულ (ხეთურ-სურიტულ) ომისა და ტაროსის (თეშების) ღვთაებებს. მასში თითქმის თავმოყრილია ამ ორი ანატოლიური ღვთაების თვისებები. ზემონათქვამიდან გამომდინარე, არმაზს ვერ განვიხილავთ როგორც მთვარის ღვთაებას“ (მინი, დანახ. ნაშრომი, გვ. 154).

არმაზი მართლაც „მზის მომცემელი“ და „წვიმის მომცემელი“, „ქვეყნის ნაყოფთა გამომზადელი“ ღვთაება რომ იყო, ეს მოგვს ხორენაციის მონაცემებიდანაც კარგად ჩანს. მისი ცნობით, ნინომ „...მოსპო კეკა-ქუხილის [მომცემელი] არმაზის ქანდაკება“. „ამ ქანდაკებას, — განაგრძობს იგი, — დილაობით უყვლა სცემდა თაყვანს სახლთა სახურავებთან, სადაცაც სახით ჩანდა იგი...“ (მოვსეს ხორენაცი, გვ. 171. ხორენაციის თხზულების ქართულ ენაზე მთარგმნელის ა. აბაღაძის შენიშვნით, მ. წერეთელმა ზემომოყვანილ

ცნობაში შპის თავიანთსეგვის რატული დაი-
ნახა, იქვე, გვ. 278, შენ. № 209).

ძველ ქართულ (არმაზი „შპის მომფენე-
ლია“, ურბნისსა და მცხეთაში ნინომ ნახა ცე-
ხლის მახურნი) და სომხურ (ხორენაცის
ცნობა დილაობით არმაზზე ლოცვის შესახებ)
წყაროთა მიითითება მათიქებინებს, რომ არ-
მაზი ტაროსის ვარდა (როგორც ანს ს. სურ-
გულაძე ასყენის) შპის ღვთაებაც იყო. არმაზი
შპის მიწიერი განსახიერება უნდა უოფილი-
ყო.

არმაზ-შპის ასეთი ფუნქცია, სოფლის მეუ-
რნობის ისეთ მდიდარგანვითარებულ ქვეყანა-
ში, როგორც ქართლის სახელმწიფო იყო, შე-
შთხვევითა არაა. შპის შესახებ არსებული
მიოთების ვანალიზების საფუძველზე სამეცნი-
ერო ლიტერატურაში მიითითებულია, რომ
„შპართელონის აპარატის მხრივ განვითარე-
ბული სახელმწიფოების ღვთაებათა პანთეონ-
ში შპე ჩართული იქნა როგორც მთავარი,
ან ერთ-ერთი მთავარი ღვთაება. უფელზე
ხშირად ეს იყო შპისა და ბექა-ქუხლის
ღვთაება. მიწიერი მეფე კი შპის განსახიე-
რებულად ან შპის ძველ იოფლებოდა.“⁵ იქვე
აღნიშნულია, რომ კალენდარულ წეს-ჩვეუ-
ლებებში შპის კულტის ცვალის ძებინას, უო-
ველთვის ჩანს კავშირი შპისა და კულტურულ
მცენარეებს, შპესა და მიწათმოქმედის შრომის
შორის. ამიტომ შპის ციკლის ისეთ ვარდამ-
ტებს მოწინებებს, როგორცაა ზამთრისა და
ზაფხულის მზებუდობა, ვაზაფხულისა და შე-
მოღობის დღედასწორება (ბუნობის) ხალხი
განსაკუთრებით აღნიშნავდა. ეს დღეები იყო
მათ ცხოვრებაში ახალი ზანის დასაწყისი“
(ი. ივანოვა, შპის კულტის ნაკვალეო, გვ. 107,
რუს. ენაზე).

როგორც იქვეა, დაახლ. შაისის შუა რიცხ-
ებში ჩავდა ნინო ურბნისში და ერთი თვის იქ
ყოფნის შემდეგ „ადიძა ერნი ძლიერი და
ურაიუტნი“, „ლოცვად არმაზ ღმერთისა“. შა-
ისის შუა რიცხებიდან ერთი თვე სწორედ
ივნისის შუა რიცხებში ვასრულდებოდა და ამ
დროს ურბნისიდან წამოსული ხალხი, რო-
გორც ჩანს, ზაფხულის მზებუდობის წერტი-
ლშიშპის შესვლას აღნიშნავდა. 21 ან 22 ივ-
ნისის შედის შპე ზაფხულის მზებუდობის წე-
რტილში. IV ს. ს. დასაწყისათვის რომელი
დღე იოფლებოდა მზებუდობის დასაწყისად
არაა ცნობილი (შეიძლება ეს 20 ივნისი იყო.
იხ. ქვემოთ).

მზებუდობის წერტილიდან შპის გამოსვლის
შემდეგ, როგორც ჩანს, იწყებოდა მოსავლას
აღების სამუშაოები, რასაც ქართლის მოსახ-
ლეობა ზეიმით აღნიშნავდა. საინტერესოა

ისიც, რომ ძველქართული კალენდარი ივნისს
თუ მარიალი ეტყვა, შიხი ხალხური „საქალქო-
დება თობთა და ივანობისძეე იყო. რინაზე
აშკარად მოსვლის აღვანობისა დაკავშირებუ-
ლი. რაც შეეხება ივანობის თვის, ქრისტია-
ნულში ეკლესიამ იოანე ნათლისმცემლის დაბა-
დების დღე ზაფხულის მზებუდობის წერტი-
ლიდან შპის გამოსვლის დღეს დაუკავშირა და
შას ივნისის 24-ში აღნიშნავდა (საქ. ეკლესიის
კალენდარი, 1976, გვ. 142-143, 209, 214).

თუ ივანობის დღე შპის თავიანთსეგვისა
დაკავშირებული, ამ დღესასწაულის შემდეგ
გამართლო პეტრე-პავლობის დღეობაში წმი-
ნდა პეტრე აშკარად „ტაროსის მხრანებელი“,
ბექა-ქუხლის, ე. ა. „ცოური ცეხლის მწყრო-
ბელია“ (ივანოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 108).

როგორც ვხედავთ, არმაზისა და შპის მსგავს
ღვთაებათა ორმაგი ბუნება კარგადაა შემონა-
ხული ქრისტიანულ დღესასწაულებში.

„შპის მომფენელი“ ლიტერატურაში თავიანთს-
ეგვით უნდა აიხსნას 303 წლის ივნისის
შუა რიცხვებში ქართლის მოსახ-
ლეობა არმაზის ციურის სიმბო-
ლს — შპის მზებუდობის, სულ-
ტანსაბა ორბელიანის სიტყვით
რომ ვთქვათ — არა დავიგის (შპე
ლოში შევა ვასლამის — არა დავიგა. სი-
ტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 20) წერტილ-
ში შესვლას რომ ზეიმობდა.
სწორედ 303 წლის ივნისის შუა
რიცხვებში, არა დავიგის დღე-
სასწაულის დაწყების დღეს უნ-
და შემოსულიყო ნინო მცხეთა-
ში, ამ დღიდან დაიწყო ქართლში შიხი მარ-
იალწლიანი მისიონერული მოღვაწეობა.

რადგან არმაზ-შპეზეა საუბარი, „ნინოს
ცხოვრებაში“ მოთხრობად შპის დაბნელების
საქობისაც უნდა შევეხო.

ქართლის მოქცევის თარიღის დასადგენად
იყო ცდა „ნინოს ცხოვრებაში“ შპის დაბნე-
ლების შესახებ არსებული მიითითება („ივლა-
სისა ოცნა, დღესა შუათოსა“) გამოეყენებოთ.
მაგ., კ. კეკელიძემ, ასტრონომ ბიულის დაბნე-
რებით, გამოიკვლია, რომ შპის დაბნელება
„ცხოვრებაში“ მიითითებული დღის მახლობელ
ხანებში 319, 316, 315 და 315 (28 მაისს)
წლებში მოხდა და იგი შპის მიერ ქართლის
მოქცევის თარიღად მიჩნეული 315-316 წლე-
ბის ერთ-ერთ არგუმენტად გამოიყენა, ივ. ჭა-
ვახიშვილის საპარტილიანი მიითითებით, მართა-
ლია, ახლა ზუსტად შეგვიძლია გამოვიანგარი-
შოთ შპის დაბნელების დღეები, მაგრამ შოა-
ვარი „თვით ასეთი თაქნის არსებობის აუტო-
დენტული დადასტურება“ (მართლაც, ქართლის
მოქცევის სავარაუდო წლებში ვ. ვარუშელთან
შპის დაბნელების დღედ 20 ივლისი სავარაუდო
არაა მიითითებული. ქრონოლოგია, პარიზი, 1958,
გვ. 479). ივ. ჭავჭავაძე იქვე დასძენს, რომ

5 გაეიხსენოთ: ფარნავაზს „სპარსულად არ-
მაზ ეტყვა“; ფარნავაზს სიზმარში „შუქი შპი-
სა მოერტყა წელსა“.

ძველ ბერძენ და ლათინ ავტორებთან მხოლოდ „სპირ ბურუსზე“ საუბარი, ქართული წყაროებიდან შვის დაბნელებაზე IX ს-ის კელი-მურ რედაქციასა მითითება (შატბერდულს ეს აღვლი აქლია). რის გამოც შვის დაბნელების შესახებ ცნობა ქართლის მოქცევის თარიღის გამორკვევისათვის ვერ გამოგვაადგება (თხზ, ტ. I, გვ. 25. 25. 257).

აქვე უნდა დავხსნიო, რომ „ნინოს ცხოვრებას“ შემდგენელს, ან გვიანდელ გადამწერ-რედაქტორს მართლაც შეიძლება შეეტანა ამ თხზულებაში მითითება 20 ივლისს (ამ დღეს შვის დაბნელებაზე მითითებაა ქართ. ცხოვრებას უძველეს ანა დედოფლისეულ წუხსაში, გვ. 46; მსგავსი წარსო კქონია ხელთ ვახუშ-ტისაც, გვ. 4, 86, იქვე მინაწერი ამაზე) და ამა 20 ივლისს (როგორც ესაა „ნინოს ცხოვრებაში“, გვ. 342; ლიონტი მროველითან, გვ. 100; ქართ. ცხოვრების მართამ დედოფლი-სეულ წუხსაში, გვ. 89, და ქართ. ცხოვრების ძველ სომეხ თარგმანში, გვ. 106) შვის დაბ-ნელების შესახებ. რა თქმა უნდა, ქართლის მოქცევის საუბარადო წლებში შვის დაბნელე-ბა არც 20 ივნისს უფილია, მაგრამ, როგორც ზემოთ ვაჩვენე, ივნისის შუა რიცხვებში შვე-დელბის წერტილში შვის შესვლით მხე-არ-მისი დღესასწაული იწყებოდა და ამ დღე-სასწაულის წინ, შვისა და ცეცხლის თაყვანის-მცემელი ხალხისათვის შვის დაბნელება — შთა შთავარი ღვთაების ძაღის დეაჯგვას ნი-სხვად, ე. წ. ნიუანი კარგად შეამჩნია რვეაზ სირამბ. „...ნინოს ღმერთთა (ე. ი. ქრისტემ, ვ. ჯ.) დაუბრუნა მხეს (და მირიანს) ნათელი“. „ცხოვრების“ ეს ეპაზოდი, მას შთანია „...კო-ნვეციტორ მოტივად, რომელშიც განქიებუ-ლია შვის ღმერთთა... ნიშანდობლივია, — წერს იგი, — რომ მირიანის მოქცევა უშუა-ლოდ არშაის მსხვრევას კი არ მოჰყოლია, არამედ შვის დაბნელებას, შვის ძალამოსილე-ბაში დაქვევებას“. „უოველივე ეს კი გვაფიქ-რებინებს. — ასეცნის იგი, — რომ ქართველ-თა უმოთარესი ღვთაება იმ დროს იურ მხე (წმინდა ნინო „დედა-უფალი“, „მნათობი“, 1955, № 2, გვ. 156).

„ცხოვრების“ კელიმურ ვარიანტში არსე-ბული ცნობით, მცხეთაში მოსული ნინო „სამ წელ ილოცოდა ფარულად“. 303-308 წლებში მისიონერული მოღვაწეობა ნინოს მართლაც გაუძნელდებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტანთა დევნა იმპერიაში დიოკლეტიანეს გადადგომამდე (305 წ. 1 მაისი) მძვინვარებ-და და იგი ვარკვეულწილად ქართლშიც პოვე-ბდა ასახვას. 308 წლიდან მისიონერული მო-ღვაწეობისათვის ნინოს მიერ თავისუფლება მიეცემოდა.

ამდენი წელი გავიდა ნინოს ქართლში შემოსვლიდან მის მი-ერ სახმეთო ოქახისა და, საერ-

თოდ, ქართლის მოქცევაში მღე? კელიმურ ვარიანტში აღნიშნულია, რომ ნინომ მცხეთაში მოსვლიდან „შეოთხენა წელსა იწ-ყო ქადაგება... და შეეკუსენა წელსა არწუნა-ნა დედოფალსა... შემოადგენა წელსა არწუნ-ნა მირიან მეფესა“ (ავიგორ. ძეგლები, I, გვ. 84). ამ მითითებათა საფუძველზე ნინოს მიერ დედოფალ ნინას „არწუნება“ 308, ხოლო მი-რიანისა 310 წელზე მოვა. ნინა დედოფალი წარმოსობით ქრისტანთული ტრადიციებით მდიდარი პონტოდან (იგივე კაბადოკია) იყო, და ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება ნანა დედოფლის იმთავთვე ქრის-ტიანობის შესახებ შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ გადღერატი ხის ედიპტზე (811 წ.) აღერ ქართლის სამეფო ოქახის რომელიმე წევრის მიერ ქრისტეს აღიარებას, სახელწი-ფის მიერ ქრისტანობის ოფიციალურად აღი-არებად ვერ ჩავთვლით (იქნებ „ცხოვრების“ ამ მითითებაში გაღერატიუსი ედიქტის ასახვასთან გვაქვს საქმე?).

ნინოს ქართლში შემოსვლიდან მის მიერ ქა-რთლის მოქცევაამდე გასული დროის შესახებ უზრუნველბა მიიპურ „მოქცევა ქართლისა“-ს შატბერდულ რედაქციაში (გვ. 324), „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში (გვ. 128) არსებულმა მითითებებმა ნინოს ქა-რთლში მოსვლიდან გარდაცვა-ლებაამდე 15 წლის გასვლის შე-სახებ („ნინოს ცხოვრების“ კელიმურ ვა-რიანტში 35 წელი არის მითითებული, ავიგორ. ძეგლები, I, გვ. 90; ქართ. ცხოვრების ანა დე-დოფლისეულ გვ. 82 და მირიან დედოფლისეულ გვ. 109 წუხსებში, ლიონტი მროველითან — 14 წელი. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 127; ასევე 14 წელი იცის ვახუშტისაც, გვ. 7).

ძველი ქართული წყაროების ერთობლივი მითითება ნინოს მცხეთაში მოსვლიდან 14-15 წლის შემდეგ გარდაცვალების შესახებ, ჩემი ვარაუდით, ნინოს მცხეთაში შემოსვლიდან ქა-რთლის მოქცევაამდე გასული დროის მონაყ-ვეთს უნდა აღნიშნავდეს (IX ს-ში, შატბერ-დის კრებულის შედგენისას, ეს ცნობა უკვე არეული უნდა უფილიყო ნინოს ქართლში შე-მოსვლიდან გარდაცვალებამდე გასულ დროის მითითებასთან). ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს აგათანგელოსის „სომეხთა მოქცევაში“ არსე-ბული ცნობა სომხეთში ქრისტანთა დევნის დაწყებოდან სომეხთა მოქცევაამდე 15 წლის გასვლის შესახებ. 15 წელი აგათანგელოსთან რამდენწერტვა მითითებული დროის იმ მონა-კვეთის აღსანიშნავად, რომელიც თითქოს სო-მეხთა ეპისკოპოსად ხელდასხმამდე გრიგოლ განმანათლებელმა ორმოში გაატარა.

უძველესი, როგორც სომხური 15, ისე ქა-რთული წყაროების 14-15 წელი დროის იმ მონაკვეთზე მაგეითობებს, რომელიც გავიდა ნინოს ქართლში შემოსვლიდან — მის მიერ

ქართლის მოქცევაშიც. ზოლო, მეორე მხრის, სომხეთში ქრისტიანთა დევნის დაწესებთან (რაც გამოიხატა ნინოსთან ერთად იმპერიიდან მოსული ქრისტიანი ლტოლვილების სიკვდილით დასჯასა და გრიგოლ განმანათლებლის 15 წლიან პატიმრობაში) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებამდე. რადგანაც ნინო ქართლში 303 წელს შემოვიდა, ქართლის სამეფო კარის მიერ (ახვცი სომხეთის) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება 318 წლით უნდა დათარიღდეს. ქართლისა და სომხეთის სამეფო კარმა და ხალხმა 318 წელს კი აღიარა ახალი რწმუნა, მაგრამ, როგორც კ. კეკელიძე წერს, „ერთი საკმევა მოქცევა, გაქრისტიანება ხალხისა... სხვა საქმეა მონათვლა უკვე მოქცეული ხალხისა რიტუალის შესრულება“. ამრიგად, ახლა საკითხი იყო ახლადმოქცეული ქვეყნების ეკლესიათა მეთაურების ოფიციალური ხელდასმვა. ეს კი იმ ეკლესიის საკეთილშობილეს პრიორიტეტს წარმოადგენდა, რომლის ქრისტიანული თემის მისიონერებს წვლილი შეუძლოდა ამ ქვეყნების მოქცევაში, ე. ი. ხელდასმვა იმპერიის ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო.

მართალია, ჟერ 311 წელს, გალერისის, შემდეგ კი 313 წელს, ლიცინიუსის მიერ გამოცემული ედიქტმა გარკვეული სტიმულის მიყვებით იქნებოდა იმპერიის ფარგლებს გარეთ მესოპოტამიის ხალხების ქრისტიანობაზე მოსაქცევა, მაგრამ, როგორც უემოთ აღნიშნე, 313 წლიდან იმპერიის აღმ. ნაწილის ერთპიროვნული გამგებლის ლიცინიუსის პოლიტიკა ქრისტიანთა მიწობით თანმიმდევრული არ იყო. 313 წლის შემდეგ მან არაერთხელ განაახლა ქრისტიანთა დევნა, უკანასკნელად 320 წელს, ანტიოქიაში, ვუიქრობ, მისი მმართველობის ხანაში ქართლისა და სომხეთის ეკლესიათა მეთაურების იმპერიაში კურთხევა გაძინდებოდა. ასეთ აქტისათვის მხოლოდ 324 წელს, კონსტანტინეს მიერ გამოცემული ედიქტის შემდეგ, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები, თუფანე ეპისკოპოსის წინააღმდეგობის ცნობით, კონსტანტინე, ვახდა რა რომის მიწების ერთმმართველი, თელი უფრადლებით მოცილდა ეტაბერტია რწმუნის საქმეს. პირველ რიგში მან გამოცხადებდა, რომლის ძალითაც წარმართული ტაძრები ქრისტიანთა ხელში გადადიოდა. ამავე კანონით მხოლოდ ქრისტიანები უნდა მიეღოთ სამხედრო სამსახურში და ინანი უნდა დანიშნულყუნენ მალად სამხედრო თანამდებობებზე; აღდგომის ორ შვიდეულს (7 დღე აღდგომამდე და 7 დღე აღდგომის შემდეგ).

6 გელასი კესარიელის ცნობით, იბერებმა და ლაზებმა ერთად მიიღეს ქრისტიანობა (გეორგიკა, I, გვ. 186, 245-46). ასე რომ, გეორგიის გლქრისტიანება ქართლისა და სომხეთის თანაცხოვრებად უნდა მომხდარიყო.

მდეც. მორწმუნე ყოველგვარი საშენობიანი თაიხუფლებოდა. ამრიგად, განაგრძობს თიფანე. — მსოფლიოში სწავნარე და სწავნე და ვახატოდა. სიხარულით აღიხსნენ მორწმუნენი, რადგან ყოველდღიურად, ყველა ხალხიდალან ემატებოდნენ ქრისტეს მორწმუნეთ, ინათლებოდნენ და ამსხვრევდნენ მშობლიურ კერაებს" (გვ. 13, რუს. თარგმანი). ასე რომ, ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების წინა 324 წლის ზოლო თვეები უყველანა ხელსაყრელი დრო იყო სომხეთისა და ქართლის ეკლესიათა მეთაურების ოფიციალური კურთხევისათვის.

თუფანე ეპისკოპოსი ქართლისა და სომხეთის მოქცევის შესახებ 324 წელს მოხდა ამბებთან ერთად მოკვირობის (გვ. 18, რუს. თარგმანი). როგორც თიფანე წერს, ეს ცნობა მას რუფინუსიდან (გარდ. 410 წ.) აქვს აღებული, მაგრამ რადგან რუფინუსი თარგმანს არ უთითებს, ამიტომ თიფანეს ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენის დასაბრუნებად. V ს. ისტორიკოსი სოპონენეც სვადასხვა ხალხების, მათ შორის, ქართველებისა და სომხების მიერ ქრისტეს რწმუნის მიღებას ნიკეის კრების დამთავრების შემდეგ მოკვირობის (წიგნი II, 7, 8, რუს. თარგმანი).

ბიზანტიურ წყაროებში, როცა ქართლისა და სომხეთის მოქცევაზეა მოიხილება, რა თქმა უნდა, ამ ქვეყნების ეკლესიათა მეთაურების იმპერიაში კურთხევის ფაქტი უნდა იყოს ასაბუთებული.

ქვემოთ შევეცდები ქართლისა და სომხეთის მოქცევის თარიღად მიღებული 318, ზოლო კურთხევის 324 წელი სათანადო მასალებზე ვაყვარო.

1 | ავთანეგლოსის თანახმად, სომხეთა განმანათლებელი გრიგოლი კაპადოკიაში „იხრდებოდა წესითა ქრისტიანებათა“, იქ ეწიარა ქრისტეს მცნებას, და იქვე, კაპადოკიის ეკსარის ეპისკოპოსის ლეონტის მიერ იქნა ხელდასმული სომხეთა ეპისკოპოსად.

ლეონტი აღრქობისათვის სამყაროში ცნობილი პიროვნება იყო. იგი ნიკეის კრებაზე დასწრე ცნობილ საეკლესიო მოღვაწეთა შორის იხსენიება, როდის დაიკავა ეკსარისის საეპისკოპოსო კათედრა ლეონტის, ზუსტად არ ვიცით, მაგრამ 314 წ. ანკირაში (ახლანდ. ანკარა) გამართულ ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე დასწრე ეპისკოპოსთა შორის კაპადოკიის ეკსარისის ეპისკოპოსი — აგრეკოლას ხელმოწერა. პ. ვიდულიანოვი აგრეკოლას ეპისკოპოსობის ზოლო თარიღად 314 წელს მიიჩნევს (გვ. 388). ანკირის კრების შემდეგ აგრეკოლა ან გადაუდებებლ იქნა, ან გარდაიცვალა და 314 წლის შემდგომ კათედრა ლეო-

ნტის უნდა დაეკავებინა. პ. ვიდულიანოვი ლეონტის ეპისკოპოსობას 815/816-825 წლებში განსაზღვრავს (326.341 წწ. ექსარიის ეპისკოპოსად გერონტი ჩანს). ასე რომ, როგორც სომეხი ხალხისა და სამეფო ოჯახის მოქცევების (818 წ.), ისე სომეხთა პირველი ეპისკოპოსის გრიგოლის ხელდასმისას (824 წ.) ექსარიის საეპისკოპოსო კათედრაზე ლეონტი იმყოფებოდა.⁷

ექსარიიდან სომხეთში მომავალ გრიგოლს, ლეონტის დაჯდომით, კაპადოციის ქალაქ სებასტიიდან თან გამოუყვან ეპისკოპოსი პეტრე და სებასტიიდან წამოუყვანილ ღვთისმსახურთა მუშევრობით მოახდინა სომხური ეკლესიის ორგანიზაცია.

თუ გავითვალისწინებთ კაპადოციის მოსახლეობის ქართველურ წარმომადგობას და იმ გარემოებასაც, რომ კაპადოციის ექსარიის ეკლესიის ისეთი საბუთმპყრობელი, როგორც ბასალ დიდი ექსარული (გარდ. 879 წ.) ქართველი იყო (ე. ხინთიბიძე, გ. გოჯალიშვილი და სხვ.), მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ საეპისკოპოსო კათედრას ადგილობრივი, ქართული წარმოშობის სასულიერო პირები განაგებდნენ და ეპისკოპოსი ლეონტიც, რომელიც მიერ იქნა ხელდასმული სომეხთა განმანათლებელი გრიგოლი, ქართველი უნდა ყოფილიყო.

გარკვეულ განმარტებების ექსარიის ხელდასმის შემდეგ ძველ სომეხ ისტორიკოსთა (გაიანელოსი, ფავსტოს ბუზანდაცი, მოყვეს ხორენაცი) მითითებით სომხური ეკლესია კაპადოციის ეკლესიაზე დამოკიდებული შეიქმნა. სომხეთის ეკლესიის ისტორიის ავტორის ა. ანისკის შენიშვნით, ექსარიის ხელდასმის შემდეგ გრიგოლი სომხეთის ეკლესიის ორგანიზაციის დროს ექსარიის დედა ეკლესიის მითითებით ხელმძღვანელობდა. ბუნებრივია, ამიტომ მოძღვრება და ყველა საეკლესიო წესი სომხეთში გადმოღებულ იქნა ისეთვე სახით, როგორც კაპადოციის ექსარიის იყო

7. ავთანეგლოსის ცნობას, მართალია, სომეხში მეცნობრებშიც მოაქციეს კურადღებუ, მაგრამ, მიანდათ რა სომხეთის ვიქსტიანიენის თარიღად 301 წელს, ლეონტის მიერ გრიგოლის ხელდასმისაც ამ წელს მომხდარ ფაქტად თვლიდნენ. ამით ანგარიშს არ უწყებდნენ იმ გარემოებას თუ რომელ წლებში გიორგი ლეონტის ექსარიის საეპისკოპოსო კათედრა, ასეთივე მოსაზრება გატარებულა 1984 წ. გამოკვეთილ მისეის კლანკრეციის თხზულების რუსული თარგმანისადმი დართულ კონენტარებში- (გვ. 178, შენ. № 19; გვ. 222, შენ. № 190).

11. „მნათობი“, № 2.

(ანისკი, სომხეთის ეკლესიის ისტორია, 1900, გვ. 14), ე. ი. არიანული.

ნიკეის კრებაზე ლეონტი სხვაგვარადაც ეპისკოპოსთა მხარდამხარ არიოსის მხარეზე გამოდიოდა. რის გამოც იგი გადაყენებულ იქნა ახლა რაც შეეხება ქართლის პირველი ეპისკოპოსის — იოანეს ხელდასმას. ისევე, როგორც სომხეთისა და ეგრისის, ქართლის მოსახლეობის მოქცევის საქმეშიც კაპადოციელმა მისიონერმა შეასრულა მთავარი როლი, მაგრამ, როგორც ჩანს, კაპადოციის ეკლესია უოველთვის ვერ ახერხებდა ანტიოქიის ძლიერი ეკლესიისათვის ანგარიში არ გაეჩინა და თავისი მისიონერების მიერ მოქცეული ქვეყნის მეთაური თვითონვე ეურთხებინა.

ქართლის მოქცევის დროისათვის იმპერიის აღმ. ნაწილში, როგორც წესით აღენიშნე, ანტიოქიის ეპისკოპოსი პირველობდა. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ შუა საუკუნეებიდანვე როგორც საქართველოში (ეფრემ მცირე XI ს., არსენ ბერი XI ს.; ეს ტრადიცია როგორც ახლა გარკვევა, ასახულია სულხანსაბა ორბელიანის ფრაზაში ელჩობის მასალებში. ქ. ვათიშვილი, „კომუნისტი“, 1984, ნ. VIII), ისე სირიაში (შავ მთაზე XI ს-ში მოღვაწე ნიკონი, ანტიოქიის პატრიარქები: მაკარიოსი XVII ს. და მიქაელი XVII ს. მღვდელი მიქაელ ბარდუი XVII ს.) შემონახული ტრადიცია ქართველთა (ეპისკოპოსის) ხელდასმას ანტიოქიის პატრიარქს ევსტათის მიაწერს.⁸

ქართულ და უცხოურ ტრადიციის შემონახული ცნობა მტკადა მნიშვნელოვანია, როგორც ქართველთა ეპისკოპოსის ხელდასმის დოკუმენტისათვის. ისე ქართლში შემოსული ქრისტიანობის მიმდინარეობის განსასაზღვრავად.

ნიკეის კრებაზე დამხრე ანტიარიანული მრწამის ეპისკოპოსთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, „ევსტათი დიდი“ (როგორც მას თეოდორიტე უწოდებს) ანტიოქიის კათედრას 824 ან 825-830 წლებში განაგებდა (გრუმოლი, გვ. 446) და მის მიერ ქართლის ეკლესიის მეთაურად იოანეს ხელდასმას ამ წლებში უნდა მომხდარიყო. სავარაუდებელი ერთია, 818 წელს მოქცეული ქართლის სამეფო კარი იოანეს ქართლის ეპისკოპოსად ხელდასმისმულად შესაფერ დროს უცდიდა. ასეთი დრო იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ გამოცემული ედიქტის შემდეგ დადგა და ქართლთან იმპერიაში გაგზავნილ დელეგაციას, რომელიც მღვდლებსა და ეპისკოპოსის კურთხევას მოითხოვდა, ალბათ, 824

8 გელასი კეზიკელი (V ს.) ქართველთა ეპისკოპოსის ხელდასმისმულად ილექსანდრე კონსტანტინოპოლელს ასახელებს (გეორგიკა I, გვ. 193-194), მაგრამ ეს ცნობა მეკლევართა მიერ თვით გელასის ინტერპოლაციიდან მიჩნეული (გეორგიკა I, გვ. 196).

წელსვე წარუდგა კონსტანტინეს და, მისივე მხარდაჭერით, იოანე ევსტათიძე ავტოტოხა ქართლის ეკლესიის მეთაურად. ცხადია, ევსტათის მიერ ხელდასხმული იოანე ეპისკოპოსი ქართლში ნიკეის რწმუნას დანერგავდა.

ამრიგად, ქართლისა (ახევრე ეგრიონის) და სომხეთის მოქცევა 818 წლით უნდა დათარიღდეს. ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს მოცნეს ზორენცის თხზულებაში, როგორც ჩანს, „ნიწოს ცხოვრებაიანი“ და ავათანჯელოსის „სომეხთა მოქცევიანი“ მომდინაე ტრადიცია, რომლის თანახმადაც, მირიან და თრდატი დაახლოებით ერთად გაქრისტიანდნენ (ქართ. თარგმანი, გვ. 170-172, გვ. 278, შენ. № 205). სომხური წყაროს ამ ცნობას ჭერ კიდევ XIX ს.ში მიაცვია ურადღება ივ. გვარამაძემ და მან ქართლის მოქცევა 817 წლით დათარიღა. ს. გორგაძის „მეფეთა ცხოვრებაში“ არსებული ცნობა მირიანისა და თრდატის დანათესავებისა და მათ შორის არაქსზე საზღვრის დაღების შესახებ 818-828 წლებს შორის მომხდარ ამაღ მიაჩნდა. იგი თრდატის მოქცევას 818 წლის მახლომელ ხანით ათარიღებდა. სომხეთის მოქცევის თარიღად ასევე 818 წელი მიაჩნდა სომხეთის ეკლესიის ისტორიის მკვლევარს ა. ანისკის. ქართლის მოქცევის თარიღად 818 წელს თვლიდნენ დიუბუა და მონპერე, გ. საბანიანი, პ. იოსელიანი და რ. ცაშვიცივი.

ქართლის ეკლესიის მეთაურის ხელდასხმა 824 (უკიდურეს შემთხვევაში 825 წლის ივ.

ლასაშვი) წელს რომ უნდა მომხდარიყო ამის დამადასტურებლად. ზემოთქანული მასალის გარდა, მიმართა „ნიწოს ცხოვრებაში“ ერთგვარული ის ცნობა, რომლის თანახმადაც, ნიწოს ღმერთის აღიარების შემდეგ მირიანმა ეკლესიის მშენებლობა დაიწყო და მხოლოდ მშენებლობის დასრულების შემდეგ შეუთვალა კონსტანტინეს — „სრულიად მოწყუედა სპარსთა და მტკიცედ მიღება სიუჟარულითა მათისა“, რის პასუხადაც კონსტანტინემ „წარმოგზავნა მღვდელი ქვეშარბიტი იოვანე ეპისკოპოსად, მის თანა მღვდელნი ორნი და დიაკონნი სამნი“ (ქართ. ცხოვრება, I, გვ. 115). როგორც „მირიანის ცხოვრებაში“ ნათქვამი, ამ დროს მირიანს კონსტანტინემ იმპერატორი მძევლად მყოფი ძეც კი დაუბრუნა. სხვათა შორის, ძველი ქართული წყაროს ამ ცნობას მხარს უჭერს V ს.ის ბიზანტიელი ისტორიკოსის — სოპრომენეს მოთითება, ქართლის მოქცევის შემდეგ ბიზანტიასა და ქართლს შორის „სამხედრო კავშირის დაღებისა და შეგობრობის დამყარების“ შესახებ (წიგნი, II, 7).

ქართლის ეკლესიის შემდგომი ორგანიზაციის პირველი ეტაპი, რაც, ცხადია, ქართლის სხვადასხვა კუთხეების მოქცევასა და ნიკეის კრების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას ითვალისწინებდა, დაახლ. 830 წლისათვის (ნ. ლომოურს ქრისტიანობის აღიარების ბოლო მიჯნად ეს წელი მიაჩნია, დასახ. ნაშრომა, გვ. 83) უნდა დამთავრებულიყო.



გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

საუბარნი კოლხურ კოშკში

1960 წელს დაიბეჭდა ჩემი წერილების კრებული სახელწოდებით „თანამედროვენი“. პირველი ეგზემპლარით კოლხურ კოშკს მივაღები. მასწინებელმა გულთხილად მიმიღო და პატარა მაგიდასთან მიმიპატივა. წარწერა რომ წაიკითხა, მერე სარჩევი ჩაათვალიერა, ბიჭოს, „მთვარის მოტაცებაზე“ წერილი დაგიწერია, წავიკითხავ და ჩემს აზრს ვრამახსენებო.

მწერლისათვის აუცილებელია ადლო, მიხევა-დრა, შორსმჭვრეტელობა, კოლხისადური შრომის უნარი. ბუნებამ გამახებრდია ყველა ამ საკითხთ დააქილდოვა, მან არ იცოდა რა იყო დადლა, რაც შეეხება ინტუიციას, იგი მწერლის გამოცდილებას ემუარება.

ბატონი კონსტანტინე ოჯახის კაცია ვახლდათ. თუ ვინმე ესტუმრებოდა, ზედ გადაუვებოდა, გარეთ კი საჭიფოდ მოუცდელი იყო. განა იმიტომ, რომ ფული ენანებოდა, არა. იგი ცხოვრობდა თავისი ბუნების მიხედვით, ხოლო მისი ბუნება არ მოითხოვდა გარეგანე დროსტარებას. რას იზამ, კაცია და ვუნება.

ჩემმა წიგნმა კონსტანტინე გამახებრდიასთან კარგა ხანს დაჰურ. მწერალთა კავშირში შემხვდა და ბოდში მოიხადა, მეტისმეტად მოუცდელი ვიყავი და დღემდე ვერ წავაყიებოვ. დღეს რა დღეაო, მკითხა. სამშახათი ვახლავთ, ბატონო კონსტანტინე-მეთქი. კვირას მოურადებლად შემოალე ჩემი კოშკის კარებოო. ასეც მოვიქეცი.

შენიშვნებიდან ჩამდა, რომ კრებული საფუძვლიანად ქმნდა წაქიბოულა. ზოგი წერილი მომიწონა, ზოგის გადავეთება მიჩნია. ბოლოს კი ასეთი კითხვა დამისხა: რა არის საჭირო იმისათვის, რომ „მთვარის მოტაცებაზე“ დაწერილმა შენმა წერილმა სრულყოფილი სახე მიიღოს? ბატონო კონსტანტინე, ამისათვის, უპირველეს უკვლისა, აუცილებელია ხაზგასმით აღნიშნოს, რომ კაც და არაშუაან ზეამბიები

იდეალური პიროვნებები არიან. მამა-შვილის ურთიერთდამოკიდებულება რომანის პარალელური ხაზია, ამ ხაზისადმი მეტო ურუადლების გამოჩენა საჭირო.

შევაჯარე: თქვენ ერთ წერილში ამბობთ: „მთელ მსოფლიო პოეზიაში უბრწუნადესი შედეგრება მიძლენილი კარგი მაშებისადმი, კარგი შეილების თავგამოდებული სიყვარულისადმი. მარტო ერთი. შექსიარის დანიელი პრინცი მაშელტა რად ღირს!“

ან არადა მომეროსის ბრწუნადელ სტროფი, რომელიც მთელ პოეზიას უდრის: „ზევესს როლი გეფიციება აგელაი, არამედ მამჩრემის ტყვილებს“. აღბათ, მომიწევს „მთვარის მოტაცებაზე“ დაწერილი წერილის გადავეთება და მაშინ აუცილებლად მოვყევან ამ ციტატას და თანაც ვიტყუო, რომ ბატონმა კონსტანტინემ მამა-შვილის სიყვარულს მიუძლენა უბრწუნადესი რომანი-მეთქი.

დიდ მწერალს ვაღვიმა და მიიხრა: „არა მეონა, ვინმემ ვაბედოს და თქვას, თითქოს მე იგი განზრახ შეურაცხევაე, მაგრამ არც ჩემი ნაწარმოებების უსამართლო ჩხრევა მომიბოძენა მე მყაცრად გამეკამათა გერონტი ქიქოძე, მე კი მის წერილებსა და თარგმანებს დიდი ინტერესით ვკითხულობ, რევენი უნდა იყოს კაცო, რომ არ დაფასოს მისი ესოდენ დიდი დეაწლო ქართული კულტურის წინაშე. მუდამ პატივს ვცემ სანდრო შანშიაშვილს, თუმცა მან თითქოს ისტორიული უაქტების დამახინწებაში გამომიჭირა. არასოდეს მიფიქრია, თითქოს ერთი კაცო ქმნიდეს ლიტერატურას“.

წინა საუბრებიდანაც ჩემთვის ნათელი იყო მისი სულგრძელობა და გულახდილობა.

კოლხურ კოშკში სიარულს მოუწმირე, მასთან საუბარი რომ უფიფისი ბედნიერება იყო. იგი საფუძვლიანად იცნობდა ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიას, სწამდა. რომ ბიატრიჩე და ლურა რეალური პიროვნებები იყვენ და არა სიმბოლური სახეები, რაგორც ეს

ზოგიერთს ჰგონია. მან ნათლად დაგვანახა ის საერთო, რაც დანტესა და რუსთაველის პოეზიაში შეინიშნება. მისი აზრით, მსოფლიო პროზაში გოეთეს „იტალიური მოგზაურობის“ შემდეგ პირველი ადგილი ილია ქაჭავაძის „მეზავის წერილებს“ უკავია, კონსტანტინე ვამსახრძელის სიტყვებით: „გალაქიონი ვირტუოზია არა მარტო ლექსის, ქართული წესის დიდი შემოქმედია. ქართული ენა მის ხელში მოჩინდა, როგორც გაშინარი ცვილი“...

„ნიკო ღორთქიფანიძეს, ვარდა ოსტატობისა მუდამ ამშვენებდა თავისი კაცაცობა და შამურლაშვილობა“... ერთი სიტყვით, ვისაც კი რაიმე მნიშვნელოვანი გაუკეთებია ქართული ენა-ლტურის საკეთილდღეოდ, ყოველ მთავანს კონსტანტინე ვამსახრძელის მადლობა ვაძუცა თან.

რამდენიმე წლის წინათ ძველი სენაის სკოლას ოსმელი წელი შეუსრულდა. „სახალხო განათლების“ მაშინდელმა რედაქტორმა, ჩემმა ახლო მეგობარმა გ. საჩაიამ მთხოვა კორცესონადენტობა მდებისა და საიუბილეო საღამოს დაეწერებოდი და ვახუთისათვის ნარკვევი დამეწერა, სიამოვნებით დავთანხმდი. რა თქმა უნდა, ნარკვევი დავწერე და შორავ წიგნისთვის დაიბეჭდა კიდევ, მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარი ისაა, რომ ამ სკოლის ყოფილი მოწაფე კონსტანტინე ვამსახრძელი ჩინა-ახალღუბის გამორწობილი ვნახე, სულ ხანჭალზე აკადემბდა ხელს.

როდესაც ტრიბუნაზე ავიდა, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ტამბაც იქუხა. ერთი დარბაისელი ქალი ტრიბუნასთან მივიდა მწერლის ჩაბის კალთას კონკა დაუწყო. ამ მოულოდნელობამ დარბაზი დანახა, ბატონ კონსტანტინეს კი ცრემლი მოერია, კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო. ბოლოს, როგორც იქნა, დაიწყო ლაპარაკი და დარბაზში ხმაურაც შეწყდა. ვუსმენდი მას და ვფიქრობდი, სიცოცხლის ერთი მთავარი მიზანი საქვეურო საქმის სიუყვარულია, სწორედ ამ სიუყვარულმა აიყვანა კონსტანტინე ვამსახრძელი დიდი მწერლის რანგში.

სავსებით მართალი იყო ბატონი კონსტანტინე, როდესაც ახალგაზრდობის ვასაგოდამ ამბობდა: „პირადე ცხოვრება ადამიანისა ერთგვარი ხელმოვებაა, უსაქიროსი ხელმოვება. ვინც ამ ხელმოვებას ვერ დაეუფლება, მას ფასკო მოეღოს უთუოდ“.

დაიბ, ეს ასეა...

შესვენებარ მატარებელში

მივლინებიდან თბილისში ვბრუნდებოდი, როგორც კი ვავიწო შევედი, თვალთ მოვკარი ჩემი სკოლის მეგობრის მამას, დეაწმოსილ პედაგოგს რაჟდენ გამსახრძელს. მაშინვე მასთან მივედი, ხელთ მომხვია, თავის კუბეში წამოუყვანა და ჩემი თავი ლეო ქიაჩელსა და აღფასანდარე აბაშელს წარუდგინა: გაიყანით, ჩემი

თორნიეს მეგობარია, ახალგაზრდა ეურნალისტი, შერე მე მომიბრუნდა და მიხარა: „შენ, აღმათ, ორივეს იცნობო, რა უმადუნდეს ვიცუნობდი, მაგრამ მხოლოდ შორიდან და ახლა, როცა ისინი პირადად გაიციანი, თავს ბედნიერად ვთვლიდი.“

ამაშენლმა ქიაჩელს სთხოვა ვანდერძო თავისი თავგადასავალის მოყოლა. ლეომ თხოვნა შეუსრულა: „დავახწიე თუ არა თავი კუთხისის ციხეს, თქვა მან, ჩემმა რაჟდენმა (ქიაჩელმა ხელი გადახტა რაჟდენ ვამსახრძელს) და სხვა ამხანაგებმა მიშოვეს საშემო პასპორტი და ვამაგზავრეს მოსკოვში. რამდენიმე ხნის შემდეგ ენევაში წავედი. მოსკოვში ვესწრებოდი სექტაბლებს, ენევაში კი ვისმენდი ფილოსოფიების, სოციოლოგიების, ისტორიკოსების ლექციებს. შქონად ლიტერული გატაცებებიც, რაც თქვენ ახლა ასე გაინტერესებთ...“

უველანი სულგანახული ვუსმენდიო. საოცრად გული დამწყუდა, როცა კონდუქტორმა გვაუწყო, მოემზადეთ, შემდეგი სადგური თბილისიაო.

გავიდა დრო, 1988 წელს რუსთაველის გამზირზე ალიო ადამიას შეცხვდი, მთხოვა, „ახალგაზრდა კომუნისტისათვის“ „გვადი ბივავუე“ წერილი დამეწერა. სიამოვნებით დავთანხმდი, წერილი მალე დაიბეჭდა, მაგრამ მხოდა ვაუბერობა, რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის გვარი იმდენად დამახინჯებულად დაიბეჭდა, რომ ბატონ ლეოს ეს საოცრად სწყენოდა და ალიოს ჩემთან შეხვედრა სთხოვა. ეს დღევ დადგაროგორც კი შემომხვდა მაშინვე მიყნო და ღიმილით მითხრა: „ეს შენა ხარ რაჟდენის შვილის განუყრელი მეგობარი, მაშინატიებია ჩემი პერსონაჟის გვარის დამახინჯებაო“. სავყარედ მწერალს მტრუბოდაზე, თუცა ამ შეცდომაში (ფორმას ნაცვლად დაიბეჭდა ფილია) პირადად შე ბრალი არ მიმძღოდია, ამის შემდეგ ლეო ქიაჩელს დავუახლოვედი, ზწირად ვხვედებოდი მას. ერთ-ერთი შეხვედრისას მან მითხრა: „ტარბელ გოლუა“ ემიგრაციაში დავწერე და საქართველოში ფოსბით გამოვგზავნე. გადაწყვეტილი მქონდა: თუ რომანი საწოგადობის ურბადლებას არ დაიმსახურებდა, ხელი ამეღო მწერლობაზე, ადვოკატობას ვაპირებდიო“. რაც შეეხება „სისხლს“, ეს ჩემი ბოგრაფია და მისდამი კრიტიკოსების მკაცრი დამოკიდებულება ვაუშარბოლებლად მიმანჩია. კრიტიკოსმა თუ ადლო დეარგა წასულია მისი საქმეო. ერთ ისეთ პარაღელს მიმართა, სიპართლე რომ გითხრათ გამივიკრდა ბატონ ლეოსაგან. ჩანდა, რომ იგი სასტიკად ნაწუნე იყო რომელიღაც კრიტიკოსზე.

ერთხელ ლეო ქიაჩელს დაბადების ოდის აღსანიშნავად ფელაჩორონის ბაღში მწერალთა ერთმა ჭგუფმა ბანკეტი გაუშართა. ფაქტიურად ეს იყო ლიტერატურული საღამო, სადაც ფართოდ აღინიშნა მისი „ვამსახრძელის ქართული რომანის განვითარების“ საქმეში. შევიკალოს

მონაწილენი (გ. ქიქოძე, ა. ქუთათელი, ს. ჩიქოვანი, ვ. გაბესკარიძე...) ახასიათებდნენ მას, როგორც დიდ შემოქმედს, ოსტატს, მისი ცხოვრება ღამაშაა, ნათელი, მომხიზვლელი და მწვენიერი, მოღვაწეობა კი სანიშნო პირველად სწორედ ამ ბანკეტზე ითქვა: „იშვიათია აღმაინა, რომელიც ასე ღირსეულად ატარებდეს მწერლის წოდებას: იმ გარემოებამ, რომლის ერთ-ერთი ყველაზე პაპულარული მწერალია სამშობლოში და მის გარეთ, რომ მის ნაწერებს თბილისშიც კეთილშობენ და ერევანშიც, მოსკოვშიც და კიევიშიც, სიდნეიშიც და ბუენოს-აირესშიც მისთვის არასდროს წონასწორობის გრძნობა არ დაუქარგვინებია. მისი დევრობა პორაიულის სიტყვები: „ნურაფერი ნუ გაგაკვირვებს“.

ღერო ქიჩიელი საოცრად ღელავდა, როცა ისმენდა მეგობარი მწერლების სიტყვებს. არ შეიძლება გადმოგვით მისი ბავშვური სიხარული, ცრემლებს ვერ იკავებდა. როდესაც აუშაღლინოთ, ამ შეხვედრის ინიციატორმა აღუქსანდრე გომიაშვილმა აღნიშნა: ღერო ქიჩიელის დიდი ხნის მეგობარი ვარ და ასე მოლტენილი, კარგა ხანია, არ მინახავსო.

იმ ხალხობს ბატონი ღერო ბიანძღე მე მივაციოდ. გზაში მან გაიხსენა გარდაცვლილი მეგობრები, მთელი გზა თითქმის წიკო ლორთქიფანიძეზე ილაპარაკა. მთხოვა, მის ნოველებზე წერაღი დაშეწერა. ბატონი ღეროს ეს დაეპლუბა, რა თქმა უნდა, შევასრულეთ.

ღერო ქიჩიელის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე გამშდემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გახოსცა ზემო მონოგრაფიულად ხასიათის ნარკვევი — „ღერო ქიჩიელი“. გამომცემლობის დირექტორს რევაზ მარგიაწის წიგნის პირველი ეგზემპლარი ქიჩიელისათვის შინ გაეგზავნა. ასე რომ, როცა მე და ალექსო შენგულია ვესტუმრეთ, მწერალს ბროშურა უკვე წაკითხული ჰქონდა. ყველაფერი რიგზეა მასში. — თქვა მან, — მჯობარ ერთი პატარა საყვედური მაინც უნდა ვიოხრა, არაფერს ამბობს „დათოწაზე“, ხოლო ეს მოთხრობა ძალიან მიუყარსო, მაღლობელი ვარ ამირან გაბესკარიასი, ცალკე წიგნად გამოხოსცა იგი და ასე მასწავლავსო.

მალე წამოვედით, რადგან ღეროს დაღლილობა შეენიშნეთ.

ეს იყო ზვენი უკანასკნელი სტუმრობა განუშეორებელ მწერალთან, წრფელ, დიდხელოვან, კეთილ და გონიერ აღმაინათან.

კიკეთის საღამოები

იმ ერთ ზაფხულს ვერონიკო ქიქოძე კიეთის ხშირი სტუმარი ვახლდაო. ხან რას ვეკითხებოდით, ხან — რას, ვკონებ, თავს ვაბერებოდით კიდეც და შვილიშვილის აღერსის საშეულებას არ ვაძლევდით...

რომელი ენარია უფრო მნიშვნელოვანი? ლიტერატურა ენარების ერთიანობა, დღისწამა, რომელიცაა ზერნიშევისკომ „ნაწილი გერმანული ლიტერატურის მამა“ უწოდა, როგორც კრიტიკოსმა და რეალიზმის თეორიკოსმა, და ანქარა თავისი ხალხის კულტურული განვითარების პროცესი. თუ აქვე იმხანაც ვიტყვით, რომ მან გოეთება და შილტერს გზა გაუყვალა და გაუნათა, მაშინ სავსებით დამაქრებელია ის აზრი, რომ მთავარია პიროვნება და არა ენარია, — განგვიმარტა გ. ქიქოძემ.

იმ ზაფხულს გ. ქიქოძემ ბევრი საინტერესო რამ ვითხრა მიხიელ ქავახიშვილზე, პირველად მას, — თქვა გ. ქიქოძემ, — 1910 წლის შემოღობაზე შევხვედი შეტტების ციხეში. დიდი კაცი იყო. ძალიან სასიამოვნო მოსაუბრე, ამბის თხრობის ბრწყინვალე ოსტატი, უკვე რამდენიმე მოთხრობის ავტორი, ქართულ პროზას მძაფერი ნაწარმოებებით რომ ვამაღიდებოდა, ეს ჭრა კიდეც მაშინ ვიგრძენი.

კვითხოვ აგრეთვე იმის თაობაზე, თუ რამ განაპირობა მ. ქავახიშვილის ესოდენ დიდი წარმატება; მან მოუღიდე გვიხასება: ბუნებრივმა ნიჭმა, შრომისმოყვარეობამ და მოგზაურობამ. იქვე აღმასინა: მიხიელ ქავახიშვილმა გააღდართვა ქართული რომანის ჩარჩო, ევროპულ სიმაღლეზე აიყვანა იგიო.

ხელოვნებას სიხარული და სირთული უყვარს. ორივე ეს ღირსება ახასიათებს მის შემოქმედებას. როგორც ყველა დიდ ქმნილებაში, ქავახიშვილის ნაწარმოებებშიც ოსტატობა ორგანულად შედის შემოქმედებაში. ეს ნაშთავს, რომ მისი რომანები და მოთხრობები შექმნილია შთაგონებით და არა მარტო ოსტატობით. აი მწერლის წარმატების კიდეც ერთი საიღუმელობა, — დაასრულა გ. ქიქოძემ.

გ. ქიქოძე უშაღლეს შეფასებას აძლევდა აგრეთვე ვახლ ბარნოვის ნაწარმოებებს.

ამ უაღრესად თავისებურ მწერალს. — თქვა მან, — მისეკუთრებული ადგილი უქირავე ქართულ მწერლობაში, იგი მოაზროვნე მხატვარია, ყველაზე უფრო ფილოსოფიურად განსწავლული ახლ ქართველ მწერალთა შორის. სამწუხაროა, რომ მისი ცხოვრება და შემოქმედება ჭრა კიდეც საუფუძლიანად შესწავლილი არ არის. მისზე უნდა იწერებოდეს სერიოზული წერილები და კაპიტალური მონოგრაფიები, იგი სავსებით იმხატურებს ამასო (გ. ქიქოძის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა ვახლ ბარნოვე ოთარ ჩხეიძის ფუნდამენტური შრომა, რომელიც ნაწილობრივ ავსებს იმ ხარვეზს, რაზედაც მიუთითებდა გ. ქიქოძე. — ვ. ქ.).

გ. ქიქოძე მოხიზლული იყო წიკო ნიკოლიძის პიროვნებით. მან დიდი გავლენა მოახდინა ზვენი ერის ცხოვრებაზე, მის ამგავა და დედაწლის მდილიერი ქართველი ხალხი გახსოვდეს დაივიწყებსო.

კიკეთიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, რომ მახალის ქუნაზე თვალი მოკყარი ვერონიკო ქიქ-

რებს, მაშინვე მასთან მივიდო. მოხოვა, გამომ-
ცემლობა „საბჭოთა მწერალში“ ვაყუროდი.
გზაში შემოგვხვდა გრიგოლ ჩიქოვანი, მისი ნა-
ხეა ესამოკვანა, — წუხელ წაიკითხე შენი ახა-
ნა მოთხრობა „ბერძენი“. მომწერონა, კარგად
აჩის დაწერილიო — უთხრა. გ. ქიქოძე მწერ-
ლის წარმატებას მთელი გულით განიცდიდა,
ასევე განიცდიდა მარცხსაც.

მისი აზრით, ხელკუნებაში არასოდეს არაფ-
ერი არ შექმნილა მშვენიერი ქალის შთაგონე-
ბის გარეშე. როგორ შეიქმნებოდა მილოსის
ვენერა, რაფაელისა და ბოტიჩელის მადონები,
ველასკესის სარკიანი ვენერა, ატენის და უნიწ-
ვისის ანკელოზები, ვუფხისტაჟასანა, პეტრუ-
კას სონეტები, მათ ავტორებს ქალის ტრეფო-
ბის ცეცხლი რომ არ შემოწებოდათ? გერონტი
ქიქოძე დიდი ესთეტი იყო, მაგრამ ყოველგვა-
რი თავმდაბლობის გარეშე პირველ ნომერ
ესთეტიად მას შეაღვა დაიღიან მიანდა.

ის, ვინც არ ღალატობს სიმართლეს

საოცრად კონტრასტული პიროვნება იყო
ალექსანდრე კუთათელი. ეს დიდად განათლებ-
ული მწერალი, ესქილეს და გოეთეს მთარგმნე-
ლი, ბეთჰოვენისა და ბახის მუსიკით გატაცებუ-
ლი კაცი, ყოველგვარი პოზის გარეშე გულით
მეგობრობდა თბილისელ შედუღაულებთან. სია-
მოვნებით ასმენდა ხოლმე ქალაქურ მელოდი-
ებს. ეს როდია მთავარი, ეს მისი ღართო ბუ-
ნების პატარა შტრიხებია. მთავარია ომბტოში-
ანი რომანი „პირისპირა“, ის მოთხრობები, ლე-
ქსები, პიესები, ნარკვევები, რომელთა მიხედ-
ვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალექსანდრე კუ-
თათელი იყო ფაქიზი ლირიკოსი, დავიარცხე-
ული ეპიკოსი და გამოცდილი დრამატურგი.

ერთი ბრძენი კაცის აზრით, ყოველი მწერა-
ლი საკუთარ სისხლს და ხულს აძლევს თავის
გმირს, ასე რომ, როდესაც ამბობენ კორნელის
მხეიძის ცხოვრება ალექსანდრე კუთათელის
ბიოგრაფიას მოგვაგონებსო, ვაკვირვებას არ
იწყებს. კორნელი მხეიძე, ეს ის გმირია ქართ-
ულ მხატვრულ ლიტერატურაში, რომლის თვა-
ლწინ ვითარდებოდა დიდი სოციალური და პო-
ლიტიკური მოვლენები.

დადი მწერალია. ის, ვინც არ ღალატობს სი-
მართლეს და ახალი იდეებით და სახელებით
აშლიდრებს ლიტერატურას. სწორედ ასეთი მწე-
რალი იყო ალექსანდრე კუთათელი, რომელმაც
ერთხელ კადვე წათუდყო, რომ რომანი უნი-
ვერსალური ვანარია.

დიდი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის მეგ-
ობარი იყო, ერთად დადიოდნენ სანდიროდ
და სათევზაოდ. მან თავისი დაშოკებულიება
საქართველოს ბუღბუღთან შესანიშნავად გა-
მოხატა ლირიკულ მოთხრობაში „აბესალომ და
ეიერი“.

დედამიწაზე სილამაზის დამკვიდრებას ალექ-

სანდრე კუთათელია ბევრი ლექსი დაწინა. მარ-
თალია, მისი იდეალი ბუნება იყო, მაგრამ უა-
დამიანო ლექსი მას ლექსად არ შეიანდა. აქვე
იხილ უნდა ითქვას, რომ მის ლექსებში პარო-
ზისავე ვადარბა შეინიშნება, სწორედ ეს გახ-
ლავთ პოეტური მდინარების წელი სვლის მი-
ზეზი მის შემოქმედებაში.

ერთხელ ბატონმა ალექსანდრემ რუსთაველის
გამზირზე ნარკვევის დაწერა გადაწყვიტა. მოხო-
ვა დავხმარებოდი გამზირზე გაწოდებული შე-
ნობების აღწერაში. პირველ დღეს რუსთავე-
ლის თეატრთან შევერდით. გაიხსენა პაოლო
იაშვილიან, ტაციან ტაბიძესთან, ლადო გუდი-
აშვილიან ერთად „ქიშკრიანში“ გატარებულ
დღეები და საუკეთესო გამოთქვა იმით მიმართ,
ვინც ქიშკრიანი თეატრის ვარდერობად აქცია
საოცრად განიცდიდა ქიშკრიანის კედლებზე
ცნობილი მხატვრების ხელით შესრულებული
სურათების გადაღებას.

მუხლები ოპერის სცენაში დავასვენეთ, მოი-
გონა „აბესალომ და ეიერის“ პირველი სექ-
ტაელი, ნიყო კუმისაშვილის დებიუტი და მოთ-
ხრა: „ოპერაში მაშინ ვაცილებით შეტა ზღურ-
დადიოდა ვიდრე დრამატულ თეატრებში, მაგ-
რამ შემდეგ ოპერამ მაუტრებული დაყარა. შე
კი ბოლომდე შევარჩი მას“.

კულტურულ საქმედ მიანდა ქართულ ენაზე
მარკუს ავრელიუსის „ფიქრების“ თარგმანა. ბა-
ჩანა ბრეგვაძის მიერ, — თქვა მან, — ბრწყინ-
ვალედ აჩის თარგმნილი სენტენციებით სავსე
ეს წიგნო და რამდენიმე მათგანი ხელდახედ
წამიყთხა: „სიცოცხლე მოკლეა. ამიტომ შენი-
ვე სულის სრულყოფას მოახმარე ყოველი
დღე“... „გახსოვდეს, რომ მოკლე ხარ კეთი-
ლი კაცის სახელე გერქვას“... „ქეთიკით ნუ-
კი აწუღებო, არამედ სამართლიანობას შეუწონე
ყოველი სწრაფვა და ყოველი წარმოდგენისას
შეინარჩუნე გონებისმფერი ხედვის სიხსადე“...

ალექსანდრე კუთათელი დახვეწილი და გამა-
რთული კაცი გახლათო. იცვამდა კოხტად და
ღამაზად, ნამდვირო ქენტლმენი იყო. უბეზო
მხოლოდ ცრუ პატრიოტების მიმართ იყო. სა-
ოცრად ეჭვარებოდა ენოკაცი.

შესანიშნავად იცოდა სიცოცხლის ფასი, ამი-
ტომაც ასე უფრთხილდებოდა მას, მაგრამ სიყ-
ვდილობა მაინც თავისი გაიტანა...

ბანუშემირაბელი კოლიგარკა

რამდენიმე წელიწადია, ჩვენს შორის აღარ
დაბაჩებს პოლიარკე კაკაბაძე — შემოქმე-
დი, რომელმაც თანამედროვე ლიტერატურაში
განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი მიე-
კუთვნება დრამატურგთა იმ პლეადას, რომე-
ლთა პიესები ხელს უწყობენ მაუტრებლის ში-
ნაგან ზრდას, საშხობოზო დონის ამაღლებას
პ. კაკაბაძის პიესები მდიდარია როგორც სცე-
ნური, ისე ლიტერატურული ღირსებებით. ის-

ინი ვახიბლავენ ჰყვეთრი სახეებით. მძაფრი სი-
უფეტებით...

პოლიკარბე კაჯაბაძე, — წერდა ვალაკტორონ
ტაბაძე, — „არა სიტყვის, არამედ მოქმედების
ადამიანი, ქმედება, საქმის გაყვება ნაღვლი-
ლად საფუძვლიანია. აი მისი სტაქია და ეს
მოქმედება ზნორად იქცევა საბრძოლო მოქმე-
დებად, რომელიც საფუძვლად ედება დიდ სა-
ქმეს. მე ვთქვი საბრძოლო მოქმედება, საერო-
შო მოქმედება, მისი ასეთი მდგომარეობა ზნი-
რად აღძრავს, აშვენებს დიდ და რთულ მექა-
ნიზს, იტყვი, რომ მანქანა მუშაობს, ამუშავე-
ბულია მეგიის ძალით, ანგვარი მუშაობა ზნი-
რად ვაუფიქრებს, ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვა
მოქმედებას — მოქმედება, მოქმედება. ანგვა-
რად შეიქმნა ზუთმოქმედებიანი კომედია „უვა-
რუვარე თუთაბერი“. მოქმედების ადგილია თე-
ატრი, სცენა, მშვენიერი პიესა, უვარუვარე თუ
თაბერი ტაბა. რაღა პოლიკარბე კაჯაბაძე?
ამ პიესით ერთ-ერთი ფურცმედებულთაგანი თ-
ნამედროვე ქართული დრამატურგია“.

პოლიკარბე კაჯაბაძე ბედნიერი დრამატურგი
იყო. მისი იდეები ხალხმდე უკველიათვის დიდ
მხახიობებს მიქონდათ და მოქვე. იგი იშვია-
თად გამოთქვამდა თავის აზრს მხახიობზე, რე-
თისობაზე, საერთოდ, ერთდებოდა ზედმეტ ლა-
პარაკს, მაგრამ ვიორგი შავგულდის ზარიტონი
(„კოლმეურნის ქორწინება“) ისე მოსწონდა,
თავს ვეღარ იკავებდა დიდებული, ხალასი ნი-
ჭით დაქიდლოებული მხახიობის ქებისაგან.

პ. კაჯაბაძის „უვარუვარე თუთაბერი“, „კოლ-
მეურნის ქორწინება“, „ცხოვრების ჭარა“, ერთ-
თი დიდი მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ.
მე არის კომიკურის ხიმამართი ვახიანებული
მედილი რანგის პიესა. პატიყვებული პოლიკარ-
ბეს დიდი რეზონანსი აქვს, ეს იბიტობ, რომ
იგი იშვიათი ოსტატი და ემოციური მხატვარია.
იგი დიდად განათლებული და განვითარებუ-
ლი ადამიანი ვახლდათ. საფუძვლიანად ქმონდა
შესწავლილი საქართველოს ისტორია. ამას აღ-
სტურებს თუნდაც მისი პიესა „მეფე ზაგრატი
მეშვიდე“, რომელიც 1909 წელს გამოცემილ-
ბა „ხელოვნებაში“ ცალკე წიგნად დაბეჭდა. ეს
დიდი ღირსების ქმნილება ასე ივითობა, რო-
გორც კარგად დაწერილი ისტორიული რომანი,
მითხრობა. „ქვემარტი სიყვარული უანგა-
როა, არ ეძებს საკუთარს. ისწრაფვის, სიყვითს
შეწეროს“, — ამზობს პიესის ერთი პერსონა-
ჟი. ამ სიტყვებიდანაც ჩანს, რომ პიესაში ორი
ურთიერთსაწინააღმდეგო ძალი მოქმედებს.

პოლიკარბე კაჯაბაძის რომელი პიესაც უნდა
ავილოთ, დრამა იქნება ის თუ კომედია, უველა
თანამედროვეა უნივერსალიზმით. მომავალი თა-
ობა მუდამ დაფასებს „უვარუვარე თუთაბერს“,
„კოლმეურნის ქორწინებას“, „კაჯაბაძის ზმალს“,
„ცხოვრების ჭარას“. მთელ მის შემკვიდრეობას.
სხვაგვარად არც შეიძლება, დრამატურგია —
ეს მტკად რთული თანა — პოლიკარბე კაჯა-

ბაძის მოწოდება იყო, ზოლო სადაც მოწოდებდა,
იქ ქვემარტი ღირსედაც არის

იგი ღიწი, გონიერი კაცი იყო. არ ეყვო-
ნოდა იმ ადამიანს რაც სხვს, ვინც ჭარ ლაპარა-
კობს და შერე ფიქრობს. დიდი დრამატურგი
ცხოვრებაში სრულიად უბრალე, ჩვეულებრივი
ადამიანი ვახლდათ.

ზნორად მხენია, პოლიკარბე კაჯაბაძე შექს-
პირის ვარდა აჩავის სცენობსო. არ არის ეს
სწორი. იგი „სურამის ციხეზე“ ისევე ვატაცე-
ბით ლაპარაკობდა, როგორც „მამლეტზე“,
„ოტელოზე“. რაკი „მამლეტი“ ვახსენეთ, ზარ-
მე ვავიხსენოთ ამ რაოლის შემსრულებლები
უშანგი ჩხიეტი და ვიორგი დავითაშვილი. უშ-
ანგის მამლეტი იყო უღერესად ემოციური,
ტექნიკანენტიათი ახალგაზრდა კაცი. ვიორგი
დავითაშვილი კი ანსახიერებდა ზრიტანულ სი-
ციყეს სცენაზე (თუმცა ოდნავადაც არ აკლდა
ემოციური მიწოდებლობა). მე დავუწერია იმ
წარმოდგენას, რომლის ერთ მოქმედებაში მამ-
ლეტის როლი უშანგი ვამოდიოდა, მეორეში
კი ვიორგი დავითაშვილი. მანუტებელი ორივე
მხახიობს ტაშით და მოწონების შეძახილებით
შეხედა.

პოლიკარბე კაჯაბაძესთან ერთ-ერთ საუბარში
შოვიგონე ის სექტაკალი, ჩემზე წარუშლელი
შთაბეჭდილება რომ დატოვა. მოკლედ მითხრა:
„ფიქრობ, უშანგი ჩხიეტიმ უყით ვიორგ ეს
როლი, მან უყით დიანა და ნიის პრინციის სუს-
ტი და ძლიერი მხარე“. მე დავითაშვილის მამ-
ლეტს თანავფერძნობდი, მაგრამ იმ დღეს სა-
ჭიროდ არ ჩავთვალე ჩემი აზრის ვამხედა. პო-
ლიკარბე კაჯაბაძე ღირსეულად იცავდა იმას,
რაც უყვარდა და სწამდა.

დიდი მხატვრის სალონში

ხელოვნების უკველი სრულქმნილი ნაწარ-
მოვბი, ლექსი იქნება ეს, ნახატი თუ რომანი,
ესთეტიკური სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს,
აერთიანებს ხალხებს, ემარება კაცობრიობას
დედამიწაზე ბედნიერების დამკვიდრებაში.
სწორედ ამ თვისებებით არის აღჭურვილი ჩვე-
ნი ღირსი დიდი მხატვრის ლალო გუდიაშვი-
ლის შემოქმედება, რომელიც თავისთავად
ახალი სიტყვაა ქართულ მხატვრობაში.

ეს მარტო ჩემი აზრი არ ვახლავთ, იგი გუ-
დიაშვილის უკველი ქმნილებასთან შეხვედრა-
სას მიმტყიცდება, ცხადია, მათინაც, როდესაც
ავტოგრაფით ნახახსოვრებს სურათს შევავლებ
თვალს, ასე რომ ამშვენებს და აფართოებს
ჩემს ბინას და არასდროს მავიწუებს დიდი
მხატვრის ნათელ ხაზს.

ამ დღეებში კი ამ ვახსენებასაც განსაკუთ-
რებული სახამი აქვს. ზუთი წლის წინათ შეწყუ-
და ლ. გუდიაშვილის გულის ფეოქია, ფუნქ-

მაც, დიდოსტატის ხელში სასწაულებს რომ ახდენდა, დაკარგა თავისი ქაღალსნური ძალა.

ერთი ფრანგი ენციკლოპედისტი წერდა: „რატომ არის ანტიკურ მხატვართა ნაწარმოებები ისე დიდნი და დიდებულნი? იმიტომ, რომ ეს მხატვრები ფილოსოფიურ სკოლებში დადიოდნენ“. არ ვიცო, ლაღო გუდაიშვილი პარიზში რომელ ფილოსოფიურ სკოლაში დადიოდა, მაგრამ იგი რომ კარგად იცნობდა ფრანგულ ლექსს და აშარესიონისტების სურათებს, ეს უხადდა. მან პარიზში მოკრიბა ძალა, რაც შემდეგ საქართველოში შთელი სისრულით გამოვლინდა.

მის შემოქმედებაში მთავარი ადგილი ადამიანს უჭირავს. მხატვრის სურათებში საგანგებოდ შერჩეული ტიპების ბუნება გამოსკვივის, ისინი ცოცხალი არიან. თითქმის გვეხმის მათი გულის ძვირად.

ლაღო გუდაიშვილის ერთი უველიანე ძვირფასი თვისება შემოქმედებითი ძიება ვახლავთ. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა მისი სურათების თავისებურება და უნიკერბალიზმი.

სითამაშე ის ნიჭია, რომლის ვარემე შეუძლებელია მხატვარმა შექმნას ემოციური და ეროვნული სტილის ნაწარმოები. პატივცემული ლაღო „ფრესკის დიმილი“, „უფწერო“, „სურათიკას გასიერება“, „ბეჟა და ბეჟენი“, „კონცერტი“, „ვინება“, „სამაია“, „ოქროს ვერძის გატაცება“, „ხილთა მკებარი“ თემის თამაში გადაწვევების საუკეთესო ნიმუშებია. ბევრი სპეციალისტის აზრით, ეს სურათები თანამედროვე მსოფლიო მხატვრობის შედეგებია.

ლაღო გუდაიშვილი მხატვარი — პოეტი იყო. პოეტური აღმართვანება მისი დამახასიათებელი თვისებაა. მაგრამ ეს თვისება როდი კმარა იმისათვის, რომ დახატო ჭერმართად დიდი ნაწარმოები, ცხადია, სახეით ხედლოვნებას წმინდა ტექნიკური მხარეც აქვს, რასაც ასე კარგად ფლობდა ლაღო გუდაიშვილი. აი მისი სრული წარმატების ერთი მთავარი მიზეზი.

ყველა ნაწარმოები თანამედროვეა, თუ ის დიდ აზრებს გამოხატავს, თუ მასში ადამიანური ვნებები, გრძნობები, სურვილები უმაღლესი მხატვრულ ხარისხშია აყვანილი. სწორედ ამ მხრივ გამოირჩევა ლაღო გუდაიშვილის შემოქმედება. მისი ისტორიული თუ საყოფაცხოვრებო თემაზე შექმნილი სურათები დიდი განვითარების სიმაღლეზეა აყვანილი და არასოდეს დაკარგავენ ზეგავლენის ძალას. ცალკე დიდა გამოყოფთ „ფორმისანის სიკვდილი“, როგორც ცნობილია, ფორმისანის ცხოვრების დასასრულიც საოცრად ტრაგიკული იყო. მაგრამ მის გამოხატვაში სრულიადაც არ იგრძნობა გადაჭარბებული გრძნობიერება. სწორედ ეს ვახლავთ სურათის მთავარი ღირსება.

თუ სურათმა ადამიანს ფიქრი აიძულა, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს დიდი მხატვრის ნამუშევართან. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მისი გრაფიკა — თავისი ორიგინალური კვებეცხებით, რომელთა ამოკითხვა ნამდვილად ღრმა ფიქრს მოითხოვს. მაგალითისათვის შეგვიძლია დავახაზოთ „ტენისის კულტურა“, რომელიც შემოქმედის ორიგინალური აზროვნების ნათელი დადასტურებაა.

ლაღო გუდაიშვილი მრავალმხრივი, ფართო დამახარისხების მხატვარია. მან თეატრსა და კინოსაც მოუხადა ხარკი. რამდენადაც კულტურული ადამიანი, იმდენად დახვეწილია მისი გემოვნება. ეს მის დეკორატიულ მხატვრობაშიც ჩანს.

იგი პირველი მწერლობის ახლო მეგობარი იყო ი. გრიშაშვილი მოხიბლული იყო მისი თბილისური სიუჟეტებით. გერონტი ქიქოძე წერდა: „ლაღო გუდაიშვილის შემოქმედება ახალს და მოულოდნელ განათებას აძლევს საქართველოს სინამდვილეს“.

შემაყვება, რომ ასეთ დიდ ხელოვანს პირადად ვიცნობდი. პირველად მის ოჯახში გამოჩენილმა მხატვარმა, შესანიშნავმა ადამიანმა რობერტ სტურუამ მიმიყვანა. იმ დღეს საუბარი დიდხანს გაგრძელდა, ვერაძენი, რომ ქალბატონი ნინო და პატივცემული ლაღო რობერტის მიმართ რაღაც განსაკუთრებული პატივისცემით იყვნენ გამსვენდულნი. დიდი სულის ადამიანი იყო ბატონი ლაღო. მშვიდი, თავმდაბალი და მგრძნობიარე.

გავიდა დრო, ბედნიერება მხვდა წილად, კიდევ რამდენჯერმე ვერფილიყავი მისი ოჯახის სტუმარი. ის სურათიც, ერთ-ერთი სტუმრობისას მისხსოვრა. ხშირად რომ მახსენებს და თვალწინ მიცოცხლებს უხადლო მხატვრის კეთილ სახეს.

ახალი პროზის სათავეებთან

ვინც რადენ გვეტაძეს პირადად იცნობდა, ვფიქრობ, უციკველად დაგვიანხმება, რომ მასში უველიანური ლამაზი იყო, განსაკუთრებით კი სული და აზრი. იგი, ნათელი გონების კაცო, გამოირჩეოდა დახვეწილი მანერებით, ჩაცმა-დახურვითაც კი. საზოგადოებაში მიღებული კვების წესებსა და ნორმებს ზუსტად იცავდა. ეს მისი ხასიათის მუდმივი თვისება ვახლავთ.

მან შემოქმედებითი ცხოვრება ლექსით დაიწყო, მაგრამ უველიანე დიდ წარმატებას ეპიკურ ენაში მიაღწია. „თოო“, „კიკიკოკო-ნა“, „ლაშური საღამოები“, „ცხოვრება იყუება თავიდან“... ყოველი მათგანი რეალისტური ნაწარმოებია და რამდენსა და მოთხრობის უველიან კომპონენტის ერთიანობით ხასიათდება. მის ნაწარმოებებში ცხოვრება მოცემულია

მომქმედებასა და განვითარებაში, ეს მწერლის უკვლავ დიდი ღირსება გახლავთ.

რადღემ გვეტაძის მთავარი გმირები ხალხის წრიდან არიან, მან ცხოვრების განახლებასა და დიდი სოციალური ძვრების ფონზე შექმნა ვლუბების, ჭარისკაცების, რევოლუციონერების შთაბეჭეველი სახეები და ამით მნიშვნელოვნად გააფართოვა ხალხის წრიდან გამოსულ ადამიანთა ტიპების გაღრმვა, საერთო ქართული რომანოს ჩარჩო. ნათლად დაგვანახა, რომ შეიძლოა ღრმად ჩაებნა უბრალო ადამიანების სულსა და გულში, ვადმოეცა მათი შეხედულება ცხოვრებაზე, რევოლუციასზე, მოვლენებსა და საგნებზე, ეს პერსონაჟები მჭიდრო კავშირში არიან რომანების თუ მოთხრობების მთავარი იდეის შიშაში. მისი სისხლსავსე პერსონაჟები ვლუბებზე ვაჟულანას ახედენ ცხოვრებაზე — აი, ეს გახლავთ რადღემ გვეტაძის ნაწარმოებების ძირითადი ტენდენცია.

ქართული საბჭოთა პროზის განვითარების პირველ ეტაპზე სიძნელეებს მქონდა ადგილი, საჭირო იყო იდეის გამოხატვის ზერხების გამეორება, ამ მხრივაც რადღემ გვეტაძის დიდი შესაძლებლობა აღმოჩნდა. ამას მოწმობს თუნდაც „ლაშურთა საღამოები“, რომელიც თანამედროვე პროზის ერთ-ერთ თვალსაჩინო მიღწევად ითვლება. სანიმუშოა აგრეთვე ინტერნაციონალიზმისა და სახლთა შეგონებების იდეით გამსჭვალული „ბელიორუსული ნოველები“, და თუ ეს დღეს ქართული პროზის დონე ესოდენ მაღალია, გარკვეული დეაწლი რადღემ გვეტაძისაც მიუძღვის.

იგი იყო არა მარტო შესანიშნავი პოეტი, ბელეტრისტი, მთარგმნელი, არამედ ფართო გაქანების მოღვაწეც, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საბჭოთა მწერლების გამოშვებისათვის დინჯი კაცი იყო, ცუდ მთარგმნელებთან კამათშიც კი არ კარგავდა ზომიერებას, გვაოცებდა მისი მოთმინების ნიჭი, რაც მთავარია, მის არასოდეს უთამაშია კეთილი კაცის როლი, იგი ნამდვილად კეთილი და გულისსმეირი ადამიანი იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, რადღემ გვეტაძე კუმპოსიტა სიღარბისათვის იდეალი იყო. აზრს მხოლოდ იმზე გამოთქვამდა, რაშიაც ღრმად იყო დარწმუნებული, ესეც მის სიღარბისათვის მეტკველებს. იგი მუდამ დარჩება ჩემს მესხიერებაში კუმპოსიტა მოქალაქედ და მწერლად.

შეხვედრას პიონერთა ბანაკში

1952 წლის ზაფხულში ნ. ნაკაშიძე კვიზიების მწერალთა შეხვედრებით სახლში ისვენებდა, ისვენებდა კი? დღე ისე არ გავდოდა, პიონერთა ბანაკში სტუმრად არ მივწავთ. თუ

სადმე მიწვეული არ იყო, კვიზიების ბავშვები ხომ მასთან იყვნენ, ეხვეოდნენ, ელატრებოდნენ საუყარელ დედისა წინაშე, თანაც ათას რამეს ეკითხებოდნენ. მწერალი ისეთი გატაცებით ესაუბრებოდა თავის ნორჩ მკითხველებს, რომ ჩვენ, დიდებიც სულგანახულნი ვუსმენდით მას.

აქ მინდა გავიხსენო ამ ზაფხულს კვიზიების გამართული წინა ნაკაშიძის ერთი ლიტერატურული საღამო. მასში მონაწილეობას იღებდნენ მიხილ მრეველიშვილი, ნიკა აგიაშვილი, ალექს შენგელია და ამ სტრიქონების ავტორი. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მ. მრეველიშვილმა. აი, რაც გამახსენდა, ამ სიტყვიდან: „წინა ნაკაშიძის სახელთან დაკავშირებულია ქართული საბავშვო მწერლობის ისტორია მე-20 საუკუნის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე, წინა ნაკაშიძის ლიტერატურული მოღვაწეობა ლექსით იწყება. მის პირველ პოეტურ ნაწარმოებს, „კვალში“ რომ დაიბეჭდა 1902 წელს, „იმედო“ ეწოდება. მაგრამ შემდეგ იგი აქვეუბნებს მძაფრ სოციალურ კონტრასტებზე აგებული მოთხრობების მთელ სერიას. ამ მოთხრობებში ნათლად არის ასახული ცხოვრების სიღუბეიერ და ამდროისათვის დამახასიათებელი უკუღმართობა... შეიცვალა დრო, მწერლის თემატიკაშიც არსებითი ცვლილება მოხდა, თუ წინათ იგი მუქ საღებავებს მიმართავდა, ახლა მისთვის ეს საღებავები უცხოა... წინა ნაკაშიძე ორმოცდაათ წელზე მეტია უანგაროდ ემსახურება ქართულ საბავშვო ლიტერატურას, დიდა მისი ღვაწლი მონაწილეობის თაობის ეთიკური და ესთეტიკური აღზრდის საქმეში“. შემდეგ მრეველიშვილი ხელზე ეამბორა მსცოვან მწერალს, თვალტრეპლიანმა ნაკაშიძემ მას შუბლზე აკოცა. დამსწრეებმა მზურვალე ოცადიით გამოხატეს თავიანთი აღფრთოვანება.

ალექს შენგელიას სთხოვეს ლექსი წაკითხა, მაგრამ მან არჩია მოკლე სიტყვით მიემართა საუყარელი მწერლისათვის. „როგორც ცნობილია, ბავშვობიდანვე შევერბეული ნაწარმოები სამარის კარამდე საუყარელ ნაწარმოებად რჩება, — თქვა მან, — ჩემს სულს დღესაც ანთოთლებს და აფორიაქებს დღებუ მეტრების „მე პატარა ქართველი ვარ“, გიორგი ჭალადიდელის „მოგონება“ („მასსოვს პირველად ხასწავლებელში...“), ნიკო ლომოურის „უინდა და პატარა მოწაფე...“ წინა ახაშიძის „საწუალი ლევანი“ დიდი ხნის წინათ წაკითხივთ, მაგრამ მისი შინაარსი დღესაც კარგად მახსოვს. პატარა ლევანის უბედურებას, სულიერ ტანჯვას დღემდე ღრმად განვიციდი და მისი ბედუკუღმართობა გულს მიკლავს. მხატვრული ნაწარმოების ღირსება და ძალა სწორედ ეს არის“.

პიონერებისა და მასწავლებლების მისამდე-

ბათა შეშვედგ ნინო ნაქაშიძემ დახმარე საზოგადოებას გულთბილი შეხვედრისათვის მადლობა მოახსენა და თავის სიტყვაში აღნიშნა:

„ბავშვის აღზრდაში მთავარია მოზობილი; დედა უფროსარებს ბავშვს წინობრივ ინსტიტუტს. ოთხი წლის ასაკიდან ლექსი უწარმოებარ ადგილს იტერს ბავშვის აღზრდის პროცესში. ამ ადგილს თანდათანობით ავსებს მოზობრობა. ერთი სიტყვით, საბავშვო მხატვრული ლიტერატურა ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბებაში. ეს გარემოება კი დიდი პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენ, ვინც ბავშვებზე და ბავშვებისათვის ვცერით. ბავშვის ხელვა და შეგრძნობანი მერტად თავისებურია. აქ მხედველობაში მავცხ ასაკი...“

შეშვედგ მან ბავშვებს მიმართა: „უნდა წაიკითხოთ მხოლოდ და მხოლოდ ისეთი წიგნი, რომელიც თქვენს ასაკს შეეფერება, ნუ დაარღვევთ ამ წესს, თორემ წაადრდება მოზულებით, — თავისებურად, მოზობილად გაიღობა მწერალმა, — უსწოდებ უნდა გუყვარდეთ სამშობლო, შრომა, ბუნება, მეგობრები. თქვენ ჩვენი სამშობლო მოწვეალი ხართ“.

6. ნაქაშიძემ ამ საღამოზე ბევრი საგულისხმომო რამ თქვა. უველანი უურადღებით ვისმენდით მის უადრესად შინაარსიან სიტყვას.

თბილისში ნინო ნაქაშიძის ხშირი სტუმარი ვიყავი, მისი საუბრის საგანი ურველთვის საბავშვო ლიტერატურა იყო. საოცრად უხაროდა, როცა რომელიმე პოეტის კარგ საბავშვო ლექსს წაიკითხავდა, ან თურნელ-გაზეთებში გამოქვეყნებული საბავშვო მოხბრობა მოეწონებოდა. განსაკუთრებით აინტერესებდა ზღაპარი. ამ წინას დიდ ურბადლებას აქცევდა. სწავდა მხოლოდ არეალიტურთი ზღაპარი. მას ჩემთვის არაერთხელ უთქვაშ: „ზღაპარმა ბავშვი კი არ უნდა შეაშინოს, არამედ ბელი უნდა შეუწყოს საღი ფანტაზიის გაღრმავებაში. ცოდნის შექენაში, გონებრივი პორიზონტის გაფართოებაში. ისეთი ზღაპრის წინააღმდეგი ვარ, რომელიც მოკლებულია ცხოვრების სიმართლებს, შეცნიერულ ქეშმარბობას“.

ნინო ნაქაშიძის ზღაპრები მაღალმხატვრული ღირსებებით გამოირჩევიან, ისინი ქმედით გავლენას ახდენენ ნორჩ მკითხველებზე. ლიტერატურული ზღაპრის განვითარებაში მას ნამდვილად დიდი დამსახურება მიუძღვის.

მწერალი ქალი თანამაკალმებებისაგან უსიქლოღებისა და პედაგოგიკის საფუძვლიან ცოდნას მოითხოვდა. რამდენადღე განათლებულია შემოქმედი, — ამბობდა იგი, — იმდენად დახვეწილია მისი გემორმება

7. ნაქაშიძემ მოხბლული იყო ო. გრიშაშვილის ამდერებული საბავშვო ლექსებით. შელოდიურობა საბავშვო ლექსის წარმატების აუცილებელი პირობააო, ამბობდა ბოდინე ნი-

ნო. იგი დიდად აფასებდა ანა ხახუტაშვილს. მისი სახით, — ხშირად უთქვამს მას, — ქართულ საბავშვო პროზას ბაწყინვალე მხატვრი მუყავის, და მართლაც. ანა ხახუტაშვილის მოთბრობები შეხანიშნავი დადასტურებია იმი-სა, თუ რაოდენ კოლორიტული და ხატოვანია ქართული ენა.

8. ნაქაშიძე მადლიერების ვრძნობით იყო გამსჭვალული ამირან გაბესკირიას მიმართ. თუ საშუალება მომეცა დამემთავრებინა ჩემი მოგონებანი საბავშვო თურნალ „ნაქადულის“ ირგვლივ და ცალკე წიგნად გამომეცა იგი, ამაში დიდი დეწული მიუძღვის ამ კეთილშობილ და საოცრად გულისხმიერ ადამიანსო, — მიიბრს მან. მართლაც ამირან გაბესკირია, რომელიც იმ ხანად საბავშვო გამომცემლობის დირექტორი იყო, ნინო ნაქაშიძეს ურველმხარივ უწყობდა ხელს შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებაში.

პრიტიკოსის სიბრძნე და სიმბართლე

გურიის სოფელ ხიდისთავში სამი ორიგინალური მწერალი გაიზარდა: ანა კალანდადე, ნოდარ დუმბაძე, ლევროსი კალანდადე. ეს ის სახელებია, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია მთების გადაღმაე კარგად ცნობილი თანამედროვე ქართული ლიტერატურა.

კრიტიკოსისათვის აუცილებელია დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და სითბო. ამ თვისებებით შემკული იყო ლევროსი კალანდადე. ამასთან ერთად, რაც მთავარია, ეს კაცი გამოირჩეოდა სხარტი ანალიტიკური აზროვნებით. წაიკითხეთ მისი წერილი ნოდარ დუმბაძეზე და ამაში უმეველად დარწმუნდებით.

მწერალი საოცრად რთული ფენომენიაო, ამბობდა ლევროსი. ვკითხულობთ მის წერილებს და ვრწმუნდებით, რა რთული და საქმეში ღრმად ჩახედული კრიტიკოსი იყო თვითონ.

მისი წერილები ისეთსავე სიამოვნებას გვანიჭებს, როგორც კარგი ლექსი. თუ მოთბრობა, მის ერთ წერალში ვკითხულობთ: „ქართულ პროზაში ინტილექტუალურობის ისეთი ძლიერი ნაკადი არავის შემოუტანია, როგორც კონსტანტინე გამსახურდიამ შემოიტანა“. სრული სიმართლეა და აქვე გვიწინა დეკონოთ, რომ ქართული კრიტიკაში ასეთივე მძლავრი ნაკადის სათავეში ლევროსი კალანდადეე დგას.

მის მთავარ წიგნში „ლიტერატურული ნაფიქრები“ უველზე დიდი ადგილი გალუკითონის შემქმედებას უჭირავს. დიდ პოეტს იგაპეარად იცნობდა, ახლო მეგობრული ურთიერთობა ქონდა მასთან, მისი ერთი წიგნის რედაქტორიც იყო. ხალხს უყვარდა გალაკ-

ტონი და მასთან დაახლოებას უველა ცდილობდა. მაგრამ უველა როდი ახერხებდა ამას. ბატონი ლევროსი ერთ-ერთი გამოკვლის იყო. პეტე მას ენდობოდა და სჭეროდა მისი, შეიძლება, ამ ვარემოებამაც შეასრულა ვარკვეული ჭოლი. რომ კალანდაძის წერილები გალაკტიონზე დიდი კრიტიკის მოთხოვნილებს დონებდა აუვანილი.

ბატონი ლევროსი თავად უმწიკვლო ადამიანი დიდ უფრადლებას აქცევდა საერთოდ პირადებზე, განსაკუთრებით კი მწერლის წინააღმდეგ მხარეს. „პირადად მე, — წერდა იგი გიორგი ლევროსის მიხამართით, — არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ გიორგის აუგად ეხმარებინოს რომელიმე თანამოაქმე, რომელიმე ქართველი მწერალი, პირიქით, ხშირად მოპისმენია მისი გამოქვეყნება მუდანი და მუდანი მიმართ“ ეს თვისება ადამიანის უველაზე კეთილშობილ მხარედ მოაჩნდა.

ლევროსი კალანდაძის აწრით, დრამატისმი სკირდება არამარტო ლექსს, მოთხრობას და რომანს, არამედ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებსაც. ამის ვარემე კრიტიკოსის წიგნი საოცრად უფერულიაო. სწორედ ამ ნიშნით გამოირჩევა თვითონ ლევროსის წერილები. განსაკუთრებით: „ბედთან მებრძოლი ტონი“, „ჩამოაბრწყვთ ბოროტება და არა ადამიანი“. „იმდენი მიწა სად არის“ და სხვა. ამ წიგნშივე წიგნით წრფელ კაცს პირველად 1925 წელს ბახმარში შევხვდი, შემდეგ რამდენიმე წელიწადი ერთ სადარბაზოში ვცხოვრობდით გაცნობილი კუჩაზე. პარსიკული და უტუტარი ადამიანი იყო, თავად მშვიდსა და დინჯ ცულ თვისებად მოაჩნდა წიგნებზედ სხამალი საუბარი. პირდაპირ იტანებოდა, როცა ვინმეს დაპირდებოდა რამეს და ვერ შეასრულებდა. მახსოვს, ალტო შეგვდიოდას პოეზიაზე წყრილი უნდა დაეწერა. პეტის სიცოცხლეში მან ეს ვერ შეძლო, ძალზე განიცდიდა.

ნადირობა უუვარდა. ერთხელ მეც ამიუღლია და კიეტში მწერარ საადიროდ წამოუვანა. მე ვერაფერი მონადირე გამოვდევი და ზედუარეული ვბრუნდებოდი შინ, სარცხილი არ მავა, თავისი ნანადირევი გამოყო და ნება არ მომცა, შინ ვამეზილა ეს ამბავი; რომელ ერთს გახსენებს ახლა კაცი, როცა ვულდაწვევით ფიქრობ. რა კარგი იქნებოდა, ახლა ისე ჩვენს შორის ეტრიალა ჩვენს სიტუა-ქაურთან ლევროსის.

უანგარო მზრუნველი

ბეერ ახლგაზრდა კაცს მწერლობისაკენ მიმავალი ვა ნიკა ავამედილა დაულოცა. მათ შორის ლალო ასათიანიც იყო. ერთხელ სრუ-

ლიად ვულწრფელად განაცხადე: ლალო ტონიან ტანბის ნამეგრადალე (პეტე) მწერარი. ნიკას ეს საოცრად ეწონა, სიმედებდა ეწეწებდა რომ კარგა ხანს ხმას არ მცემდა. მაგრამ უნიკალური წიგნი „კახულები დარჩენ მარად“ ავტოგრაფით მაინც გამომიგზავნა შინ.

ნიკა ვულსხმეერი, ახალი და მართალი კაცი იყო. ერთხელ ხუმრობით ვთხარა: შენ აქ კი არა, ოლიშის მთაზე უნდა ცხოვრობდე-მეთქი. ეს კი ნამდვილად არ წყენია.

ნიკა საოცრად პუნქტუალური კაცი იყო. ის, რაც დღეს უნდა გაკეთებულიყო, ზვალისათვის გადადებდა წარმოუდგენელ ამბად მოაჩნდა.

იგი სამამულო ომის მოწინავე მწერალი გახლდათ. დემობლიზაციის შემდეგ უფრად „მნათობის“ პასუხისმგებელ მდივანად დანიშნა. ერთ მშენიერ დღეს მოვკაობე და დავადებაც მომცა: „აი ამ წიგნზე, — მოხარა მან, — რეცენზია გვიკრდება, აიღე და დაწერეო“. სიამოვნებით დავთანხმდი და სულ მალე მშის სინათლეზე ვახილე ჩემი წერალი გიორგი შერვაშიძეზე. ამ დღიდან, ნიკას წუალობით, „მნათობის“ მუდმივი რეცენზენტი გავხდი.

ნიკამ თავისი სიცოცხლის ვარკვეული ნაწილი სერვანტესს მოახმარა.

მართალია, მისი ეს წიგნი კომპლაცია, მაგრამ ისე კარგად არის აგებული, რომ ორიგინალური ნაშრომის შთაბეჭდილებას ტოლებს იგი. როდესაც ვკითხე, მაინც და მაინც რატომ სერვანტესის ცხოვრება აირჩიე თემად-მეთქი, მოკლედ მასასხა: სერვანტესის ბიოგრაფია ცნობილია, შეესპირისა კი არაო.

სიცოცხლის ბოლო წლებში იგი გამოსცემლობა „მერანში“ მუშაობდა და სხვათა თარგმანებს ჩატყდა. ამდენად მომთხოვნი იყო, რომ ძნელია მის დროს გამოცემული უხარისხო თარგმანის დასახლება. ცულ წიგნზე ვინის ვაცემას ავი კაცის სახელი ერჩია.

ხანა რომ შევიდა, მოგონებების წერას შეუდგა. ცხოვრების დიდ ვაზე ნანახი და განცდილი, პირად ცხოვრებაში მომხდარი ამბები მოგონებების ფურცლებად აქცია და მემუარულ ლიტერატურაში არსებული ხარვეზი ნაწილობრვ შეავსო.

ნიკა საოცრად ცოცხალი მოსაუბრე იყო, იმდენი რამ იცოდა და ისეთი პათოსით მოცუვებოდა ბოლოდ ამამ და ევანდროიდულ ამბებს, რომ ქვიხეთის ცაცხეპქვემ ბერაქერ დაგვთენებოდა.

არასოდეს დამევიწყებდა 1949 წლის 19 ნოემბერი. აი ამ დღეს ლოგინად ჩავარდნილი, თითქმის უიმედო ავადმყოფს ნიკა მისტურში და გამაშენდა, სანტარესო ამბების მოყოლით გამაშრო, ახალი ფუნაგორიები წამიკობა და გამომშვიდობებისას მომავალი წერილების ან-

გარისში გარკვეული თანხაც დამატოვა. წარმოადგინეთ, რამდენად გამაზნვევა ამგვარი პურდღებამ და ზრუნვამ ნიკას უურადღებამ არც შედეგ მომკლებია.

ნიკას დაქარგვის ამბავი სავადმყოფოში გავრცემოდა. მეზობელმა გაზეთი მომწერა და თანაც მითხრა: ნიკა ავანტილი გარდაიცვალაო. ეღდა მეცა, გონება რომ დამბარუნდა, თვალთვალს მგვრამ ვერ გავარკვევ. ვინ იღვა ჩემ საწოლთან — ექიმი თუ ნიკა.

სამი დღე ქუთაისში

ხშირად ვნახულობდი ლოკინად ჩავარდნილ მიხეილ მრეველიშვილს, როგორც კი მივიღოდა, მაშინვე შეტყოდა: აბა, ერთხელ კიდევ წამოიყობე მუხრანის ლექსის ბოლო ორი სტრიქონიო. მეც უსიტყვოდ ვასრულებდი მის თხოვნას: „ცხოვრება კია წვალება, მგვრამ ცოკათი შინც სჭოხა სიკვდილს“. სიცოცხლის საოცარი სიყვარული — ეს მისი ნიჭი იყო. უყვარდა სიცოცხლეზე დაწერილი ლექსები, ავადმყოფობამდე კი უმოთარესად ბოდღერის, ვერღენის, მალარმეს სეფლიან ლექსებს ეტანებოდა. „ცნისფრუანწლებიდან“ განსაკუთრებით პაოლო იაშვილი სწამდა. ზემოთადა იყოდა მისი „წერილი დედას“. მშინე ავად იყო, მგვრამ შინც ახსოვდა სტრიქონები: „ამაღამ მგონი იქნება ქარა... ვაი დედოფალ ტყემლების ბრალი“. პაოლოს სხვა სტრიქონებსაც ხშირად იმეორებდა ხოლმე. ავადმყოფობა კი უფრო და უფრო რთულდებოდა, ცხოვრებამ მის თვალში თითქოს ინტერესი დაკარგა...

მიხეილ მრეველიშვილი 1948 წელს გაცივანო სწორედ ამ წელს გამოკვეთდა მისი „ხარტაანთ ქება“. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მაშინდელმა რედაქტორმა გერასიმე ფირცხალავამ ამ წიგნზე წერილის დაწერა მიხვდა. ბატონ გერასიმეს იმდენად დიდ პატივს ვცემოდ, ამხე უარს როგორ ვიტყოდი, მით უმეტეს, მოთხრობა მომწონდა. წერილი უახლოეს ნომერში დააბეჭდა სათაურით „ნომრეტე წაიკითხოთ ეს წიგნი“. აი ამ დღიდან იწყება ჩემი და მიხეილ მრეველიშვილის ახლობლობა, მერე მეგობრობაში რომ გადაიზარდა. იგი იყო ჰუმორიტი ინტელიგენტი, ფრიად განათლებული მწერალი.

როგორც კი წერას შეუდგებოდა, ყველაფერი ავიწყდებოდა — შტერიც და მოყვარეც. გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი გარესმეორისთან. ასე დაიწერა მისი „ხარტაანთ ქება“, „სახელებისწერი მოსახვევა“, „თბილისური ნოველები“... მერე დრამატურგისადაც მიხეილს პიესად გადააყვია „ხარტაანთ ქე-

რა“, მისი სხვა პიესებიც („ბედი მგოსნისა“, „მეზნებარე მეოცნებე“, „მოსილოდნელი და სასრული“) წარმატებით იღვწებოდა ქართული თეატრების სცენაზე. განსაკუთრებული მოწონება ზედა „ხარტაანთ ქებას“ მარკანიშვილის თეატრში, რომელშიც ბრწყინვალე მსახიობები მონაწილეობდნენ.

სამოცი წელი რომ შეუსრულდა (1964 წ.) ქუთაისში მიიწვიეს. ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის დარბაზი ხალხით იყო გაბეზული. ორატორები თითქოს ერთმეორის ეჭიბრებოდნენ შევერშეტყველებმაში, რომ უფრო სრულად, უკეთ დაეხასიათებინათ დეპლემოსილი კაცი. აღნიშნეს მისი დამსახურება თეატრალურ საზოგადოებაში (იგი რამდენიმე წელიწადს ამ საზოგადოების თავმჯდომარე იყო). ესეც ითქვა, რომ კარგა ხანს რედაქტორობდა უფრო „ლიტერატურაშია გრუნიას“ და ბევრი ქართველი მწერალი გაცივო რუს მკითხველს. მგვრამ აქცენტი გაიფხ მის მხატვრულ შემოქმედებაზე იყო გადატანილი. აღუქსანდრე ვოშიაშვილმა და მე მის კაი კაცობაზე გავამახვილეთ უურადღება. ერთი სიტყვით, ქუთაისში დღეად დაფასა მისი კეთილშობილება და მრავალმხრივი მოღვაწეობა.

თავის გამოსვლაში მიხეილ მრეველიშვილმა საღამოზე მოსულ საზოგადოებას მადლობა მოახხენა დაფასებისთვის და მოკლე სიტყვაში მიხეილ ქავახიშვილი გაიხსენა, რომელიც ესოდენ მოხიბლული იყო ქუთაისით, მისი საერთო იერით... დიდი მწერლის სიტყვებია: „მთელი მსოფლიო მომიტლია და ამგვარი ლამაზი საქალაქო პეიზაჟი არსად არ მინახავს“. ჩემის მხარე უნდა დავძინო, რომ ქუთაისი მადლიანი, კეთილი ქალაქია, არავისთვის არაფერი არ ენანება, რაც მოთავსია, ქართული ინტელიგენციის ისტორია ქუთაისიდან იწყება. არ შეშეცადარა ის, ვინც პირველად თქვა: უკველი იმერელი ვლემი მინისტრად გამოდგება, ნიკო ნიკოლაძე კი კანცლერადო... „მიხეილის სიტყვამ დარბაზში ხანგრძლივი ოცაცია გამოიწვია.“

მეორე დღეს მასპინძლებმა — დავით კვიციანიძემ და დიდი უცუბობემ გელათში წავიყვანეს, დიდი ინტერესით დავაუვადიერეთ ტაძარი, ფრესკებთან დიდხანს მოწინებო ეწერდებოდით. მიხეილმა თქვა: „მესამეჯერ ვარ ნამყოფი გელათში და ასე მგონია, დღეს პირველად მოხვდი ამ მონასტერშიო“. სახელდახელოდ პურმარაღიკ გაიხალა, პირველად ტაძრის მშენებლის სადღეგრძელო დალოდა...

ქუთაისიდან რომ წამოვედი, გვაში მიხეილს გავუხილდი, რომ უნწვივის ანგელოზი არ მინახავს-მთქო. მეორე დღეს ვილისი ქარელისაყენ მიგვაქროლებდა. საოცარი კაცი იყო ბატონი მიხეილი — ოცდაოთხს საათში შემისრული სტრუკოლი.

საყურადღებო ნაშრომი

საუცენოზე მატია, რაც სვანეთი მეცნიერთა კლუბის ობიექტად იქცა. სვანეთისადმი დაინტერესება გამოწვია არა მარტო მხარის ბუნების სიდიადემ და მშვენიერებამ, არამედ ამ ეთნოსის მდიდარმა ყოფილმა კულტურამ, რომელიც შედარებით ნათლად წარმოგვიჩინეს ძველი ქართული ცივილიზაციის სურათებს. სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და მის ფილმებში შემოსახულ ნივთიერი კულტურის უნიკალურ ძეგლებს. აქაურ კოლხრიტულ სოფლებსა და იმეთათი სილაშხის მრავალსაუცუროვან კოშკებს ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავს ნებისმიერი პროფესიონალი. აქაური მურყვამების ნახვით აღტაცებული გამოჩენილი საბჭოთა მწერალი კ. სიმონოვი წერდა: „სვანური კოშკები თავისი დროსათვის ისეთივე სასწაული იყო, როგორც ჩვენი. მეოცე საუკუნისათვის აღმავანის სულ ახალ-ახალი მიღწევები ზეცაში“ (გაზ. „პრავდა“, 3. VIII 69). სპეციალისტების აზრით, სვანური კოშკების მშენებლობის ტრადიცია ქართველი ხალხის ძველი ცივილიზაციის წიაღში იდებს სათავეს. ეს არაერთი ფაქტით დასტურდება, რაც კოშკებზე ნაგებობისადმი ინტერესს კიდევ უფრო ამძლიერებს.

დიდია ქართველ მეცნიერთა წვლილი სვანეთის წარსულის შესწავლაში. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ალ. რომაქიძეს, რომელმაც არაერთი ნაშრომი უძღვნა ამ მხარის ბურჟუაზი მონილ წარსულის შესწავლას. გამოჩენილი მეცნიერი წლების განმავლობაში ადგილზე იყვლიდა სვანთა ყოფისა და კულტურის ღრმად სინტერესო საკითხებს. ამ კვლევის ერთ-ერთი შედეგად მხოლოდ ნაშრომს გამოცემულა „მეცნიერების“ მიერ რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „სვანეთი“ (1984) წარმოადგენს. იგი პირველი ნავეთია. მეორე და მესამე ნავეთების გამოცემა მეცნიერის განზრახვლი აქვს უახლოეს ხანებში.

ეს ნაშრომი წარმოადგენს, „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის“ ერთ-ერთ განყოფილებას, რომელსაც კოორდინაციას

უწევს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტი „სსრკ კავშირის ხალხების ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის“-სათვის შემუშავებული პროგრამის საფუძველზე.

პროფ. ალ. რომაქიძის ამ ნაშრომში დასაბუთებულია სვანთა დასახლებისა და საცხოვრისის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, რომელშიც შედარებით სრულად შემოინახა ქართული ხალხის ყოფისა და კულტურის აღნიშნული ელემენტების ტრადიციული ფორმები.

ნაშრომის ვრცელ შესავალში საცხოვრებელი ნაგებობებისა და დასახლების ფორმების შესახებ არსებული ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზთან ერთად შეურადდება ეთნობა ზოგიერთ ეთნონიმსა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეთნოგრაფიული მასალის დიდ შინაშენლობას. ავტორის მიერ აქვე გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებანი სვანთა სოციალური ურთიერთობის საკითხებზე. აღნიშნულია, რომ სვანები ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იქცეოდნენ უცხოელ ავტორთა უზრადლებას, როგორც ძლიერი და მრავალრიცხოვანი ეთნიკური ერთეული მთელს კავკასიაში. ადრეფეოდალურ ხანაში ქართველი ქრონიკები სვანებზე შედარებით ძუნწ ცნობებს შეიცავენ. მაგრამ საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნის პერიოდში სვანეთის საერისთაო ისევ შიწინავე როლს ასრულებს ქართული ერის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. XV საუკუნის შუა ხანებდან სვანებზე ცნობები ისევ მკრთალდება, რაც გამოწვეულია ძლიერი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს დაცემით და მის ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად დაშლით. მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ, უფრო სწორად, საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან სვანები კვლავ ზღვებიან მკვლევართა და მოგზაურთა ინტერესის არეში. იდენტად ძლიერი ფეოდალური საქართველოს შიწინავე რეგიონი უცხოეთს თვალში ახლა უკვე ამათ-საეთნოგრაფიული ტომის“, „საიდუმლოებით მოცული“ მხარის ილუზიას ქმნის, რაც მცდარი კონცეფციების საფუძველი ხდება (გვ. 3).

როგორც ამას საშარათლიანად შენიშნავს ალ. რომაქიძე, „საიდუმლოებით მოცული“ სვანების საკითხი დიდი ხანია „აიხსნა“ და სასაყურადღებო ცნობილი გახდა. ამ „საიდუმლო-

ების ახსნა არც ისე რთული აღმოჩნდა, რადგან სვანები ერთი იმ ძირითადი ტომთაგანია, რომელიც ქართველთა და მეგრულ-ლახების (ქანების) ერთად საფუძვლად დაედო ქართული ეთნოსის ფორმირებას, დღემდე შემორჩენა რა ენა, როგორც ეს ქართველთა და მეგრულ-ლახებმა, ასევე ქართული ეთნიკური სპეციფიკურობის გამომატეველი ყოფისა და კულტურის მთელი რიგი ნიშნები, ამასთან ერთად, — შენიშნავს ავტორი, — ყოფისა და კულტურის მაღალგანვითარებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განვითარების მაღალი დონის ტრადიციული ფორმების განსაკუთრებული შეხამების წყალობით სვანეთი რჩება არა მარტო წყაროდ საქართველოს წარსულისა და ზოგიერთი ეთნო-კულტურული პროცესების კანონზომიერების გამოვლენისა, არამედ ქართული ხალხის ძველი ტრადიციების შემსახველად (გვ. 4).

ნაშრომში ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს სვანური ტომების როლს ქართული ეთნოსის ფორმირებას საქმეში: „ამგვარად სვანები წარმოადგენენ იმ ძველ ტომებს, რომლებმაც მთავარი ინტრადიტის როლი შეასრულეს ქართული ეთნოსის ფორმირების პროცესში“ (გვ. 6). მაინც აღ. რომაქიძის ნაშრომის ძირითადი მიზანია საცხოვრებელი ნაგებობებისა და დასახლების ფორმების დადგენა, რასაც იგი ღრმა მეცნიერულ დონეზე განიხილავს.

საცხოვრებელი ნაგებობები და დასახლების ფორმები რამდენადაც სოციალური ურთიერთობის გარკვევის ერთ-ერთი წყაროს წარმოადგენს, ავტორი აქვე გვთავაზობს თავის მოსახრებებსა და დასკვნებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. აღ. რომაქიძის სიტყვით — ბაღს ზემო სვანეთში სოციალური დიფერენციაცია უნდა მომხდარიყო არა XIX საუკუნეში, არამედ გაცილებით უფრო ადრე (გვ. 79). ბ. ზ. სვანეთში ფეოდალიზმი სპეციფიკური ხასიათისა იყო იმდენად, რამდენადაც მან იქ ვერ ჰყოვა განვითარება, იქ ვერც ერთმა აზნაურმა ვერ მოიპოვა პირველობა, ვერ ამაღლა თავიდან დონემდე. აღნიშნული თავისებურებანი, — წერს აღ. რომაქიძე, — უაღბლებოდა ათასწლეულების განმავლობაში და თავისი გამოხატულება ჰყოვა პოლიტიკური სტრუქტურის იმ სპეციფიკაში, რომელიც სვანეთში ჩამოყალიბდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ და რთოდ იგი განსხვავდებოდა სხვა მსგავსი წარმონაქმნებისაგან გვიან ფეოდალური პერიოდის საქართველოს ისტორიაში (გვ. 69).

ჩვენი აზრითაც, ფეოდალური საქართველოს ერთიანობის დაშლის (XV ს.) შემდეგ სვანეთიც, როგორც მისი ორგანული ნაწილი, სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ დასუსტებას განიცდის. ასეთი მდგომარეობით ზოგიერთი

დიდგვაროვანი კლიმოს ისარგებლოდა და თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია, სწორედ აქედანაა ფენებს შორის იწყება შედგენილი ურთიერთ-კლამა, სისბლიანი კონფლიქტები, რამაც სათანადო ასახვა ჰყოვა წერილობით საბუთებსა და ხალხურ თქმულებამ-გადმოცემებში. პირველობისათვის ბრძოლაში XV ს-ში რუხგვიანების შემდეგ ბ. ჯ. სვანეთში დადგმულია ნები გაბატონდნენ; ბ. ზ. სვანეთში ფეოდალის საგარტელო ამერიად ცარიელი დარჩა. ვერც ერთმა მთავარმა აქ ვერც ვერ მოიკლა, ვერც ადგილობრივ აზნაურთა რომელიმე საგვარეულომ ვერ შეძლო მთავრის ტიტულის მოპოვება. ბ. ზ. სვანეთის უმთავროდ დარჩენაში ერთ-ერთი აქტიური როლი (და აღმათ გადაწყვეტილებები) სვანეთის ერთობლივ ხევის უნდა შეესრულებინა. „ერთობლივი ხევის“ ინტერესები, ჩანს, წინ აღუდგა ბატონობის მოსრულებას მოძალადე მთავრებს. ბევრი ასეთი გაბატონების მაღას აყოლილი სიციცხლეს გამოასაღმეს. გადმოცემით შეიდი მოყვლული თავიდი მხოლოდ უშველებლობზე მიიღეს, ამიტომ XV საუკუნის შემდეგ ბ. ზ. სვანეთი, როგორც ჩანს, სახალხო მმართველობის წესს დაუბრუნდა (უკან დახვევის, რეგრესიის არაერთი სხვა მაგალითიც ვაგვაჩნია). ამან, ცხადია, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენა განაპირობა. იმდენადაც გვაროვნულმა შედეგმა და მტრობამ. მხარის წინსვლის სოციალური მტერი მოშალა. სოციალურად დაწინაურებულნი გვარები თავიანთი ეკონომიკური შესაძლებლობით თანდათან გულთანასწორდნენ მეფემე გლეხებს. განძინაკცენ პოლიტიკური და იურდიული უფლებებისაგანაც. თითონებანი და მოძალადეობამ წინა პლანზე წამოიწია. გვარებს შორის მტრობის მხოლოდ თემობრივი კავშირებისა და გარეშეთა შემოტევის წინააღმდეგ გვართიანების ინტერესებმა ამტბრქვებდა. თავადისა თუ ფეოდალის უფლება-მოხილებანი სახალხო კრებამ („ლახორ-მა“) შეცვალა.

საბოლოოდ ერთიანობის იდეა ისევე იმარჯვებს. მხარის მთელი მოსახლეობა „ერთობლივი ხევის“ ღრმის ქვეშ არაშეება; ბ. ზ. სვანეთი აუღმდეგ ციხე-მასტრონად იქცევა; თვალისჩინივით უფრთხილდებანი ადგილზე შექმნილ თუ გარედან შემოტანილ ეროვნულ განმს, უნიკალურ ქართულ ხელნაწერებს და სხვ.

თუნდაც მხოლოდ სვანეთის მაღალხარის. ზოვანი მატერიალური კულტურისა და უნიკალური ნივთიერი ძეგლების მიხედვით ვიმსჯელოთ, ყველა მათგანი ძირითადად შექმნილია XV საუკუნემდე ე. ი. საქართველოში ფეოდალური სახელმწიფოს ერთიანობის მოშლამდე. თუნდაც ეს ფაქტი იმის ნათელყოფაა, რომ XV-XIX სს. ბ. ზ. სვანეთში არავითარ ფეოდალური ურთიერთობა არ არსებობდა. ამ

დროს განმავლობაში იქ ფეოდალური ურთი-
კრთობის არსებობის რაიმე ნატამალც კი არ
იგრძნობა. ხალხთა მესხიერებას არც კი შემორჩა
თუ რა გვარის საფეოდალო დინასტია არსებობდა
ბ. ზ. სვანეთში, სადა იყო მისი რეზიდენცია ან
ავგილ-მამულე. მაგრამ ეს სულაც არ ნიშ-
ნავს იმას, რომ სვანეთი მოწვევითი ყოფი-
ლიყო საქართველოს ბაზს, მის მხარეებს. ასევე
კარჩაეტრულ ცხოვრებას იგი ვერ უძლებდა და
ამის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ბ. ზ. სვა-
ნები საქართველოს მეფე-მთავრებსაც მიმარ-
თებდნენ დახმარებისათვის. ეს კარგად ჩანს
თუნდაც XVI საუკუნის დასაწყისის ე. წ. „ქა-
ფარიძეთა სამომაროებლო სიგელი“-დან, ამ-
დენად, სვანები XV-XIX საუკუნეებშიც სიე-
რთო ქართული ძალიზმებისა და წინსვლის სა-
ქმეში აქტიურ როლს თამაშობენ.

ქართულ-კავკასიურის კულტურულ-ისტო-
რიული კავშირების შექმნე ნაშრომში შესწავ-
ლილი სვანთა ყოფისა და კულტურის ეთ-
ნოგრაფიული და ზოგად კავკასიური თვისე-
ბები. იგი მაღალ მეცნიერულ და მეთოდოლო-

გურ დონეზეა დამუშავებული და ცხადია,
სპეციალისტთა გარკვეულ ინტერესსაც გამოიწ-
ვევს.

ნაშრომს ახლავს სვანური ტოპონიმებისა და
ტერმინების რუსულ-ქართულ-ლათინური ტრან-
სკრიპცია, ასევე მაღალ დონეზე შესრულებუ-
ლი მდიდარი სილუსტრაციო მასალა.

გვაქვს ორიოდ შენიშვნა, კერძოდ, კარგი
იქნებოდა ეს ფუნდამენტალური ხასიათის გა-
მოკვლევა სქელი ყდით გამოსულიყო; მეორედ
— ნაშრომის შვირე ტირაჟი (1000 ცალი) ოდ-
ნაეადაც ვერ აკმაყოფილებს არამც თუ ფა-
რთო მკითხველ საზოგადოებას, არამედ სპე-
ციალისტთა მოთხოვნილებებსაც — ეს ხაშ-
რომი უმაღლესი სასწავლებლის ისტორიის ფა-
კულტურის სტუდენტებისათვის საჭირო წიგ-
ნია.

ამ შენიშვნების გათვალისწინება მეორე და
მესამე ნაკვეთების გამოცემისას მიზანშეწონი-
ლად მიგვაჩნია.

თეიმურაზ მიხუჯანი

●
რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პარსპექტი, № 12.

●
ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11,
მთ. რედ. მთავრის — 98-55-18, პ/მგ. მდივ.
ნის და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17,

გადაეცა ასაწყობად 8. 01. 86 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 10. 02. 86 წ. ანაწყობის ზომა
7¹/₄X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფუ-
ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნა-
ბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-სავაჭარო-საგამომცემლო
თაბახი 16,58.

№ 05025. ტირაჟი 37.000. შეტ. 58. საქართველოს
კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,

0360 80 333.

618/34

0600360

76128

0600360
2020070033

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ